ᲙᲘᲓᲔᲕ ᲬᲘᲜᲐᲚᲘ
49
ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ
ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲐᲗᲚᲝ

ᲘᲣᲡᲢᲐᲘᲜ ᲒᲝᲠᲓᲔᲠᲘ

ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ

Sitter du godt, Georg? Det er litt viktig at du iallfall sitter støtt, for nå skal jeg fortelle deg en nervepirrende historie.

იუსტაინ გორდერის ცხოვრება და შემოქმედება

იუსტაინ გორდერი თანამედროვე ნორვეგიელი მწერლებიდან ყველაზე ცნობილი და პოპულარულია როგორც თავის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი წიგნები მსოფლიოს 53 ენაზეა თარგმნილი და მილიონიანი ტირაჟით იყიდება! მაშ, მოდი, გავეცნოთ ამ შესანიშნავი პროზაიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მით უფრო, რომ მისი ნაწარმოებები ქართულადაც ითარგმნა, მისი წიგნი ხელთა გაქვთ და პირველად წაკითხვის განუმეორებელი, გამაჟრჟოლებელი სიხარული გელით. ჯერ მწერლის ბიოგრაფიაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

იუსტაინ გორდერი დაიბადა 1952 წელს ოსლოში. მისი მშობლები პედაგოგები
იყვნენ, მამა სკოლის დირექტორი გახლდათ, დედა - მასწავლებელი. თუმცა მომავალი მწერლის დედა საბავშვო წიგნებსაც წერდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იუსტაინი ოსლოს უნივერსიტეტში ეუფლებოდა ლიტერატურას, ფილოსოფიასა და თეოლოგიას. წერა 19 წლისას დაუწყია, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში, 11 წლის ყოფილა,
როცა გადაუწყვეტია, მწერალი უნდა გავხდეო (სხვათა შორის, მაშინ ასევე „გადაუწყვეტია", რომ არასოდეს გაიზრდებოდა, მუდამ ბავშვად დარჩებოდა -
ოღონდ ეს მიამიტური ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, ბავშვობაშივე დარჩა). უნდა
აღინიშოს, რომ იუსტაინ გორდერის პირველი წიგნები მხატვრული ლიტერატურისგან საკმაოდ შორს იდგა - მომავალი მწერალი ფილოსოფიისა და
თეოლოგიის სახელმძღვანელოების შედგენაში მონაწილეობდა. 1981 წელს გორდერი ოჯახთან ერთად ოსლოდან ქალაქ ბერგენში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ერთხანს ფილოსოფიას ასწავლიდა. მისი მხატვრული პროზის პირველი კრებული - „დიაგნოზი და სხვა მოთხრობები" 1986 წელს გამოვიდა. შემდეგი იყო რომანი „ბანქოს საიდუმლო", რომელმაც აღიარება და
პოპულარობა მოუტანა, თუმცა ყველაზე წარმატებული გამოდგა მესამე წიგნი -
„სოფიას სამყარო", რომელიც ნამდვილ მსოფლიო ბესტსელერად იქცა. ეს მით
უფრო საინტერესოა, რომ წიგნი მოგვითხრობს პატარა გოგონას მოგზაურობაზე ფილოსოფიის სამყაროში. საოცარმა წარმატებამ (მათ შორის, ფინანსურმა) გორდერს საშუალება მისცა პედაგოგობისთვის თავი დაენებებინა და მთელი დრო და ენერგია მხატვრული შემოქმედებისთვის მიეძღვნა.
„სოფიას სამყაროს" შემდეგ გორდერმა არაერთი წიგნი გამოსცა, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია „ფორთოხლის გოგონა". ისიც ასევე ნამდვილ მსოფლიო
ბესტსელერად იქცა.

გარდა მხატვრული პროზისა, გორდერი პუბლიცისტიკაშიც მოღვაწეობს. ამ ჟანრის მისი ყველაზე ცნობილი, შეიძლება ითქვას, სკანდალურად ცნობილი ნაწარმოებია „მანიფესტი", რომელიც მიმართულია ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ. „მანიფესტში" დაგმობილია ისრაელის სამხედრო მოქმედებები პალესტინისადმი. ამ პუბლიცისტური წერილის გამო გორდერს ანტისემიტიზმში

დასდეს ბრალი, რაზეც მწერალმა უპასუხა, რომ არაფერი უთქვამს იმაზე მეტი,
რასაც გაერო აცხადებს მსოფლიო საზოგადოებრიობის სახელით.

1997 წელს იუსტაინ გორდერმა მეუღლესთან, სირი დანევიგთან ერთად დააარსა „სოფიას პრემია", რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა „ეკოლოგიისა
და განვითარების" სფეროში გამორჩეულ მოღვაწეთ (პრემიის ფულადი ოდენობა
დაახლოებით 100.000 ამერიკულ დოლარს შეადგენს).

იუსტაინ გორდერმა თავად არაერთი პრემია მიიღო. მათ შორის: 1990 წელს ნორვეგიელ კრიტიკოსთა პრემია ლიტერატურაში რომანისთვის „ბანქოს საიდუმლო", 1994 წელს - გერმანიის ლიტერატურული პრემია წიგნისთვის „სოფიას სამყარო".

იუსტაინ გორდერი კვლავ აგრძელებს სამწერლო მოღვაწეობას - იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ არაერთ შესანიშნავ წიგნს აჩუქებს მკითხველს (სხვათა შორის, კრიტიკოსთა აზრით, გორდერს უახლოეს ათ წელიწადში ნობელის პრემიას მიანიჭებენ).

ამჯერად კი ისიც ვთქვათ, რაშია გორდერის შემოქმედების თავისებურება, მისი პოპულარობის საიდუმლო?

ძალიან ძნელია ამ კითხვას რამდენიმე წინადადებით გასცე პასუხი, მაგრამ მაინც ვეცდები. საქმე ის არის, რომ გორდერი თავის წიგნებში აღწერს გასაოცარ
სამყაროს, რომელიც ერთდროულად ჩვენიცაა - ანუ სრულიად ყოფითია, ნაცნობი, რეალური თუ რეალისტური - და თანაც, ზღაპრულია, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით... გორდერის სამყარო - ეს არის ცხოვრება, როგორც სასწაული! ცხოვრება, როგორც რომანტიკული თავგადასავალი! ცხოვრება, როგორც ფილოსოფიური გამოცანა! ამ ყველაფრის სინთეზი ქმნის წარმოუდგენელ, განუმეორებელ განცდას, - სურნელსა და ფერადოვნებას, - ჰაეროვან ნათელ სიკასკასეს!

„ფორთოხლის გოგონა" იწყება იმით, რომ თხუთმეტი წლის გეორგი მიიღებს წერილს მამისგან, რომელიც... გარდაიცვალა 11 წლის წინათ, - როდესაც ბიჭი 4
წლისა იყო. სრულიად ფანტასტიკური, დაუჯერებელი სიტუაციაა, არა? საქმე ის
არის, რომ გეორგის მამა ექიმი გახლდათ, დიაგნოზი თავის თავს თვითონვე დაუსვა, იცოდა, მალე მოკვდებოდა და გადაწყვიტა შვილისთვის ვრცელი წერილი მიეწერა, მაგრამ რადგან ბიჭი პატარა იყო და ვერ გაიგებდა, მამამ წერილი დროში, ანუ მომავალში გაუგზავნა. ამ მიზნით მამამ შვილის ბავშვობის
დროინდელი წითელი ეტლის სარჩულში შეინახა ფურცლების მთელი დასტა, - იმ
იმედით, რომ ოდესმე იპოვიდა, როცა წამოიზრდებოდა. თანაც ოჯახის წევრები
გააფრთხილა, ეტლი აუცილებლად შეენახათ, არასოდეს გადაეგდოთ. და, აი, 11
წლის შემდეგ წერილი მართლაც პოულობს ადრესატს - გეორგი კითხულობს მამის დაწერილს, რომელიც თავისთავად მოთხრობას წარმოადგენს, - ანუ

წიგნში კიდევ ერთი წიგნია. ეს არის სიყვარულის ამბავი, იდუმალი, დამაინტრიგებელი, ნათელი, თბილი, გულში ჩამწვდომი და გულის ამაჩუყებელი...

ასევე, და კიდევ მეტად, ფანტასტიკურია „ბანქოს საიდუმლო". რომანი იწყება
იმით, რომ 12 წლის ჰანს თომასი და მამამისი ნორვეგიიდან საბერძნეთში მიემგზავრებიან თავიანთი ავტომობილით - უნდა იპოვონ ჰანს თომასის დედა,
რომელმაც 8 წლის წინათ უეცრად მიატოვა ოჯახი და გაქრა. ნორვეგიაში შემთხვევით გაიგეს, რომ თურმე საბერძნეთში ცხოვრობს და მოდელად მუშაობს.
შვეიცარიის ალპებში ბიჭუნას ვიღაც ჯუჯა ბენზინგასამართ სადგურზე გამადიდებელ შუშას აჩუქებს, და თან მამა-შვილს ურჩევს, ღამე სოფელ დორფში გაათიონ. მართლაც ჩავლენ, თუმცა კი საკმაოდ შორს აღმოჩნდებიან
და იქაური მეფუნთუშე ბიჭს ტკბილი ფუნთუშებით გუმასპინძლდება - მათგან ყველაზე დიდში აღმოჩნდება ერთი ციცქნა, მინიატურული წიგნი, რომელიც ისეთი პატარა ასოებით არის დაბეჭდილი, რომ წაკითხვა შეუძლებელია, მაგრამ
ჰანს თომასს ლუპა აქვს და მალულად იწყებს კითხვას - მამას არაფერს ეუბნება
თავიდან, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი მეგობრები არიან (მამა ძალიან საინტერესო პიროვნებაა, ყოფილი მეზღვაური, მოწოდებით ფილოსოფოსი და თან... ლოთი!).

აი, ასე იწყება სრულიად არაჩვეულებრივი, ზღაპრული თავგადასავალი. ისევე
როგორც „ფორთოხლის გოგონაში", აქაც წიგნში მოცემულია წიგნი - ანუ ამბავია
ამბავში. თანაც, უბრალო ამბავი კი არა, არამედ ნამდვილი თავსატეხი და თავგადასავალი... მინიატურულ წიგნში აღწერილია ზღაპრული კუნძული, სადაც
ბანქო ცოცხალია - ჯოკერი იქნება, ვალეტი თუ შვიდიანი, ყველანი ჯუჯები არიან...

მოყოლას აღარ გავაგრძელებ. ესეც, ალბათ, საკმარისია, იუსტაინ გორდერის შემოქმედებით რომ დაინტერესდეთ...

ირაკლი ლომოური

ფორთოხლის გოგონა

მამაჩემი თერთმეტი წლის წინ გარდაიცვალა. მაშინ სულ ოთხი წლის ვიყავი. არასოდეს მიფიქრია, რომ ოდესმე კიდევ გავიგონებდი მის ხმას. მაგრამ დღეს ჩვენ ერთად ვწერთ წიგნს.

ეს ამ წიგნის პირველი სტრიქონებია და მე ვარ ის, ვინც წერს, თუმცა ოდნავ მოგვიანებით მამაჩემიც ჩაერთვება. მას ყველაზე მეტი სათქმელი აქვს.

დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მამა მახსოვს-მეთქი. მგონი, მხოლოდ იმდენად მახსოვს, რამდენადაც ძალზე ხშირად მინახავს მისი ფოტოსურათები.

ერთადერთი რამ მახსოვს დანამდვილებით: როგორ ვისხედით ჩვენი სახლის ეზოში და როგორ ავცქეროდით ვარსკვლავებს.

ერთ-ერთ ფოტოზე მამას გვერდით ვზივარ ყვითელი ტყავის დივანზე ჩვენს სასტუმრო ოთახში. ისე გამოვიყურებით, თითქოს რაღაც სასიამოვნოს მეუბნება.
ის დივანი დღემდე გვაქვს, მაგრამ მამა აღარ ზის ხოლმე ზედ.

მეორე სურათში მოქანავე მწვანე სკამზე ვსხედვართ ორანჟერეაში. ეს სურათი აქ ჰკიდია მამას სიკვდილის შემდეგ. ამწუთას მე მოქანავე სკამზე ვზივარ და ვცდილობ, არ ვიქანავო, რადგან მუხლებზე სავარჯიშოების დიდი რვეული მიდევს და ვწერ. მოგვიანებით ამ ყველაფერს მამას ძველ კომპიუტერში
გადავიტან.

ამ ძველ კომპიუტერზეც ბევრი რამეა მოსაყოლი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ყოველთვის უცნაურად მეჩვენებოდა ყველა ეს ძველი სურათი - თითქოსდა რომელიღაც სხვა დროის კუთვნილება.

ჩემს ოთახში მამას სურათების მთელი ალბომი მაქვს. უცნაურიც კია ამდენი გამოსახულება კაცისა, რომელიც ცოცხალი აღარ არის. მამას ვიდეოკადრებიც გვაქვს. ცოტა არ იყოს, მაჟრჟოლებს, როცა მისი ხმა მესმის. მამას ნამდვილად
ღრმა ტემბრი ჰქონდა.

ეგებ იმ ადამიანთა ვიდეოკადრების ნახვა, რომლებიც აქ აღარ არიან ან, როგორც ბებია იტყოდა, რომლებიც წავიდნენ, უკანონო ქმედებად უნდა გამოცხადდეს. მაინცდამაინც კარგი არ უნდა იყოს მიცვალებულის თვალთვალი.

ზოგიერთ ვიდეოკადრში ჩემი ხმაც ისმის. ეს წიკვინა ტონი წიწილას ხმას მაგონებს.

ასე იყო მაშინ: მამას ბარიტონი ჰქონდა, მე - დისკანტი.

ერთ-ერთ ვიდეოკადრში მამას მხრებზე ვაზივარ და საახალწლო ნაძვისხის კენწეროდან ვარსკვლავის მოძრობას ვცდილობ. ამ კადრში სულ ერთი წლის ვარ, მაგრამ ვარსკვლავის ჩამოღებას თითქმის ვახერხებ.

როდესაც დედა იმ ვიდეოკადრებს უყურებს, სადაც მამა და მე ვჩანვართ, ხანდახან უკან გადაქანდება და ხმამაღლა იცინის. არადა, სწორედ თვითონ ეჭირა კამერა და გვიღებდა. მგონი, ამ კადრების ცქერისას არ უნდა იცინოდეს.
ამის გაგონება მამას, ალბათ, არ გააბედნიერებდა. შეიძლება ეთქვა, ეს წესების
დარღვევა არისო.

სხვა კადრში მამა და მე სააღდგომო მზის შუქში ვსხედვართ ფიელსტოლენში მდგარი ჩვენი ქოხის გარეთ და ორივეს ნახევარ-ნახევარი ფორთოხალი გვიჭირავს. მე წვენის გამოწუწნას ვცდილობ ფორთოხლის გაუფცქვნელად. მამა,
შესაძლოა, სრულებით სხვა ფორთოხლებზე ფიქრობს, - თითქმის დარწმუნებით
შემიძლია ვთქვა.

მამა იმ აღდგომიდან ცოტა ხნის შემდეგ დაავადდა. ექვს თვეზე მეტხანს იავადმყოფა. შეშინებული იყო – ვკვდებიო. ვფიქრობ, იცოდა, რომ კვდებოდა.

დედას ხშირად უთქვამს: მამა ყველაზე მეტად იმას გამოჰყავდა წყობიდან, რომ მანამდე შეიძლებოდა მომკვდარიყო, სანამ რიგიანად გამიცნობდა. ბებიამაც მსგავსი მოსაზრება გამოთქვა, თუმცა – უფრო იდუმალი ფორმით.

როცა მამაზე მელაპარაკება, ბებიაჩემის ხმას უცნაური ინტონაცია ეძლევა. მე მგონი, ეს არც ისე უცნაურია. ბებიამ და პაპამ ზრდასრული შვილი დაკარგეს. არ
ვიცი, როგორი გრძნობაა ეს. საბედნიეროდ, ჰყავთ მეორე ვაჟიშვილიც, რომელიც
ცოცხალია. თუმცა მამას ძველი ფოტოსურათების ყურებისას ბებია არასოდეს იცინის. სულ რაღაც სადღესასწაულო იერი ადევს. თვითონვე თქვა რაღაც ამდაგვარი.

მამამ, ასე ვთქვათ, გადაწყვიტა, რომ სამწლინახევრის ბიჭს რიგიანად ვერ დაელაპარაკებოდა. ახლა მე მესმის, რატომ ფიქრობდა ასე, და მალე შენც მიხვდები, მკითხველო.

ამას წინათ ვიპოვე ფოტოსურათი, რომელზეც ჩანს საავადმყოფოში მწოლიარე მამა. ამ სურათში სახე ძალიან გამხდარი უჩანს. მე მუხლებზე ვუზივარ, ის კი ხელებით მიჭერს, რომ ზედ არ დავეცე. ცდილობს გამიღიმოს.
სურათი მის სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრეა გადაღებული. ნეტავ საერთოდ არ მქონდეს ეს სურათი... მაგრამ რაკი ვიპოვე, ვეღარ ვაგდებ. ის კი
არა, ლამის ხელიდან ვეღარ ვუშვებ.

ახლა თხუთმეტი წლის ვარ, უფრო ზუსტად – თხუთმეტი წლისა და სამი კვირის. სახელად გეორგ როედი მქვია და ოსლოში – უმლევეიენში ვცხოვრობ დედასთან, იორგენთან და მირიამთან ერთად. ეს უკანასკნელი ჩემი წლინახევრის დაიკოა და მეტისმეტად პაწიაა საიმისოდ, რომ რამეზე ველაპარაკო.

რაღა თქმა უნდა, არ არსებობს ისეთი სურათები ან ვიდეოკადრები, რომლებზეც მირიამი და მამაჩემი ერთად იყვნენ. მირიამის მამა იორგენია. მე მამას ერთადერთი შვილი ვარ.

საინტერესო რადაცები გაირკვევა იორგენის შესახებ ამ წიგნის ბოლოში. ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ თუ კითხვას განაგრძობთ, მოგვიანებით თავადვე აღმოაჩენთ.

მამას სიკვდილის შემდეგ, ბებია და პაპა მოვიდნენ და დედას ქმრის დანატოვარის მოწესრიგებაში დაეხმარნენ. თუმცა იყო ერთი მნიშვნელოვანი რამ, რასაც ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაგნო: გრძელი ისტორია, რომელიც მამას საავადმყოფოში დაწოლამდე დაეწერა.

იმ პერიოდში არავინ იცოდა, რომ მამას რაღაც ჰქონდა დაწერილი. „ფორთოხლის გოგონა" ორშაბათსდა გამოჩნდა. ბებია ხელსაწყოების შესანახ ფარდულში შევიდა და ჩემი ბავშვობის დროინდელი წითელი ეტლის სარჩულში

შენახულ ფურცლების მთელ დასტას წააწყდა.
საიდან მოხვდა იქ, ეს, ცოტა არ იყოს, საიდუმლოებით არის მოცული. მთლად
შემთხვევითიც არ ჩანს, რადგან ამბავი, რომელიც მამამ მაშინ დაწერა, როცა მე
სამწლინახევრის ვიყავი, ჩემს ეტლს ეხება. იმას არ ვამბობ, ეს ისტორია
საბავშვო ეტლზეა-მეთქი. არა, მაგრამ მამამ მთელი ეს ამბავი ჩემთვის დაწერა.
დაწერა „ფორთოხლის გოგონას" ისტორია, რათა მე წამეკითხა, როცა საკმაოდ
წამოვიზრდებოდი და გაგებას შევძლებდი. ერთი სიტყვით, მან მომავალს
მისწერა.

თუ სინამდვილეში თვით მამამ ჩააკერა ყველა ეს ფურცელი ძველი
საგორავებელი ეტლის სარჩულში, მაშინ, როგორც ჩანს, დიდი რწმენა უნდა
ჰქონოდა, რომ კორესპონდენცია, საბოლოოდ, ყოველთვის მიდის დანიშნულების
ადგილამდე. აზრად მომივიდა, ცუდი არ იქნებოდა ყველა ძველი ნივთის კარგად
გასინჯვა, ვიდრე მეორად ქსელში გაიყიდება ან, უბრალოდ, გადაიყრება. ვერც კი
წარმოვიდგენ, რამდენი ძველი წერილი ან სხვა ამდაგვარი შეიძლება მოიძებნოს
ნაგავსაყრელზე.

ამ ბოლო დღეებში არაერთგზის ვიფიქრე ამაზე. ჩემი აზრით, უნდა
არსებობდეს მომავლისადმი წერილობითი მიმართვის გაცილებით უფრო იოლი
მეთოდი, ვიდრე საბავშვო ეტლის სარჩულში ჩაკერვაა.

დროდადრო სურვილი გვიჩნდება, ვინმემ წაიკითხოს ის, რაც ოთხ საათში,
თოთხმეტ დღეში ან ორმოც წელიწადში დაგვიწერია. „ფორთოხლის გოგონას"
ამბავი სწორედ ასეთია. ის მისწერეს თორმეტი თუ თოთხმეტი წლის გეორგს -
ბიჭს, რომელსაც მამაჩემი ჯერ არ შეხვედროდა და რომელიც, შესაძლოა, ვერც
ვერასოდეს გაეცნო.

ახლა კი, დროა, ეს ამბავი დავიწყოთ.

ერთი კვირაც არ იქნება, რაც მუსიკის გაკვეთილიდან შინ დავბრუნდი და
აღმოვაჩინე, რომ ბებია და პაპა მოულოდნელად გვსტუმრებოდნენ. უეცრად
შემოევლოთ ტონსბერგიდან და მეორე დილამდე აპირებდნენ დარჩენას.

დედა და იორგენიც შინ იყვნენ და ოთხივენი მოუთმენლად მელოდნენ.
წინკარში შევედი და საგარეო ფეხსაცმელი გავიხადე, რომელიც გვარიანად
დამსველებოდა და გამტალახებოდა, მაგრამ აინუნშიც არავის ჩაუგდია. მათი
გონება სხვა რამეს უტრიალებდა: ამას ჰაერიდანვე ვგრძნობდი.

მირიამს სძინავსო, მითხრა დედამ, და ეს რაღაცნაირად მართებული იყო,
რაკი ბებია და პაპა აქ იყვნენ. ისინი ხომ მირიამის წინაპრები არ არიან. მას
თავისი პაპა-ბებო ჰყავს. ისინიც კარგი ადამიანები არიან და, დროდადრო
შემოივლიან ხოლმე. თუმცა, როგორც ამბობენ, სისხლი წყალზე სქელია.

სასტუმრო ოთახში შევედი და ძირს, ხალიჩაზე დავჯექი. ყველას ისეთი საზეიმო იერი ჰქონდა, ვიფიქრე, რაღაც სერიოზული ამბავი მოხდა-მეთქი. არ
მახსოვს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რაიმე ცუდი საქციელი ჩამედინოს სკოლაში, ფორტეპიანოს გაკვეთილიდანაც დროულად ვბრუნდებოდი
და უკანასკნელი ათკრონიანი მონეტაც დაუკითხავად მხოლოდ რამდენიმე თვის
წინ ავიღე სამზარეულოს თაროდან. ჰოდა, ამიტომაც ვიკითხე:

– მოხდა რამე?

ამას ბებიამ დაუყოვნებლივ მოაყოლა, თუ როგორ იპოვეს წერილი, რომელიც მამას ჩემთვის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოეწერა. ამის გაგონებაზე მუცელი ამიჭყრიალდა. დარწმუნებით იმასაც კი ვერ ვიტყოდი, ცოცხლად თუ მახსოვდა მამა. „მამასგან გამოგზავნილი წერილი" სრულიად ფორმალურად ჟღერდა, თითქმის ისე, როგორც მისი ნების გამოხატულება.

ბებიას კალთაში ედო დიდი კონვერტი, რომელიც მე გამომიწოდა. კონვერტი დაბეჭდილი აღმოჩნდა, გარეთ კი ერთადერთი სიტყვა „გეორგს" ეწერა. ეს არც
ბებიას ხელწერა იყო, არც დედასი, არც თუნდაც იორგენის. კონვერტი გავხსენი
და იქიდან ფურცლების სქელი დასტა ამოვიღე. პირველივე სტრიქონის წაკითხვამ შოკში ჩამაგდო:

მყუდროდ თუ ზიხარ, გეორგ? მნიშვნელოვანია, რომ მოხერხებულად მაინც იჯდე: ისეთი რამ უნდა გიამბო, ფრჩხილებს რომ ჩაგაკვნეტინებს...

თავბრუ დამესხა. ეს რა უბედურება იყო? წერილი მამაჩემისგან. მაგრამ... ნუთუ ნამდვილად მისი ნაწერი იყო?

„კარგად თუ ზიხარ, გეორგ?" – ჩამესმა თითქოს მისი ღრმა ტემბრი, ოღონდ ამჯერად – არა მხოლოდ ვიდეოკასეტიდან. ისე გავიგონე მამას ხმა, თითქოს,
უეცრად გაცოცხლებული, ჩვენ გვერდით იჯდა ოთახში.

მართალია, კონვერტი ჩემი ხელით გავხსენი, მაგრამ მაინც ვკითხე უფროსებს, თქვენ თუ წაიკითხეთ-მეთქი. ყველამ სათითაოდ გააქნია თავი: ერთი სიტყვაც არ წაეკითხათ.
– არც ერთი მარცვალი, – თქვა იორგენმა ცოტა არ იყოს მორცხვად, რაც, არსებითად, მის სტილს არ შეეფერებოდა, – როცა დაამთავრებ, იქნებ ჩვენც წაგვაკითხო.

მგონი, ძალიან დაინტრიგებული იყო წერილის შინაარსით. ვგრძნობდი, რაღაცის გამო სინდისი აწუხებდა.

ბებიამ აგვიხსნა, რატომ ჩასხდნენ ამ ნაშუადღევს მანქანაში და რატომ მოაშურეს ოსლოს. სწამდა: ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნის საიდუმლოს ამოვხსნიო. ეს საკმაოდ იდუმალად ჟღერდა და ასეც იყო.

ავადმყოფობის პერიოდში მამამ დედას გაანდო, გეორგს რაღაცას ვწერო: წერილს, რომელიც მე უნდა წამეკითხა, როცა გავიზრდებოდი. მაგრამ მსგავსი

წერილი თვალითაც არავის უნახავს, მე კი, ამასობაში, უკვე თხუთმეტის გავხდი.

ახლა უკვე ბებიას გაახსენდა მოულოდნელად, რა უთქვამს მამას ოდესღაც: წითელი ეტლის გადაგდებას ნურც იფიქრებთო. ბებია, თავისი აზრით, სიტყვასიტყვით იხსენებდა უკვე საავადმყოფოში მწოლიარე მამას ნათქვამს: „არასოდეს მოიშოროთ თავიდან წითელი ეტლი, გესმით? ამას ხაზგასმით გთხოვთ. გეორგისთვისაც და ჩემთვისაც, ის ძალიან ბევრს ნიშნავდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. მსურს, ეს ეტლი გეორგს სულ ჰქონდეს. ასე გადაეცით, როცა საკმარისად გაიზრდება: ნამდვილად მსურდა ეს ეტლი მისთვის
შემენახა".

ასე რომ, ძველი საბავშვო ეტლი არც გადაუგდიათ და არც სხვა ძველ ხარახურასთან ერთად გაუყიდიათ. ამასთან დაკავშირებით ინსტრუქცია თვით იორგენმაც კი მიიღო. მას შემდეგ, რაც უმლევეიენში გადმოვიდა, შეიტყო, რომ
იყო ერთი საგანი, რისი უცერემონიოდ შეხებაც მას ეკრძალებოდა, სახელდობრ –
წითელი საბავშვო ეტლი. საერთოდ, იორგენმა ისეთი პატივისცემა გამოამჟღავნა
ამ ნივთისადმი, რომ დაჟინებით ითხოვა ახალი ეტლის ყიდვა მირიამისთვის. იქნებ არც ეჭაშნიკა ის აზრი, რომ თავისი ქალიშვილი იმავე ეტლით ეტარებინა,
რომლითაც მამამ მატარა მრავალი წლის წინ. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ,
უბრალოდ, ახალი და კიდევ უფრო კომფორტული ეტლი ისურვა. საკმაოდ მოდურად აზროვნებს (რომ არ ვთქვა, შეპყრობილია-მეთქი).

ამრიგად, იყო წერილი და იყო სავარძელი. მაგრამ ბებიას თერთმეტი წელიწადი დასჭირდა ამ გამოცანის აღმოსაჩენად. ახლაღა მოუვიდა აზრად, რომ
ფარდულში შესულიყო და ეს ძველი ნივთი უფრო ახლოდან შეეთვალიერებინა.
და, აი, მისი ეჭვი გამართლდა. ეტლი მხოლოდ ეტლი კი არ აღმოჩნდა, არამედ
საფოსტო ყუთიც.

დაბეჯითებით ვერ ვიტყოდი, რომ მთელი ეს ისტორია მჯეროდა. ვერასოდეს იტყვი, ამბობენ თუ არა სიმართლეს უფროსები, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა საქმე ეხება „მგრძნობიარე შთამომავლობას" (როგორც ბებია იტყოდა).

როდესაც უკან ვიყურები, ვფიქრობ, რომ უდიდესი თავსატეხი იმაშია, რატომ არავის მოსვლია აზრად ჩაეჭყიტა მამას ძველ კომპიუტერში, თერთმეტი წლის წინ რომ მუშაობდა. მან ხომ სწორედ ამ კომპიუტერზე აკრიფა ჩემთვის გამიზნული წერილი! რასაკვირველია, სცადეს კომპიუტერი ჩაერთოთ, მაგრამ ვერაფრით გამოიცნეს პაროლი. ეს უკანასკნელი, იმდროინდელი კომპიუტერების
წესის თანახმად, დიდი-დიდი, რვა ასოსგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. მაგრამ
თვით დედამაც ვერ მოახერხა კოდის გაშიფვრა. დაუჯერებელია! ჰოდა, უბრალოდ, ადგნენ და ძველი კომპიუტერი სხვენში შეჩურთეს.

თუმცა ამ კომპიუტერს მე კიდევ დავუბრუნდები.

ახლა კი დროა მამას მოვუსმინო. ამასთანავე, დროდადრო, ჩემს კომენტარებსაც ჩავურთავ, სულ ბოლოს კი პოსტსკრიპტუმს დავამატებ. ეს იმიტომ უნდა ვქნა, რომ თავის წერილში მამა სერიოზულ შეკითხვას მისვამს და
მისთვის, დიახაც, დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ვუპასუხებ.

მამას წერილიანად ჩემს ოთახში შევედი და ერთი ბოთლი „კოკა-კოლაც" თან შევიყოლე. როცა კარი შიგნიდან ჩავკეტე, - პირველად ჩემს ცხოვრებაში, - ამაზე
დედა აწრიალდა, თუმცა მშვენივრად იცოდა მიზეზი.

დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანის მომართვის კითხვა იმდენად უჩვეულო ამბავი იყო, რომ ნამდვილად ვერ ავიტანდი ირგვლივ მობორიალე ნათესავებს. ბოლოს და ბოლოს, წერილს მწერდა საკუთარი მამა, რომელიც ამქვეყნიდან თერთმეტი წლის წინ წავიდა. ნამდვილად მჭირდებოდა მცირეოდენი თავისუფლება.

უცნაური იყო პრინტერზე ამობეჭდილი ყველა ამ ფურცლის ხელებში ჭერა. ცოტათი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მამას და ჩემი სრულიად ახალი ფოტოსურათებით სავსე გაუხსნელ ფოტოალბომს წავაწყდი. გარეთ ხვავრიელად
ბარდნიდა. თოვა მაშინ დაიწყო, შინ რომ ვბრუნდებოდი მუსიკის გაკვეთილიდან.
არ დადებს-მეთქი, ვფიქრობდი. ნოემბერი ახალი დაწყებული იყო.

საწოლზე მივწექი და კითხვას შევუდექი.
მყუდროდ თუ ზიხარ, გეორგ? მნიშვნელოვანია, რომ მოხერხებულად მაინც იჯდე:
ისეთი რამ უნდა გიამბო, ფრჩხილებს რომ ჩაგაკვნეტინებს. იქნებ უკვე მოხერხებულად გაწოლილხარ ყვითელ დივანზე. თუმცა მე ახლა აღარაფერი ვიცი: იქნებ სულაც ახალი დივანი გაქვთ. ასევე იოლად შემიძლია წარმოგიდგინო
შენს ძველ ეტლში ჩამჯდარი, ასე რომ გიყვარდა ყოველთვის. ან ეგებ ეზოში ხარ? არ ვიცი, წლის რა პერიოდია. ან, ეგებ, საერთოდ აღარ ცხოვრობ უმლევეიენში.

რა ვიცი ამჟამად?

არაფერი. ვინ არის ახლა პრემიერ-მინისტრი? რა ჰქვია გაეროს გენერალურ მდივანს? და, სხვათა შორის, როგორ გრძნობს თავს ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი? რამე თუ იცი ამის შესახებ? ახალს ხომ არაფერს მიაგნეს ასტრონომებმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აეწყო და ამუშავდა ჩვენი სამყარო?

რამდენჯერმე ვცადე მეფიქრა მომავალზე, მაგრამ ვერასოდეს წარმოგიდგინე, როგორი შეიძლება იყო დღესდღეობით. მხოლოდ ისეთი წარმომიდგენიხარ, როგორადაც აქამდე გიცნობდი. ისიც კი არ ვიცი, რამდენი წლის ხარ ახლა, როცა
ამ წერილს კითხულობ. შეიძლება თორმეტის ან თოთხმეტის, მე კი, მამაშენმა,

უკვე დიდი ხანია დავტოვე დრო.

ჭეშმარიტებაა, რომ თავს უკვე აჩრდილად ვგრძნობ და ყოველთვის სუნთქვა მეკვრის, როცა ეს მახსენდება. ვიწყებ იმის გაგებას, რატომ ოხრავენ და გმინავენ
აჩრდილები. არა იმიტომ, რომ შთამომავლობა დააფრთხონ, არამედ მეტისმეტად უმძიმთ სუნთქვა განსხვავებულ დროში.

ჩვენ მხოლოდ საარსებო ადგილი კი არ გვაქვს, არამედ ჩვენთვის განკუთვნილი დროც.

ასეთია საგანთა წყობა და მეც ამჯერად მხოლოდ ის ძალმიძს, რომ მოვახდინო ჩემი თავის ექსტრაპოლირება ყოველივე გარემომცველისგან. ახლა 1990 წლის აგვისტოა.

როცა შენ ამას კითხულობ, უთუოდ დავიწყებული გექნება, რას შევხაროდით ზაფხულის ცხელ თვეებში, როცა შენ სამწლინახევრის იყავი. მაგრამ დღეები ისევ ჩვენ გვეკუთვნის და ჯერ კიდევ ბევრი კარგი მომენტი გველის.

ერთი რამ უნდა გითხრა, რაზეც ამ პერიოდში ბევრს ვფიქრობ: ერთად გატარებული ყოველი დღე და ერთად ნაპოვნი თვით უმცირესი საგანი ზრდის შანსს, რომ შენ არ დაგავიწყდები. ამჟამად კვირებს და დღეებს ვითვლი. კვირას
ერთად ავედით ტრივანსტარნეტის სათვალთვალო კოშკში და ნახევარ ქვეყანას გადმოვხედეთ. შვედეთისკენ მიმავალი გზა დავინახეთ. დედიკოც ჩვენთან ერთად იყო. თუ შეგიძლია, რომ გაიხსენო? იქნებ გეცადა, გეორგ? გთხოვ, სცადო,
რადგან ყველაფერი სადღაც შიგნით გაქვს შენახული.

შენი ხის მატარებელი და ლიანდაგები თუ გახსოვს? საათობით თამაშობ ყოველდღე. სწორედ მას დავცქერი ახლა. წერის პერიოდში, როცა შენ ცოტა ხნით
თამაშს წყვეტ, მატარებელი, ლიანდაგები და ყოველივე დანარჩენი შემოსასვლელი დერეთნის იატაკზე რჩება მიმოფანტული. საბოლოოდ, რამენაირად უნდა გაგიყვანო აქედან, რათა საბავშვო ბაღში წასვლა მოვასწროთ. მაგრამ შენი პატარა ხელები თითქოს უწინდებურად გადააადგილებენ სათამაშო რკინიგზის ნაწილებს. მე პირადად ერთი ნაწილის გადანაცვლებაც ვერ გამიბედავს.

ის კომპიუტერი თუ გახსოვს, ერთად რომ მივუსხდებოდით ხოლმე შაბათ-კვირას? როცა მთლად ახალი იყო, ჩემს სამუშაო ოთახში მქონდა, გასულ
კვირას კი დერეფანში ჩამოვიტანე. ახლა მხოლოდ იქ მინდა ყოფნა, სადაც შენი
ნივთები აწყვია. რაღა თქმა უნდა, ნაშუადღევს შენ და დედიკოც აქ ხართ. ბებია
და ბაბუაც უფრო ხშირად მოდიან. ეს კარგია.

შენი მწვანე სამთვლიანი ველოსიპედი თუ გახსოვს? თითქმის სულ ახალია და გარეთ დგას, მოხრეშილ ბილიკზე. თუ ჯერაც არ დაგვიწყებია, ესეც, ალბათ,
იმიტომ, რომ ველოსიპედი კვლავ სადღაც გარაჟში ან ფარდულში გაქვთ

შენახული, ძველი და მოშლილი (ვბედავ ამის თქმას). ან, ეგებ, სხვა ნახმარ
ნივთებთან ერთად გაიყიდა?

წითელი ეტლი სადდაა, გეორგ? ჰო, ის სად არის ახლა?

რაღაც მაინც თუ გახსოვს მთელი ჩვენი სეირნობებიდან სონსვენის ტბის გარშემო? ქოხში განხორციელებული ვიზიტებისგან? ზედიზედ სამ შაბათ-კვირას
ვიარეთ ფიელსტოლენში. თუმცა მეტს ნამდვილად ვეღარ შეგეკითხები, ვეღარ გავბედავ, რადგან შენ შეიძლება აღარაფერი გახსოვდეს გეორგის დროიდან, რომელიც ჩემი დროც იყო. ამიერიდან საგნები ისეთები უნდა მივიოო, როგორიც
არიან.

ერთი ისტორია უნდა გიამბო-მეთქი, გითხარი, თუმცა ადვილი არ არის ამ წერილისთვის შესაფერისი ტონის შერჩევა. შეიძლება უკვე შევცდი კიდეც, იმ პაწაწუნას რომ მოგმართე, რომელსაც, ჩემივე შეგრძნებით, ასე კარგად გიცნობ.
მაგრამ როდესაც ამას კითხულობ, შენ უკვე ბიჭუკელა აღარ ხარ. აღარ ხარ ის
ოქროსკულულებიანი ბიყი.

მესმის ჩემივე ლაპარაკი, ისევე რომ ვიჩლიქავ ენას, როგორც ასაკოვანი ქალები იჩლიქავენ ხოლმე ჩვილებთან, და საკმაოდ სულელურადაც გამომდის:
მე ხომ გაზრდილ გეორგთან დაკავშირებას ვცდილობ, იმასთან, ვისთან შეხვედრა და რიგიანი დალაპარაკებაც სიცოცხლეში ვერ მოვახერხე.

საათს შევხედე: ერთ საათზე მეტი არ გასულა მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღში წაგიყვანე და შინ დავბრუნდი. ყოველთვის, როცა მდინარეზე გადავდივართ, შენ ჩვეულებად გაქვს ეტლიდან გადმოსვლა და ქვის ან ჯოხის ჩაგდება წყალში. ერთხელ ცარიელი ბოთლიც იპოვე და ისიც წყალში ისროლე.
თითიც არ ამიწევია შენს შესაჩერებლად. დღესდღეობით ბევრის უფლება გემლევა. როდესაც უკვე საბავშვო ბაღთან ვართ, ხშირად უკანმოუხედავად შერბიხარ შენობაში და ერთმანეთისთვის ნახვამდის თქმასაც კი ვეღარ ვასწრებთ. თითქოს შენთვის არც დრო არსებობს და არც მე. უცნაური აზრია!
ხშირად მოხუცები თითქოს უფრო მეტ დროს პოულობენ, ვიდრე ბავშვები, რომლებსაც მთელი ცხოვრება წინ აქვთ.

აი, მე კი არავითარი ასაკი არ მაქვს, რომ ვიტრაბახო, თავი კვლავ ახალგაზრდა მგონია, ყოველ შემთხვევაში – ახალგაზრდა მამა. და მაინც, ყველაფერზე მეტად დროის შეჩერება მსურს. არა, ის კი არა, რომ დღე სამუდამოდ გაგრძელდეს. რასაკვირველია, საღამოც უნდა ჩამოდგეს და ღამეც,
რაკი დღეს თავისი წყობა აქვს, თავისი ბრუნვადი რიტმი და მომდევნო დღეს იქ
დაიწყება, სადაც წინა დაიწყო.

აღარ ვგრძნობ საჭიროებას, ვნახო და ვიგრძნო იმაზე მეტი, რაც აქამდე გამომიცდია. მხოლოდ ერთი რამ მსურს ყოვლად უიმედოდ: ხელიდან არ

გავუშვა, რაც მაქვს. მაგრამ აქ ქურდები დაძრწიან, გეორგ. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა სასიცოცხლო ძალის გამოწოვა დამიწყეს... რცხვენოდეთ თავიანთი თავის!

გამორჩეულად კარგი და თან განსაკუთრებით სამძიმოა ახლა შენი ტარება საბავშვო ბაღში. მართალია, ჯერ არც მოძრაობის პრობლემა მაქვს და არც შენი
ეტლის ტარების, ვიცი: ჩემი სხეული სერიოზულად არის ავად.

უწყინარი სნეულებები პაციენტს უცებ მიაჯაჭვავენ საწოლზე. სერიოზული დაავადება უფრო ხანგრძლივ დროს ითხოვს ადამიანის წასაქცევად. შენ არ გემახსოვრება, რომ მე ექიმი ვიყავი, თუმცა დედაშენი, დარწმუნებული ვარ, რაღაცებს გეტყოდა ჩემ შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წამოვედი სამსახურიდან, სადაც ჯგუფურ პრაქტიკას ვეწეოდით, ვიცი, რას ვამბობ. ვერ ვიტყვი – მაინცდამაინც მიმნდობი პაციენტი ვარ–მეთქი.

ასე რომ, ჩვენი ანგარიში (ან, თუ გნებავს, უკანასკნელი შეხვედრა) ორ პერიოდად იყოფა. თითქმის ისეთი შეგრძნებაა, რომ თითოეული ჩვენგანი თავისი ნისლიანი მთის წვერზე დგას და ერთმანეთს უთვალთვალებს. წინ გადაშლილა მოჯადოებული ხეობა, რომელიც შენ უკან ჩამოიტოვე განსაზღვრული
ცხოვრებისეული მოგზაურობის შემდეგ, მაგრამ რომელსაც მე ვერასოდეს ვნახავ.
ამის მიუხედავად, ორივე მწვერვალი უნდა დავუკავშირო იმ დილებს, როცა შენ
საბავშვო ბაღში ხარ, ანუ როცა მე ვწერ, მოგვიანებით კი – კითხვის პერიოდს,
რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შენი იქნება, როცა ამ ფურცლებს ჩაუჯდები.

უნდა გითხრა, რომ მეტისმეტად ემოციურს მხდის წერილის წერა უმამო შვილისთვის და, შესაბამისად, საკითხავადაც რამდენადმე მტკივნეული იქნება.
მაგრამ ახლა შენ უკვე პატარა კაცი ხარ. თუ მე მოვახერხე და ეს სტრიქონები ფურცელზე გადმოვიტანე, მაშინ შენ მათი წაკითხვა უნდა აიტანო.

როგორც გესმის, მამაშენი იმ ფაქტის წინაშე დადგა, რომ მალე ყველაფრის დატოვება მოუწევს – მზის, მთვარის, მთელი ცხოვრების, ყველაზე მეტად კი –
შენი და დედაშენის. ეს ასეა და, რასაკვირველია, მტკივნეულია.

ერთი სერიოზული კითხვა უნდა დაგისვა, გეორგ, და სწორედ ამიტომაც ვწერ.
მაგრამ იმისათვის, რომ ეს შევძლო, ჯერ ის შეპირებული „ფრჩხილისჩამკვნეტი"
ამბავი უნდა მოგიყვე.

მთელი ჩვენი ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში მინდოდა მომენტის მოხელთება და შენთვის ფორთოხლის გოგონას ამბის მოყოლა. დღეს, ანუ ამ პერიოდში, როცა ვწერ, შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ და ამ ამბავს ვერ გაიგებ. ასე
რომ, ახლა მოკრძალებულ ანდერძს გიტოვებ. ის შეინახება და თავის

გამჟღავნების ჟამს – შენი ცხოვრების სხვა დღეს – დაუცდის, დღეს, რომელიც
უკვე მოვიდა.

კითხვის ამ მომენტში თავი ავწიე. ძალიან ბევრჯერ მიცდია გამეხსენებინა, როგორ გამოიყურებოდა მამა, და ახლა კიდევ ერთხელ ვცადე. მან თვითონ მთხოვა. ცდით კი ვცადე, მაგრამ სხვას ვერაფერს ვიხსენებდი, ფოტოალბომში
და ვიდეოკასეტებზე ნანახი სურათების გარდა.

გამახსენდა ჩემი ბავშვობის დიდი, ხისვაგონებიანი მატარებელი და მთელი ის კომპლექტი. მაგრამ ამანაც ვერ მიშველა და მამა ვერ გამახსენა. მწვანე სამთვლიანი ველოსიპედიც ისევ გარაჟში იდგა და სრულიად დარწმუნებით შემეძლო მეთქვა, რომ ის ბავშვობიდანვე მახსოვდა. წითელი ეტლიც ასევე შეყუჟულიყო იარაღების საწყობის უკანა კედელთან. მაგრამ ვერაფრით ვიხსენებდი რომელიმე გასეირნებას სონსვენის ტბის გარშემო, ისევე როგორც ტრივანსტარნეტის სათვალთვალო კოშკზე ასვლას მამასთან ერთად. იმ კოშკზე ბევრჯერ ვყოფილვარ, ოღონდ – დედასა და იორგენის კამპანიაში. ერთხელ მხოლოდ იორგენი და მე წავედით. ეს მაშინ მოხდა, როდესაც დედა სამშობიაროში იწვა მირიამის გასაჩენად.

რასაკვირველია, ფიელსტოლენურ ქოხთანაც ათასი მოგონება მაკავშირებდა, მაგრამ არც ერთ მათგანში მამა არ ჩანდა, ჩანდნენ მხოლოდ დედა, იორგენი და
მირიამი. იმ ქოხში ძველი სასტუმრო ჟურნალი გვაქვს და ბევრჯერ წამიკითხავს
მამას ჩანაწერები. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ ვამბობდი, შემეძლო თუ არა გამეხსენებინა რამე იქიდან, რასაც მამა იმ წიგნში წერდა. მთლიანობაში, აქაც იგივე ხდებოდა, რაც ფოტოსურათებისა და ვიდეოკასეტების
შემთხვევაში. „აღდგომის შაბათს გეორგმა და მე არნახულად დიდი ყინულის ქოხი ავაშენეთ და არც თოვლის ლამპიონები დაგვვიწყებია..." რაღა თქმა უნდა,
ეს ყველაფერი წაკითხული მქონდა და ზოგი ჩანაწერი ზეპირადაც ვიცოდი. მაგრამ ვერასოდეს შევძელი თავის წარმოდგენა სასტუმრო ჟურნალში აღწერილი
ამბების უშუალო მონაწილედ. იმ ქოხისა და ლამპიონების დადგმისას მე ორ-ნახევარი წლის ვიყავი. სურათიც გადავუღეთ, მაგრამ იმდენად ბნელი გამოვიდა, რომ სანთლების გარდა არაფერი ჩანს.

იყო კიდევ ერთი რამ, რასაც მამაჩემი ამ გრძელ წერილში მთხოვდა:

და, სხვათა შორის, როგორ გრძნობს თავს ჰაბლის ტელესკოპი? რამე თუ იცი ამის შესახებ? ახალს ხომ არაფერს მიაგნეს ასტრონომებმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აეწყო და ამუშავდა ჩვენი სამყარო?

ამ სენტენციის წაკითხვა და მთელ ზურგზე ჭიანჭველების აფუთფუთება ერთი იყო: მე ხომ სულ ახლახან დავასრულე ჰაბლის ტელესკოპთან დაკავშირებული დიდი საგანგებო დავალების წერა. ჩემმა თანაკლასელებმა თემებად ინგლისური ფეხბურთი, „სპაის გერლზი" ან როალდ დალი აირჩიეს. მე
კი ბიბლიოთეკაში წავედი და ყველაფერი მოვიტანე, რაც კი ჰაბლის ტელესკოპზე

მოეპოვებოდათ. შესრულებული დავალება ჩემს მასწავლებელს სულ რამდენიმე კვირის წინ ჩავაბარე, მან კი ჩემს საქაღალდეში ჩაწერა: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ესოდენ დასრულებულმა, აზრიანმა და კარგად ინფორმირებულმა მიდგომამ ამ რთულ საკითხთან". არ მახსოვს, სხვა დროსაც
განმეცადოს ისეთი სიამაყე, როგორიც ამ სიტყვების კითხვისას. მასწავლებლის კომენტარები იწყებოდა ფრაზით: „დაფნის გვირგვინი მოყვარულ ასტრონომს!"
და ეს გვირგვინი იქვე მიეხატა კიდეც.

ნეტავ მამა ნათელმხილველი ხომ არ იყო? ან, ეგებ, უბრალო დამთხვევამ განაპირობა, რომ ჩემი საგანგებო დავალების შესრულებიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ მამა ჰაბლის ტელესკოპზე მეკითხებოდა?

ან იქნებ ეს წერილი მამაჩემის დაწერილი არ იყო? იქნებ ჯერაც ცოცხალია? ამის გაფიქრებაზე კიდევ ერთხელ გამაჟრჟოლა.

საწოლზე წამოვჯექი და ღრმად ჩავფიქრდი. ჰაბლის ტელესკოპი ორბიტაზე 1990 წლის 25 აპრილს გაიყვანეს. დაახლოებით იმ დროს - 1990 წლის სააღდგომო არდადეგების შემდეგ - დაავადდა მამაც. ეს იმთავითვე ვიცოდი, ეგ
არის, აქამდე არ გამიაზრებია, რომ ეს ზუსტად იმ პერიოდში მოხდა, როდესაც
ჰაბლის ტელესკოპი დედამიწის ირგვლივ დატრიალდა. შესაძლოა, მამამ თავისი
ავადმყოფობა ზუსტად იმ დღეს აღმოაჩინა, როდესაც შატლი „დისქავერი" კეიპ
კანავერალიდან გავიდა და ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპიც თან გაიყოლა, - ვინ
იცის: ზუსტად იმ საათსა და წუთს.

და თუ ასეა, მაშინ მშვენივრად მესმოდა, ასე რატომ ადარდებდა კოსმოსური ტელესკოპის ბედი. ფაქტობრივად, მეცნიერებმა მალევე აღმოაჩინეს პრობლემა ტელესკოპის მთავარ ლინზაში. მამა ვერ გაიგებდა, რომ ეს ხარვეზი შატლი „ენდეავორის" ასტრონავტებმა გამოასწორეს 1993 წლის დეკემბერში, - ეს ხომ
მისი გარდაცვალებიდან თითქმის სამი წლის შემდეგ მოხდა. ვერც, რაღა თქმა
უნდა, იმას გაიგებდა, რა ფანტასტიკური აღჭურვილობა დაემატა ჰაბლს 1997 წლის თებერვალში.

მამა მანამდე გარდაიცვალა, სანამ გაიგებდა, რომ ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპის მიერ გადაღებული სამყაროს სურათები ოდესმე გადაღებულთაგან ყველაზე ნათელი და, საერთოდ, საუკეთესო ხარისხის იყო. ბევრი ასეთი სურათი
ვნახე ინტერნეტში და ბევრის ასლიც მოვამზადე ჩემი საგანგებო
დავალებისთვის. ზოგი მათგანი, რომლებიც ყველაზე მეტად მომწონს, ჩემს ოთახშიც კიდია. მაგალითად, ბროლივით გამჭვირვალე გიგანტური ვარსკვლავი
ta CმიIიმ8, 8 000 სინათლის წლით დაშორებული მზის სისტემიდან. ta Caninae
ირმის ნახტომის გალაქტიკის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია და მალე ზეახალ

ვარსკვლავად იფეთქებს, სანამ საბოლოოდ დაიშლება შიგნიდან და ან ნეიტრონულ ვარსკვლავად იქცევა, ან შავ ხვრელად. ჩემი მეორე რჩეულია გაზისა
და მტვრის ვეებერთელა ღრუბლები არწივის ნისლეულში (მას M16-საც უწოდებენ). აი, სად იბადებიან ახალი ვარსკვლავები!

დიდად დავალებულებმა ჰაბლის ტელესკოპისგან, ამჟამად გაცილებით მეტი ვიცით სამყაროს შესახებ, ვიდრე 1990 წელს ვიცოდით. ჰაბლმა ირმის ნახტომიდან მილიონობით სინათლის წლით დაშორებული გალაქტიკებისა და ნისლეულების ათასობით სურათი გადაიღო, ისევე როგორც სამყაროს წარსულის
ამსახველი უამრავი განსაცვიფრებელი კადრი. ცოტა არ იყოს ბრიყვულად ჟღერს
ლაპარაკი „სამყაროს წარსულის" ფოტოსურათებზე, მაგრამ სამყაროულ სივრცეში ცქერა, არსებითად, მის წარსულში გახედვას უდრის. სინათლე წამში
300 000 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობს, მაგრამ, ამის მიუხედავად, შორეული
გალაქტიკებიდან გამოტყორცნილ სინათლეს მილიარდობით წელიწადი სჭირდება ჩვენამდე მოსაღწევად, იმდენად უკიდეგანოა სამყარო. ჰაბლის ტელესკოპმა დააფიქსირა გალაქტიკები, თორმეტი მილიარდი წლით რომ დაშორებიან ჩვენსას. მაგრამ, იმავდროულად, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჰაბლმა
სამყაროს თორმეტ მილიარდზე მეტი ხნის წარსულს გახედა. ეს ჩვენს გონებას აკრთობს: მაშინ ხომ სამყარო ერთ მილიარდ წელზე ნაკლები ხნის იყო. ვირტუალურად, ჰაბლის კოსმოსურმა ტელესკოპმა უკან, დიდი აფეთქებისკენ გაიხედა, - იმ მომენტისკენ, როცა დრო და სივრცე შეიქმნა. რაღაცები ვიცი ამ
ამბებთან დაკავშირებით და ამიტომაც ვწერ. უნდა გავფრთხილდე და ყველაფერი არ დავწერო, რაც ვიცი. მასწავლებლისთვის ჩაბარებული ჩემი დავალება მთელი ორმოცდაშვიდი გვერდი იყო!

ნამდვილად უცნაურად მეჩვენა, რომ თავის წერილში მამა კოსმოსურ ტელესკოპს ახსენებდა. ყოველთვის მიზიდავდა კოსმოსური კვლევა და, ვინ იცის, ეგებ ამ პლანეტაზე მიმდინარე ამბებიდან თავის აწევისა და სამყაროში გახედვის უნარიც კი შეიძლება, გარკვეულწილად, მემკვიდრეობად გადმოეცეს კაცს. თუმცა არანაკლებ შემეძლო საგანგებო დავალების თემად „აპოლონის" პროგრამა და მთვარეზე პირველი ადამიანის დაჯდომა ამერჩია. შემეძლო დამეწერა გალაქტიკებსა და შავ ხვრელებზე და არ მეხსენებინა გალაქტიკები შავი ხვრელებით. ასევე შემეძლო მემუშავა მზის სისტემაზე თავისი ცხრა პლანეტით და იუპიტერსა და მარსს შორის გადაჭიმულ დიდ ასტეროიდულ სარტყელზე. ან სულაც ავდგებოდი და ჰავაის კუნძულების ვეებერთელა ტელესკოპებზე დავწერდი. მაგრამ, საბოლოოდ, ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი
ვარჩიე. როგორ გამოიცნო ეს მამამ?

უფრო ადვილი გასაგებია, რატომ ახსენა გაეროს გენერალური მდივანი. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ მე 24 ოქტომბერს - გაეროს საერთაშორისო დღეს
დავიბადე. მისი გენერალური მდივანია კოფი ანანი, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს კი კელ მაგნე ბონდევიკი ჰქვია. სულ ახლახან შეენაცვლა იენს სტოლტენბერგს.

ასე ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ კარზე დედამ დააკაკუნა და მკითხა, როგორ მიდის საქმეო.

– ნუ მაწუხებ, – აი, ჩემი ერთადერთი პასუხი. ჯერ მეოთხე გვერდიც კი არ ჩამემთავრებინა.

„მიამბე, მამა, მიამბე ფორთოხლის გოგონას შესახებ, – ვფიქრობდი, – მე აქ ვარ და დროც უკვე დადგა, შენი წერილის წაკითხვის დრო".

ფორთოხლის გოგონას ამბავი ერთ ნაშუადღევს დაიწყო, როცა მე სახელმწიფო თეატრის შენობასთან ვიდექი და ტრამვაის ველოდებოდი. ეს იყო
დაახლოებით 1970 წელს, შემოდგომის დამლევს.

მახსოვს, იმ მომენტში ჩემს ახალდაწყებულ სამედიცინო კურსებზე ვფიქრობდი. უცნაური წარმოსადგენი იყო, რომ ერთ დღესაც ნამდვილი ექიმი ვიქნებოდი და მივიღებდი ნამდვილ პაციენტებს, რომლებიც ჩემთან მოვიდოდნენ და თავიანთ ბედს მომანდობდნენ. თეთრი ხალათი მეცმებოდა, დიდ მაგიდასთან ვიჯდებოდი და ვიტყოდი: „სისხლის ანალიზს ავიღებთ, ბატონო
იონსენ" ან: „რამდენი ხანია, რაც ეს გაწუხებთ?"
ბოლოს და ბოლოს, ტრამვაიც გამოჩნდა. შორიდანვე მოვკარი თვალი, როგორ
გამოსცდა პარლამენტის შენობას და ნელა ამოუყვა სტორტინგსგატენს. დღემდე ვერ მომინელებია, რომ ვერაფრით ვიხსენებ, სად მივდიოდი იმ დღეს. მაგრამ,
ასე იყო თუ ისე, მალე აღმოვჩნდი კაშკაშა ლურჯად შეღებილ და ხალხით გამოტენილ ფროგნერის ტრამვაიში.

უპირველესი, რაც თვალში მომხვდა, იყო სკამებს შორის მდგარი მომხიბლავი გოგონა, რომელსაც ფრიად საამური შესახედაობის ფორთოხლებით სავსე პარკი ეჭირა. ტანზეც ძველი ფორთოხლისფერი ანორაკი ეცვა და, მახსოვს, როგორ გავიფიქრე: იმდენად დიდი და მძიმე პარკი უჭირავს, ნებისმიერ მომენტში შეიძლება ხელიდან გაუვარდეს-მეთქი. თუმცა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ფორთოხლიანმა ჩანთამ კი არ მოახდინა, არამედ თვით ქალიშვილმა. იმწამსვე მივხვდი: სრულებით განსაკუთრებული ვინმე იყო, ანგარიშმიუცემლად
მაგიური და მომაჯადოებელი. ისიც შევნიშნე, როგორ შემომხედა: თითქოს მეყსეულად გამომარჩია ტრამვაიში მოფუთფუთე სხვა ადამიანთა გუნდში. ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა, რომლის განმავლობაშიც ორივემ სიხარულით აღვნიშნეთ რაღაცნაირი ფარული ალიანსი. ტრამვაიში ასვლისთანავე გოგონამ მშვიდი მზერით დამაფიქსირა და, შესაძლოა, პირველად სწორედ მე გავიხედე განზე. ნამდვილად ასე შეიძლებოდა მომხდარიყო, რაკი იმ პერიოდში უჩვეულოდ
მორცხვი სუბიექტი გახლდი. მიუხედავად ამისა, სავსებით ნათლად და მკაფიოდ
მახსოვს: საზოგადოებრივი ტრანსპორტით ხანმოკლე მგზავრობისას სწორედ ფორთოხლებიანი გოგონა აღმოჩნდა ის, ვინც მე აღარასოდეს დამავიწყდებოდა.
არც მისი სახელი ვიცოდი და არც ის, ვინ იყო, მაგრამ პირველივე წამიდან ვიგრძენი მისი გადაულახავი ზემოქმედება.

სიმაღლით, ალბათ, ცხვირამდე მომწვდებოდა. ჰქონდა გრძელი, შავი თმა,

ყავისფერი თვალები. დაახლოებით ჩემი ასაკის, ანუ ცხრამეტიოდე წლის იქნებოდა. შემომხედა, თითქმის მომესალმა კიდეც თავის დაუქნევლად და ისეთი გამომჯავრებელი, ცელქი ღიმილი მტყორცნა, თითქოს ოდესღაც, დიდი
ხნის წინ, მთელი ერთი ცხოვრება გაგვეტარებინოს ერთად: მხოლოდ მას და მე.
რაღაც ამდაგვარი ამოვიკითხე ყავისფერ თვალებში.

გაღიმებისას ლოყებზე თითო ფოსოც დააჩნდა და თუმცა ამას არაფერი ჰქონდა საერთო ციყვთან, მოღიმარე გოგონას დანახვამ რატომღაც ეს ცხოველი გამახსენა: ყველანაირად ციყვივით მარდი და გამჭრიახი ჩანდა. თუ ნამდვილად
ერთად გაგვიტარებია ცხოვრება, მაშინ, ალბათ, ხეზე მცხოვრები ორი ციყვი ვიქნებოდით–მეთქი, – გამიელვა იმწამს. და დიდად მიმზიდველი არ იყო იმის
წარმოდგენა, რომ ოდესღაც ციყვის მოხტუნავე ცხოვრებით მიცხოვრია იდუმალ
ფორთოხლის გოგონასთან ერთად (ამიერიდან ასე მოვიხსენიებ).

მაგრამ რატომ იღიმებოდა ესოდენ მრავლისმცოდნე და პროვოკაციული ღიმილით? ნამდვილად მე მიღიმოდა? ეგებ თავის რომელიდაც აზრს უღიმოდა,
ანუ რაღაც ისეთს, რასაც ჩემთან არაფერი ესაქმებოდა? ან, ეგებ, ჩემზე ეღიმებოდა? ეს ვარიანტიც დასაშვები იყო. მაგრამ მე ხომ არც ისე თავშესაქცევი
სანახავი ვიყავი. მგონი, სრულებით ნორმალურად გამოვიყურებოდი. პირიქით:
მუცელზე მიბჯენილი იმ თავისი ვეება ფორთოხლებიანი პარკით სწორედ ის იყო
კომიკური შესახედაობის და არა მე. ასე რომ, ეგებ, ის საკუთარ თავს უღიმოდა,
ეგებ მოსწონდა ეს თვითღიმილი? ასეთი უნარით ყველა ვერ დაიკვეხნის.

მეორედ თვალებში შეხედვა ვეღარ გავბედე, უბრალოდ – ფორთოხლებიან „ტომარას" მივაჩერდი. ცოტაც და, გაუვარდება–მეთქი, ვფიქრობდი. არადა, არ
უნდა გავარდნოდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაუვარდა.

ხუთი კილო ფორთოხალი მაინც იქნებოდა პარკში, ეგებ რვა ან სულაც ათი.

ტრამვაი ჯანჯღარითა და ქანაობით მიუყვებოდა დრამმენსვეიენს. გაჩერდა ამერიკის საელჩოსთან, შემდეგ – სოლლი პლასთან, მერე კი, ის იყო, ფროგნერვეიენთან უხვევდა, რომ სწორედ ის მოხდა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. უცებ ტრამვაი სახიფათოდ გადაიხარა (ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცდა დატოვა) და ფორთოხლებიან ქალიშვილს ოდნავ შეაქანა, ხოლო
მე გამიელვა: აი, ახლა კი ეს ვეებერთელა ჩანთა კატასტროფისგან უნდა ვიხსნა–მეთქი. ახლა... არა, აი, ახლა!

სწორედ მაშინ დამემართა ის, რასაც შეიძლება საბედისწერო ვერგათვლა დაერქვას. ასე იყო თუ ისე, ფატალური გეზი ავიღე. შეგიძლია წარმოიდგინო:
როგორ სასწრაფოდ გავიშვირე ორივე მკლავი, ერთი ქვემოდან ამოვდე

ფორთოხლებიან პარკს, მეორე მტკიცედ შემოვხვიე ქალიშვილს წელზე. და, როგორ ფიქრობ, რა მოხდა შემდეგ? რა თქმა უნდა, ის, რომ ნარინჯისფერანორაკიანმა გოგონამ პარკი ხელიდან გაუშვა ან სულაც მე გავაგდებინე ხელიდან, თითქოს, ეჭვიანობით გაგიჟებულმა, ხელისშემშლელ დაბრკოლებასავით მოვიცილე თავიდან. ამის სავალალო შედეგი ის იყო, რომ ოცდაათი თუ ორმოცი ფორთოხალი აქეთ-იქით გაგორდა: ზოგი - მჯდომარე ადამიანთა კალთაში, ზოგი - ტრამვაის იატაკზე და სკამებქვეშ, - ყველგან. რაღა
თქმა უნდა, მანამდეც არაერთი იდიოტობა ჩამიდენია, მაგრამ ამას მაინც ვერც
ერთი ვერ შეედრებოდა. ეს იყო მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე თავგზისამბნევი მომენტი.
ამჯერად ნუღარაფერს ვიტყვით ფორთოხლებზე: დე, კიდევ რამდენიმე წამს იგორონ ტრამვაიში. საბოლოოდ, საქმე ხომ საკუთრივ ფორთოხლებში არ არის.
მალე გოგონა ისევ მიყურებდა, თუმცა ამჯერად აღარ იცინოდა. თავდაპირველად
წყობიდან გამოსული ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, სახეზე ჩრდილმა გადაურბინა.
ვერ ვიტყვი, რა გაიფიქრა იმწამს, ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ცოტაც და -
ცრემლებს გადმოაფრქვევდა, თითქოს თითოეულ ფორთოხალს მისთვის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, ჰო, გეორგ: თითქოსდა თითოეული ფორთოხალი მისთვის სრულებით შეუცვლელი თუ შეუნაცვლებელი იყო. თუმცა
ამ ტალღამ სწრაფად გადაიარა, რაკი მომდევნო მომენტში გაბრაზებული მზერა
მომაპყრო, რითაც სრულებით ნათლად მანიშნა: ამ ამბისთვის მთელი პასუხისმგებლობა შენ გეკისრებაო. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ცხოვრება დავუნგრიე (რომ აღარაფერი ვთქვა ჩემს ცხოვრებაზე): იმის განცდაც
ხომ არანაკლებ მქონდა, რომ ჩემივე მომავალი დავღუპე.

იქ უნდა ყოფილიყავი იმ მომენტში, ვინძლო სიტუაცია განგემუხტა. იქნებ გეხუმრა ან რამე დამაშოშმინებელი გეთქვა. ვაი, რომ იმ დროს არსად იყო პატარა ხელი, რომელსაც მე ჩავეჭიდებოდი: ეს ხომ შენს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოხდა.

სირცხვილით გათანგული, ოთხზე დავდექი და, ტალახიანი ბოტებისა და ფეხსაცმელების ტყეში მოქცეულმა, სათითაოდ დავიწყე ფორთოხლების გროვება. თუმცა მხოლოდ ნაწილის გადარჩენა შევძელი. მალე აღმოვაჩინე, რომ
პარკი, რომელშიც ფორთოხლები ეწყო, გაფხრეწილიყო და ამჯერად ვერაფრისთვის გამოვიყენებდით.

მწარე ხუმრობასავით მომივიდა აზრად, რომ ამ გოგონასთვის მე, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ სახით დავენარცხე ძირს. ორმა თუ სამმა მგზავრმა ჩუმად ჩაიფხუკუნა კიდეც, ისიც მათ შორის ყველაზე კეთილბუნებოვანმა. სხვებმა ხომ, საკმაოდ ბევრმა, გაღიზიანებით გამომხედეს. ტრამვაი სავსე იყო,
ინციდენტი - თითქმის აუტანელი. შევამჩნიე, რომ ისინი, ვინც მომხდარს შეესწრო, ისე მიყურებდნენ, როგორც დამნაშავეს, მაშინ, როდესაც ჩემი სურვილი

სხვა არაფერი იყო, თუ არა ჯენტლმენურად მოქცევა.

აი, უკანასკნელი სურათი, რაც იმ ავადსახსენებელი ამბიდან მახსენდება: ვდგავარ სათითაოდ აგროვებული და გულზე მიხუტებული ფორთოხლებით, ჯიბეებშიც კი მიდევს თითო ცალი და, როდესაც ისევ ნარინჯისფერანორაკიანი
ქალიშვილის წინ აღმოვჩნდები, ის პირდაპირ თვალებში მიყურებს და დაცინვით
მეუბნება: „შე ბოთე!"

მე გამთათხეს და – არცთუ უსამართლოდ. თუმცა შემდეგ გოგონამ თავისი დაცინვა შეარბილა და ნახევრად ირონიულად მკითხა:

– ერთ ფორთოხალს ხომ არ მომცემდი?

– მაპატიე... – ესღა ამოვღერდე, – მაპატიე!

სწორედ ამ დროს ტრამვაი მოლჰაუსენის კაფესთან შეჩერდა, კარი გაიღო და მეც შეცბუნებით დავუქნიე თავი იმას, ვინც, ჩემს თვალში, თითქმის ზებუნებრივი
ფორთოხლის გოგონა იყო. მან კი, უბრალოდ, ერთი ფორთოხალი აიღო ჩემი არცთუ საიმედო მკლავებიდან და ზღაპრული სილფიდას ანცი მოძრაობით გაუჩინარდა ქუჩაში.

ტრამვაი კიდევ ერთხელ შეჯანჯღარდა და ფროგნერვეიენს აუყვა.

ერთ ფორთოხალს ხომ არ გამატანდიო, – გესმის, გეორგ? ყოველივეს შემდეგ,
მკლავებით მისი ფორთოხლები მეჭირა და ჯიბეებშიც მისი თითო-თითო ფორთოხალი მედო, დანარჩენი კი, ამასობაში, ტრამვაის იატაკზე გორავდა.

ახლა მე მთელი კალთა ფორთოხალი მქონდა, მაგრამ არც ერთი არ იყო საკუთრივ ჩემი. თავს ფორთოხლის გარეწარ ქურდად ვგრძნობდი (ერთი-ორმა
მგზავრმაც იგივე ჩაილაპარაკა მოკლე და თავშესაქცევი კომენტარების სახით). არ მახსოვს, რამ გამიარა გონებაში, მაგრამ შემდეგ გაჩერებაზე, ფროგნერ პლასზე ტრამვაიდან ჩავიძურწე.

როგორც კი გარეთ აღმოვჩნდი, ერთადერთი, რაც მანაღვლებდა, ის იყო, რომ
ყველა ეს ფორთოხალი სადმე შემეჩურთა. ეკვილიბრისტივით გაჯგიმულს უნდა
მევლო, ვინძლო არც ერთი არ ჩამომვარდნოდა. და როცა ერთ-ერთი მაინც დაასკდა მიწას, მე, რასაკვირველია, ვერ გავრისკე, რომ დავხრილიყავი და ამეღო.

ცოტა ხნის შემდეგ დავინახე ქალი: ბავშვის ეტლს მიაგორებდა ძველ თევზის მაღაზიასთან, – აი, იმასთან, ფროგნერ პლასზე რომ არის (შესაძლოა, ახლა აღარც არსებობს). ნელა მივუახლოვდი და, როგორც კი ეტლს გავუსწორდი, შემთხვევით ვისარგებლე და ყველა ფორთოხალი – თვით ისინიც, ჯიბეებში რომ
მეწყო – ბავშვის ვარდისფერ გადასაფარებელზე დავყარე. ამას სულ ორიოდე წამი დასჭირდა.

იმ ქალის სახე უნდა გენახა, გეორგ! ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა მეთქვა და მეც ვკითხე: შეგიძლიათ თუ არა დამდოთ პატივი და მცირედი საჩუქარი მიიღოთ
ამ ბავშვის სახელზე, რაკი ზამთარი სწრაფად ახლოვდება და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ვიტამინი ჩ მიიღონ-მეთქი. „სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობ და ეს ნამდვილად ვიცი", დავამატე ბოლოს.

ეჭვი არ არის, იფიქრა, რომ კადნიერად ვიქცეოდი. იქნებ მთვრალიც ვეგონე და არც ის დაიჯერა, რომ სამედიცინოზე ვსწავლობდი. ეგაა, მე უკვე თავქუდმოგლეჯით ჩავუყევი ფროგნერვეიენს. ისევ ერთადერთი იდეა მაწუხებდა:
ფორთოხლებიანი გოგონა უნდა მეპოვა, შეძლებისამებრ სწრაფად მივყოლოდი უკან და ჩემი დანაშაული გამომესყიდა.

არ ვიცი, რამდენად კარგად იცნობ ქალაქის ამ ნაწილს, მაგრამ მალე გულამომჯდარმა მივაღწიე იმ გზაჯვარედინს, სადაც იდუმალი გოგონა ტრამვაიდან ჩამოვიდა ერთადერთი ფორთოხლით ხელში. ზუსტად ასევე შეიძლებოდა ვმდგარიყავი ვარსკვლავის მოედანზე პარიზში, იმდენად ბევრი განტოტება ჰქონდა წერტილს, სადაც ქალიშვილი გაუჩინარდა.

იმ ნაშუადღევს საათობით ვიარე ფროგნერვეიენზე ზემოთ-ქვემოთ. მთელი გზა ავიარე ბრისკების სახანძრო სადგურამდე, ქვემოთ - წითელი ჯვრის კლინიკამდე. ყოველ ჯერზე, როცა ვხედავდი რაღაცას, ბუნდოვნად რომ მაგონებდა ნარინჯისფერ ანორაკს, გული ხტუნვას მიწყებდა... მაგრამ ფორთოხლის გოგონა თითქოსდა თვალსა და ხელშუა აორთქლდა.

რამდენიმე საათის შემდეგ აზრად მომივიდა, რომ ჩემ მიერ ესოდენ შეწუხებული ქალიშვილი შეიძლებოდა რომელიმე ფანჯრის უკან იდგა ელისენბერგვეიენში და უჩუმრად უთვალთვალებდა თაგგზააბნეულ სტუდენტს, აღმა-დაღმა რომ დარბოდა რომელიღაც ფილმში გამოყვანილი და მოქმედებადასაზღვრული ზღაპრის გმირივით. ვერ პოულობდა პრინცესას, რომელსაც ეძებდა. არაფერი დაიშურა მის მოსაძებნად, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მიაგნო, თითქოს მთელი ფილმი ჩიხში შევიდაო.

ერთგან ნაგვის ყუთში ჩაგდებული ფორთოხლის კანი დავლანდე. ამოვიღე და დავყნოსე. მაგრამ თუ ის ნამდვილად ფორთოხლის გოგონამ ჩააგდო, მაშინ სწორედ ეს ყოფილა მისი უკანასკნელი ნაკვალევი.
მთელი დარჩენილი საღამო მხოლოდ ნარინჯისფერანორაკიან ქალიშვილზე ვფიქრობდი. დაბადებიდან ოსლოში ვცხოვრობ, მაგრამ დარწმუნებით შემეძლო
მეთქვა, რომ ეს გოგონა მანამდე არასოდეს მენახა. ამან უფრო გადაწყვეტით მიბიძგა, რომ ყველაფერი მეღონა, რათა ისევ შევხვედროდი ფორთოხლის გოგონას. თითქოსდა რაღაც მაგიით, მან უკვე მოახერხა ჩემსა და დანარჩენ სამყაროს შორის ჩადგომა.

ფიქრში გამუდმებით ვუბრუნდებოდი იმ ფორთოხლებს. სად მიჰქონდა და რა მიზნით? ნუთუ სათითაოდ უნდა გაეფცქვნა და ლებან-ლებან შეეჭამა, ვთქვათ,
საუზმეზე ან ლანჩზე? ამ აზრმა შთაგონება მომცა: ეგებ ავად იყო ან საგანგებო
დიეტას იცავდა? ამის გაფიქრებამ საკმაოდ დამამძიმა.

თუმცა არსებობდა სხვა ვარიანტებიც. ეგებ ფორთოხლის დესერტს

ამზადებდა ასზე მეტი სტუმრისთვის? ამ იდეამ მაშინვე ეჭვი აღმიძრა: თუ ასე
იყო, მეც რატომ არ დამპატიჟა-მეთქი? ისიც ვიფიქრე, რომ, შესაძლოა, ამ
კამპანიაში სქესთა სრულებით არათანაბარი წარმომადგენლობა ყოფილიყო:
ოთხმოცდაათამდე ბიჭი და სულ რაღაც რვა-ცხრა გოგონა. ვიცოდი, რატომაც:
ფორთოხლის დესერტი უნდა მიერთმიათ სემესტრის დასრულებასთან
დაკავშირებით გამართულ დიდ წვეულებაზე მართვის ნორვეგიულ სკოლაში და
სწორედ იმიტომ, რომ საქმე ეხებოდა მართვას, მდედრობითი სქესის
სტუდენტები სულ თითზე ჩამოსათვლელი იქნებოდნენ.

ვცადე უკუმეგდო ეს აზრი, არც ისე მდგრადი და საფუძვლიანი და, საერთოდ,
თანაბარ შესაძლებლობათა სკანდალურ უგულებელყოფად მეჩვენა ის ამბავი,
რომ მართვის სკოლას აქამდე არ დაეშვა იმავე რაოდენობის მდედრი
წარმომადგენლები. არა, არა, ჩემი წარმოსახვა, რასაკვირველია, არასაიმედო
პარტნიორობას მიწევდა. იქნებ ქალიშვილი თავის მოცუცქნულ ოთახში
ბრუნდებოდა, რათა ლიტრობით წვენი გამოეწურა და მაცივარში შეენახა, რაკი
ვერ იტანდა ან ალერგიულს ხდიდა იაფფასიანი კალიფორნიული
კონცენტრატიდან დამზადებული წვენი?

საბოლოოდ, არც წვენი და არც დესერტი არ იყო საკმაოდ მართლმაგვარი
ახსნა. თუმცა მალევე მომივიდა უფრო დამაჯერებელი აზრი: ფორთოხლის
გოგონას ისეთივე ტიპის ძველი ანორაკი ეცვა, როგორსაც როალდ ამუნდსენი
ატარებდა თავის სახელგანთქმულ პოლარულ ექსპედიციებში. ყოველთვის
კარგად ვცნობდი ნიშნებს (მედიცინაში ამას დიაგნოსტიკა ჰქვია):
ტყუილუბრალოდ არ ივლი ოსლოს ქუჩებში ძველი ანორაკით, განსაკუთრებით
მაშინ, თუ იმავდროულად, წვნიანი ფორთოხლებით სავსე ვეება პარკიც თან
დაგაქვს.

ბოლოს იმ აზრამდე მივედი, რომ ქალიშვილი აშკარად აპირებდა ან
გრენლანდიის გადავლას თხილამურებით ან, სულ ცოტა, ჰარდანგერვიდას
პლატოსი მაინც. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ცუდი არ იქნებოდა ციგაში
რვა-ათი კილოგრამი ფორთოხალი, ურომლისოდაც შეიძლებოდა სურავანდი
შეჰყროდა და სიცოცხლე უდაბნოში დაეტოვებინა.

კიდევ ერთხელ მივენდე წარმოსახვას. განა „ანორაკი" ესკიმოსური სიტყვა არ
არის? რასაკვირველია, ქალიშვილი გრენლანდიაში მიდიოდა, მაგრამ რა
დაუჯდებოდა ეს ექსპედიცია ამჟამად? ჰქონდა თუ არა იდუმალ გოგონას
საკმარისი ფული იმისთვის, რომ კიდევ ერთი ასეთი პარკი ფორთოხალი ეყიდა?
კინაღამ ცრემლად დაიღვარა, როცა ამხელა ტვირთი ძირს დაუცვივდა, და მეც
უკვე დავასკვენი: ეტყობა, ძალიან ხელმოკლეა-მეთქი.

თუმცა არსებობდა ბევრი სხვა ვარიანტიც. უნდა გამოვფხიზლებულიყავი და
პირდაპირ შემეხედა ამ ამბისთვის. იქნებ ფორთოხლის გოგონა დიდი ოჯახის
ერთ-ერთი წევრი იყო? რატომაც არა? ცალსახად ვერ დაასკვნიდი: ეს ადამიანი
უთუოდ წითელი ჯვრის კლინიკის მოპირდაპირე მხარეს ერთ პატარა ბინაში
მცხოვრები ძიძა იქნებაო. ის ნამდვილად შეიძლებოდა ყოფილიყო

მრავალშვილიანი და ფორთოხლისმოყვარული ოჯახის ერთ-ერთი ქალიშვილი, ოჯახის, რომელსაც მე დიდი სიამოვნებით ვეწვეოდი, გეორგ. წარმომიდგენია,
როგორ უსხდნენ დიდ სასადილო მაგიდას ფროგნერის რაიონის ერთ-ერთ ძველ,
მაღალყჭერიან, ორნამენტებიანი სახურავით დამშვენებულ ბინაში. მამისა და დედის გარდა, ოჯახში კიდევ შვიდი შვილი ცხოვრობდა: ოთხი და, ორი ძმა და
თვით ფორთოხლის გოგონა. ეს უკანასკნელი ყველაზე უფროსი იყო, მზრუნველი
და მოსიყვარულე უფროსი დაიკო. ალბათ, უმცროსთაგან თითოეულს ყოველდღიურად თითო ფორთოხალი მაინც მიჰქონდა სკოლაში.

ან ეგებ (ამ აზრმა ცივი ჟრუანტელივით დამიარა სხეულში) თვითონვე იყო დედა პატარა ოჯახისა, რომელიც შედგებოდა მისგან, ბატონი კარგი ბიჭისგან,
ვინც სულ ახლახან დაამთავრა მართვის სკოლა, და მათი პაწია ოთხი თუ ხუთი
თვის გოგონასგან, რომელსაც ჩემმა წარმოსახვამ რატომღაც რანვეიგი დაარქვა.

არსებობდა კიდევ სხვა შესაძლებლობაც, რომელიც მხედველობაში უნდა მიმეღო. აუცილებელი არ იყო, რომ ის ქალი, რომელიც ვარდისფერსაფარებლიან
ჩვილს მიაგორებდა ფროგნერის თევზის მაღაზიასთან, მაინცდამაინც ამ ჩვილის
დედა ყოფილიყო. იქნებ დედა კი არა, ფორთოხლის გოგონას ძიძა იყო? მტკივნეული აზრია, გეორგ, მიუხედავად იმისა, რომ, ამ შემთხვევაში, ფორთოხლების ნაწილი უკანვე დაუბრუნდებოდა ციყვისმზერიან ქალიშვილს. ქვეყანა უცბად დაპატარავდა და ყველაფერს გამორჩეული მნიშვნელობა მიენიყა.

ყოველთვის წარმატებით შემეძლო ორისთვის ორის მიმატება. ისიც უნდა ვთქვა, რომ თვითონვე დავუსვი დიაგნოზი ჩემს სნეულებას, როცა მივხვდი, რომ
ავად ვიყავი. მეამაყება კიდეც ეს ამბავი. უბრალოდ, წავედი და კოლეგას ვუთხარი: აი, ეს მჭირს-მეთქი. იგი თანამდებობაზე შემენაცვლა, შემდეგ კი...

კეთილი, გეორგ, აქ ცოტა ხნით უნდა შევწყვიტო წერა.

იქნებ გეუცნაურება კიდეც, რომ ასე მხიარულად შემიძლია აღვწერო წლების წინ მომხდარი ამბავი, რომელიც დღეს თავშესაქცევად, თითქმის უტყვ ფილმად
მახსენდება და, მსურს, შენც ასე ხედავდე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეტისმეტად მსუბუქი გულით ვწერ ახლა. მართალი გითხრა, თავს სრულებით
უმწეოდ ან, უფრო ზუსტად, სრულებით უნუგეშოდ ვგრძნობ. და სულაც არ ვცდილობ ამის დამალვას, თუმცა შენ ამაზე ნუ ინაღვლებ. შენ ხომ ვერასოდეს
ნახავ ჩემს ცრემლებს, მე ამას უკვე შევურიგდი და თავის გაკონტროლებასაც ვახერხებ.

მალე დედა სამსახურიდან მოვა, მანამდე კი ჩვენ ორნი ვართ შინ. მაგრამ

ამწუთას, როცა შენ იატაკზე ზიხარ და ფერადი ფანქრებით თამაშობ, ჩემი ნუგეშისცემა არ ძალგიძს. თუმცა, ეგების, ძალგიძს კიდეც? მომავალში, როცა
წაიკითხავ წერილს, დატოვებულს კაცისგან, რომელიც მამაშენი იყო, იქნებ მაშინ
გაუგზავნო ნუგეშისმცემელი აზრი? ეს შესაძლებლობა მე უკვე მანუგეშებს.

დრო, გეორგ? რა არის დრო?

მე სუპერნოვა 1987 ა-ს სურათს ავხედე: გადაღებულია ჰაბლის ტელესკოპით დაახლოებით იმ დროს, როდესაც მამამ თავისი სნეულება დააფიქსირა.

შემებრალა, რასაკვირველია. თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყოდი, რომ ეს განცდა მამას მთელ თავის უბედურებას ჩემზე გადმოატანინებდა. მისთვის მე ვერაფერს ვიზამდი. ის ხომ ამჟამად განსხვავებულ დროში ცხოვრობდა, მე კი ჩემი ცხოვრება უნდა გამეგრძელებინა. ადამიანები თავიანთი გარდაცვლილი მამების თუ წინაპრების მიერ დატოვებულ წერილებში რომ დაინთქან, საკუთარი
ცხოვრებით ვეღარავინ იცხოვრებს.
წყვილი ცრემლი მომადგა თვალებზე, არცთუ ტკბილი (თუ საერთოდ არსებობს ასეთი ცრემლი), არამედ ის მძიმე, მწარე ცრემლები, რომლებიც გარეთ
არ იღვრებიან, მხოლოდ თვალების კუთხეებს წვავენ.

დავიწყე ფიქრი იმ დღეებზე, როცა დედა და მე სასაფლაოზე დავდიოდით და მამას საფლავს ვუვლიდით. ბოლო რამდენიმე აბზაცის წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე, ამას მეტად აღარასოდეს ვიზამ-მეთქი. ნებისმიერ შემთხვევაში, მარტო მაინც აღარ დავდგამდი ფეხს სასაფლაოზე. აღარასოდეს!

უცილობლად მძიმე არ არის უმამოდ გაზრდა. მაშინ აგიტანს ჟრჟოლა, როდესაც გარდაცვლილი მამა დაგელაპარაკება საფლავიდან. იქნებ უმჯობესი ყოფილიყო თავი დაენებებინა და აღარ მიემართა თავისი ვაჟიშვილისთვის. თითქოს აჩრდილად დაბრუნებასთან დაკავშირებითაც კი მიმანიშნა რაღაც.

ხელისგულები ოფლით დამფარვოდა. თუმცა, რასაკვირველია, მამას წერილს ბოლომდე ჩავიკითხავდი. შესაძლოა, კარგიც კი იყო, წერილი რომ მისწერა მომავალს, შესაძლოა - არც იყო. ჯერ მეტისმეტად ადრე იყო ამის თაობაზე რაიმე
საბოლოო აზრის გამოტანა.

რა უცნაური ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო მამა, - ყოველ შემთხვევაში, სამოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა ცხრამეტი წლის იყო, - რომ ამდენი ემოცია აღძვროდა ფროგნერის ტრამვაიში მდგარ, ხელებში ფორთოხლის ვეებაპარკატატებულ გოგოსთან დაკავშირებით! სავსებით ნორმალურია გოგონებისა და ბიჭებისთვის ერთმანეთის უჩუმარი თვალთვალი. დარწმუნებული ვარ, ასე ხდებოდა ადამ და ევადან მოყოლებული.

რატომ უბრალოდ არ დაწერა, ის გოგო შემიყვარდაო? ის ხომ ამ ამბავს, ალბათ, გაცილებით ადრე მიხვდა, ვიდრე მამა ფორთოხლებზე მიიტანდა იერიშს. ერთი ხელი წელზეც შემოვხვიეო, - ირწმუნება მამა თავის წერილში.
იქნებ ტრამვაიში იმ ქვეცნობიერი სურვილით ატანილი იდგა, ნეტავ ფორთოხლის

გოგონასთან ტანგო მაცეკვაო?

როდესაც ბავშვებს უყვარდებათ, მაშინ ან ჩხუბობენ, ან თმას აწიწკნიან ერთმანეთს. ზოგიერთები გუნდებსაც დააყრიან ხოლმე. ცხრამეტი წლისები, ჩემი
აზრით, ოდნავ უფრო მგრძნობიარეები უნდა იყვნენ.

მაგრამ მე მხოლოდ ამბის დასაწყისი ვიცოდი. შესაძლოა, მართლაც რაღაც იდუმალი ხდებოდა „ფორთოხლის გოგონას" თავს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ,
რატომ დაიწყებდა მამა მთელი ამ ამბის მოყოლას? ის ხომ ავად იყო და იცოდა,
რომ უნდა მომკვდარიყო. ამდენად, რასაც წერდა, ყველაფერი მისთვის დიდად
მნიშვნელოვანი იქნებოდა. მისთვისაც და, როგორც ჩანს, ჩემთვისაც.

ჩემი „კოკა-კოლა" გამოვცალე და კითხვა განვაგრძე.

კიდევ თუ შევხვდებოდი ოდესმე ფორთოხლის გოგონას? ალბათ, აღარასოდეს, ალბათ, ნორვეგიის სრულიად განსხვავებულ რეგიონში ცხოვრობდა
და ოსლოში სულ ცოტა ხნით ჩამოვიდა.

ჩვეულებად მექცა: როგორც კი, ქალაქში ყოფნისას, ფროგნერის ტრამვაის დავინახავდი, ყველა ფანჯარას ვათვალიერებდი, აბა, მგზავრებს შორის ფორთოხლის გოგონა ხომ არსად ჩანს-მეთქი. ეს ბევრჯერ ვქენი, მაგრამ ქალიშვილი ვეღარსად ვნახე. საღამოობითაც დავიწყე ფროგნერის რეგიონში სეირნობა. ყოველ ჯერზე, როცა ქუჩაში ყვითელს ან ნარინჯისფერს დავლანდავდი, ვფიქრობდი: აი, ახლა კი შევხვდები-მეთქი. მიუხედავად ამისა,
ჩემს დიდ მოლოდინს მრავალი გულის აცრუება მოჰყოლია.

გავიდა დღეები, კვირები. ერთ ორშაბათს, დილით, ოსლოს ცენტრალური ქუჩის, კარლ იოჰანის ერთ-ერთ კაფეში შევედი: იქ ვიყრიდით ხოლმე თავს რამდენიმე სტუდენტი. როგორც კი შიგნით შევაბიჯე, ჯერ იქვე გავქვავდი, შემდეგ
კი ერთი-ორი ნაბიჯით უკან მივდექი. ფორთოხლის გოგონა იქ იყო! ამ კაფეში
არასოდეს მინახავს, ახლა კი აქ იჯდა, წინ ჩაის ჭიქა ედგა და ფერადსურათებიან
წიგნს ფურცლავდა, თითქოს რომელიდაც უხილავ ხელს მოეყვანა ჩემი შემოსვლის მოლოდინში. იგივე გაცვეთილი ანორაკი ეცვა, კალთაში კი, მის სხეულსა და კაფეს პატარა მაგიდას შორის, შეგიძლია არ დაიჯერო, გეორგ, ჯიშიანი ფორთოხლებით სავსე ქაღალდის დიდი პარკი ედო.

შევკრთი. იმავე ნარინჯისფერანორაკიანი ქალიშვილის დანახვა
ფორთოხლით სავსე ისეთივე პარკით ხელებში მირაჟივით არარეალური ჩანდა.
ამ მომენტიდან ფორთოხლებმა ჩემ მიერ ნაძიები ჭეშმარიტების ბირთვად
ჩამოყალიბება იწყეს. მაინც რა ფორთოხლებთან მქონდა საქმე? მათი
ოქროსფერი კანი ისე ელვარებდა, რომ თვალების მოფშვნეტა მომინდა. ეს ფერი
სრულებით განსხვავდებოდა ჩემ მიერ აქამდე ნანახი ფორთოხლის ფერისგან.

კანგაუცლელადაც კი იგრძნობოდა ნაყოფის მძაფრი გემო და წვნიანობა. არა, ამ
პარკში ნამდვილად არ ეწყო მთლად ჩვეულებრივი ფორთოხლები!
თითქმის ფეხისწვერებზე შემდგარი მივუახლოვდი რამდენიმე იარდით
დაშორებულ მეორე მაგიდას და მივუჯექი კიდეც. სანამ მოვიფიქრებდი, როგორ
მოვქცეულიყავი ამის შემდეგ, ჯერ მსურდა ერთხანს შორიახლოდან მეცქირა და
აუხსნელის ჭვრეტით მეხარა.

არა მგონია, შემოსვლა-დაჯდომისას შევენიშნე, მაგრამ უეცრად წიგნიდან
თავი ასწია და პირდაპირ თვალებში შემომხედა. შემომხედა და, როგორც
იტყვიან, დანაშაულზეც მომისწრო: ქალიშვილი ხომ იმწამსვე მიხვდა, რომ
მთელი ეს ხანი იქ ვიჯექი და მას ვუთვალთვალებდი. მზიური ღიმილი მტყორცნა,
გეორგ, ო, რა ღიმილი! მთელ ქვეყანას რომ გაალღობდა, ისეთი. დიახ:
ქვეყნიერებას ეს ღიმილი რომ ენახა, იმის ძალასაც იპოვიდა, რომ შეეწყვიტა
ყოველგვარი ომი და სიძულვილი ამ პლანეტაზე, ან, სულ ცოტა, მსგავსი რამ
უიშვიათესად მოემოქმედებინა.

სხვა არჩევანი აღარ მქონდა, უნდა ავმდგარიყავი და მივსულიყავი. ნელა
მივუახლოვდი და მის მაგიდასთან დავჯექი. გოგონას ეს სულაც არ ეუცნაურა,
თუმცა იყო მის იერში რაღაც, რის გამოც თამამად ვერ ვიტყოდი, იცნო თუ არა
ტრამვაიში მომხდარი ამბის პერსონაჟი.

რამდენიმე წამს ასე ვისხედით და ერთმანეთს ვუყურებდით. თითქოს არ
სურდა, პირდაპირ ლაპარაკზე გადავსულიყავით. დიდხანს მიყურა თვალებში,
სულ მცირე - ერთი წუთი მაინც. ამჯერად თავი არ მიმიბრუნებია. შევნიშნე, რომ
გუგები უთრთოდა. თითქოს მეკითხებოდა: გახსოვვარ თუ არა? ან: ნუთუ ვერ
მიხსენებ?

მალე ერთ-ერთ ჩვენგანს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ იმდენად დაბნეული
ვიყავი, რომ ვიჯექი და მხოლოდ იმ გარდასულ დროზე ვფიქრობდი, როცა
ორივენი მხიარული ციყვების სახით ვცხოვრობდით ჩვენს პატარა ტევრში: მას
ძალიან ართობდა, როცა მემალებოდა, მე კი ზემოთ-ქვემოთ დავრბოდი ხეებზე
და მის პოვნას ვცდილობდი. და თუ თვალს მოვკრავდი, ის უბრალოდ, მეორე
ხეზე ისკუპებდა. ასე სამუდამოდ უნდა მედევნა მისთვის ხიდან ხეზე. ერთ
დღესაც, თავად მომივიდა დამალვის იდეა. ამჯერად უკვე მან დამიწყო ძებნა:
იქნებ მაღლა, ხის კენწეროზე ვიყავი? იქნებ ქვემოთ ჩავედი და ხავსში
ვიმალებოდი ბებერი კუნძის უკან და მსიამოვნებდა მოუთმენლად მძებნელი
ჩემი პარტნიორის ცქერა? იქნებ ამ ძებნას თან ახლდა ყრუ შიშიც, რომ
შეიძლებოდა ვეღარასოდეს ვეპოვე?..

უცებ სრულებით განსაცვიფრებელი რამ მოხდა, ოღონდ არა დროთა
გარიჟრაჟზე ამოყრილ პატარა ტევრში, არამედ ამწუთას და აქ, კარლ იოჰანის

ქუჩაზე მდებარე კაფეში.

მასთან რომ დავჯექი და მარცხენა ხელი მაგიდაზე დავდე, უცებ გოგონამ მარჯვენა ხელი გამოსწია და პირდაპირ ხელში ჩამიდო. ერთი წამით ადრე კი წიგნი დაადო ფორთოხლებიან პარკს, რომელზეც ისე შემოეჭდო მეორე ხელი, თითქოს ცოტათი მაინც შიშობდა, არ წამართვას ან არ გამაგდებინოსო.

თავს უწინდებურად მორცხვად აღარ ვგრძნობდი. ეგაა, მისი თითებიდან ჩემსაში რაღაც გრილი ძალა გადმოიღვარა. ზებუნებრივ ძალას ფლობს-მეთქი, ვიფიქრე, ძალას, რომელიც, ჩემი ეჭვით, რაღაცნაირად უკავშირდებოდა ფორთოხლებს.

„გამოცანა, - ვიფიქრე, - განსაცვიფრებელი გამოცანა!"

მეტად აღარ შემეძლო ჩუმად ჯდომა, ვიღაცას მაინც უნდა ამოეღო ხმა, ეს კი,
შესაძლოა, ღალატი იყო, ანუ დარღვევა იმ კოდისა, რომელსაც ფორთოხლის
გოგონა წარმოადგენდა. ისევ ერთმანეთს ვუყურებდით, რომ მე როგორც იქნა,
წარმოვთქვი: „შენ ციყვი ხარ!"

ამ სიტყვებზე მან მსუბუქად გაიღიმა და ხელი ალერსიანად მომიჭირა ხელზე, შემდეგ უკანვე წაიღო, დიდებული მოძრაობით წამოდგა და მკერდში ჩახუტებული ფორთოხლებიანი პარკით ქუჩაში გავიდა. აი, სწორედ ამ დროს შევნიშნე მის თვალებში მომდგარი ცრემლები.

პარალიზებული ვიყავი. ენაჩავარდნილი. სულ რამდენიმე წამის წინ
ფორთოხლის გოგონა ჩემ წინ იჯდა და ჩემი ხელის მტევანი ეჭირა. ფორთოხლის
სუნიც თითქოს ჯერ კიდევ კაფეს სივრცეში ტრიალებდა, მაგრამ თვითონ აქ აღარ
იყო. იქნებ პარკი რომ არ სჭეროდა, წასვლისას ხელიც დაექნია. მაგრამ ამხელა
ტვირთი ორივე მკლავს ითხოვდა და ამას ვერანაირად ვერ იზამდა. ამ
ყველაფერთან ერთად, გოგონა ქვითინებდა.

და მე არ დავედევნე, გეორგ. ესეც, როგორც ჩანს, წესების დარღვევა
იქნებოდა. უბრალოდ, გაოგნებული, გასავათებული, პირთამდე გადავსებული
დავრჩი ჩემს სკამზე. ისეთი საამურად იდუმალი რამ განვიცადე, რაც თვეების
განმავლობაში გამყვებოდა. ეჭვი არ არის, ისევ შევხვდები-მეთქი, - ვფიქრობდი.
ამ ყველაფერში დიდი და, იმავდროულად, განუჭვრეტელი ძალები მოქმედებდნენ.
გოგონა უცხოელი იყო, ჩვენს ზღაპარზე კიდევ უფრო მშვენიერი ზღაპრიდან
მოსული უცხოელი. მოახერხა და თავისი გზა გამოიგნო ჩვენს რეალობაში. იქნებ
იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა აქ, ან იქნებ იმ მიზნით, რომ
დავეხსენით იმისგან, რასაც ადამიანები ზოგჯერ „ცხოვრების მონოტონურობას"
უწოდებენ? ამ მომენტამდე ვერც კი წარმოვიდგენდი ამდაგვარი მისიონერული
საქმის არსებობას. აქამდე ვფიქრობდი, რომ არსებობს ერთადერთი ცხოვრება

და ერთადერთი სინამდვილე. მაგრამ თურმე, სულ მცირე, ორი ტიპის ადამიანები
მაინც არსებობდნენ: ფორთოხლის გოგონა და დანარჩენები, ანუ ჩვენ, ყველანი.

მაგრამ რატომ აევსო თვალები ცრემლით? რა ატირებდა?

გამახსენდა, რომ ვიფიქრე: ნათელმხილველი ხომ არ არის-მეთქი. რატომ უნდა მიეყვანა ცრემლებამდე მისთვის სრულიად უცნობი ადამიანის ნახვას? იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი სევდიანი მომავალი განჭვრიტა?

უცნაურია იმაზე ფიქრი, რომ ოდესმე შემეძლო რაღაც ამდაგვარი წარმომედგინა. მართალია, საკუთარ წარმოსახვას ყოველთვის იოლად ვეძლეოდი, მაგრამ იმთავითვე ვიყავი და დღემდე ვრჩები რაციონალურ ადამიანად.

თხრობის ამ მომენტში ვგრძნობ საჭიროებას, გავაკეთო მოკლე რეზიუმე. გპირდები, რომ ეს არცთუ ისე ხშირად მოხდება.

ფროგნერის ტრამვაიში შემთხვევით შეხვედრილი ახალგაზრდა კაცი და უმანკო ქალიშვილი მზერებს ცვლიან. ისინი ბავშვები აღარ არიან, თუმცა ჯერჯერობით არც ზრდასრულობისთვის მიუღწევიათ და არც მანამდე შეხვედრიან ერთმანეთს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჭაბუკს ეჩვენება, რომ ქალიშვილს შეიძლება ხელიდან გაუვარდეს წვნიანი ფორთოხლებით სავსე ვეება
პარკი. თავგანწირვით ცდილობს წინ აღუდგეს ამას და, სინამდვილეში, სწორედ
საპირისპირო შედეგით ამთავრებს: ყველა ფორთოხალი ტრამვაის იატაკზე მიგორავს. ქალიშვილი დამცინავ სიტყვას ესვრის და ტრამვაიდან ჩადის. ეგაა,
ჩასვლის წინ ეკითხება, თუ შეიძლება ერთი ფორთოხალი ავიღოო, რაზეც შეცბუნებული ბიჭი თავს უკანტურებს. გადის რამდენიმე კვირა და ისინი ისევ
ხვდებიან კაფეში. ქალიშვილს უწინდებურად უჭირავს მშვენიერი ფორთოხლებით სავსე ვეება პარკი. ჭაბუკი მის მაგიდასთან ჯდება. ასე ხმისამოუღებლად სხედან მთელი ერთი წუთის განმავლობაში და ერთმანეთს ჩაჰყურებენ თვალებში. შეიძლება ეს ბანალურად ჟღერს, მაგრამ ამ სამოციოდე წამის განმავლობაში ისინი ნამდვილად ღრმად, თითქმის სულის ფსკერამდე ჩაჰყურებენ ერთმანეთს. ქალიშვილი თავის ხელს ჭაბუკს ხელში უდებს, ეს უკანასკნელი კი, ციყვი ხარო, ეუბნება. შემდეგ გოგონა მოხდენილად დგება და
ლივლივით გადის კაფედან მკლავებში ატატებული გოდორა პარკით. ამ დროს ჭაბუკი მის თვალებზე მომდგარ ცრემლს შენიშნავს.

სულ ოთხად-ოთხი სტრიქონი გაიცვალა მათ შორის:

„შე ბოთე!", „ერთ ფორთოხალს ხომ არ მომცემდი!?", „მაპატიე, მაპატიე!" და
„შენ ციყვი ხარ!"

დანარჩენი დუმილს მოუცავს, დანარჩენი გამოცანაა.

შენ თუ ამოხსნი, გეორგ?

მე ვერ ამოვხსენი. იქნებ იმიტომ, რომ თავად ვიყავი მისი ნაწილი.

ამჯერად უკვე მეც ამ ისტორიაში ჩავები. ორგზის ზედიზედ ფორთოხლის გოგონა მამაჩემს მოევლინა და ყოველ ჯერზე - ფორთოხლებით სავსე დიდი პარკის თანხლებით. ყოვლად იდუმალი ამბავი იყო. შემდეგ ქალიშვილი სიტყვისუთქმელად შეეხო მამას ხელს, ღრმად ჩახედა თვალებში, უცებ წამოხტა
და ქვითინით გავარდა გარეთ. უცნაური ქცევაა, ღმერთმანი. უცნაური და გამორჩეული.

ჰალუცინაციები აწუხებდა მამას თუ რა?

იქნებ ფორთოხლის გოგონა ის იყო, რასაც „ქიმერას" უწოდებენ? ბევრი ადამიანი ირწმუნება, ლოხ-ნესში ან, თუნდაც, სელჟიორდსვანნეტში მობინადრე
ურჩხული მინახავსო. და ვინ დაამტკიცებს, რომ ასეთები ტყუიან? იქნებ ნამდვილად ქიმერა ნახეს? უეცრად მამას იმის მტკიცება რომ დაეწყო, ფორთოხლის გოგონა ოსლოს მთავარ სავაჭრო ქუჩას მიუყვებოდა და დიდ ძაღლებშებმულ ციგას მიათრევდაო, მაშინ უეჭველად ვიფიქრებდი, მთელი მისი
ნაამბობი, სინამდვილეში, სხვა არაფერია, თუ არა იმის დასტური, როგორ მივიდა
გონების დაკარგვის ზღვარზე თავისი ცხოვრების ერთ პერიოდში-მეთქი. ეს ჩვენ
შორის საუკეთესოთაც შეიძლება შეემთხვეთ.

წარმოსახვის ქმნილება იყო ფორთოხლის გოგონა თუ რეალური ადამიანი, ერთი რამ ეყვს არ იწვევდა: მამაჩემი სასტიკად შეიპყრო მისმა არსებამ. როდესაც შანსი მიეცა, რაღაც ეთქვა, „ციყვი ხარო", უთხრა, ანუ, ჩემი აზრით -
საკმაოდ უიმედო ფრაზა წარმოთქვა. იმ ფაქტის დამალვაც კი არ უცდია, რომ
თავისივე თავისა გაუკვირდა - ასეთი მოუქნელი რამ როგორ წამომცდაო. ეს მაინც რამ ათქმევინა, ღმერთო დიდებულო!

არა, მამიკო, ამ გამოცანის პასუხი მე არ მაქვს. საერთოდ, არასოდეს ვცდილობ ჭკუის კოლოფად ყოფნას და სხვებზე ადრე მე ვაღიარებ: არც ისე იოლია დალაპარაკება გოგონასთან, რომელიც „გესიმპათიურება" (როგორც ამბობენ ხოლმე).

სადღაც უკვე ვთქვი, პიანინოზე ვუკრავ-მეთქი. დიდი პიანისტი არ ვარ, რასაკვირველია, მაგრამ ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" პირველ ნაწილს თითქმის ყალბი ნოტის აუღებლად ვასრულებ. როდესაც პიანინოს ვუზივარ და ამ
ნაწილს სხვების დაუსწრებლად ვუკრავ, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მთვარის ზედაპირზე ვზივარ, თვით მთვარესავით გიგანტურ პიანინოზე ვუკრავ და მასთან
ერთად ვბრუნავ დედამიწის გარშემო. ამ დროს ჩემ მიერ გამოცემული ნოტები თითქოს მთელ მზის სისტემაში ვრცელდება, - თუ მთლად პლუტონამდე არა,
სატურნამდე მაინც.

ახლახან დავიწყე „მთვარის სონატის" მეორე ნაწილის - 4llegretto-ს

ათვისებაც. ეს მონაკვეთი რამდენადმე უფრო ძნელი შესასრულებელია, თუმცა როდესაც მუსიკის მასწავლებელი ჩემთვის უკრავს, დიდი სიამოვნებით ვუსმენ:
სავაჭრო ცენტრის კიბეზე აღმა-დაღმა მორბენალ მექანიკურ თოჯინებს მახსენებს!

გადავწყვიტე, „მთვარის სონატის" მესამე ნაწილი აღარ ვისწავლო, - არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად რთულია, არამედ ნამდვილად მაშინებს. პირველი ნაწილი (Adagio sostenuto) ლამაზია და შეიძლება ცოტათი ჟრუანტელის
მომგვრელიც, აი, მესამე ნაწილი კი (Presto agitato) თითქოს მემუქრება. კოსმოსური ხომალდით რომ დავეშვა პლანეტაზე, სადაც მავანი კოპებშეკრული არსება დგას და „მთვარის სონატის" მესამე ნაწილს „უბერავს", დაუყოვნებლივ
გამოვბრუნდებოდი უკან. მაგრამ თუ პირველი ნაწილის დაკვრისას მივუსწრებდი,
შეიძლებოდა რამდენიმე დღეც კი დავრჩენილიყავი. ვეცდებოდი ამ არსებას მივახლოებოდი და მეტი რამ შემეტყო მუსიკალური პლანეტის შესახებ.

ერთხელ მუსიკის მასწავლებელს ვუთხარი: ბეთჰოვენში ზეცაც ბევრია და მიწაც-მეთქი. ქალს ყბა ჩამოუვარდა. სწორ გზას ადგახარო, მითხრა, მერე კი
საინტერესო ამბავიც მოაყოლა. თურმე ამ თხზულებისთვის „მთვარის სონატა" თვით ბეთჰოვენს არ დაურქმევია. მისთვის ეს იყო Sonata C minor, opus 27 (N2)
და კიდევ: Sonata quasi ყიმ Fantasia, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ფანტაზიის
მსგავს სონატას". ჩემი მუსიკის მასწავლებლის აზრით, ეს ნაწარმოები მეტისმეტად ავის მომასწავებელი იყო საიმისოდ, რომ „მთვარის სონატა" რქმეოდა. მისგან შევიტყვე, რომ უნგრელ კომპოზიტორს, ფერენც ლისტს, ამ სონატის მეორე ნაწილი „ორ უფსკრულს შორის ამოსული ყვავილისთვის" შეუდარებია. პირადად მე, ამ ნაწილს ვუწოდებდი „თოჯინების კომიკურ სპექტაკლს ორ ტრაგედიას შორის".

ჰოდა, იმას ვამბობდი: უპრობლემოდ მესმის, რომ ადვილი არ არის მიხვდე, მაინც რა შეიძლება უთხრა ქალიშვილს, რომელიც „გესიმპათიურება"-მეთქი. ახლა კი ნამდვილ აღსარებას ვიტყვი, რადგან, ამ კუთხით, მუსიკალურ სკოლაში
სიარულმა უკვე დამიგროვა ერთგვარი გამოცდილება.

ყოველ ორშაბათს, საღამოს ექვსიდან შვიდამდე, ფორტეპიანოს გაკვეთილზე დავდივარ. იმავდროულად უტარდება ვიოლინოს გაკვეთილი ერთ გოგონას, ჩემზე ერთი ან ორი წლით უმცროსს და ერთ-ერთ იმათგანს, ვისზეც ვიტყოდი,
რომ „მესიმპათიურება". საკმაოდ ხშირად ვსხედვართ ხოლმე მოსაცდელ ოთახში
ხუთი თუ ათი წუთის განმავლობაში გაკვეთილის დაწყებამდე. ერთმანეთისთვის
თითქმის არაფერი გვითქვამს, თუმცა ორიოდე კვირის წინ მან მკითხა, რომელი
საათიაო, და იგივე გაიმეორა მომდევნო ორშაბათს. მე ვუპასუხე, გარეთ თავსხმა

წვიმაა და ვიოლინო დაგისველდებოდა-მეთქი. სულ ეს იყო. ის ჩემთან ნამდვილ
საუბარს არ იწყებს და ვერც მე ვბედავ ასეთის წამოწყებას. იქნებ ფიქრობს, რომ
საძაგელი ვარ. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მოვწონვარ, მაგრამ ჩემსავით
მორცხვია და ვერაფერს ამბობს. წარმოდგენა არ მაქვს, სად ცხოვრობს, თუმცა
ვიცი, რომ იზაბელა ჰქვია, - ეს ვიოლინოს მოწაფეების სიაში ამოვიკითხე.

ისიც და მეც უფრო და უფრო ადრე მოვდივართ მუსიკის გაკვეთილზე. წინა
ორშაბათს თითქმის თხუთმეტ წუთს ვისხედით გაკვეთილის დაწყების
მოლოდინში. ეგაა, სხვა არაფერს ვშვრებით: ვსხედვართ და ველოდებით. ერთ
სიტყვასაც არ ვამბობთ. შემდეგ ჩვენ-ჩვენ ოთახში შევდივართ და მუსიკალურ
საშინაო დავალებასაც ჩვენ-ჩვენ მასწავლებელს ვაბარებთ. ერთი-ორჯერ
წარმოვიდგინე, როგორ შემოიპარება საფორტეპიანო გაკვეთილის ოთახში და
როგორ მოუსმენს ჩემს „მთვარის სონატას", და იმდენად გაიტაცებს ეს, რომ
ვიოლინოს ამაყოლებს. ეს არასოდეს მოხდება, ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის
ნაყოფია. იქნებ ეს იმის გამო ხდება, რომ არასოდეს მინახავს მისი ვიოლინო და
არც არასოდეს მომისმენია, როგორ უკრავს. იქნებ არც არაფერი უდევს
ვიოლინოს ყუთში, უბრალო ჩამწერის გარდა! ასეთ შემთხვევაში, იზაბელა კი არ
ერქმეოდა, არამედ ანა.

ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ წარმოდგენა არ მაქვს, რას ვიზამდი,
უცებ იზაბელას ჩემი ხელი რომ აეღო და ღრმად ჩაეხედა თვალებში. არც ის ვიცი,
რა მომივიდოდა აზრად, ატირებული რომ დამენახა. ვიცი, რომ სულ ოთხიოდე
წლით უმცროსი ვარ მამაჩემზე, როცა ის ფორთოხლის გოგონას შეხვდა, და
შემიძლია გავიგო, რა შოკში ჩააგდო იმ ამბავმა. „შენ ციყვი ხარ", აი, თურმე რა
უთქვამს!

მე მგონი, უკვე საკმაოდ კარგად გაგიცანი, მამიკო. ახლა კი შენი ამბავი
განაგრძე.

კაფეში მომხდარი იმ ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ ფორთოხლის გოგონას
ჩემეული ძიება თავის სისტემატურ და ლოგიკურ ფაზაში შევიდა, რაკი იმ
ეპიზოდს ისევ მოჰყვა მრავალი გრძელი დღე, როდესაც მისთვის თვალიც
აღარსად მომიკრავს.

არ ვაპირებ დაწვრილებით მოგითხრო ჩემი ძიებისა და ჩიხიდან ჩიხში
მოხვედრის ამბავი, გეორგ, ამით ეს წერილი მეტისმეტად გამიგრძელდება.
ვიფიქრე, ვიფიქრე და, ბოლოს, ამ დასკვნამდე მივედი: ორივე ჯერზე
ფორთოხლის გოგონა ორშაბათ დღეს შემხვდა. როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ
შევნიშნე ეს დამთხვევა? იყო კიდევ ფორთოხლებიც - ერთადერთი რეალური
გასაღები, რომელზეც უნდა ამეღო სწორება. საიდან მოდიოდა ეს ფორთოხალი?
მისი შემენა, რასაკვირველია, ფროგნერის მაღაზიაშიც შეიძლებოდა. მაგრამ
რამდენად გემრიელი, წვნიანი ან თუნდაც იაფი იყო ეს ფორთოხლები? ის

ხალხი, ვინც დიდი გემოვნებით ირჩევს ხილს, ფორთოხალს დიდ ბაზარში ყიდულობს, მაგალითად - იონგსტორგეტში, რომელიც, არსებითად, ხილ-ბოსტნეულის ერთადერთი დიდი ბაზარია ოსლოში, ყოველ შემთხვევაში, იმათთვის მაინც, ვინც დღეში რამდენიმე კილოგრამ ხილს მიირთმევს. იქიდან
წამოსულ ადამიანს შეუძლია სტორგატაზე ტრამვაიში ჩაჯდეს და ფროგნერისკენ
გამოჰყვეს, თუ, რა თქმა უნდა, ტაქსის ფული არ აქვს.

თუმცა არსებობდა მეორე გასაღებიც: ყავისფერი ქაღალდის პარკი! ჩვეულებრივ მაღაზიებში, როგორც წესი, ცელოფანის პარკებს იძლევიან. მაგრამ
განა იონგსტორგეტში ყველაფერს ისეთ ყავისფერ პარკებში არ დებენ, როგორიც
ფორთოხლის გოგონას ეჭირა?

ეს იყო ერთ-ერთი ჩემი თეორია, რის შედეგადაც ზედიზედ სამი ორშაბათი ერთიმეორის მიყოლებით ვყიდულობდი ხილს და ბოსტნეულს იონგსტორგეტის ბაზარში. სტუდენტის რაციონი ყოველთვის ტოვებს გაუმჯობესების შესაძლებლობას, მე კი, ბოლო ხანებში მეტისმეტად შევეჩვიე სწრაფ კვებას.

არავითარი საჭიროება არ დგას იმისა, რომ აგიწერო ხალხის ფუთფუთი იონგსტორგეტში, გეორგ. შენ მხოლოდ მომყევი და ჩემთან ერთად უთვალთვალე
ერთ-ერთ დახლთან მდგარ იდუმალ ანორაკიან გოგონას, რომელიც გამყიდველს
ათი კილოგრამის ტევადობის პარკის ფასზე ევაჭრება ან უკვე გადის ბაზრიდან წყვილ მკლავში ატატებული ფორთოხლებით. სხვა ყველაფერი შეგიძლია დაივიწყო, - დაივიწყე სხვა ყველაფერი.

მაგრამ მართლა თუ შეგიძლია წარმოიდგინო ეს, გეორგ?

პირველ ორ შემთხვევაში გულდაწყვეტილი დავბრუნდი, აი, მესამე წასვლაზე კი ბაზრის შორ კუთხეში ნარინჯისფერი ფიგურა დავლანდე. მე ხომ ძველ ანორაკში გამოწყობილ ქალიშვილს ვეძებდი და განა სწორედ ის არ იყო, ახლა
ერთ-ერთ ხილის დახლთან რომ იდგა და ქაღალდის დიდ პარკს ფორთოხლით
ავსებდა?

ბაზარი ფეხაკრეფით გადავჭერი და გოგონას ზურგს უკან რამდენიმე იარდის დაშორებით გავჩერდი. აი, თურმე, სად ყიდულობს ფორთოხალს! თითქოს დანაშაულზე წავასწარიო. მუხლები მიკანკალებდა და შემეშინდა, ძირს არ გავიშხლართო-მეთქი.

ფორთოხლის გოგონას თავისი პარკის გავსება ჯერ არ დაემთავრებინა და ამის მიზეზი ის იყო, რომ ყიდვის მისეული მანერა სრულებით განსხვავდებოდა
დანარჩენი კლიენტების მანერისგან. დაუკვირდი, გეორგ: დიდხანს ვიდექი და
ვუყურებდი, როგორ სათითაოდ იღებდა ფორთოხლებს, რაოდენ კრიტიკულად ათვალიერებდა თითოეულს, სანამ პარკში ჩადებდა ან უკანვე, დიდ ბაზრის კალათაში ჩააბრუნებდა. ახლა უკვე მესმოდა, რატომ არ ყიდულობდა

ფორთოხალს ფროგნერის რომელიმე ძველ მაღაზიაში. ამ ქალიშვილს ნამდვილად დიდი რაოდენობის ფორთოხალი სჭირდებოდა, რათა შემდეგ სასურველი „ეგზემპლარები" ამოერჩია.

მანამდე არასოდეს მენახა ასეთი სკრუპულოზურობა ხილის შერჩევისას და უეცრად გამიცხადდა, რომ გოგონა ფორთოხლებს უბრალოდ გამოსაწურად არ ყიდულობდა. მაშ, რა მიზნით? შენ ხომ არაფერი მოგდის აზრად, გეორგ? იქნებ
მოტვინო, რა მოსაზრებით ხარჯავდა დაახლოებით ოცდაათ წამს თითოეული ფორთოხლის შეფასებაში?

იმ მომენტში მე ერთადერთი რამ მომივიდა აზრად: როგორც ჩანს, ფორთოხლის გოგონა აქ რომელიმე დიდი საბავშვო ბაღის სამზარეულოს დავალებით დაიარება, რათა დილის საუზმეზე თითოეულ ბავშვს თითო ფორთოხალი ერგოს-მეთქი. დღესდღეობით საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვებს სილამაზის შეგრძნება დიდად განვითარებული აქვთ. აქედან გამომდინარე, ფორთოხლის გოგონას სამსახური იმაში მდგომარეობდა, რომ მის
მიერ ნაყიდი ყველა ფორთოხალი ერთნაირი ყოფილიყო: ერთნაირი ზომის, ერთნაირი სიმრგვალის, ერთნაირად კაშკაშა ნარინჯისფერი და, გარდა ამისა, თვლითაც უნდა ეყიდა.

საკმაოდ დამაჯერებელი ვერსიაა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. ის კი არა, ცოტა არ იყოს ამაღელვა კიდეც იმ ფაქტმა, რომ, შესაძლოა, მათ საბავშვო ბაღში
ამ ფუნქციას რამდენიმე წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა ასრულებდა. მაგრამ ორიოდე იარდზე, გეორგ, სულ რაღაც ორიოდე იარდზე მე ძალზე სწრაფად დავრწმუნდი, რომ მოცემული შემთხვევა შორს იყო ჩემი ვარაუდისგან.
ძნელი შესამჩნევი არ იყო, რომ ფორთოხლის გოგონა ყოველ ღონეს ხმარობდა შეძლებისდაგვარად განსხვავებული ნაყოფის შესარჩევად სიდიდის, ფორმისა თუ ფერის თვალსაზრისით. აი, ერთი დეტალი: ზოგ ფორთოხალს ხომ ყუნწზე
მიბმული ფოთოლიც თან ახლდა!

შვებისმომგვრელი იყო საბავშვო ბაღისთვის მომუშავე ახალგაზრდებთან დაკავშირებული იდეის მოსროლა. თუმცა ამის მეტი სხვა არც არაფერი მქონდა
სასიხარულო. გამოცანა - ფორთოხლის გოგონა - გამოცანადვე რჩებოდა.

პარკი გაივსო, ქალიშვილმა მოვაჭრეს გადაუხადა და სტორგატასკენ გასწია. შორიახლოს მივყევი, რაკი გადავწყვიტე, მანამდე არ გამემჟღავნებინა თავი, სანამ ისევ ტრამვაიში არ აღმოვჩნდებოდით. მაგრამ ვაი რომ გადამწყვეტ მომენტში შეცდომა დავუშვი. ამჯერად მან მთელი გზა ფეხით კი არ იარა სტორგატამდე, არამედ ცოტა ხნით ადრე მანქანაში ჩაჯდა, თეთრ „ტოიოტაში",
რომლის საჭესთან ვიღაც მამაკაცი იჯდა.

არა, ამ დროს არ მიფიქრია - გავიქცევი და მივუსწრებ-მეთქი. იმ კაცთან შეხვედრის მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მქონდა. ჰოდა, მანქანაც დაიძრა და ქუჩის კუთხეს მოეფარა.

თუმცა შენთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს: თავის

პარკიანად მანქანაში ჩაჯდომის მომენტში ქალიშვილი უეცრად შემობრუნდა და პირდაპირ შემომხედა თვალებში, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მიცნო თუ
არა, რომ ის ტიპი ვიყავი ფროგნერის ტრამვაიდან ან კარლ იოჰანზე მდებარე კაფედან. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩაჯდა თეთრ „ტოიოტაში", რომელსაც მამაკაცი
მართავდა, და ბოლო მომენტში მე შემომხედა.

ვინ იყო ის იღბლიანი ჯენტლმენი? რიგიანად ვერ დავინახე, რომ ასაკი განმესაზღვრა. იქნებ მამამისი იყო, იქნებ... მაგრამ რა ვიცოდი მის შესახებ? ეგებ სამსახურის საქმეზე იყო გამოსული თეთრი „ტოიოტათი"? არა მგონია. ან,
ეგებ, რანვეიგად წოდებული იმ ოთხი თვის გოგონას მამა იყო? არაფერი მიანიშნებდა ამ აუცილებლობაზე. ეს კაცი ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანი, ვისთან ერთადაც ფორთოხლის გოგონა აპირებდა გრენლანდიის გადავლას თხილამურებით. უკვე დიდი ხანია, რაც წარმოსახვაში მისი სახე ჩამომიყალიბდა. უამრავ მოფარფატე სურათს შორის ვხედავდი ფორთოხლის ფცქვნა-ჭამას, ყინულის საჭრელ ნაჯახებს, პირველი დახმარების საველე აფთიაქის ყუთს, სათადარიგო თხილამურის ჯოხებს, საძილე ტომრებს, პრიმუსსა
და გასახსნელ სუპებს. შემეძლო წარმომედგინა კარავი, - უთუოდ ყვითელი ფერის, - რომელშიც ეს წყვილი იცხოვრებდა. რაც შეეხება მარხილში შებმულ პირუტყვს, რვა ძაღლი ეყოლებათ-მეთქი, ვიფიქრე.

ბუნებრივია, ყველაფერი წარმოვიდგინე! ვერსად გაიქცეოდნენ იმ აზრით, რომ
სადმე დამმალვოდნენ. თითქოს თავში მთელი ფილმი მქონდა: გრენლანდიის თეთრი ტრამალების გადამსერავი უცნაური წყვილი: ახალმოსული თოვლივით სპეტაკი და მშვენიერი გოგონა და, მის გვერდით, ცხვირმოკაუჭებული და პირმოღრეცილი კაცი, ისეთივე ავის მოსურნე, როგორიც ყინულოვანი ნაპრალები,
სადაც ქალიშვილი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა დანთქმულიყო (დაეხმარებოდა კი, ასეთ შემთხვევაში ის ჯიგარი? ეგებ გზა განეგრძო, გოგონას ულუფაც თვითონ
მიერთვა და თან მშვენივრად სცოდნოდა, რომ ქალიშვილს ვეღარასოდეს ნახავდა?). ეს კაცი შეპყრობილი იყო სასტიკი, პრიმიტიული, უხეში მამრი ძალით.
ისეთივე განურჩევლობით ხოცავდა პოლარულ დათვებს, როგორითაც სხვები - კოღოებს. და, სხვა ყველაფერთან ერთად, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ ჯეელს
თვალის დაუხამხამებლად შეეძლო გაეუპატიურებინა ქალიშვილი იმ ყინულის ლოდებში, შორს ყოველივე იმისგან, რისთვისაც შეიძლებოდა სოციალური სამართლიანობა გვეწოდებინა. აბა, ვინ უყურებდა მათ იმ უდაბნოში? მხოლოდ
და მხოლოდ მე, გეორგ. შემეძლო მთელი ეს ექსპედიცია უფრო და უფრო მძაფრ
ფერებში წარმომესახა. დეტალურად წარმოვიდგენდი მათ აღჭურვილობას. საღამოს დადგომამდე რვავე ძაღლს თავ-თავისი სახელი დავარქვი, საღამოს კი
ჩამოვწერე ყველა მარაგი, რაც თან უნდა ჰქონოდათ: ეს ყველაფერი ორას ორმოც კილოგრამს იწონიდა და ამ წონაში შედიოდა შამპუნის ბოთლი და მეოთხედი ბოთლი სპირტიანი სასმელიც, რომელსაც მაშინ დალევდნენ, როცა

სიორაპალუკში ან კაანააგში ჩავიდოდნენ...

მეორე დილით ნერვები დამიშუშმინდა. დეკემბერში გრენლანდიაში არავინ მოგზაურობს. ამ თვეში ასეთ ექსპედიციებს ანტარქტიდაზე ახორციელებენ და იქ
წასაღებად ფორთოხლებს ოსლოში არ ყიდულობენ, - ყველა საჭირო ნივთსა თუ
პროდუქტს ჩილეში ან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იძენენ. ალბათ, ფორთოხალი საერთოდ არ მოხვდება აუცილებელი ნივთების სიაში. მან, ვისაც
სამხრეთ პოლუსამდე თხილამურებით მისვლა განუზრახავს, ყოველდღიურად იმდენი კალორია უნდა მიიღოს, რომ დამატებითი ვიტამინები აღარ დასჭირდეს.
ასეა თუ ისე, ფორთოხალი მეტისმეტად მძიმე საკვებია და, რაც მთავარია, როგორ უნდა ჭამო გაყინული ფორთოხალი სქელ პოლარულ ხელთათმანებიანი თითებით? სხეულის შინაგანი სითხის დონის ასამაღლებლად პოლარულ ექსპედიციაში ფორთოხალი ისეთივე გამოუსადეგარი იქნებოდა, როგორიც კაპიტან სკოტის პონი-ცხენები. თან სითხეც არის და სითხეც: საჭიროა სულ რამდენიმე წვეთი ბენზინი და კარგი პრიმუსი. ყინული და თოვლი, ანუ წყალი:
აი, ერთადერთი რამ, რაც იმ რეგიონებში არასოდეს ილევა. ხოლო ფორთოხლის
80% მხოლოდ და მხოლოდ წყალია.

ვინ ხარ, ძვირფასო ფორთოხლის გოგონა? საიდან მოდიხარ და სად ხარ ახლა?

დედამ კიდევ ერთხელ მომიკაკუნა:

- როგორ მიდის საქმე, გეორგ?

- მშვენივრად. შეგიძლია არ ინერვიულო.

დედა ორიოდე წამით დუმდა, შემდეგ თქვა:

- არ მომწონს, ჩაკეტილი რომ ხარ.

- რა აზრი აქვს გასაღებს კარში, თუ დროდადრო არ გამოიყენებ? ყველას თავისი პირადი სივრცე აქვს, ხომ გესმის.

ამაზე დედა ოდნავ გაღიზიანდა ან, უფრო სწორად, ცოტათი განაწყენდა:
- ბავშვივით ლაპარაკობ, გეორგ. არავითარი მიზეზი არ გაქვს ჩვენგან გასამიჯნად.

- ჰო, დედა, მე თხუთმეტი წლის ვარ და სულაც არ ვიქცევი ბავშვურად.

დედამ გრძლად და გაღიზიანებით ამოიოხრა. შემდეგ კარს უკან ყველაფერი მიწყნარდა.

რასაკვირველია, ფორთოხლის გოგონა არც მიხსენებია. ძლიერად ვგრძნობდი, რომ იმ ყველაფერს, რასაც მამა მეუბნებოდა, დედას არასოდეს ეტყოდა. სხვა შემთხვევაში, დედა თვითონვე მიამბობდა ფორთოხლის გოგონას
შესახებ და მამაც მიწაზე გატარებულ თავის უკანასკნელ დღეებს ამსიგრძე

წერილის წერაში აღარ დახარჯავდა. ეგებ მამაჩემმა თავის ახალგაზრდობაში რაღაც ისეთი გამოცდილება მიიღო, რომ ახლა სარგებლობდა შესაძლებლობით და ამ გამოცდილებას ვაჟიშვილს გადასცემდა, როგორც, ასე ვთქვათ, კაცი კაცს.
აშკარად რაღაც მნიშვნელოვანს უნდა შემკითხვოდა.

ყველაზე კონკრეტული რამ, რითაც აქამდე დაინტერესდა, იყო ჰაბლის ტელესკოპთან დაკავშირებული სიახლეები. ნეტავ აცოდინა, რამდენ რამეს გავუზიარებდი დღეს!

ყველაზე „საგანგებო" ამბავი ჩემი „საგანგებო დავალების" შესრულების შემდეგ ის იყო, რომ მასწავლებელმა ჩემი ნაშრომი ხმამაღლა წამაკითხა კლასში. ყველაფერთან ერთად, სურათებიც უნდა მეჩვენებინა. რასაკვირველია,
მასწავლებელს კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, თუმცა მომდევნო შესვენებაზე ზოგიერთმა თანაკლასელმა გოგონამ უკვე „პატარა აინშტაინად" მომნათლა. იგივე გოგონები აღმოჩნდნენ, ერთი სული რომ აქვთ, როდის შეითხიპნიან თვალებს და ტუჩებს. მე მგონი, ბევრ სხვა გამოცდილებაზეც არ ამბობენ უარს.

არაფერი მაქვს რამენაირი მაკიაჟის საწინააღმდეგო. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჩვენ, ყველანი, სივრცეში მიმქროლავ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ. ეს ჩემთვის უჩვეულო აზრია. თვით სივრცის, როგორც ასეთის, წარმოდგენაც კი უკვე
შემაკრთობელია. თუმცა არიან გოგონები, რომლებსაც სამყაროს კოსმეტიკური ფანქარი უჩრდილავს. ალბათ, ისეთი ბიჭებიც არიან, ვისი მზერაც ფეხბურთის
სტადიონს არ გასცდენია. პაწია სამაკიაჟე სარკეს დიდი სარკეებიანი ტელესკოპისგან შეიძლება მთელი უფსკრული აშორებდეს! ეს, ალბათ, ის არის,
რასაც „პერსპექტივის საგანს" უწოდებენ. ამას შეიძლება „თვალის ამხელიც" დაერქვას. არასოდეს არის მეტისმეტად გვიან „თვალის ამხელის" გამოცდა. თუმცა უამრავი ადამიანი ცხოვრობს იმის გაუცნობიერებლად, რომ ცარიელ სივრცეში მიცურავს. ისედაც ძალზე ბევრი რამ ხდება დედამიწაზე... და საკუთარ
გარეგნობაზე ფიქრიც ხომ საკმაოდ არამარტივი საქმეა.

ჩვენ ამ მიწას ვეკუთვნით. ამაზე კამათს ნამდვილად არ ვაპირებ. ჩვენ ვართ ამ პლანეტაზე არსებული ბუნების ნაწილი. მაიმუნებმა და ქვეწარმავლებმა გვიჩვენეს, როგორ ვმრავლდებით, და მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. განსხვავებულ გარემოში ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. მაგრამ ჩვენ აქ ვართ და არა სხვაგან. ამას არ უარვყოფ-მეთქი, ვიმეორებ. ოღონდ, ჩემი აზრით, ეს ხელს არ გვიშლის იმაში, რომ ჩვენი მზერა ჩვენსავე
ცხვირის წვერს გასცდეს.

„ტელესკოპი" ნიშნავს შორს მყოფი საგნების ხედვას ან რაღაც ამდაგვარს. მაგრამ ნუთუ შესაძლებელია, რომ „ფორთოხლის გოგონას" ამ ისტორიას რაიმე
კავშირი ჰქონდეს კოსმოსურ ტელესკოპთან?

ტელესკოპის სივრცეში მოთავსების მიზანი ნამდვილად არ შეიძლება ის

იყოს, რომ უფრო მივუახლოვდეთ ვარსკვლავებსა და პლანეტებს, რომლებიც ამ
ტელესკოპში ჩანან. ეს ისეთივე სისულელე იქნებოდა, როგორიც ის, რომ ფეხისწვერებზე შევმდგარიყავით მთვარის კრატერების უკეთ დასანახავად. კოსმოსური ტელესკოპის მთელი აზრი იმაშია, რომ შეისწავლოს კოსმოსი დედამიწის ატმოსფეროს გარეთ მდებარე წერტილიდან.

უამრავი ადამიანი ფიქრობს, რომ იქ, ცაში, ვარსკვლავები ციმციმებენ, თუმცა,
სინამდვილეში, სულაც არ ციმციმებენ. ამ შთაბეჭდილებას მხოლოდ დედამიწის
ცვლადი ატმოსფერო ქმნის დაახლოებით ისევე, როგორც ტბის აჭავლებული ზედაპირი ტოვებს ფსკერზე მიმოფანტული ქვების დატალღულობისა და ბუნდოვანების შეგრძნებას. ან პირიქით: საცურაო აუზის ფსკერზე მყოფისთვის
არცთუ იოლი გასარჩევია, რა ხდება წყლის ზემოთ.

მიწაზე მდგარი ვერც ერთი ტელესკოპი ვერ გვაძლევს კოსმოსის ნამდვილად მკაფიო კადრებს. ეს მხოლოდ ჰაბლის ტელესკოპს ძალუძს. ამიტომაც გაცილებით მეტს გვამცნობს სამყაროზე, ვიდრე მიწიერი ტელესკოპები.

ბევრი ადამიანი იმდენად ახლომხედველია, რომ ცხენს ძროხისგან ან, თუ გნებავს, ბეჰემოთს ზებრასგან ვერ არჩევს. ასეთებს უკეთ დასანახავად სათვალე სჭირდებათ.
მე ვწერდი: ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპის მთავარი სარკის პრობლემა მალევე აღმოაჩინეს და 1993 წელს „ენდეავორის" გუნდმა ეს ხარვეზი გამოასწორა. თუმცა უშუალოდ სარკეს არ შეხებიან, მხოლოდ „სათვალე" გაუკეთეს. ეს უკანასკნელი შედგება ათი პატარა სარკისგან და ჰქვია კოსტარ, ანუ „კოსმოსური ტელესკოპის ღერძული გადაადგილების საკორექციო ოპტიკა" (აბრევიატურა COSTAR მოდის ინგლისური დასახელებიდან).

მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ ვხვდებოდი, რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო კოსმოსურ ტელესკოპსა და „ფორთოხლის გოგონას" შორის. ახლა, როდესაც ამას ვწერ, მე უკვე მესმის, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლომდე
წაკითხული მაქვს მამაჩემის გრძელი წერილი, რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ კვირებში მომწერა. უფრო ზუსტად: უკვე ოთხჯერ წავიკითხე, მაგრამ
ჯერჯერობით არაფერს გავუმხელ მათ, ვინც პირველად კითხულობს.

მაშ, განაგრძე შენი ამბავი, მამა! უამბე იმათ, ვინც ამ ყველაფერს პირველად ეცნობა.

მომდევნო ჯერზე ფორთოხლის გოგონა შობის საღამოს ვნახე. შობის საღამოს, ხო აზრზე ხარ! აი, მაშინ კი რიგიანად ველაპარაკე. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე სიტყვა მაინც გავცვალეთ.

იმხანად ჩემს სტუდენტ მეგობარ გუნართან ერთად პატარა ბინას ვქირაობდი ადამსტუენში, თუმცა შობის გატარებას ჩემიანებთან ვაპირებდი უმლევეიენში. იქ
მხოლოდ დედა, მამა და ჩემი ძმა – ბიძაშენი ეინარი იქნებოდნენ. ჩემზე ოთხი
წლით უმცროსი ეინარი სწორედ იმ წელს ამთავრებდა საშუალო სკოლას. ეს

ხდებოდა ბებოს და პაპას ტონსბერგში გადასვლამდე დიდი ხნით ადრე.

თითქმის უკვე აღარ მჯეროდა, რომ ოდესმე კიდევ შევხვდებოდი ფორთოხლის გოგონას. არც იმაზე მქონდა წარმოდგენა, მაინც ვინ შეიძლებოდა
ყოფილიყო თეთრი „ტოიოტას" საჭესთან მჯდარი მამაკაცი. უეცრად აზრად მომივიდა, რომ უმლეველიენში წასვლამდე, ჯერ საშობაო წირვაზე შემევლო. იმდენად შეპყრობილი ვიყავი იმ იდუმალი ქალიშვილით, რომ რაღაცნაირად ვივარაუდე: შეიძლება ისიც დაესწროს წირვას, სანამ იმ ხალხს შეუერთდება, ვისთან ერთადაც შობას უნდა შეხვდეს-მეთქი (ვინ იყვნენ ეს ადამიანები?). კათედრალი მასთან შეხვედრის ყველაზე შესაფერის ადგილად მეჩვენა ან, უფრო ზუსტად, ყველაზე ნაკლებად შეუფერებლად.
სიტყვამ მოიტანა და, მსურს განვაცხადო, რომ არაფერი მითქვამს ფორთოხლის გოგონას ამბის უკეთ წარმოსაჩენად. აჩრდილები არასოდეს ტყუიან, გეორგ, ვერაფერს მოიგებენ ამით. თუმცა, მეორე მხრივ, არც ყველაფერს
ვამბობ. ვინმეს თუ უკისრია ოდესმე ასეთი უსარგებლო მისია?

შემიძლია გამოვტოვო ქალიშვილთან მომდევნო შეხვედრის ყველა უნაყოფო მცდელობა. მთელი დღეები და კვირები ვიბოდიალე ფროგნერის რაიონში, მაგრამ აღარ დავწვრილმანდები, – მეტისმეტად გამიგრძელდება ამბავი. დიდხანს ვსეირნობდი, კვირაში ოთხჯერ მაინც ფროგნერის პარკში და ხშირად მეჩვენებოდა ხან დიდ ხიდზე, პარკის კაფეს მოპირდაპირე მხარეს, ხანაც მონოლითზე, მაგრამ ყოველთვის ვიღაც სხვა აღმოჩნდებოდა ხოლმე. კინოშიც კი
შევდიოდი იმ უბრალო იმედით, იქნებ შემთხვევით იქ გადავაწყდე-მეთქი. ფილმის ბოლომდე ყურება არც კი მჭირდებოდა: როცა რეკლამები მთავრდებოდა და ფორთოხლის გოგონა არსად ჩანდა, კინოთეატრიდან გამოვდიოდი და ბილეთს უკვე სხვა სეანსზე ვიღებდი. ფრიად დავოსტატდი ისეთი ფილმების შერჩევაში, რომლებსაც, ჩემი აზრით, შეიძლებოდა გოგონა დაეინტერესებინა. ერთს ერქვა „გადაკვეთა", მეორეს, შვეიცარიულს – „თასმის
ოსტატი". მაგრამ ასეთ ეპიზოდებზე აღარ შევჩერდები.

მთელ ამ მონათხრობს ერთი დამაკავშირებელი ძაფი გასდევს, სახელდობრ, ის მომენტები, როდესაც მე რეალურად ვხვდებოდი იდუმალებით მოცულ გოგონას. დანარჩენის გაშუქება კი საჭირო არ არის, ისევე როგორც არ იქნებოდა
საჭირო წამგებიანი ლოტოს ბილეთების ამბის მოყოლა. ოდესმე სადმე თუ მოგისმენია ასეთი ამბავი, გეორგ? უკანასკნელად როდის წაიკითხე გაზეთში ან
ჟურნალში დაბეჭდილი წერილი იმ კაცის შესახებ, რომელიც ვერასოდეს გამდიდრდა ლატარიაში? ამ ისტორიაშიც ზუსტად ასეა. ფორთოხლის გოგონას ამბავი ჰგავს დიდი ლატარიის ამბავს, რომელშიც მხოლოდ მომგებიანი ბილეთები ჩანს. თუ აზრობ, რამდენი ლოტოს ფურცელი შეივსო ორშაბათიდან
შაბათამდე! წარმოიდგინე დიდ ოთახში ან სულაც სპორტულ დარბაზში დახვავებული ასეთი ფურცლები. შემდეგ ყველა ის ბილეთი, რომლებსაც, სულ
ცოტა, ათიათასიანი პრიზი მაინც არ მოუგიათ, ხელის ელეგანტური მოსმით სადღაც გაიხვეტება. სულ ბოლოს დარბაზში არც ისე ბევრი ბილეთი რჩება და
გაზეთებშიც მხოლოდ მათ შესახებ წერენ.

ამრიგად, ჩვენ ფორთოხლის ქალიშვილს მივდევთ, მას ვუდგავართ კვალში
და მთელი ეს ამბავიც მხოლოდ და მხოლოდ მას უკავშირდება. ამწუთას
შეგვიძლია სხვა ყველაფერი დავივიწყოთ, ყველას ხაზი გადავუსვათ, ყველა
სხვა
ქალის სახელი დიდ ბრჭყალებში ჩავსვათ. ეს ძალიან ადვილია.
კათედრალში შესვლამდე არ დამინახავს, თუმცა შესვლისთანავე შევნიშნე.
ამ დროს ორგანისტი ბახის პრელუდიას უკრავდა. შევნიშნე და ჯერ ყინულად
ვიქეცი, მერე – ნაკვერჩხლად.

ფორთოხლის გოგონა კათედრალის მეორე ფრთაში იჯდა. სხვა არავინ
იქნებოდა, მის გარდა. ერთხელ შემობრუნდა კიდეც და საშობაო ჰიმნის
შემსრულებელ ქოროს ახედა. ამჯერად არც ნარინჯისფერი ანორაკი ეცვა და
არც
ფორთოხლებით სავსე ვეება პარკი აეტატებინა (ბოლოს და ბოლოს, შობა
იყო).
შავი ქურთუკი ეცვა, თმა კი კეფაზე აეკრა ვერცხლის, ჰო, ზღაპრულად
წმინდა
ვერცხლის დიდი სამაგრით, – შესაძლოა, იმ ჯუჯათაგან ერთ-ერთის
ნახელავით,
დროდადრო თეთრთოვლას სიცოცხლე რომ უნდა იხსნან ხოლმე.

მაგრამ ვისთან ერთად იყო აქ? მარჯვენა მხარეს ვიღაც მამაკაცი ეჯდა, თუმცა
მთელი წირვის განმავლობაში ერთხელაც არ მიყრდნობიან ერთმანეთს.
პირიქით: წირვის მიწურულს ეს კაცი მის მეორე მხარეს მჯდომარე ქალისკენ
გადაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მახსოვს, რა მშვენიერი იყო ეს
მოძრაობა. კაცი მარჯვნივაც შეიძლება შებრუნდეს და მარცხნივაც, ეს მისი
ნებაა,
და არც ეს კონკრეტული მამაკაცი არ წარმოადგენდა გამონაკლისს. მაგრამ ის
მარჯვნივ ანუ, შეიძლება ითქვას, სწორი მიმართულებით მიბრუნდა. ისეთი
შეგრძნება მქონდა, თითქოს მე ვაკონტროლებდი, საით უნდა
მიბრუნებულიყო.

ქალიშვილის მარცხნივ ფაშფაშა მოხუცი ქალი იჯდა. არაფერი ამხელდა, რომ
ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, თუმცა, რაღა თქმა უნდა, იქნებ უკვე
შეხვედროდნენ კიდეც ხილ-ბოსტნეულის ბაზარში. მოხუც ქალს ხომ
არაორაზროვნად ბაზრის ქალის იერი ედო და, ვინ იცის, იქნებ მან და
ფორთოხლის გოგონამ ტრადიციადაც კი აქციეს ერთად სიარული წირვაზე.
რატომაც არა, გეორგ? რატომაც არა! ფორთოხლის გოგონა ბაზრის ქალის
საუკეთესო კლიენტია, ყოველ შემთხვევაში – მისი ფორთოხლების საუკეთესო
კლიენტი და ამიტომაც იმსახურებს ფასდაკლებას. შვიდი კრონი ერთ
კილოგრამ
მაროკოს ფორთოხალში ცუდი ფასი არ არის, მაგრამ ფორთოხლის გოგონას
ექვს-ნახევრადაც აძლევენ, თუნდაც ნახევარ საათს ანდომებდეს მისთვის
მოსაწონი ნაყოფის შერჩევას.

მღვდლის ქადაგება არ მომისმენია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ წმინდა
მარიამზე, იოსებსა და ყრმა იესოზე ელაპარაკა, აბა, სხვას რას იტყოდა.
ბავშვებს მიმართავდა და მე ეს მომეწონა: დღეს ხომ მათი დღე იყო. ერთი
სული
მქონდა, როდის დასრულებოდა წირვა. მუსიკა მიჩუმდა, მრევლი მერხებიდან
წამოდგა და მეც უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ფორთოხლის გოგონა ჩემზე
ადრე გავიდოდა ეკლესიიდან. გასვლისას ჩემს მერხს ჩაუარა და სულ ოდნავ

თავიც კი ასწია, თუმცა ვერ ვიტყოდი – შემამჩნია თუ არა. ერთ რამეში კი ნამდვილად დავრწმუნდი: წირვაზე მარტო მოსულიყო და დღეს უწინდელზე კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა, თითქოს მთელი საშობაო კილიტები ერთ ქალში
აელვარდაო.

ჰა! მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ეს ქალიშვილი ნამდვილად ფორთოხლის გოგონა იყო და, ამდენად, მაცდუნებელი საიდუმლოებებით აღსავსეც. ვიცოდი,
რომ სრულებით სხვა, ჩვენი ზღაპრისგან განსხვავებული კანონებით მცხოვრები
ზღაპრიდან მოდიოდა. ვიცოდი, რომ ჩვენს სამყაროში შემოპარული ჯაშუში იყო.
მაგრამ დღესდღეობით წირვას ერთი ჩვენგანივით ესწრებოდა და ჩვენთან ერთად ზეიმობდა ჩვენი მხსნელის ამქვეყნად მოვლინებას. იმას კი არ ვფიქრობდი, ეს ცუდია–მეთქი, პირიქით – ამ ამბავს დიდი სულგრძელობის გამოხატულებად მივიჩნევდი.

უკან ავედევნე. კათედრალიდან გასული რამდენიმე ადამიანი გარეთ იდგა და ერთმანეთს ბედნიერ შობას უსურვებდა, ჩემი მზერა კი მოუშორებლად მიჯაჭვოდა ფორთოხლის გოგონას კეფაზე დამაგრებულ ჯადოსნურ ვერცხლის სამაგრს. დედამიწაზე არსებობდა ერთადერთი ფორთოხლის გოგონა და ეს იმიტომ, რომ მან მიაგნო სხვა რეალობიდან ჩვენკენ მომავალ გზას. ამწუთას გრენსენის მიმართულებით მიაბიჯებდა და მეც რამდენიმე იარდის დაშორებით მივყვებოდი. თოვლი წამოსულიყო და გაყინული ფიფქები ჰაერში ტრიალებდნენ.
ეს მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როდესაც სველი ფიფქები ფორთოხლის გოგონას შავ თმაზე აციმციმდნენ. „თმა უსველდება, – გავიფიქრე, – ქოლგა უნდა მქონოდა
ან სულ ცოტა, გაზეთი მაინც: თავზე დავაფარებდი“.

მივხვდი, რომ სიგიჟე იყო ეს ყველაფერი და მე სულაც არ დამკარგვოდა თვითკრიტიკის უნარი. თუმცა დღეს შობა იყო. სასწაულების ეპოქა შესაძლოა წავიდა, მაგრამ კიდევ რჩებოდა ეს ერთი დღე, როცა ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, ყველაფერი! ამ დღეს ანგელოზები უჩუმრად დაფრინავენ დაბლა,
ფორთოხლის გოგონები კი ისე ირევიან ქუჩებში, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს და შეუფერებელი არაფერი ხდებოდეს.

სანამ ოვერ სლოტსგატემდე მივიდოდით, ქალიშვილს წამოვეწიე, ერთი ნაბიჯით გავუსწარი, მოვუტრიალდი და – შობას გილოცავ–მეთქი, – ვუთხარი
მკაფიოდ.
აშკარად სახტად დარჩა ან, ყოველ შემთხვევაში, ასე გაითამაშა (ვერასოდეს იტყვი, სინამდვილეში რა ხდება) და თავშეკავებით გამიღიმა. ჯაშუშს ნამდვილად არ ჰგავდა. ჰგავდა ქალიშვილს, რომლის უკეთ გასაცნობად ყველაფერს გავიღებდი. „მეც გილოცავ!“ – დამიბრუნა მან.

ახლა უკვე გულღიად იღიმებოდა. ერთად გავუყევით ქვაფენილს. ჩანდა, არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ მის გვერდით მევლო. დარწმუნებით ვერ
ვიტყოდი, მაგრამ, მგონი, ეს სიამოვნებდა კიდეც. შავი ქურთუკის ქვეშ თვალი

მოვკარი ორი ფორთოხლის კონტურს, – ერთნაირი სიდიდის ერთნაირად მრგვალ
ორ ნაყოფს. ამის დანახვამ შემაშფოთა და გამაწითლა. მრგვალი ფორმებისადმი უკვე ზემგრძნობიარე ვიყავი.

ვიგრძენი, რომ კიდევ რაღაც უნდა მეთქვა. თუ არადა, ისე უნდა მომეჩვენებინა თავი, თითქოს მეჩქარება, და გოგონა დამეტოვებინა. მაგრამ არა, არასოდეს ყოფილა დრო ასე თავსაყრელი. თითქოს მის სათავესთან ვიდექი, თითქოს თვით მისი საზრისი გავაშიშვლე. ამაზე დანიელი პოეტის, პიეტ
ჰეინის სტრიქონი გამახსენდა: „ის, ვინც არასოდეს ცხოვრობს წამისთვის, არც
არასოდეს ცხოვრობს. შენ როგორღა ხარ?"

მაშინ ცოცხალი ვიყავი და ის დრო ზღვის მოქცევას ჰგავდა: მანამდე ხომ არასოდეს მეცხოვრა. რაღაც ზეიმობდა ჩემში. სანამ ენას გავაჩერებდი, მანამდე
წამოვროშე:

– მაშ, გრენლანდიაში არ გაგიწევია?

სრული სისულელე ვთქვი. გოგონა თვალებში მომაჩერდა:

– მე გრენლანდიაში არ ვცხოვრობ.

საშინელი შეცბუნება დამეუფლა, მაგრამ გეზს მაინც არ გადავუხვიე:

– არა, ტრავერსს ვგულისხმობ, რვა ძაღლით და ათი კილოგრამი ფორთოხლით.

გაეღიმა თუ არ გაეღიმა?

მხოლოდ ამ მომენტშიღა მომივიდა აზრად, იქნებ არც კი ვახსოვვარ ფროგნერის ტრამვაიდან-მეთქი. ამის გაფიქრებამ გული დამწყვიტა და თითქოს
საყრდენი გამომაცალა, თუმცა, იმავდროულად, შვებაც მაგრძნობინა. ბოლოს და
ბოლოს, ტრამვაის ინციდენტიდან ორმა თვემ განვლო, მანამდე არასოდეს შევხვედროდით ერთმანეთს და ის ამბავიც სულ რამდენიმე წამს თუ გაგრძელდა.

თუმცა კარლ იოჰანზე მდებარე კაფედან მაინც უნდა ვახსოვდე-მეთქი, ვფიქრობდი მე. ან, ეგებ, თავისი დღე და მოსწრება კაფეებში ზის და კაცების
ხელები უჭირავს? აი, თუ გნებავთ, დაუპატიჟებელი აზრი! ეჭვის თვალით შევხედე ქალიშვილს: თვით ჭეშმარიტი ფორთოხლის გოგონაც არ უნდა ფანტავდეს თავის ლოცვა-კურთხევას მეტისმეტი ხელგაშლით.

– ფორთოხლით? – ამჯერად გოგონას ღიმილისგან თვით ხმელთაშუა ზღვის სითბომ გამოასხივა, თითქოს სიროკომ წამოუბერა საჰარიდან.

– სწორედაც. თანაც იმდენით, ორ ადამიანს რომ ეყოფოდა გრენლანდიის ტრავერსის დროს.

გოგონა შეჩერდა. ვერ ვიტყოდი, კიდევ თუ სურდა საუბრის გაგრძელება. იქნებ
იმას ფიქრობდა, სახიფათო მოგზაურობაში ხომ არ მეპატიჟებაო? მაგრამ
როდესაც კიდევ ერთხელ შემომხედა და თვალებიც ჩემს თვალებს შორის
მიმოაცეცა, ბოლოს შეკითხვაც მოაყოლა:

– შენ ის ხარ, არა?

მე თავი დავუქნიე, თუმცა ზუსტად არ ვიცოდი, რას გულისხმობდა. არა
მგონია, ერთადერთი ადამიანი ვყოფილიყავი, ვინც მას ფორთოხლებატატებულს
შეხვედრია. მაგრამ თითქოს საკუთარ თავს რაღაც შეახსენაო, გოგონამ
დაამატა:

– შენ დამეჯახე ფროგნერის ტრამვაიში, არა?

ჰო-მეთქი, ვუპასუხე თავის დაქნევით.

– მართლა ბოთესავით მოიქეცი.

– ახლა კი ამ ბოთეს სურს ყველა დაკარგული ფორთოხალი აგინაზღაუროს.

გოგონამ მხიარულად გადაიკისკისა, თითქოს აღარაფერი დარჩა
სანერვიულოო. შემდეგ თავი გვერდით გადახარა და თქვა:
– მაგაზე ნუ იდარდებ. ძალიან საყვარელი იყავი.

მაპატიე, გეორგ, საკუთარ თავს რომ ვაწყვეტინებ, მაგრამ კიდევ ერთხელ
უნდა გკითხო: ამ გამოცანას ხომ ვერ ამომახსნევინებ-მეთქი. დარწმუნებული
ვარ, შენც ხედავ, რომ რაღაც მთლად რიგზე ვერ არის. იმ ავადსახსენებელ
ტრამვაიში ფორთოხლის გოგონამ ერთხელ უკვე მტყორცნა გამომწვევი, თითქმის
მხურვალე მზერა. ისე გამოვიდა, რომ მან სწორედ მე ამომარჩია ხალხით
გადავსებულ ტრანსპორტში ან, ეგებ, მთელ დედამიწაზეც. რამდენიმე კვირის
შემდეგ გოგონამ საშუალება მომცა მის მაგიდას მივჯდომოდი კაფეში. ჯერ ერთი
წუთი მაინც მიყურა თვალებში, შემდეგ ხელიც კი ჩამიდო ხელში და შიგ მთელი
ქვაბი სიამოვნება ჩამიცალა. ბოლოს საშობაო ზარების ჩამოკვრამდე რამდენიმე
წუთით ადრე შევხვდით და – მას მე აღარ ვახსოვდი?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფორთოხლის გოგონა ჩვენგან განსხვავებული,
სრულებით სხვა კანონებით მოქმედი ზღაპრიდან მოდიოდა, რადგან არსებობდა
ორი პარალელური სამყარო: ერთი შეიცავდა ჩვენს მზეს და მთვარეს, მეორე –
ამოუწყავ ზღაპარს, რომლისკენ გამავალი კარი სწორედ ფორთოხლის გოგონამ
შეაღო. მაგრამ, გეორგ, თვით ამ შემთხვევაშიც რჩებოდა ორადორი
შესაძლებლობა: ერთი, რომ მას ნათლად ვახსოვდი ორივე ზემოთ
დასახელებული ეპიზოდიდან და, ეგებ, ხილ-ბოსტნეულის ბაზრიდანაც, მაგრამ
თავს იკატუნებდა, თითქოს ვერ მცნობდა. მეორე ვარიანტი ნამდვილად უფრო
შემაშფოთებელი ჩანდა: ეგებ საბრალო გოგონა, როგორც იტყვიან, თავის ჭკუაზე

ვერ იყო? ყოველ შემთხვევაში, მეხსიერების სერიოზული დეფექტი მაინც უნდა
ჰქონოდა. იქნებ ყოველ მომდევნო წუთს წინა წუთის ამბავი ავიწყდებოდა. ეს
ხომ ყველა ციყვის საერთო პრობლემაა. ციყვი, უბრალოდ, ხან აქ ცხოვრობს და
ხან იქ. რადგან „ის, ვინც არასოდეს ცხოვრობს წამისთვის, არც არასოდეს
ცხოვრობს. შენ როგორღა ხარ?" ცხოვრების მხიარული თამაში ადგილს აღარ
უტოვებს ხსოვნას ან რეფლექსიას, მას თავისი თავიც ჰყოფნის. ასეთი კანონით
მოქმედებდა ზღაპარი – ფორთოხლის გოგონას სამშობლო. სხვათა შორის,
ამწუთას გამახსენდა ამ ზღაპრის სახელი: „შემოდი ჩემს სიზმარში".

მაგრამ, მეორე მხრივ, გეორგ, იმაზეც მიფიქრია, როგორ გადავეყარე ამ
არსებას. მეც ხომ ვიჯექი და ღრმად ჩავყურებდი თვალებში. არადა, საშობაო
წირვის შემდეგ, როდესაც პირისპირ ვხვდები, სხვას არაფერს ვიქმ – მხოლოდ
შობას ვულოცავ, რაც, თავისთავად, ცუდი არ არის, მაგრამ სრულებით არაფერს
ამბობს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ. ის კი არა, იმას ვეკითხები: რვა
ძაღლითა და ათი კილოგრამი ფორთოხლით გრენლანდიაში ხომ არ
მიდიხარ-მეთქი! რას იფიქრებდა ჩემზე?! იქნებ დაასკვნა, რომ, როგორც
პიროვნება, გაორებული ვარ?

როგორც ჩანს, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები გვალაპარაკებდა. რთულ
ბურთაობას ვეწეოდით, – თამაშს, რომელსაც მეტისმეტად ბევრი წესი ჰქონდა.
ვურტყამდით და ვურტყამდით, მაგრამ ბადეში არც ერთი ბურთი არ ეხვეოდა.
სწორედ ამ დროს აკერსგატადან ცარიელმა ტაქსიმ გამოუხვია. ფორთოხლის
გოგონამ ხელი გაიშვირა და გაჩერებული ტაქსისკენ გაიქცა...

კონკია გამახსენდა, სასწრაფოდ რომ უნდა დაეტოვებინა მეჯლისი და შინ
წასულიყო, სანამ საათი შუაღამეს დაჰკრავდა ან სანამ ჯადო აეხსნებოდა.
წარმომიდგა სასახლის აივანზე მიტოვებული პრინცი – ეული, მარტოსული.

თუმცა უნდა მცოდნოდა, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო. ფორთოხლის
გოგონა ხომ შობის დადგომამდე უნდა მისულიყო შინ. აი, როგორი იყო წესები.
მას შემდეგ, რაც შობა ჩამოჰკრავს, ფორთოხლის გოგონები დიდხანს აღარ
დაფარფატებენ ქუჩაში. აბა, სხვა რისთვის წკრიალებენ ზარები? განა არა
იმისთვის, რომ ჭაბუკებს ფორთოხლის ქალიშვილით მოხიბვლა
გადააფიქრებინონ? ახლა ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა და სულ მალე მარტო
დავრჩებოდი ოვერ სლოტსგატეს იმ ღვთისაგან დავიწყებულ კუნჭულში.

გონება სწრაფად მიმუშავებდა. ორიოდე წამიღა მრჩებოდა რაღაც საზრიანის
სათქმელად, რათა ფორთოხლის გოგონას აღარასოდეს დავვიწყებოდი.

შემეძლო მეკითხა: „სად ცხოვრობ?", „ერთი გზა ხომ არ გვაქვს?" ან, ეგებ, იმ
ათი კილოგრამი ფორთოხლის სახელით, ჯიბიდან ასკრონიანი დამეძრო,
საიდანაც ოცდაათი კრონი შეწუხებისა და შეუსაბამო საქციელისთვის იქნებოდა

და, საერთოდაც: მე ხომ დანამდვილებით არ ვიცოდი, შეღავათიან ფასში აძლევდნენ თუ არა ფორთოხალს. ცნობისწადილის ჩაცხრობის მიზნით, ის მაინც
შემეძლო მეკითხა, მუდმივად ამდენ ფორთოხალს რატომ ყიდულობ-მეთქი. იმიტომ კი არა, რომ საკვების ასეთი გროვა არნახულ რამედ მეჩვენებოდა. არა,
მაგრამ რატომ მაინცდამაინც ფორთოხალი? რატომ არა ვაშლი ან ბანანი?

იმწამს კიდევ ერთხელ გამიელვა გრენლანდიის ტრავერსმა თხილამურებით, ფროგნერში მცხოვრებმა დიდმა ოჯახმა, ფორთოხლის ჩაროზმა სემესტრის დასრულების ნიშნად და, ამ ყველაფერთან ერთად, ჩვილმა რანვეიგმა, რომელიც ამწუთას მამიკოს დაკუნთულ მკლავებზე იწვა, მამიკოსი, რომელმაც სულ ორიოდე კვირის წინ ჩააბარა მართვის სკოლის გამოსაშვები გამოცდები და,
ყველაფერთან ერთად, დიდებული ჭკუის კოლოფი ბრძანდებოდა. არა მგონია,
რომ იმ მომენტში ჭყივილ-კნავილით სავსე ბაგა-ბაღში შესვლის თავიც მქონოდა.
ბავშვები უკვე მაღიზიანებდნენ.

მაგრამ, გეორგ, შესაფერისი სიტყვები ვერა და ვერ ვიპოვე: მეტისმეტად ბევრი
იყო და, აბა, რომელი ერთი ამერჩია! და როცა მანქანაში ჩაჯდა – მგონი, მიყვარხარ-მეთქი, – ესღა ამოვიბლუკუნე:

არ ვცრუობდი, მაგრამ ვინანე, რომ იმწამს ეს სიტყვები წარმოვთქვი.

ტაქსი წავიდა, მაგრამ ფორთოხლის გოგონა არ გაჰყოლია. გადაიფიქრა. ნელა დაბრუნდა ტროტუარზე, ხელი მოხდენილად და საკუთარი ნებით ჩამჭიდა ხელში, თითქოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სხვა არც არაფერი
გვეკეთებინოს, და თავით მანიშნა, გზა განვაგრძოთო. თუმცა, იმავდროულად,
შემომხედა და მითხრა:

– თუ კიდევ გამოჩნდება ტაქსი, შეიძლება გავყვე. მელოდებიან.

„მოსაწყენი ქმარი და სიყვარულის გუნდა ბავშვი", – გავიფიქრე ჩემთვის. ან დედა და მამა. ეს უკანასკნელი ალბათ, მღვდელია, რომელიც, ეგებ, სწორედ იმ
კათედრალში ატარებდა წირვას, საიდანაც ახლა მოვდიოდით; ოთხი დაიკო და
ორი ძმა, მათთან ერთად კი, შესაძლოა, პაწია ლეკვიც, რომელსაც სულ კუდში
დასდევდა პეტერად წოდებული პატარა ძამიკო. ან კიდევ, გრენლანდიის ექსპედიციის პირქუში და დაძარღვული ინსტრუქტორი და მისი პოლარული ხელთათმანი, მატყლის ჯემპრი, თოვლის ჩექმა, თხილამურების გასასანთლი ცვილი – ყველაფერი სათუთად შეფუთული და საშობაო ნაძვის ხის ძირას დადებული. ამაღამ ფორთოხლის გოგონა არავითარ სემესტრის დასრულების დღესასწაულზე არ წავიდოდა. დღეს იგი საბავშვო ბაღიდანაც თავისუფალი იყო.

– მალე საშობაო ზარებს ჩამოჰკრავენ, არა? – ვთქვი მე, – ამის შემდეგ შენ აღარ უნდა იყო ქალაქში.

ქალიშვილს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ნაზად და მტკიცედ მომიჭირა ხელზე, თითქოს, უწონონი, სივრცეში მივლივლივებდით; თითქოს ორივემ შევსვით გალაქტიკათშორისი რძის ჩვენ-ჩვენი დოზა და ახლა მთელი სამყარო ჩვენს განკარგულებაში იყო.

ისტორიის მუზეუმი გავიარეთ და სასახლის პარკამდე მივედით. ვიცოდი: მეორე ტაქსი ნებისმიერ წამს შეიძლებოდა გამოჩენილიყო. ისიც ვიცოდი, რომ ეკლესიის ზარები მალე შობის დღესასწაულს გვამცნობდნენ.

შევჩერდი და ფორთოხლის გოგონას წინ დავუდექი. ხელი ნაზად გადავუტარე დანამულ თმაზე და ვერცხლის სამაგრთან შევაჩერე. ყინულივით ცივი იყო, მაგრამ სხეულს მაინც მითბობდა. წარმოიდგინე: ეს მე ვეხებოდი მის სამაგრს საკუთარი ხელით!

- როდის შევხვდებით კიდევ? - ვკითხე მე.

იდგა და, სანამ შემომხედავდა, ქვაფენილს დაჰყურებდა. ქუთუთოები მძიმედ უმოძრავებდა და, მგონი, ტუჩები უთრთოდა. მერე კი ისეთი გამოცანა მომცა,
რომელზეც მომავალში ბევრი უნდა მეფიქრა:

- რამდენ ხანს შეგიძლია მოცდა?

როგორ უნდა მეპასუხა ამ კითხვაზე, გეორგ? იქნებ ეს ხაფანგი იყო. თუ ვუპასუხებდი - ორ-სამ დღეს-მეთქი, ამით შეიძლება მეტისმეტად დახარბებული
ტიპის შთაბეჭდილება მომეხდინა. თუ ვეტყოდი „მთელი სიცოცხლე", იქნებ ეფიქრა, ნამდვილად არ ვუყვარვარ ან, უბრალოდ, ცრუპენტელაა. ასე რომ, რაღაც საშუალო უნდა მეპოვა.

- იმდენ ხანს, სანამ გულში მწუხარება მეღვრება.

მან მსუბუქად გამიღიმა და ტუჩებზე თითი გადამისვა.

- და ეგ რამდენ ხანს გაგრძელდება?

თავი ნაღვლიანად გავაქნიე და, რასაც ვგრძნობ, იმას ვეტყვი-მეთქი, გადავწყვიტე.

- შესაძლოა, სულ ხუთი წუთი.

ეს პასუხი აშკარად ესიამოვნა, თუმცა ჩურჩულით მითხრა:

- კარგი იქნებოდა, თუ ცოტათი მეტხანს შეძლებდი.

ახლა მე დამიდგა შეკითხვის ჯერი:
- მაინც რამდენს?

- ექვს თვეს. თუ ამდენ ხანს შეძლებ, მაშინ ისევ შევხვდებით.

მგონი, ამოვიოხრე:

- ასე დიდხანს რატომ?

ფორთოხლის გოგონას სახე დაეძაბა, თითქოს სიმტკიცის შესანარჩუნებლად თავს ძალას ატანსო.

– იმიტომ, რომ შენ სწორედ ამდენ ხანს უნდა ელოდო.

შემატყო, როგორი გულისგატეხა აღმებეჭდა სახეზე და იქნებ ამიტომაც დაამატა:

– მაგრამ თუ ამას მოახერხებ, შეგვიძლია მომდევნო ექვს თვეს ყოველდღე ერთად ვიყოთ.

ეკლესიის ზარები აგუგუნდნენ და მხოლოდ მაშინღა მოვაშორე ხელი სველ თმას და ვერცხლის სამაგრს. ამ მომენტში ვერგელანდსვეიენზე ცარიელი ტაქსი
გამოჩნდა. ასეც უნდა ყოფილიყო.

გოგონამ თვალებში შემომხედა, თითქოს რადაცას შემევედრა: გაგებას, მთელი ჩემი უნარ-შესაძლებლობების მოხმობას. თვალები ისევ ცრემლით ავსებოდა.

– კარგი... შობას გილოცავ, იან ოლავ! – წარმოთქვა ენის ბორძიკით. შემდეგ
ტაქსის მოუხმო, შიგ ჩაჯდა და ხელი აღფრთოვანებით დამიქნია. თუმცა ბედისწერაც იქვე ჰაერში ეკიდა მთელი თავისი სიმძიმით. ტაქსი დაიძრა და ისე
მიეფარა თვალს, რომ ქალიშვილი არ შემობრუნებულა. მომეჩვენა, რომ ტიროდა.

შოკში ვიყავი, ერთიანად გრძნობით გათანგული. ლოტოში მილიონი მოვიგე, ოღონდ – მხოლოდ რამდენიმე წუთით: ბილეთში რაღაც ცდომილება აღმოჩნდა
და პრიზს ვერ ამინაზღაურებდნენ, ყოველ შემთხვევაში – ახლავე ვერა.

ვინ იყო ეს ტრანსცენდენტური ფორთოხლის ქალიშვილი? ეს კითხვა უწინაც ბევრჯერ დამისვამს საკუთარი თავისთვის. ახლა კი ახალი შეკითხვაც გაჩნდა: საიდან შეიტყო ჩემი სახელი?

კათედრალისა და ქალაქის ყველა სხვა ეკლესიის ზარები ჯერ კიდევ რეკავდნენ: ისინი შობას ზეიმობდნენ. ქუჩებში ძეხორციელი არ ჭაჭანებდა და იქნებ სწორედ ამიტომაც ავყვირდი დეკემბრის ჰაერში. სულ ერთსა და იმავე შეკითხვას ვიმეორებდი – ხმამაღლა, თითქმის წამღერებით: „საიდან შეიტყო ჩემი სახელი?" არანაკლები ძალით მიკაკუნებდა მეორე კითხვაც: „რატომ უნდა
გავიდეს ექვსი თვე ჩვენს შემდგომ შეხვედრამდე?"

წინ ბლომად დრო მქონდა ამ კითხვაზე ფიქრისთვის. დღეების გასვლასთან ერთად, არასოდეს მომკლებია შესაძლებელი პასუხები. ეგაა, ვერა და ვერ ვიტყოდი დანამდვილებით, რომელი მათგანი იყო სწორი. ხელთ რამდენიმე უმშვენიერესი ნიშანი მქონდა ამ გზის გასაგრძელებლად, მაგრამ, თვით ამ შემთხვევაშიც, როგორც მოგეხსენება, არცთუ ხელმოცარული ვიყავი ნიშნების კითხვაში და დიაგნოზების დასმაში. მეტისმეტად ბევრი პარალელური თეორია
გაჩნდა.

შესაძლოა, გოგონა სერიოზულად ავად იყო და რომელიმე მკურნალმა ფორთოხლის მკაცრ დიეტაზე დასვა. შესაძლოა, ამ ექვს თვეში, მტკივნეული სამედიცინო კურსი უნდა ჩაეტარებინა ამერიკაში ან შვეიცარიაში, რაკი აქ ვერავინ ვეღარაფრით დაეხმარებოდა. ყოველ შეხვედრაზე თვალები ცრემლით ევსებოდა, განსაკუთრებით – ჩემთან განშორების წამებში. თუმცა ისიც მიმანიშნა: ახალი წლის მეორე ნახევარში, ანუ ივლისიდან დეკემბრამდე, შეგვეძლება ყოველდღიურად ვინახულოთ ერთმანეთიო. ჯერ ექვსი თვე უნდა დავლოდებოდი, მერე კი ყოველ ცისმარე დღე შევხვდებოდი. ამის გაფიქრება სიმხნევეს მმატებდა. მშვენიერი განაწილება იყო და, რეალურად, არაფერი მქონდა საწუწუნო. არსებითად, ეს მომავალი წლის ყოველ მეორე დღეს შეხვედრას ნიშნავდა. განა გაცილებით უარესი არ იქნებოდა, რომ პირველ ექვს
თვეს ყოველდღიურად გვენახა ერთმანეთი, შემდეგ კი – აღარასოდეს?

მედიცინის სწავლა ახალი დაწყებული მქონდა. ცნობილი ფაქტია, რომ სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტები ხშირად „ხედავენ" წარმოსახვით სნეულებებს სხვებშიც და თავიანთ ორგანიზმშიც, იმდენად სწადიათ სიმპტომების დანახვა და სათანადო დიაგნოზების დასმა. ასევე არცთუ უჩვეულოა თეოლოგიის სტუდენტებისთვის ეჭვის შეტანა საკუთარ მორწმუნეობაში, სტუდენტ-იურისტებისთვის კი – თავისივე ქვეყნის კანონებისა
და იურისპრუდენციის კრიტიკული შეფასება. ჰოდა, მკაცრი თვითდისციპლინის
სახელით, შევეცადე გვერდზე გადამედო აზრი ფორთოხლის გოგონას სერიოზული სნეულების შესახებ, რომლის გამოც თითქოსდა საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა უსიამოვნო მკურნალობის კურსის ჩასატარებლად. იცოცხლე: სხვა თეორიებიც მრავლად მომეპოვებოდა.

მაგალითად: თვით იმ შემთხვევაშიც, თუ ფორთოხლის გოგონა ნამდვილად ავადმყოფობდა ან სრულ ჭკუაზე ვერ იყო, – როგორ აიხსნებოდა ამით ჩემი სახელის ცოდნის ფაქტი? ან, პრაქტიკულად, რატომ იწყებდა ტირილს ჩემთან ყოველი შეხვედრისას? რა ხდიდა ჩემდამი ასე გამოუთქმელად მელანქოლიურს?

ამ მომენტში, და თანაც – ანგარიშმიუცემლად, შემეძლო გამეზიარებინა შენთვის ყველა ფიქცია, გონებაში რომ ვატრიალებდი საშობაო არდადეგებზე. შემეძლო, მაგალითად, ყველაფერი დამეშვა ფროგნერში მცხოვრები დიდი ოჯახის შესახებ. ჩამომეთვალა, აგრეთვე, ყველა შესაძლებელი მიზეზი, რომლებიც დააბრკოლებდნენ ჩემს შეხვედრას ფორთოხლის გოგონასთან მომდევნო ექვსი თვის განმავლობაშიც. ერთ-ერთი ასეთი, და საკმაოდ ნიშნეული
მიზეზი ის იყო, რომ ფორთოხლის ქალიშვილი ამ სამყაროსთვის მეტისმეტად მშვენიერი არსება გახლდა. იგი მალულად მიემგზავრებოდა აფრიკაში, რათა ამ
ვეებერთელა კონტინენტის უღარიბესი ხალხი დაეპურებინა, განსაკუთრებით – იმ
რეგიონებში, სადაც მოსახლეობას მალარია თუ სხვა საზარელი სნეულებები აჩანაგებდა.

მაგრამ ასეთი პასუხი მაინც ვერ ხსნიდა ფორთოხლის საიდუმლოს. თუმცა რატომაც ვერა? იქნებ აფრიკაში მიჰქონდა? რატომ აქამდე არ მიფიქრია ამაზე? იქნებ მთელ თავის დანაზოგს დიდი თვითმფინავის დაქირავებას ახმარდა?

მაგრამ, გეორგ, ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ მხოლოდ რეალური გასაღებები გვჭირდება. ფორთოხლის გოგონასთან დაკავშირებული ყველა ჩემეული აზრი და
ფანტაზია რომ გადმომეცა, მთელი წელიწადი კომპიუტერთან უნდა ვმჯდარიყავი.
მაგრამ არა, აქამდე არ მივსულვარ. ყველაფერი ასე უბრალოა, მაგრამ გაფიქრებისას მაინც მტკენს ხოლმე.

თუმცა რატომ უნდა გავამახვილო ყურადღება ფანტაზიებზე? იმ ცალკეული მომენტის გარდა, როდესაც ქალიშვილმა თვალებში ჩამხედა, ხელი მომკიდა, ტუჩებზე თითი გადამისვა, - ერთადერთი ხელჩასაჭიდი ის რამდენიმე სიტყვაა,
ჩვენ შორის რომ გაიცვალა. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი სიტყვების ზუსტ გაშიფვრას. მალევე ჩავიწერე ჩვენი სიტყვიერი გაცვლა-გამოცვლა, მერე კი ამ დიალოგის ინტერპრეტირებას შევეცადე.
როგორ ხარ, გეორგ? ხომ ვერ მეტყოდი: 1) რატომ ყიდულობდა ამდენ ფორთოხალს; 2) რატომ ჩამყურებდა თვალებში ღრმად და უსიტყვოდ; 3) რატომ
არჩევდა ასეთი რუდუნებით თითოეულ ფორთოხალს იონგსტორგეტის ბაზარში (იმიტომ ხომ არა, რომ არც ერთი წყვილი არ ყოფილიყო ერთნაირი?); 4) რატომ
ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს ექვსი თვის განმავლობაში; 5) ყველაზე დიდი თავსატეხი: საიდან იცოდა ჩემი სახელი...

თუკი ამ რებუსს გამოიცნობ, მაშინ შეიძლება უპასუხო მთავარ კითხვასაც: ვინ
იყო ფორთოხლის ქალიშვილი? ერთ-ერთი ჩვენგანი? იქნებ სრულებით განსხვავებული რეალობიდან მოდიოდა, - ქვეყნიდან, სადაც ნახევარი წლით უნდა დაბრუნებულიყო, რათა შემდეგ კვლავ გვწვეოდა და ჩვენ შორის ეცხოვრა.

პირადად მე გასაღებები ვერ ვიპოვე, გეორგ, და ვერანაირი დიაგნოზიც ვერ დავსვი.

ქალიშვილის წასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მეორე ტაქსი, რომელიც გავაჩერე და რომელმაც უმლევეიენამდე მიმიყვანა, რათა წლევანდელი შობა ჩემს ოჯახთან ერთად მედღესასწაულა.

იმ ზამთარს ეინარი სლალომით იყო გატაცებული. საშობაოდ ხაოიანი ხელთათმანი ვუყიდე და ახლა სადღესასწაულო ვახშმის დამთავრებას ველოდი,
როდესაც იგი საჩუქარს გახსნიდა. მის კატასაც ვუყიდე ერთი კონსერვი სასუსნავი. დედაჩემს უკვე საკმაოდ გახმაურებული ფინური ანთოლოგია ელოდა.
მისი ავტორი იყო მარტა ტიკკანენ და სახელად ერქვა „საუკუნის სასიყვარულო
ისტორია". მამა მიიღებდა ახალბედა ნორვეგიელი მწერლის, ერლიკ გიელსვიკის
რომანს „მკვდარი გარბენი", რომელიც მე ცოტა ხნის წინ წავიკითხე და, მამას
მოეწონება-მეთქი, ვიფიქრე. თუმცა ამ საჩუქარში უფრო მეტი აზრი ჩავდე. იმ
დღეებში მე თვითონ ველოლიავებოდი ოცნებას, რომ ერთხელაც იქნებოდა

რაღაცას დავწერდი. ეს, შესაძლოა, რაღაცნაირად უკავშირდებოდა მამაჩემისთვის დებიუტანტი მწერლის წიგნის ჩუქებას.

იმხანად სასტუმრო ოთახის გვერდით განთავსებულ პატარა ოთახში მეძინა. ახლა ის შენი ოთახია, გეორგ, ყოველ შემთხვევაში – ამ სტრიქონების წერის პერიოდში მაინც. რაც შეეხება იმ დროს, როცა ამ ნაწერს წაიკითხავ, – წარმოდგენა არ მაქვს, რა როგორ იქნება.

არ ვაპირებ გადავუხვიო წესებს, ჩვენვე რომ დავადგინეთ ამ თხრობისთვის, და ამიტომ აღარაფერს ვიტყვი საშობაო ზეიმზე. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ
იმ ღამეს ერთი წამითაც არ მომიხუჭავს თვალი.

ჯერ შუა წერილამდე ვიყავი მისული, რომ ტუალეტმა შემახსენა თავი. ჩემი ბრალი იყო: მთელი ბოთლი „კოკა-კოლა" მუცელში მქონდა ჩაცლილი.

„ჯანდაბას! ახლა სასტუმრო ოთახი უნდა გადავჭრა, ჰოლში გავიდე და ყველა
იქ მყოფის მზერა მივიპყრო. მგონი, ამას „ქარცეცხლში გატარება" ჰქვია". მაგრამ
რა უნდა მექნა, სხვა არჩევანი არ მქონდა.

პრინტერზე ამობეჭდილი ფურცლები საწოლზე დავტოვე, კარი ჩავკეტე და გასაღები ჯიბეში ჩავიდე.

ოთხივე უფროსი მე მომაჩერდა. ვცადე, ისეთი იერი მქონოდა, თითქოს იოტისოდენადაც არ მადარდებდა ჩემკენ მომართული ცნობისმოყვარე მზერა.

– უკვე დაამთავრე? – მკითხა დედამ, რომელიც ერთ დიდ კითხვის ნიშანს დამსგავსებოდა, – რას კითხულობდი ამდენ ხანს?

– ცოტათი სევდიანი წერილი ხომ არ არის? – გაბედა ხმის ამოღება იორგენმა.
სურდა დაენახვებინა, როგორ ვებრალებოდი, რომ მამა აღარ მყავდა. თავის მხრივ, არაფერი დაუშურებია, რომ რიგიანი შემცვლელი ყოფილიყო. ჰო, ამაში
ცუდი არაფერია, თუმცა არა მგონია, რომ იმავე სიბრალულის განცდა ქმრის დამკარგავი დედიკოსადმიც ჰქონოდა და, იმავდროულად, ამ კაცის ადგილი დაეკავებინა (რომ აღარაფერი ვთქვა მის საწოლზე). გულის სიღრმეში ვფიქრობდი, რომ მამაჩემის სიკვდილი იორგენს სიამოვნებდა კიდეც. უამისოდ
ხომ ვერასოდეს შეირთავდა დედას და, შესაბამისად, არც მირიამი ეყოლებოდა.
ასეთ შემთხვევაში კი, ვერც ჩემთან ექნებოდა საქმე. ხომ არსებობს ანდაზა: „ერთი ადამიანის ხორცი მეორის შხამიაო".

დავინახე, როგორ ჩაისხა ვისკი დიდ ჭიქაში. ასე სვამს ხოლმე პარასკეობით და შაბათობით, თუმცა დღეს ორშაბათი იყო.

მე მგონი, განსაკუთრებით არ აცბუნებდა შუა ოთახში დგომა მაგარი სასმლით ხელში. ასე იყო თუ ისე, სასმლის ამბავი ამისთვის არ მიხსენებია. უბრალოდ, ცოტა არ იყოს, გაუბედავი იერი დასდებოდა მას შემდეგ, რაც ოთახში
ჩავიკეტე იმ წერილის წასაკითხავად, რომელიც მამამ სიკვდილის წინ მომწერა

იორგენის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. პატარაობაში იორგენს „ახალმოსულს“
ვეძახდი. ასე ბავშვურად ხომ მის გასაბრაზებლად ვიქცეოდი.

– კიდევ დაგრჩა? – მკითხა პაპამ, რომელსაც სიგარა აენთო და თავისი ჯოხის
სახელურს ჩასჭიდებოდა.

– ჯერ ნახევრამდე ვარ მისული, – ვთქვი მე, – ტუალეტში მომინდა.

– თუ გსიამოვნებს, რასაც კითხულობ? – თავისი სცადა ბებომაც.

– არავითარი კომენტარი! – იყო ჩემი პასუხი. ასე პასუხობენ პოლიტიკოსები
ჟურნალისტებს რთული შეკითხვების თავიდან არიდების მიზნით.

დაუოკებელი ცნობისწადილი – აი, დიდი მსგავსება ჟურნალისტებსა და
მშობლებს შორის. ხოლო პოლიტიკოსები და ბავშვები იმით ჰგვანან ერთმანეთს,
რომ ორივეს გამუდმებით აყრიან შეკითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემა
ყოველთვის არცთუ იოლია.

იქნებ უკვე დროა, ოდნავ უკეთ გამოვკვეთო ხასიათები. დავიწყებ
დედაჩემით, ვისაც, ყოველივეს შემდეგ, ყველაზე უკეთ ვიცნობ.

ის უკვე ორმოცს გადაცდა. შემიძლია დავახასიათო, როგორც შინაგანად
ზრდასრული და დამოუკიდებელი ქალი. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ეშინია
თავისი აზრის გამოთქმის. გარდა ამისა, საკმაოდ „დედობრივიც“ არის და ამაში
მხოლოდ მირიამზე ზრუნვას არ ვგულისხმობ. საკმარისზე მეტად მანებივრებს
და, ხანდახან, ისე მომმართავს, როგორც ორი-სამი წლით უმცროსს იმასთან
შედარებით, რა ასაკისაც სინამდვილეში ვარ. ეს, ჩვეულებრივ, არ მაღიზიანებს,
თუმცა ზოგჯერ მაინც დამთრგუნველია. მაგალითად, მაშინ, როცა სკოლიდან
მეგობრებს მოვიყვან. ამ დროს დედაჩემი თითქოს სიხარულით უჩვენებს
ყველას, რომ მისი საყვარელი ბიჭი ვარ, არადა, უკვე ოთხი-ხუთი სანტიმეტრით
ზემოდან დავყურებ. ერთხელ, როდესაც სასტუმრო ოთახში ვიჯექი და ჭადრაკს
ვეთამაშებოდი ჩემს ამხანაგს, მარტინს, დედა დივანთან მოვიდა და თმაზე
მოფერება დამიწყო! საკმაოდ უხეშად გავაპროტესტე. არ მიყვარს დედაზე
განაწყენება (თუმცა იმ მომენტში წყენა კი არა, აფეთქებამდე აღარაფერი
მაკლდა), მაგრამ იქ ხომ მარტინი იჯდა. უნდა მეჩვენებინა მისთვის, რომ
საზღვრის დადგენის ძალა შემწევდა. დედა სამზარეულოში გავიდა, თუმცა
ოციოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა და ცხელი შოკოლადი და საშობაო კექსი
შემოგვიტანა. მარტინმა სიხარულისგან დაუსტვინა, მაგრამ, მანამდელი ამბის
შემდეგ, ასეთი ზრუნვა დედაჩემის მხრიდან შემაცბუნებლად მეჩვენა. ორი
ნახტომით სამზარეულოში გავჩნდი, ვინძლო მაცივარში ლუდი აღმომეჩინა. და
თუ ლუდი არ იქნებოდა, ის მაინც მშვენივრად ვიცოდი, სად ინახავდა იორგენი
თავის ვისკის. საბედნიეროდ, მარტინს იუმორის გრძნობა საკმაოდ
განვითარებული ჰქონდა და, რასაკვირველია, მოგვიანებით ყველაფერზე

ვისაუბრეთ. მგონი, მისმა პატივისცემამ დედაჩემისადმი კიდევ უფრო იმატა, როცა შეიტყო, რომ ეს ქალი ხელოვნების სახელმწიფო აკადემიაში ასწავლიდა. „თუ კიდევ ერთი პიკასო გამოჩნდება, მიხვდები – საიდან მოვიდა", ვუთხარი მე.
ყოველივეს შემდეგ, ჩემივე ინტერესებში შედიოდა დედაჩემის „რეაბილიტირება".

ძნელია საკუთარი დედის დახასიათება, ყოველ შემთხვევაში – იმის, რაც მის სათნოებას, მანკიერებას და ყველაფერ ასეთს ეხება. თუმცა არსებობს საგანგებოდ გამორჩეული რაღაცებიც. დედას ძალიან უყვარს ძირტკბილა, – ყველანაირ ძირტკბილას ვგულისხმობ. შინ ყველგან ვაწყდები ძირტკბილას ნავისებურ ყუთებს, ფრაზერის ძირტკბილას მუყაოებს თუ ძირტკბილას ასორტს.
ბოლო ხანებში უკვე ჩუმ-ჩუმად მიირთმევს, რაკი იორგენი და მე ერთად ავუმხედრდით ამ ცუდ ჩვეულებას. იორგენის აზრით, ძირტკბილას მჭამელს წნევა აუწევს. შეიძლება ეს გაზვიადებულიც არის, მაგრამ როდესაც ქალაქში გავდიოდით, დედა თავისთვის ერთ პარკ ძირტკბილას ან ასორტს ყიდულობდა
და პირობას მადებინებდა, რომ იორგენს არაფერს ვეტყოდი.

თუ მკითხავდნენ, რა არის დედას საუკეთესო თვისებაო, გაწონასწორებული ხასიათი-მეთქი, ვეტყოდი. თუმცა, ამასთანავე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ცუდი
ხასიათიც მისი ყველაზე უარესი თვისებაა. მაინცდამაინც ხშირად არ ვგრძნობ ბევრი შუალედური საფეხურის არსებობას ამ ორ უკიდურესობას შორის. ჩვეულებრივ, დედა კარგ განწყობაზეა ხოლმე, თუმცა, შიგადაშიგ, შეიძლება სრულებით შესაბრალისიც გახდეს. ასე რომ, ყოველთვის რაღაც განწყობაზეა, ოღონდ არასოდეს არის სადღაც შუაში. მისი საყვარელი ფრაზაა: „მოდი, დაძინების წინ ბანქო წავითამაშოთ".

აი, იორგენიც – ხუთიოდე ფუტზე ოდნავ მაღალი, ანუ დედას სიმაღლის, ანუ
არც ისე წარმოსადეგი, როგორც ზრდასრულ ადამიანს შეჰფერის. ბევრნი ამას ხეიბრობადაც კი მიიჩნევდნენ და, თუ ასეა, იორგენი სხვა ნიშნითაც გამოირჩევა,
სახელდობრ იმით, რომ წითურია. კანი მკრთალი აქვს, არასოდეს უყავისფრდება
ზაფხულში, მხოლოდ წითლად უელვარდება იმ თავის წითელ თმასთან ერთად.
თვით ხელებზე ამოსული ბალანიც კი ჟღალი აქვს. ერთხელ უკვე ვთქვი, მოდას
მიჰყვება-მეთქი, და ეს იმდენად, რომ ცოტა არ იყოს, ხელოვნურობაში გადასდის. მამაკაცების უმრავლესობას სააბაზანოს თაროზე სამი დეზოდორი და
ოთხი ოდეკოლონი არ უდევს და არც ქალაქში გადის შავი შარფითა და აქლემის
ბეწვისგან მოქსოვილი კაშკაშა ყვითელი ჟაკეტით. აი, იორგენი კი გადის. ყველაზე საზარელი ისაა, რომ ასეთი ჩაცმულობა უხდება...

ამ ყველაფერთან ერთად, იორგენი გამომძიებლად მუშაობს Iთი08-ში – გამოძიების სახელმწიფო ბიუროში! გამუდმებით გვიმეორებს ერთსა და იმავეს:

„კონფიდენციალობის ვალდებულება" მაქვს აღებულიო. თუმცა ყოველთვის მაინც
ვერ აჩერებს ენას. სულ მცირე, ორჯერ მაინც შევიტყვე მნიშვნელოვან
კრიმინალურ საქმეებთან დაკავშირებული უარსებითესი დეტალები ჯერ კიდევ
პრესაში გამოქვეყნებამდე. ესე იგი, იორგენი მენდობა. ეს კარგია. ამ კაცმა იცის,
რომ გარეთ არ გავვარდები და პოლიციურ საიდუმლოებას ქვეყანას არ მოვდებ.

იორგენი მიეკუთვნება ადამიანის იმ ტიპს, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაზე
უკეთ თვითონ იცის, რა როგორ არის. არადა, ზოგჯერ ცდება. ერთხელ ახალი
გარდერობი ვიყიდეთ ჩემი ოთახისთვის (ბევრი ჩივილი ისმოდა ყველგან
მიმოყრილ ჩემს ტანსაცმელზე, თუმცა ეს რამდენადმე გაზვიადებული იყო:
ერთადერთი წინდა ეგდო ზედა სართულზე, სადაც მე თითქმის არასოდეს
ავდიოდი). გარდერობის შერჩევამ მთელი ნაშუადღევი წაიღო, დანარჩენი
საღამო კი – მისმა მოთავსებამ სათანადო ადგილზე. იორგენის აზრით,
გარდერობი კარს უკან, კედელთან უნდა მდგარიყო. მე ამას აბსოლუტურად არ
ვიზიარებდი და ვფიქრობდი, რომ გარდერობი ფანჯრის გვერდით უნდა
დაგვედგა, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედი დუიმით აპატარავებდა
ფანჯრიდან გადაშლილ ხედს. იორგენს შევახსენე: ამ სახლში შენზე გაცილებით
უფრო დიდი ხანია ვცხოვრობ და არა მგონია, ძალიან პრაქტიკული იყოს, რომ
გარდერობს ვერ მივუდგე, როცა საწოლი ოთახის კარი ღიაა-მეთქი. რაღა თქმა
უნდა, ჩემი გავიტანე, მაგრამ ამის შემდეგ იორგენს თითქმის ერთი დღე-ღამე
ჩემთვის ხმა აღარ გაუცია და როცა გამცა, ისიც – აშკარად ძალდატანებით.

შესაძლოა, მისი საუკეთესო თვისება ის არის, რომ თითქმის მთელ
თავისუფალ დროს ჩემს ფიზიკურ აღზრდაში ხარჯავს. კუნთები დაბადებიდანვე
გამოჰყვა ყველას, მაგრამ ამ კუნთებს გამოყენება უნდაო, – ამბობს იორგენი.
ამდენად, მისი ყველაზე უარესი თვისება ისაა, რომ არაფრით არ ცნობს ჩემს
გეგმებს – გამოვიდე რაღაც სხვა და არა სპორტსმენი. არა მგონია, აინუნში
აგდებდეს იმას, თუ რამდენ დროს ვუთმობ მუშაობას „მთვარის სონატაზე". ეჭვი
არ არის, იორგენის საყვარელი ფრაზაა: „ეს ანგარიშგასაწევი პოზიციაა!"

სანამ ბებოს და პაპას შევეხებოდე, ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ საუცხოოდ
ვიცნობ ორივეს, ისევე კარგად, როგორც იორგენს, რადგან წლიდან წლამდე
უამრავი დრო გამიტარებია მათთან ტონსბერგში, განსაკუთრებით მაშინ, როცა
დედა და იორგენი შეუღლდნენ. იმხანად ათი წლის ვიყავი. არა მგონია,
სასიყვარულო ურთიერთობა გამოსვლოდათ, თუ დროდადრო, რამდენიმე დღით
ან კვირით სადმე არ გამისტუმრებდნენ. სულაც არ ვჩივი, პირიქით: ყოველთვის
მიმიხაროდა ტონსბერგისკენ. ისიც მიხარია, რომ დედამ და იორგენმა იზრუნეს
არ შევსწრებოდი სასიყვარულო არშიყს, ანუ მათი ურთიერთობის საწყის ფაზას.
ამის გარეშეც ბევრ რამეს უნდა შევგუებოდი. ერთხელ, როდესაც ზედა

სართულზე ავედი ძილის წინ დასამშვიდობებლად, დავინახე როგორ
კოცნაობდნენ საბნის ქვეშ. დიდად არ მეპიტნავებოდა ამის ყურება, ამიტომაც
უსიტყვოდ გამოვბრუნდი და ფეხაკრეფით ჩამოვუყევი კიბეს. იორგენი ჩემი
ნამდვილი მამა რომ ყოფილიყო, შეიძლება სხვა რეაქცია მქონოდა, შეიძლება
–
არც კი. ეს არც ისე საზიზღარი მეჩვენა, მაგრამ კარი მაინც უნდა დაეკეტათ.
ვიძინებთო, შეეძლოთ ეთქვათ და ასეთ ბრიყვულ მდგომარეობაში არ
აღმოვჩნდებოდი. ბრიყვულში და რაღაცნაირად გარიყულში.

ბებო – მამაჩემის დედა მალე სამოცდაათის გახდება. თითქმის იმთავითვე
სიმღერის მასწავლებელია. ყველანაირი მუსიკა უყვარს, პირველ ყოვლისა კი
–
პუჩინი. ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, მისი ოპერა „ბოჰემა“
შემაყვაროს,
მაგრამ, მართალი გითხრათ, იტალიური ოპერა – რომანსისა და
ტუბერკულოზის
დიდი ნარევი – მეტისმეტად სენტიმენტალური მეჩვენება. ამ აზრით, არც
„ბოჰემაა“ გამონაკლისი. გარდა ამისა, ბებო ბუნების დიდი მოყვარულია.
განსაკუთრებით ფრინველები აინტერესებს. დიდად ეტანება ზღვის საკვებს და
გამოიგონა კიდეც საგანგებო მოლუსკის სალათა, რომელიც „ტონსბერგის
სალათად“ მონათლა. ყოველ შემოდგომაზე სურს თან ვახლდე სოკოს
კრეფისას.
ბებოს ფრიად დადებითად ახასიათებს, რომ ყველა ფრინველის სახელიც იცის
და ისიც, სად იკეთებს თითოეული მათგანი ბუდეს. ყველაზე უარყოფით
თვისებად კი ის შეიძლება ჩაეთვალოს, რომ, საუბედუროდ, პუჩინის
რომელიმე
არიის ღიღინის გარეშე ვერანაირ კერძს ვერ ამზადებს. არასოდეს მიცდია
მისთვის ეს ჩვეულება მომეშლევინებინა, მაგრამ, მართალი გითხრათ, ვერ
გავბედე, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ბებო საუცხოო მზარეულია. მისი
უსაყვარლესი ფრაზაა: „აქ დაჯექი, გეორგ, ცოტა წავიჭორაოთ“.

პენსიაში გასვლამდე პაპა მეტეოროლოგი იყო, არც შემდეგ გაჰქრობია
ინტერესი ამ მეცნიერებისადმი და ყოველდღიურად ყიდულობს
მეტეოროლოგიურ
ჟურნალს, რათა გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები იქ განთავსებულ ამინდის
პროგნოზზე, რომელსაც მკითხველს გამორჩეულად მშვენიერი მეტეოროლოგი
ქალბატონი სთავაზობს. პაპა სიგარასაც ეწევა, თუმცა მხოლოდ მისთვის
შესაფერის წვეულებებზე. ჩემს ყოველ სტუმრობას ტონსბერგში პაპა
წვეულებად
მიიჩნევს, ისევე როგორც ყოველ ერთობლივ გასვლას ნავით. ძალზე
მხიარული
და ხუმარა ვინმეა, შეიძლება ითქვას, დაუოკებელიც კი, და არასოდეს ეშინია
თავისი აზრის გამოთქმა. თუ ფიქრობს, რომ ბებოს საშინელი ვარცხნილობა
აქვს, დაუფარავად ამბობს კიდეც. თუმცა არც საპირისპირო მოსაზრების
გამოთქმა უჭირს. პაპა ნახევარ ზაფხულს თავის მოტორიან ნავზე ატარებს,
ზამთარს კი – გაზეთებთან. ხანდახან თვითონვე წერს სტატიას ადგილობრივი
გაზეთისთვის და, შეიძლება ითქვას, რომ ტონსბერგის ცნობილ ადამიანებს
ეკუთვნის. მისი საუკეთესო თვისებაა მხურვალე ლტოლვა ზღვისადმი,
ყველაზე
დიდი სისუსტე ის, რომ ხანდახან თავი ტონსბერგის მეფედ მიაჩნია. პაპას
რჩეული ფრაზაა: „ჩვენ ყველაფერი გამოგვდის ხელიდან!“.

ერთი-ორჯერ ძია ეინარიც ვახსენე. უცნაური წასაკითხი იყო ის ამბავი, რომ იმ
პერიოდში, როცა მამაჩემი ფორთოხლის გოგონას შეხვდა, ძია ეინარი სწორედ ჩემი ასაკის გახლდათ. ამჟამად პირველი ოფიცერია დიდ სავაჭრო გემზე და, თანაც, უცოლშვილო. თუმცა იმასაც ჩურჩულებენ, ყოველ პორტში თითო გოგონა
ჰყავსო (ერთხანს მეგონა, რომ ერთი ასეთი მეგობარი გემზეც ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, არსებობდა ვინმე „ინგრიდი", რომელიც მასთან ერთად დაცურავდა
მთელი ექვსი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც, მოულოდნელად, ნაპირზე „გადმოსახლდა". რამდენჯერმე შემპირდა, ჩემი გემით გაგასეირნებო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ სიტყვები იყო, რაკი მსგავსი არაფერი მომხდარა. მისი უძლიერესი თვისება ის არის, რომ, როგორც ჩანს, ყველა ნორვეგიელ ბიძას უჯოკრავს, უსუსტესი კი ის, რომ არასოდეს ასრულებს თავის
დაპირებებს. მისი საყვარელი გამოთქმაა: „შენ ჯერ ზღვაზე არ ყოფილხარ, ბიჭო!"

დარჩა კიდევ ერთი, ყველაზე ძნელად დასახასიათებელი პიროვნება: გეორგ როედი. ვარ ხუთი ფუტი და ცხრა დუიმი სიმაღლის, იორგენზე ორიოდე ინჩით
მაღალი. არა მგონია, ამ ფაქტს აღტაცებაში მოჰყავდეს, მაგრამ, ვინ იცის, ერთხელაც შეიძლება ამაზე მაღლა დადგეს!!. მე ამ პიროვნების შიგნით ვცხოვრობ და, ამდენად, არ შემიძლია ვუთვალთვალო, როგორ დაიარება ოთახში. თუმცა, დროდადრო, პირისპირ გადავეყრები ხოლმე, როცა სარკის წინ
ვდგავარ. იქნებ უცნაურად ჟღერს, მაგრამ ნამდვილად ვეკუთვნი საკუთარი გარეგნობით გონივრულად ბედნიერ ადამიანთა კატეგორიას. არა, წარმოსადეგი
გარეგნობა კი არ მაქვს, უბრალოდ, უშნო არ ვარ. აქ ერთგვარი სიფრთხილე მმართებს. სადღაც წავიკითხე: ქალების ოცი პროცენტი ფიქრობს, რომ ქვეყნის
ულამაზეს ბანოვანთა სამ პროცენტში შედის და ეს რიცხვები არ იცვლება. მე ვერ
ვიტყვი, რამდენი ფიქრობს - უუშნოვეს ადამიანთა სამ პროცენტს ვეკუთვნიო, მაგრამ საშინელება უნდა იყოს მთელი ცხოვრება უბედურად ყოფნა საკუთარი გარეგნობის მიზეზით. გულწრფელად მწამს, რომ იორგენი თავს უბედურად არ
გრძნობს იმის გამო, რომ წითურია და უფეხსაცმლოდ სულ ხუთი ფუტი და შვიდი
ინჩი სიმაღლისაა. ეს მე ყოველთვის მაკვირვებდა, თუმცა პირდაპირი შეკითხვის
დასმა არასოდეს გამიბედავს.

ჩემს გარეგნობაში ყველაზე მეტად ის მაფორიაქებს, რომ შუბლზე უფრო და უფრო გამომაყარა. ის აზრი, რომ ეს გამონაყარი ოთხ თუ რვა წელიწადში გაქრება, დიდი ვერაფერი ნუგეშია. იორგენის აზრით, ეს ყველაფერი გაქრება, თუ
მასთან ერთად რამდენჯერმე დაღლამდე ვიძუნძულებ ქუჩაში. მაგრამ არა, ამაზე
მე არ წამოვეგები. ასეა თუ ისე, მისი მხრიდან ამის თქმა სისულელე იყო, რაკი

მე, რაღა თქმა უნდა, ქვეყანას არ შემოვივლი. ის მხოლოდ იფიქრებდა: იმისთვის დაძუნძულებს, რომ გამონაყარი გაუქრესო.

ლურჯი თვალები, ქერა თმა და ღია ფერის კანი მამასგან დამყვა, თუმცა, ზაფხულობით, კარგი ყავისფერი მედება.

გეორგ როედის საუკეთესო თვისება: იგი ეკუთვნის დედამიწის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც რეალურად ესმის, რომ ჩვენ, ყველანი ირმის ნახტომში
არსებულ პლანეტაზე ვცხოვრობთ. უმძიმესი ნაკლი: არცთუ სრულყოფილი ცოდნა
იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს გოგონებთან. ცუდი არ იქნებოდა, თუ რამდენიმე
პოზიტიურ ნაბიჯს გადადგამდა ამ მიმართულებით. მისი საყვარელი ფრაზაა: „დიახ, გეთაყვა, ერთიცა და მეორეც - კიდევ ცოტაოდენი".

ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში უნდა გამევლო. თუმცა, ამჯერად, იქ მყოფთაგან არც ერთი არ დამლაპარაკებია. როგორც ჩანდა,
შეთანხმდნენ, ნურაფერს ვკითხავთო. დავბრუნდი ოთახში (ოდესღაც მამაჩემს
რომ ეკუთვნოდა), კარი მოვიკეტე და საწოლზე გავიშხლართე. მალე
გავარკვევდი, ვინ იყო იდუმალი ფორთოხლის გოგონა (თუ მამაჩემი მას კიდევ
შეხვდა, რასაკვირველია). იქნებ გრძნეული იყო? მამა რომ მოხიბლა, ამას წყალი
არ გაუვიდოდა. უნდა ეარსება მიზეზს, მამასთვის ეგზომ მნიშვნელოვანს რომ
ხდიდა მთელი ამ ამბის ჩემამდე მოტანას. უდავოდ არსებობდა რაღაც, რაც მე
უნდა მცოდნოდა, რაღაც იმდენად არსებითი, რომ, ვიდრე მოკვდებოდა, მამას
ანდერძივით უნდა დაეტოვებინა შვილისთვის.

ვერაფრით მომეშორებინა განცდა, რომ ფორთოხლის გოგონა რაღაცნაირად
უკავშირდებოდა ჰაბლის ტელესკოპს, ან თუ ტელესკოპს არა, თვით სამყაროსა
და კოსმოსს მაინც. მამამ უცნაური რამ მომწერა, რადაც ისეთი, რამაც ახალი
სიცოცხლით შემოსა ეს ცნება. უკვე წაკითხული ფურცლები გადავათვალიერე:
„...
ქალიშვილს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ნაზად და მტკიცედ მომიჭირა ხელზე,
თითქოს, უწონონი, სივრცეში მივლივლივებდით; თითქოს ორივემ შევსვით
გალაქტიკათშორისი რძის ჩვენ-ჩვენი დოზა და ახლა მთელი სამყარო ჩვენს
განკარგულებაში იყო".

ნუთუ შეიძლებოდა, რომ ეს გოგონა სხვა პლანეტიდან ჩამოსულიყო? სხვა
რომ არაფერი, მამას ნაწერში მინიშნებული მაინც იყო, რომ იგი ჩვენგან
განსხვავებული სამყაროდან მოვიდა. იქნებ გამოუცნობმა მფრინავმა ობიექტმა
ჩამოიყვანა? არა, რასაკვირველია. ასეთი „ობიექტების" არსებობა არც მე მწამდა
და არც მამას. მაგრამ იქნებ თვით გოგონას სჯეროდა ეს? ესეც თითქმის
არანაკლებ ცუდი ამბავი იქნებოდა.

საათში 28 000 კილომეტრის სიჩქარით მოძრავ ჰაბლის ტელესკოპს

დედამიწის გარშემოსავლელად 97 წუთი სჭირდება. შედარებისთვის გავიხსენებ,
რომ ოსლოდან ეიდსვოლამდე მიმავალ სამოცდარვაკილომეტრიან გზას პირველი
ორთქლმავალი ორსაათ-ნახევარს ანდომებდა. ჩემი გამოთვლით, მისი საშუალო
სიჩქარე საათში ოცდარვა კილომეტრი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე,
ჰაბლის ტელესკოპი ათასჯერ უფრო სწრაფია ნორვეგიის პირველ მატარებელთან
შედარებით (ჩემი მასწავლებლის აზრით, ფრიად გონებამახვილური შედარება
გამომივიდა!).

საათში 28 000 კილომეტრი! ეს ხომ, არსებითად, უწონადო ლივლივია
კოსმოსში! შეიძლებოდა გველაპარაკა „გალაქტიკათშორისი რძის" ყლურწვაზეც,
ყოველ შემთხვევაში, როდესაც უკვე გადაღებულია ირმის ნახტომიდან
მილიონობით სინათლის წლით დაშორებულ გალაქტიკათა ფოტოები.

ჰაბლის ტელესკოპს აქვს მზის ბატარეებისგან შემდგარი ორი ფრთა,
თითოეული - თორმეტი მეტრი სიგრძის და ორ-ნახევარი მეტრი სიგანის, რის
შედეგადაც თანამგზავრს 3 000 ვატი სიმძლავრის ენერგია მიეწოდება. თუმცა,
სანამ ისტორიის მუზეუმს ჩაუფრენდა და პალასპარკამდე მივიდოდა,
კათედრალიდან აფრენილი ორი ველური მტრედი ნამდვილად ვერ ჩამოჯდებოდა
ჰაბლის ტელესკოპის თითო ფრთაზე და ვერც მთელი სამყარო გადაეშლებოდა
წინ. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მეშვიდე ციდან მოდიოდნენ?!

ფურცლების შეკვრა ავიღე და კითხვა განვაგრძე.

არანაირად არ მიცდია მომეძებნა ფორთოხლის გოგონა იმ ინტერვალში,
შობას რომ აშორებს ახალი წლისგან. შობის სიმშვიდესაც პატივისცემით უნდა
მოვპყრობოდი. მაგრამ იანვარი დიდი ხნის დაწყებული არ იყო, რომ ძებნა
განვაგრძე. საუცხოო ფორმაში ვიყავი.

ქალიშვილის მოძებნის ასობით მცდელობამ ნაყოფი არ გამოიღო და,
ამდენად, არც არაფერი მაქვს საამბობი. დარწმუნებული ვარ, ამ მომენტისთვის
შენ უკვე სავსებით გაითავისე ამ ისტორიის რიტმი და ლოგიკა.

თუმცა მაინც დავუშვებ ერთ გამონაკლისს, რაკი ის უკავშირდება
მნიშვნელოვან თემას, რომლის ხსენება შენთვის ჩამოწერილ გამოცანების სიაში
დამავიწყდა. ის ძველი ანორაკი, გეორგ! რა ითქმის ამ სამოსზე? მას ხომ დიდი
პასუხისმგებლობა ეკისრება იმისთვის, რომ ჩემს წარმოსახვას გრენლანდიაში
განსახორციელებელი სახიფათო მოგზაურობის სურათები მოუვლინა. მისმა
შემხედვარემ, იმთავითვე დავასკვენი: როგორც ჩანს, გოგონა მეტისმეტად
ღარიბია-მეთქი. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ანორაკი იმის ნიშანი იყო, რომ
გოგონა შინმსხდომთა რიცხვს არ ეკუთვნოდა.

ბევრი სათხილამურო გასვლა მქონია ზამთარში და, შესაძლოა, ნაწილობრივ
სწორედ ოსლოს მახლობლად მდებარე ტყეებსა და მთებში ხეტიალმა მიანიჭა

ჩემს სხეულს იმის ძალა, რომ მომაკვდინებელი სნეულება რამდენიმე თვით შეეყოვნებინა. თუმცა, ამჯერად, სათხილამურო ამბების მოყოლას არ ვაპირებ, -
ფორთოხლის გოგონა ხომ არასოდეს შემხვედრია მთებში, არც სათხილამურო ტრასებზე და არც ქოხებთან. მაგრამ, მარტის მოახლოებასთან ერთად, ჰოლმენკოლენის კვირაც ახლოვდებოდა. თხილამურებით ხტუნვის ჩემპიონატის
მოახლოებამ ისეთი მოლოდინით აღმავსო, ყველა ცალკეული ფრაგმენტი ერთ სურათად გაერთიანდა.

კარგი ამინდის შემთხვევაში ჰოლმენკოლენის შეჯიბრებაზე 50 000 კაცზე მეტი გროვდება. ოსლოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დღეს გორაზე ადის. მაგრამ, როგორ ფიქრობ, აქედან რამდენ პროცენტს ეცმევა ძველი ანორაკი? მე თუ მკითხავ, - ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტს.

იმ კვირადღეს, როცა ჰოლმენკოლენს მივაშურე, არც ისე ცუდი ამინდი იდგა.
ამ საქმეს წყალი არ გაუვიდოდა: ფორთოხლის გოგონასთან შეხვედრის 50 000-ზე მეტი შანსი მქონდა. შემიძლია გითხრა, რომ ოსლოს სხვენებში ძველი
ანორაკების დიდი სიმრავლე ყოფილა და მარტის იმ კვირადღეს ყველა ერთად გამოიფინა იქ. კვირადღე ჰოლმენკოლენში მზით გახუნებული ყველა ფერის ძველი ანორაკის ელდორადოს ჰგავს. სპორტსმენებისთვის არც კი შემიხედავს: უამისოდაც უამრავი სათვალიერებელი მქონდა. ბევრჯერ წავაწყდი „ფორთოხლის ქალიშვილს" და ყოველ ჯერზე ნამდვილად ჰოლმენკოლენური შეძახილი მომადგა ყელში... მაგრამ არა, კვლავ ვიღაც სხვა იყო და არა ის. ორჯერ მომაჯადოებელი სამაგრიც კი მომელანდა, მაგრამ - არა მის თავზე.

ფორთოხლის ქალიშვილი იქ არ იყო, გეორგ! აი, სიმართლე. სხვა იქიდან არც
არაფერი წამომიღია. ისიც კი ვერ შევიტყვე, ვინ გაიმარჯვა. იმ დღეს სხვა ვერაფერი შევნიშნე, გარდა იმისა, რომ ფორთოხლის გოგონა შეჯიბრებას არ დასწრებია. მხოლოდ არარსებულს ვათვალიერებდი.

მას შემდეგ ჰოლმენკოლენში სულ ერთადერთხელ ვიყავი. არ ვიცი, გეუბნება ეს რამეს თუ არა. ხომ არაფერი გახსენდება ისეთი, რაც მე და შენ ერთად მოვიმოქმედეთ, როცა სულ სამწლინახევრის იყავი?

იმ წელს ჩვენ ქვემოთ ვიდექით და მხტუნავ მოთხილამურეებს ავცქეროდით. იმ მარტში სრულებით უნიკალური ამინდი დაგვიდგა. ყველგან რბილი, მსუბუქი
ნიავი უბერავდა და თითქმის ზაფხულის ტემპერატურა მოჰქონდა. შეჯიბრებისთვის საჭირო თოვლი ქვეყნის მეორე ნაწილიდან ან, უფრო ზუსტად,
ფინსეს მახლობლად აღმართული მთებიდან უნდა გადმოეტანათ. იმ წელს ოქროს მედალი იენს ვეისფლოგმა მოიპოვა. ნორვეგიელი მაყურებლისთვის ეს ნამდვილი დარტყმა იყო, თუმცა დიდი სენსაცია მაინც არ გამოუწვევია, რაკი ამ
კაცმა წინა წელსაც ოქროს მედალს გამოჰკრა ხელი.

ჰოდა, ახლა პატარა საიდუმლოს გაგანდობ: მარტის იმ უსუსხო დღეს, თითქმის ექვსი თვის წინ, როცა მე და შენ ჰოლმენკოლენს ვესტუმრეთ, ჩემი

თავი იმაზე დავიჭირე, რომ, დროდადრო, ირგვლივ ვიყურებოდი და ისევ და ისევ
ფორთოხლის გოგონას ვეძებდი. უკვე ათ წელიწადზე მეტი დრო გასულიყო, მაგრამ მაშინდელი გულგატეხილობა ისევ ცოცხლობდა ჩემში.

ბევრი დრო აღარ დამრჩა, ყმაწვილო გეორგ! მაგრამ ეს მაინც არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ახლა რამდენიმე კვირით წინ გადავინაცვლებ.
იმ შუალედში სხვა მაინც არაფერი მომხდარა.

უცებ, აპრილის მიწურულის ერთ დღეს, ჩვენი საფოსტო ყუთიდან ლამაზი ღია
ბარათი ამოვიღე. შაბათი დღე იყო და მშობლებთან ვიყავი, უმლევეიენში. ღია
ბარათი ადამსტუენში არ გაუგზავნიათ, – იქ, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში გუნართან ერთად ვცხოვრობდი, – თუმცა ზედ მაინც ჩემი სახელი
ეწერა.

წარმოიდგინე: ღია ბარათზე გამოსახული იყო სურათი – ფორთოხლის საოცარი ტევრი ზედ წარწერილი სიტყვებით: PATIო დე ლოშ ნაღანჟოშ, რაც დაახლოებით „ფორთოხლის შიდა ეზოს" ნიშნავს (ამდენი ესპანური კი მესმოდა.
ხომ გითხარი: აზრის თავმოყრას ვახერხებ-მეთქი).

ფორთოხლის შიდა ეზო! გული ამიბაგუნდა და მერე როგორ! არსებობს ისეთი
რამ, რასაც სისხლის წნევა ჰქვია, გეორგ! ექსტრემალურ სიტუაციაში შეიძლება
უცბად, სულ ერთი ნახტომით ავარდეს. მაგრამ, დე, ეს ნურც დიდ გამოცდილებას
მოგწყვეტს და ნურც ღრმა შთაბეჭდილებებს. ეს ხომ არამავნებელი რეაქციაა (თუ
მორიდებაა, ჯობს ისევ პარაშუტით და, ყველაზე მეტად კი ელასტიკური ტროსით
ხტომას ერიდო!).

ბარათის მეორე მხარეს სევილიის ფოსტის მარკა ეკრა და ერთადერთი ფრაზა ეწერა: „ვფიქრობდი შენზე. შეგიძლია ცოტა ხანს კიდევ მოიცადო?"

სხვა არაფერი: არც მისამართი, არც გამგზავნის კოორდინატები! თუმცა იყო კიდევ ერთი რამ: ხელით დახატული მისი სახე, გეორგ, თითქოს ნამდვილი მხატვრის მიერ დახატული ციყვის სახე!

ამ ყველაფერმა მაინცდამაინც არ შემაცბუნა. ფორთოხლის გოგონას ფორთოხლის ეზოში უნდა ეცხოვრა, აბა, სხვაგან სად? როგორც ჩანს, ამდგარიყო
და, უბრალოდ, თავის სადედოფლო საბრძანებელში – ფორთოხლის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. ეს მეტისმეტად კარგად ესადაგებოდა ჩემს წინასწარ მოსაზრებებს. განა იესოც ტაძარში – თავისი მამის სახლში არ დარჩა?

აღარაფერი იყო გაუგებარი. ყველა გამოცანა ამოიხსნა. პასიანსი გაიშალა. იქ, თავის მხარეში, ფორთოხლის გოგონა ექვს თვეს მოისვენებდა და უკეთ

გაუფრთხილდებოდა მისთვის ესოდენ ნიშნეულ, თითქმის არტისტულ ვნებას ფორთოხლის მრავალგვაროვნებისადმი, მერე კი, როცა საკმარისად გამოცოცხლდებოდა და იქაურობისგან მოწყვეტას შეძლებდა, დაბრუნდებოდა და
შეასრულებდა თავისივე პირობას – ყოველდღე შემხვდებოდა მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში. ამის შემდეგ კვლავ თავის საუფლოს მიაშურებდა, თუმცა
ეს – მხოლოდ მოგვიანებით.

სრულებით აღტყინებული ვიყავი და ჩემმა ტვინმაც მეტისმეტი რაოდენობით დაიწყო იმის გამოყოფა, რასაც ჩვენ, ექიმები, ენდორფინებს ვუწოდებთ. არსებობს აღტყინების ამ თითქმის კლინიკური მდგომარეობის აღმწერი საგანგებო სიტყვა. ამ დროს ჩვენ ვამბობთ, რომ პაციენტი ეიფორიულია. სწორედ
ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი ახლა. ამის შედეგი იყო ის, რომ პირდაპირ დედას და მამას მივაწყდი. ორივენი სათბურში ისხდნენ: დედა მწვანე სავარძელში ირწეოდა, მამა ძველ შეზლონგზე მიმალულიყო შაბათის გაზეთის უკან. მათთან შევჯლაგუნდი და, – ცოლს ვირთავ-მეთქი, – გამოვუცხადე. დიახ,
ავუხსენი, რომ ცოლის მოყვანას ვაპირებდი. არადა, არ უნდა მოვქცეულიყავი ასე: თხუთმეტი წუთის შემდეგ ხომ ორგანიზმი ჩამიცხრა. ტვინმა ენდორფინების
გამოყოფა შეწყვიტა და ჩემი ეიფორიაც ჩაცხრა. ახლა ხომ კიდევ უფრო ნაკლები
მესმოდა, ვიდრე ოდესმე.

აქამდე ფორთოხლის გოგონას უკვე გამხელილი ჰქონდა, რომ იცოდა ჩემი სახელი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ გვარიც სცოდნია. მეტიც, გეორგ, იქ, თავის
ფორთოხლის ქვეყანაში, მას ჩემი ძველი უმლევეინური სახლის მისამართიც ჰქონია. ამაზე რას იტყვი? საამური და საუცხოო იყო ეს ფიქრი, იმისდა მიუხედავად, რომ გამოცანა გამოცანადვე რჩებოდა. მაგრამ განა მწარე არ იყო იმის გაფიქრებაც, რომ ისე გაემგზავრა ესპანეთს, არც კი შეიწუხა თავი ეხსენებინა ეს ამბავი იმ ყოვლად ჯადოსნურ წუთებში, როცა ხელიხელჩაკიდებულები მივაბიჯებდით პალასპარკისკენ? მალე საშობაო ზარებმა ჩამოჰკრეს და კონკიაც შეხტა თავის კარეტაში, სანამ ეს უკანასკნელი გოგრად არ გადაქცეულიყო.

ეს იყო სამ-ნახევარი თვისა და, სულ მცირე, ოცდახუთი სათხილამურო გასვლის (უმჯობესია ვთქვა – ძებნის) წინ.

ან იქნებ, ამასობაში, მაროკო, კალიფორნია და ბრაზილიაც შემოიარა? დღეს ფორთოხალი გლობალური მოხმარების პროდუქტია და, მე თუ მკითხავთ, დიდი
ხნის წინ უნდა აღიარებულიყო ბუნების უმნიშვნელოვანეს ხილად. იქნებ ფორთოხლის გოგონა ფარულად მუშაობდა გაეროს ფორთოხლის ინსპექტორატში? ნუთუ შეიძლებოდა, რომ გაჩენილიყო ფორთოხლის რაღაც სრულებით ახალი, საზარელი სნეულება? იმიტომ ხომ არ აკითხავდა გამუდმებით იონგსტორგეტის ხილის ბაზარს, რომ ფორთოხლის მდგომარეობა შეემოწმებინა? იქნებ ამიტომ მოჰქონდა ყოველკვირეულად სათითაოდ შერჩეული ნაყოფი?

ვინ იცის, იქნებ ჩინეთამდეც ჩააღწია. დიდი ხნით ადრე გავიგე, რომ

ფორთოხალი თავდაპირველად ჩინეთიდან მოვიდა. მაგრამ თუ ფორთოხლის ქალიშვილმა ჩინეთამდე იმომლოცველა, – იქამდე, სადაც პლანეტის პირველი ფორთოხლის ყვავილი გაიშალა, – მე მაინც ვერასოდეს გავუგზავნიდი ღია ბარათს, რომელსაც ეწერებოდა ფორთოხლის გოგონა, ჩინეთი. მეტისმეტად გაუძნელდებოდა ფოსტალიიონს მისი მოძებნა მილიარდ სხვა ადამიანში. მე თვითონ შეიძლებოდა მეპოვა კიდეც, მაგრამ სად იყო იმის გარანტია, რომ ჩინელი ფოსტალიონი ჩემსავით მუყაითი გამოდგებოდა.

კეთილი, გეორგ, უნდა ვიჩქაროთ.

რამდენიმე დღით გავთავისუფლდი ჩემი შტუდირებიდან, დედას და მამას ათასი კრონი ვესესხე, იაფფასიანი ბილეთი ავიღე თვითმფრინავზე და მადრიდში გადავფრინდი. იქ ერთი ღამე ძველი თანაკლასელის ბიძასთან გავათიე ღამე და მეორე დილის ადრეული რეისით სევილიაში ჩავფრინდი.

რა თქმა უნდა, არაფერი მარწმუნებდა, რომ ქალიშვილს ნამდვილად ვიპოვიდი. აქაც იმდენივე შანსი იყო, რამდენიც ჰოლმენკოლენში. მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ: პირისპირ რომც არ შევხვედროდი სევილიაში, ის მაინც ვიცოდი
დანამდვილებით, რომ სულ ცოტა ხნის წინ აქ იმყოფებოდა (სანამ, ვთქვათ, მაროკოსკენ განაგრძობდა გზას). რაც უნდა მომხდარიყო, ფორთოხლის ქვეყანას
მაინც შევეხებოდი და ფორთოხლის იმავე ტკბილ სურნელებას შევიყნოსავდი, რომელიც მას შეეყნოსა. მსურდა, იმავე ქუჩებში მევლო, რომლებშიც მას გაევლო, იქნებ იმავე სკამებზეც კი ჩამოვმჯდარიყავი, რომლებზეც ის მჯდარიყო.
ეს, თავისთავად, საკმარისზე მეტი მიზეზი იყო სამოგზაურად. და არც ის იყო
წარმოუდგენელი, რომ მის მიერ დატოვებულ რაიმე მნიშვნელოვან გასაღებს წავწყდომოდი (თუნდაც თვით ფორთოხლის შიდა ეზოში, თუ იქ შევაღწევდი).
ჩემი წარმოდგენით, ასეთი წმინდა ადგილი შეიძლებოდა დაცული ყოფილიყო წყლით სავსე თხრილებით, ავი ძაღლებითა და მკაცრი პატრულით.

თუმცა სევილიაში ჩაფრენიდან ნახევარი საათის შემდეგ, მე უკვე „შიდა ეზოში" დავსეირნობდი. ეს მშვენიერი ფორთოხლის ტევრი – თითქმის ინგლისური
ტიპის ბაღნარი – ვეება კათედრალის შიგნით მოქცეულ მდელოზე გაეშენებინათ.
ჩამწკრივებული ხეები გადამწიფებულ ნაყოფს დაეხუნძლა.

მაგრამ ფორთოხლის გოგონა არსად ჩანდა. ალბათ, წუთის წინ გავიდა ქალაქში და მალე დაბრუნდებოდა...

ვცადე გაუზვიადებლად მეფიქრა. ვცადე საკუთარი თავი დამეჯერებინა, რომ არ უნდა მქონოდა ფორთოხლის გოგონას შეხვედრის მოლოდინი არც ახლა და არც პირველ დღეებში. ასე რომ, „შიდა ეზოში" სამ საათზე მეტხანს არ დავრჩენილვარ. თუმცა, სანამ იქიდან გამოვიდოდი, შუაგულ ბაღნარში აღმართულ ძველ შადრევანზე წერილი დავტოვე (ეს ადგილი უფრო უსაფრთხოდ
მეჩვენა): „მეც ვფიქრობდი შენზე. არა, მეტს ვეღარ მოვიცდი". ფურცელს ზემოდან
ქვა დავადე.

არც სახელი მიმიწერია, არც ის – ვისთვის იყო წერილი განკუთვნილი, მხოლოდ ჩემი სახე მივახატე. არანაირად არ მგავდა, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ფორთოხლის გოგონა ფურცლის პოვნისთანავე მიხვდებოდა, ვინც იყო დახატული. დიდხანს მაინც არ დაიგვიანებდა. დროდადრო მაინც უნდა
შემოიაროს ხოლმე თავისი ფოსტის სანახავად.

ჯერ ერთი საათიც არ გასულიყო, რაც ქალაქში დავბრუნდი და ტკივილით გავაცნობიერე, რომ, შესაძლოა, დიდი შეცდომა ჩავიდინე.

„ექვს თვეს მოგიწევს მოცდა, – მითხრა მან, – თუ ამას მოახერხებ, ჩვენ ისევ
ვნახავთ ერთმანეთს". ამდენ ხანს რატომ უნდა ვიცადო-მეთქი, ვკითხე მაშინ.
მან კი უბრალოდ მიპასუხა: „იმიტომ, რომ შენ სწორედ ამდენ ხანს გმართებს
ლოდინი. მაგრამ თუ მოახერხებ, მაშინ მომდევნო ექვს თვეს ყოველდღე ერთად
ვიქნებით".

გესმის, გეორგ? მე წესებს არ მივყევი. ვერ მოვახერხე, რომ ექვსი თვის გასვლას დავლოდებოდი და, ამიტომაც, აღარ უნდა მქონოდა მომდევნო ექვს თვეს ყოველდღიურად ერთად ყოფნის მოლოდინი.

ჩვენი საზეიმო პაქტი საკმაოდ იოლი გასაგები იყო, ეგაა – შესასრულებლად იყო ძალიან ძნელი. მაგრამ წესები ყველა ზღაპარს აქვს და, ეგებ, სწორედ წესები განასხვავებს ერთ ზღაპარს მეორისგან. ეს წესები გაგებას კი არ ითხოვს,
არამედ მიდევნას. თუ არადა, მათი დაპირებაც არ აღსრულდება.

გესმის, გეორგ? რატომ უნდა დაბრუნებულიყო კონკია მეჯლისიდან შუაღამეზე
უფრო ადრე? მე გასაღები არ მქონდა და, დარწმუნებული ვარ, არც კონკიას. მაგრამ ადამიანს უფლება არა აქვს კითხვები დასვას ასეთ საგნებზე, რაკი ოდესღაც, ჯადოსნური ჯოხის შეხებით, ყოვლად ჯადოსნურ ქვეყანაში აღმოჩნდა.
უბრალოდ, უნდა მიიღოს პირობები, რაოდენ მიუღებელიც უნდა ჩანდეს ერთი
შეხედვით. თუ კონკია პრინცს უნდა შეხვდეს, მაშინ მეჯლისიდან მანამდე უნდა
წამოვიდეს, სანამ შუაღამე ჩამოჰკრავს. ეს ხომ ასე უბრალოა და გასაგები. კონკიამ წესები ერთგულად უნდა დაიცვას. თუ არადა, სამეჯლისო კაბას დაკარგავს, კარეტა კი გოგრად გადაექცევა. ჰოდა, კონკიაც ყოველ ღონეს ხმარობს შინ დასაბრუნებლად, სანამ თორმეტი დაჰკრავდეს, და მხოლოდ ბროლის ქოშს კარგავს გზაში. საკმაოდ უცნაურია, რომ სწორედ ამ ქოშს მოჰყავს
პრინცი კონკიასთან. ორმა უშნო დამ კი წესები დაარღვია და ამიტომაც ერგოთ
საკადრისი ხვედრი.

ჩემს ზღაპარში სხვა წესები მოქმედებდა. თუ მე მხოლოდ თვალს მოვკრავდი

ხელებში დიდპარკატატებულ ფორთოხლის გოგონას სამგზის ზედიზედ, ის ჩემი
იქნებოდა. თუმცა შობის საღამოსაც დავინახე და, შესაბამისად, იმაშიც
დავრწმუნდი, რომ თვალებში ვუყურებდი და ჯადოსნურ ვერცხლის სამაგრზე
ვეხებოდი ზუსტად საშობაო ზარების ჩამოკვრის მომენტში. ამის შემდეგ
ერთადერთი გამოცდა დამრჩა: უნდა მომეთმინა და ექვს თვეს აღარ მენახა. ნუ
შემეკითხები – ეგ რატომო, გეორგ! იმიტომ, რომ ასეთი იყო წესები. თუ თავს ვერ
გავართმევდი ამ დაბოლოებას – შორს ვყოფილიყავი ფორთოხლის გოგონასგან
პირველ ექვს თვეს, მაშინ მთელი მანამდელი ძალისხმევა წყალში
ჩამეყრებოდა.

სასწრაფოდ მივაშურე ფორთოხლის ბაღნარს, მაგრამ ფურცელი იქ აღარ
დამხვდა. ისიც კი არ ვიცოდი – მან წაიღო თუ სხვამ. მავანი ნორვეგიელი
ტურისტიც მშვენივრად აიღებდა იქიდან.

როგორც კი ჩემი მზერა იმ ქვას მისწვდა, რომელიც წერილს დავადე, ახალმა
აზრმა გამკენწლა, – რაღაც ისეთმა, რამაც იმედი ჩამისახა, მიუხედავად იმისა,
რომ წესები დავარღვიე.

ასე რომ, გეორგ, ფორთოხლის გოგონამ მომწერა პირველ ყოვლისა იმიტომ,
რომ ჩემი მისამართი იცოდა. შემდეგ მე საპასუხო წერილი მივწერე, მაგრამ
რამდენადაც მისი მისამართი არ მქონდა, ამიტომაც კურიერივით უნდა მიმეტანა
იმავე „ფორთოხლის შიდა ეზოში", რომლიდანაც თავისი მისალმება
გამომიგზავნა.

განა ორივეს ერთნაირი ბრალი არ მიგვიძღოდა? განა მანაც არ დაარღვია
წესები? რას ფიქრობ ამაზე, გეორგ? შენც ჩემზე არანაკლებ შეგიძლია ამ
ზღაპრის წესების ინტერპრეტირება.

თუმცა, მეორე მხრივ, მან მთხოვა ცოტა ხანს კიდევ მოიცადეო, ანუ, არც მეტი,
არც ნაკლები, ჩვენი „ხელშეკრულება" განაახლა. ამის პასუხად ვუთხარი, ახალ
პირობებს ვერ მივიღებ-მეთქი და ამიტომ ვთქვი უარი ძველ წესებზე.

მან მომწერა: „ვფიქრობდი შენზე. შეგიძლია ცოტა ხანს კიდევ მოიცადო?"

მაგრამ, გეორგ, თუკი პასუხი ამ კითხვაზე ის იყო, რომ მეტი მოცდა აღარ
შემეძლო, მაშინ, მისი აზრით, როგორ უნდა მოვქცეულიყავი?
ამას მე ვერ განვსჯიდი – მეტისმეტად ვიყავი ჩათრეული ამ ყველაფერში.
მხოლოდ ის შემეძლო, რომ მისი პოვნა მეცადა.

პირველად ვიმყოფებოდი სევილიაში და, საერთოდ, ესპანეთში. მაგრამ, აი,
უკვე ავეკიდე ტურისტების ჯგუფს ქალაქის ძველ, ებრაულ კვარტალში, რომელსაც
სანტა კრუზი ერქვა და ფორთოხლისადმი, როგორც ტრადიციული ხისადმი
მიძღვნილ უზარმაზარ ტაძარს მიაგავდა. ყველა პლაცზე და სავაჭრო მოედანზე
ფორთოხლის ხეები ჩამწკრივებულიყო.

პლაციდან პლაცზე გავდიოდი, ფორთოხლის გოგონა კი არ ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, კაფეში, დიდებულვარჯიანი ფორთოხლის ხის ქვეშ მდგარ მაგიდასთან
დავჯექი. მანამდე სანტა კრუზის ყველა პლაცი შემოვიარე და ეს, სადაც ახლა
ვიმყოფებოდი, მაინც ყველაზე მშვენივრად მეჩვენა. სახელად „პლაცა დე ლა ალიანზა" ერქვა.

ვიჯექი და ფიქრში ერთ პრობლემას ვუტრიალებდი: თუ დიდ ქალაქში ადამიანს ეძებ და წარმოდგენაც არ გაქვს მის ასავალ-დასავალზე, მაშინ რა იძლევა მისი პოვნის მეტ შანსს: ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება და ძიება თუ რომელიმე ცენტრალურ ადგილზე ჯდომა და ლოდინი, როდის მოგევლინება თავისი ფეხით?

ორჯერ წაიკითხე ეს ფრაზა, გეორგ, სანამ საკუთარ მოსაზრებას ჩამოიყალიბებდე. მე კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ სევილიის საუკეთესო უბანი
სანტა კრუზი იყო, ხოლო ამ უკანასკნელის უმშვენიერესი სკვერი - პლაცა დე ლა
ალიანზა. თუკი ფორთოხლის გოგონა ოდნავ მაინც მგავდა, ადრე თუ გვიან ზუსტად იქ უნდა მოსულიყო, სადაც მე ვიჯექი. ერთხელ უკვე შევხვდით ოსლოს
კაფეში. ასევე შევხვდით კათედრალში. თუ არსებობდა რაიმე, რაც მე და ფორთოხლის გოგონას კარგად გამოგვდიოდა, ეს იყო ყოვლად დაუგეგმავი შეხვედრები.

გადავწყვიტე იქვე დავრჩენილიყავი, სადაც ვიჯექი. ჯერ ნაშუადღევის სამი საათი იყო და ამიტომ პლაცა დე ლა ალიანზაზე, სულ ცოტა, კიდევ რვა საათი
შემეძლო ვმჯდარიყავი. არ ვფიქრობდი, რომ ეს მეტისმეტად დიდხანს ლოდინს
ნიშნავდა. ოსლოდან წამოსვლის წინ ოთახი დავჯავშნე პატარა სევილიურ სასტუმრო სახლში, რომელშიც მითხრეს - თუ მოსვლას აპირებთ, შუაღამემდე
უნდა მოხვიდეთ, შემდეგ კარს ვკეტავთო (ესპანურ სასტუმრო სახლებსაც კი ჰქონიათ თავიანთი წესები, რომლებიც უნდა დავიცვათ!). თუ პირველი საღამოს
ათიდან თორმეტ საათამდე ფორთოხლის გოგონა არ გამოჩნდებოდა, გადაწყვეტილი მქონდა, აქვე დამეცადა მთელ მომდევნო დდეს, თუნდაც განთიადიდან მწუხრამდე.

ვიჯექი და ველოდი. ვუყურებდი ადამიანებს, - ადგილობრივებს თუ ტურისტებს, რომლებიც მოდიოდნენ და მიდიოდნენ. გაოგნებული ვიყავი ქვეყნიერების სილამაზით. ისევ ეიფორიის გრძნობამ შემიპყრო, გრძნობამ, რომელიც ყველაფერ გარემომცველს ებმოდა. ვინ ვართ ჩვენ, დედამიწაზე მცხოვრებნი? პლაცზე შემოსულ-გასული თითოეული ადამიანი ცოცხალ საგანძურს ჰგავდა, აზრებით, მოგონებებით, ოცნებებითა და სურვილებით სავსე
საგანძურს. მე დანთქმული ვიყავი ჩემს პაწაწკინტელა მიწიერ ცხოვრებაში, მაგრამ ზუსტად ასევე იყო პლაცზე მოხვედრილი ყველა სხვა ადამიანიც. მაგალითად, ოფიციანტი ერთიანად დაენთქა კლიენტების მომსახურებას და, მას

შემდეგ, რაც მეოთხე ფინჯანი ყავა შევუკვეთე, დამეუფლა განცდა, რომ მაგრძნობინებდა, მეტისმეტად დიდხანს იკავებ მაგიდასო. უკვე სამ საათზე მეტხანს ვიჯექი აქ. მომდევნო ნახევარ საათში, როცა მეოთხე ფინჯანიც დაცარიელდა, ოფიციანტი სწრაფად მომიახლოვდა და ზრდილობიანად მკითხა,
გადახდას ხომ არ ინებებდითო. ვინებებდი, მაგრამ წასვლით ვერ წავიდოდი და
ამიტომაც, დაზღვევის მიზნით, ესპანური კერძის დიდი ულუფა და ერთი ბოთლი
„კოკა-კოლა" შევუკვეთე. არავითარ ლუდზე ან ღვინოზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი ფორთოხლის გოგონას მოსვლამდე. გადავწყვიტე, რომ შამპანურს ერთად დავლევდით. მაგრამ ის არ გამოჩენილა. შვიდი საათი გახდა და მაგრძნობინეს, დროა ქვითარი გამოიწეროთო. უეცრად მივხვდი, რაოდენ გულუბრყვილოდ ვიქცეოდი: ის ღია ბარათი უმლევეიენში ხომ მრავალი დღის წინ
მომივიდა და იქამდე მოსაღწევადაც, სულ ცოტა, ერთი იმდენი დრო დასჭირდა.
ფორთოხლის გოგონა უწინდებურად მიუწვდომელი ჩანდა. აშკარად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა საკეთებელი, ვიდრე ის, რომ ჩემთან კატათაგვობანა ეთამაშა. იქნებ ესპანურს სწავლობდა სალამანკაში ან მადრიდში? კაფეს ჩემი დანახარჯი ავუნაზღაურე და წასასვლელად მოვემზადე.
გულგატეხილი ვიყავი ჩემივე დეფორმირებული განსჯით და, ყელში გულამომჯდარმა, მეორე დილითვე ნორვეგიაში დაბრუნება გადავწყვიტე.

არ ვიცი, შენც თუ შეუპყრიხარ ოდესმე სრულებით ფუჭი და ამაო რამის კეთების ინტენსიურ გრძნობას. იქნებ საშინელ ამინდში გასულხარ სახლიდან რაღაც ისეთის საყიდლად, რაც ნამდვილად გჭირდებოდა, და აღმოგიჩენია, რომ
მაღაზია ორიოდე წუთის წინ დაიკეტა. ასეთი რამეები ადამიანებს გვაშმაგებს ხოლმე, ყველაზე უფრო გამაღიზიანებელი კი ჩვენივე სიბრიყვეა. მთლიანად შემიპყრო თავგზისამბნევმა გრძნობამ, რომ ამაოდ ვიმოგზაურე. და ეს მხოლოდ
სხვა ავტობუსში ასვლა არ იყო. მე სევილიაში ჩამოვედი ერთადერთი ღია ბარათით ხელში. არავის ვიცნობდი აქ, ღამეც ერთ ზინზლიან სასტუმრო სახლში
უნდა გამეტარებინა და ერთ სიტყვასაც არ ვლაპარაკობდი ესპანურად. მომინდა,
ჩემივე თავისთვის ერთი მაგრად წამერტყა ყურის ძირში, მაგრამ ეს იმდენად სულელური შესახედავი იქნებოდა, რომ კიდევ უფრო მეტ შერცხვენას ვიგრძნობდი. ჰოდა, გადავწყვიტე სხვაგვარად დამესაჯა თავი. არსებობდა თვითდასჯის მრავალი საშუალება. მაგალითად, შემეძლო აღთქმა დამედო, რაც
უნდა მოხდეს შემდგომ ცხოვრებაში, ჩემსა და ფორთოხლის გოგონას შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი.

და უცბად ის გამოჩნდა, გეორგ: რვის ნახევარზე პლაცა დე ლა ალიანზაზე შემოაბიჯა!

ოთხსაათ-ნახევარი ვიჯექი ფორთოხლის ხის ქვეშ და, აი, ფორთოხლის პლაცზე ფორთოხლის ქალიშვილი შემოფარფატდა. ოღონდ, რასაკვირველია, არა

თავის ძველ ანორაკში, – ანდალუზია ხომ სუბტროპიკული ქვეყანაა, – არამედ
რაღაც სრულებით ჯადოსნურ საზაფხულო კაბაში, რომელიც იმდენად წითლად
ელვარებდა, როგორც მის უკან, კედელზე, გირლანდებად დაკიდებული
ბუგენვილები, რომლებსაც მთელი აქ ჯდომის განმავლობაში თვალს ვერ
ვაშორებდი. ალბათ, ეს სამოსი მძინარე მზეთუნახავმა ათხოვა ან ეგებ,
რომელიმე ფერიას აწაპნა-მეთქი, – გავიფიქრე იმწამს.

არ დავუნახავვარ. პლაცზე საღამოს ბინდი ეშვებოდა. ცხელოდა, ძალიან
ცხელოდა, თუმცა მე ტანში მაციებდა და მაკანკალებდა.

დაბოლოს (მე არაფერი არ უნდა დაგიმალო, გეორგ!), მივხვდი, რომ
ფორთოხლის გოგონა სკვერში ოცდახუთამდე წლის ჭაბუკის თანხლებით
შემოვიდა. მაღალი და წარმოსადეგი ყმაწვილი იყო, ღია ფერის წვერიც
გვარიანად მოეშვა. სწორედაც პოლარეთის მოგზაურს ჰგავდა! მე კი ყველაზე
მეტად იმან შემაშფოთა, რომ სულაც არ გამოიყურებოდა არასიმპათიურად.

ასე რომ, წავაგე. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი მიზეზით მოხდა: მე ხომ წესები არ
დავიცავი და საზეიმო ვალდებულება არ შევასრულე; გადავეყარე არსებას,
რომელსაც ჩემთან არაფერი ესაქმებოდა, შევაბიჯე ზღაპარში, რომლის
წესებთან საერთო არაფერი მქონდა. „ექვს თვეს მოგიწევს მოცდა, – მითხრა მან,
– თუ ამას მოახერხებ, ჩვენ ისევ ვნახავთ ერთმანეთს..."
იმ მომენტში, როცა შემნიშნეს, მე, ალბათ, იმ ბუხარს ვგავდი, კონკია რომ
წმენდდა პრინცის მოსვლის მომენტში, დედინაცვლისა და მახინჯი დების
უღლისგან თავდასახსნელად. შემნიშნეს-მეთქი, ვამბობ, თუმცა პირველად
ფორთოხლის გოგონამ კი არ შემამჩნია, არამედ იმ წვეროსანმა (რამე თუ გესმის
ამ ყველაფერში, გეორგ? მე ვერაფერი გავიგე). შემამჩნია და ქალიშვილს ხელი
ჩასჭიდა, ჩემზე მიუთითა და ისე ხმამაღლა და ისე გარკვევით წარმოთქვა, რომ
მთელი პლაცა გაიგონებდა: „იან ოლავ!" მისი აქცენტი მანიშნებდა, რომ დანიელი
უნდა ყოფილიყო. აქამდე არასოდეს შემხვედროდა.

ის, რაც შემდეგ მოხდა, სულ ერთ წამს გაგრძელდა, მაგრამ უნდა შეეცადო და
წარმოიდგინო. ფორთოხლის გოგონამ ფორთოხლის ხის ქვეშ მჯდომარე რომ
დამინახა, ორიოდე წამით გაქვავდა შუა პლაცზე მდგარი დიდი შადრევნის
გვერდით და თვალმოუშორებლად მომაჩერდა. იმდენად გაუნძრევლად
მომჩერებოდა, თითქოს ასე იდგა ერთი თუ ორი საათის განმავლობაში და უკვე
აღარც კი ძალუძდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. თუმცა, ბოლოს, მაინც
შეირხა. მძინარე მზეთუნახავს ასი წელი ეძინა, ახლა კი ისე უბრუნდებოდა
ცხოვრებას, თითქოს სულ ერთი წამის წინ ჩასძინებოდა. სირბილით მომვარდა,
მკლავი ყელზე შემომხვია და უბრალოდ გაიმეორა ჭაბუკი წვეროსნის
სიტყვები:

– იან ოლავ!

შემდეგ იმ ახალგაზრდა კაცის ჯერიც დადგა, გეორგ! ნელა შემოისეირნა მაგიდებს შორის, ძლიერი ხელი გამომიწოდა და მეგობრული ტონით მომმართა:

– დიდებული ამბავია შენთან ხორციელად შეხვედრა, იან ოლავ!I

ამასობაში, ფორთოხლის გოგონა უკვე ჩემს მაგიდასთან მომჯდარიყო. დანიელმა ჭაბუკმა მხარზე ხელი დაადო და თქვა:

– როგორც ჩანს, მე ხელს გიშლით.

ამ სიტყვებზე უკან მიდგა, შებრუნდა და წელში მოხრილი გაუყვა იმავე გზას,
რომლითაც მოვიდა. გაუყვა და გაუჩინარდა. თავისუფლები ვიყავით მისგან. მფარველი ანგელოზები ჩემს მხარეზე იყვნენ.

ქალიშვილი ჩემ პირდაპირ დაჯდა მაგიდის მეორე მხარეს და ორივე ხელი ხელებზე დამაწყო. გულთბილად იღიმებოდა, – რამდენადმე აფორიაქებულად,
მაგრამ გულთბილად.

– იმდენი ვერ მოახერხე, – თქვა მან, – ვერ მოახერხე, რომ დამლოდებოდი!

– ვერა, – მივუგე მე, – რადგან გულში მწუხარება მაქვს.

ის ისევ იღიმებოდა. მეც ვცადე გამეღიმა, მაგრამ არ გამომივიდა.

– ასე რომ, სანაძლეო წავაგე, – დავასრულე მე.

ქალიშვილი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი თქვა:

– ცხოვრებაში ხანდახან საჭიროა, რომ ცოტაოდენი სწრაფვა შეგვეძლოს. მე შენ მოგწერე. შევეცადე, შენში ოდნავ უფრო მეტი სწრაფვის უნარი გამეღვივებინა.

ვგრძნობდი, როგორ მეჩეჩებოდა მხრები.

– ჰოდა, მეც წავაგე, – ვთქვი კიდევ ერთხელ.

– კეთილი, ცუდად მოიქეცი, – თქვა გოგონამ გაურკვეველი ღიმილით, – მაგრამ
სიტუაცია არცთუ ისე უსაშველოა.

– ეგ როგორ?

– როგორც აქამდე: ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გეყოფა მოთმინება.

– არაფერი მესმის.

ხელებზე ნაზად მომიჭირა:

– რა არ გესმის, იან ოლავ? – მხოლოდ ეს ამოიჩურჩულა.

– წესები, – ვთქვი მე, – წესები არ მესმის.

ასე დაიწყო ჩვენი გრძელზე უგრძესი საუბარი.

გეორგ! საჭირო არ არის გადმოგცე აბსოლუტურად ყველაფერი, რაც იმ საღამოს ერთმანეთს ვუთხარით. ყველაფერს ვერც კი გავიხსენებ. ისიც ვიცი, რომ უთუოდ გაგიჩნდება არაერთი შეკითხვა, შეძლებისამებრ სწრაფად პასუხგასაცემი.

ერთ-ერთი პირველი, რისი გაგებაც მსურდა, ის იყო, თუ საიდან იცოდა ფორთოხლის გოგონამ ჩემი სახელი და ჩემი მშობლების მისამართი. ეს კითხვა
ეხებოდა სევილიიდან მოსულ ღია ბარათს, რომელიც, ყოველივეს შემდეგ, ყველაზე ბოლოს მომხდარი ამბავი იყო. ვიჯექი და შეკითხვის მზერით მივჩერებოდი ქალიშვილს, რომელმაც ნაზად მიპასუხა:

– იან ოლავ... მართლა არ გახსოვვარ?

შესწავლის მზერით შევხედე, თითქოს ცხოვრებაში პირველად ვხედავდი. მხოლოდ შავ თმას და საზრიან სახეს არ ვუყურებდი. მზერით ჩამოვყევი შიშველ
მხრებს, მან ამის საშუალება მომცა, და თხელი სამოსიც ნელა ჩავათვალიერე. მაგრამ იოლი არ იყო მისი გახსენება შობამდე მომხდარი რამდენიმე შეხვედრის
კონტექსტის მიღმა. თუ ფორთოხლის გოგონას უფრო ადრეც შევხვედრივარ, სრულებით შეუძლებელი იყო მისი გახსენება, რაკი ამწუთას ვერაფერზე ვახდენდი კონცენტრირებას, მისი უსასრულო მშვენიერების გარდა. თვით ღვთის
ქმნილებაა-მეთქი, – ვფიქრობდი, – ან კიდევ პიგმალიონის, ლეგენდარული ბერძენი მოქანდაკის, რომელმაც თავისი ქალი-იდეალი მარმარილოში გამოკვეთა, მერე კი სიყვარულის ღვთაებას შეებრალა და ეს ქანდაკება გააცოცხლა. უკანასკნელად, ფორთოხლის ქალიშვილს შავი საზამთრო ქურთუკი
ეცვა, ახლა კი იმდენად თხლად შემოსილიყო, რომ სრულებით დავიბენი. ისეთი
შეგრძნება მქონდა, თითქოს მეტისმეტად ვუახლოვდებოდი. მაგრამ, მიუხედავად
ამისა ან, ეგებ, სწორედ ამის გამო, ვერაფრით ვერ ვიხსენებდი ჩემ წინ მჯდარ
არსებას.

– იქნებ სცადო და გამიხსენო? – გაიმეორა მან, – ძალიან მინდა, რომ ასე მოიქცე.

– გასაღებს ხომ ვერ მომცემდი? – შეევედრე მე.

– უმლევეიენი, იდიოტო!

უმლევეიენი. გზა, რომელზეც მე გავიზარდე, რომელზეც დავიბადე, რომელზეც
მთელი ჩემი სიცოცხლე გავატარე. ადამსტუენში ჯერ ექვსი თვეც კი არ მეცხოვრა.
– ან ირისვეიენი, – დაუმატა მან.

ეს გზაც იმავე რეგიონში იყო: უმლევეიენი ირისვეიენს გამოეყოფოდა.

– ან, თუნდაც, კლოვერვეიენი!

კიდევ ერთი იქაური გზა. ბავშვობაში ხშირად მითამაშია კლოვერვეიენზე კანტიკუნტად მდგარ სახლებს შორის მდებარე ბუჩქებიან და ხეებიან ფართო, დაუსახლებელ ტერიტორიაზე. რამდენადაც მახსოვდა, იქ ქვიშის მანეჟიც იყო და
საქანელაც. რამდენიმე წლის წინ სკამებიც დადგეს.

ისევ ფორთოხლის გოგონას მივაჩერდი... და მთელი სხეული შემერყა. თითქოს რაღაც იღვიძებდა ღრმა ჰიპნოზიდან. ხელები ხელებზე მოვუჭირე, უფრო და უფრო ძლიერად. ცოტაც და, ცრემლი წამსკდებოდა.

– ვერონიკა! – აღმომხდა ბოლოს.

ქალიშვილს სახე გაუნათდა. მანაც ხომ არ მოიწმინდა ცრემლი თვალის კუთხიდან?

თვალმოუშორებლად ჩავყურებდი თვალებში. ამჯერად ვეღარაფერი შემაკავებდა, ყოველგვარი მორცხვობა უკუვაგდე. უცებ მოვიკრიბე გამბედაობა,
სული გამეშიშვლებინა მის წინაშე, უპირობოდ და უკანმოუხედავად მივცემოდი
ფორთოხლის გოგონას. თითქოსდა მთელ არსებაში რადაც უსაშველო შვება ჩამეღვარა.

შეედრება კი, თავისი ინტიმურობით რამე იმ ორ მზერას, მტკიცედ და არაორაზროვნად რომ შეხვდა და, უბრალოდ, აღარასოდეს მიატოვებს ერთმანეთს?

ირისვეიენში ყავისფერთვალება გოგონა ცხოვრობდა. თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით მას შემდეგ, რაც სიარული ვისწავლეთ და, მასთან ერთად, რაღა
თქმა უნდა, ლაპარაკიც. თავდაპირველად სკოლაშიც ერთ კლასში მოვხვდით. მაგრამ იმ წელს, შობის შემდეგ, ვერონიკამ და მისმა მშობლებმა ქალაქი დატოვეს. მაშინ ორივენი შვიდ-შვიდი წლისანი ვიყავით, სულ რაღაც თორმეტი
თუ ცამეტი წლის წინ. მას შემდეგ აღარასოდეს შევხვედრივართ.

ის და მე ყოველთვის ერთად ვთამაშობდით კლოვერვეიენის დიდ ბორცვზე, ბუჩქებს, ყვავილებსა და ხეებს შორის. აი, სად ვეწეოდით ჩვენს ციყვურ, სავსებით ციყვურ ცხოვრებას. ვერონიკა ირისვეიენიდან რომც არ წასულიყო, უზრუნველი ბავშვობა მალე მაინც დასრულდებოდა. სათამაშო მოედანზე უკვე ჩურჩულებდნენ ჩემზე: გოგონებთან თამაში ურჩევნიაო.

მახსენდება სიმღერა, რომელიც ერთ-ერთ ჩვენგანს შინ გაეგონა და რომელსაც თამაშის დროს მუდამ ვმღეროდით: „მე ვიცნობ პატარა ბიყს, რომელიც პატარა გოგოსთან ითამაშებდა. მთელ დღეს ასე გავიხარებდით ჩვენივე ოცნების სამყაროში“.

– მაგრამ შენ ვერ მიცანი, – თქვა ქალიშვილმა და ნამდვილად არ შემეძლო არ
შემენიშნა მისი გულაცრუებული ტონი, წყენამდე რომ აღარაფერი აკლდა.

ამწუთას თითქოს შვიდი წლის ბავშვს ველაპარაკებოდი და არა ოცი წლის ქალიშვილს.

კიდევ ერთხელ დავაცქერდი. რაოდენ მომხიბლავი და მაცდუნებელია ეს წითელი კაბა-მეთქი, - გავიფიქრე ჩემთვის. უკვე ვხედავდი სამოსის ქვეშ მსუნთქავ მის სხეულს: ისე ადი-ჩადიოდა, როგორც მშვენიერ სანაპიროზე მოგორებული ზვირთები. ამ შემთხვევაში, სანაპირო მისი სამოსი იყო.

ზემოთ ავიხედე და ფორთოხლის ტოტებში მოფარფატე ყვითელი პეპელა დავლანდე, - არცთუ პირველი იმ დღეს. თითი მივუშვირე და ვთქვი:

- როგორ ამოვიცნო პატარა მუხლუხო, რომელიც უკვე დიდი ხანია პეპლად იქცა?

- იან ოლავ! - წარმოთქვა გოგონამ მკაცრად და ამის შემდეგ მეტი აღარაფერი
თქმულა მის მეტამორფოზაზე ბავშვობიდან ქალობაში.

კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა მქონდა. ფორთოხლის გოგონას გაცნობამ კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანა და, საერთოდ, ძირისძირამდე შეარყია ჩემი არსებობა. პირდაპირ ამ თემაზე გადავედი.

- ერთმანეთს ოსლოში შევხვდით. სამჯერ შევხვდით და, პრაქტიკულად, მას შემდეგ სხვა აღარაფერზე მიფიქრია. შემდეგ შენ გაქრი, უბრალოდ - სადღაც გაფრინდი. შენი შეჩერება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე პეპლის დაჭერა ცარიელი ხელებით. მაგრამ რატომ უნდა გასულიყო მაინცდამაინც ექვსი თვე ჩვენს მომდევნო შეხვედრამდე?
იმიტომ, რომ სევილიაში იყო წასასვლელი, - ბუნებრივია. ეს მშვენივრად მესმოდა. მაგრამ რატომ იყო მისთვის ასე მნიშვნელოვანი ექვსი თვის გატარება
ესპანეთში? იქნებ ეს იმ დანიელ წვეროსანს უკავშირდებოდა?

დარწმუნებული ვარ, შენც შეგიძლია მისი პასუხი გამოიცნო, გეორგ! მე ვერ შევძელი, მაგრამ შენ ხომ ნახე, რითია გატაცებული დედაშენი. მთელი ეს პერიოდი, როცა ამსიგრძე წერილს გწერ, სულ მაინტერესებდა, ისევ ჰკიდია თუ
არა წინკარში ფორთოხლისხეებიანი დიდი ნახატი. ამ პერიოდში დედას სჩვევია
თქმა - ეს სურათი უკვე საჩემო აღარ არისო, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ შენი სახელით აღარ გადააგდო და არც სხვენში შეინახა. ასე რომ ექნა, მაშინ, მე მგონი, შენ უნდა მოგეკითხა.

- ხელოვნების სკოლაში ჩავაბარე, - თქვა ქალიშვილმა, უფრო სწორად, სამხატვრო სკოლაში. კურსი უნდა დამემთავრებინა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი
იყო.

- სამხატვრო სკოლაში? - ჩავეკითხე გაოგნებულმა, - კი მაგრამ, რატომ არაფერი მითხარი შობის საღამოს?

რაკი მაშინვე არ მიპასუხა, ისევ მე განვაგრძე:

- ის თუ გახსოვს, როგორ თოვდა? ან ის, თმაზე რომ მოგეფერე? ან ის, როგორ

ჩამოჰკრეს ზარებმა ტაქსის მოსვლისას? შემდეგ შენ წახვედი!

– ყველაფერი მახსოვს. ისე მახსოვს, თითქოს ფილმს ვუყურებდე. ისე მახსოვს, როგორც... ძალზე რომანტიკული ფილმის პირველი სცენები.

– ჰოდა, არ მესმის, რატომ ხარ ასეთი გულდახურული, – არ
დავამთავრებინე
მე.

სახე სერიოზულმა მზერამ დაუჩრდილა.

– მგონი, უკვე მაშინ მომიხვედი თვალში, ფროგნერის ტრამვაიში რომ შევასკდით ერთმანეთს, – თქვა გოგონამ, – შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთხელ მომეწონე, თუმცა სრულიად ახლებურად. შემდეგ ჩვენ რამდენჯერმე კიდევ შევხვდით. თუმცა, ჩემი აზრით, შეგვეძლო ექვს თვეს უერთმანეთოდ გაგვეძლო: იქნებ ეს ორივესთვის საჭიროა-მეთქი. ბავშვობაში ძალიან ახლოს ვიყავით, ახლა კი ბავშვები აღარ ვართ. იქნებ საჭიროა, რომ ცოტათი მაინც ვესწრაფოდეთ ერთმანეთს, ანუ ისევ ერთად არ მოვყვეთ თამაშს ძველი ჩვეულებისამებრ. მინდოდა, სულ ახლიდან და ახლიდან აღმოგეჩინე, შენც ისევე
გეცანი, როგორც მე გიცანი. ამიტომაც მაშინვე არ გითხარი, ვინ ვიყავი.

ვერ ვიხსენებ, რა ვუპასუხე ამაზე, და არც ფორთოხლის გოგონას ყოველი სიტყვა აღარ მახსოვს, მაგრამ ნელ-ნელა, ჩვენი საუბრის კვალდაკვალ, ერთი საგნიდან მეორეზე გადავედით, უფრო ხშირად კი – ერთი ეპიზოდიდან მეორეზე.

– შენს დანიელ მეგობარზე რას იტყვი? – ვკითხე შესაფერის მომენტში, თითქოს ვცდილობდი რადაც გამომეტყუა. სისულელე იყო. როგორ დავწვრილმანდი-მეთქი, ვიფიქრე.

მოკლედ, თითქმის მკაცრად მიპასუხა:

– მოგენსი ჰქვია. ისიც სამხატვრო სკოლაშია. ძალიან კარგი ვინმეა. არც ის არის ცუდი, რომ გვერდით ვინმე სკანდინავიელი გყავდეს.

თავი მიბჟუოდა.

– კი მაგრამ, საიდან იცოდა ჩემი სახელი? – არ მოვეშვი მე.

ვცდილობ ვიფიქრო, რომ ამ შეკითხვაზე გაწითლდა. თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ძნელი სათქმელი იყო, შესაძლოა, მისივე წითელი სამოსის გამო,
თანაც იმ დროისთვის უკვე თითქმის მთლიანად ჩამობნელდა, მხოლოდ ორიოდე რკინის ლამპიდან ეფინებოდა დაცარიელებულ პლაცს ოქროსფერი სინათლე. ერთი ბოთლი რიბერა დელ დუეროს წითელი ღვინო შევუკვეთეთ და
ახლა ჩვენ-ჩვენი ჭიქით ხელში ვისხედით.

– შენი სურათი მაქვს დახატული, – მითხრა ქალიშვილმა, – მხოლოდ მეხსიერებით დავხატე, თუმცა საკმაოდ გგავს. მორგენსს მოსწონს. ოდესმე ნახავ. ასევე ჰქვია: „იან ოლავ".

ესე იგი, თვით ვერონიკას დაუხატავს თავისი სახე ღია ბარათზე. ამის

შეკითხვა აღარ მჭირდებოდა. თუმცა სხვა რამე მაწუხებდა.

– ესე იგი, თეთრ „ტოიოტას" მორგენსი არ მართავდა? – ჩავეძიე მე. მან გადაიკისკისა, თითქოს საუბრის თემის შეცვლა უნდაო.

– იქნებ გგონია, რომ ხილის ბაზარში არ დამინახავხარ? იქ მხოლოდ შენი გულისთვის ვიყავი.

არ მესმოდა, რას გულისხმობდა. თითქოს გამოცანებით ლაპარაკობდა. შემდეგ განაგრძო:

– თავდაპირველად ფროგნერის ტრამვაიში შევხვდით. შემდეგ ქალაქში დავბოდიალობდი და ასე აღმოვაჩინე შენი საყვარელი კაფე. ერთ დღესაც შევედი (მანამდე რომ არასოდეს ვყოფილვარ) და ესპანელი მხატვრის, ველასკესის ახალნაყიდი ალბომიც თან შევიყოლე. ვიჯექი და ვითომ ვათვალიერებდი, სინამდვილეში კი ველოდი.

– მე მელოდებოდი?

ვიცოდი, რომ ბრიყვული შეკითხვა დავუსვი. მის პასუხს თითქმის გაღიზიანების ტონი დაჰკრავდა:

– იმედია, არ ფიქრობ, რომ მარტო შენ ეძებ? მეც ამ ისტორიის ნაწილი ვარ და
არა შენ მიერ მოსახელთებელი რომელიმე პეპელა.

ვერ გავბედე, უფრო ღრმად შემეტოპა ასეთ საკითხებში, ამწუთას ეს ერთობ სახიფათო მეჩვენა.

- იონგსტორგეტზე რას იტყვი? – ვკითხე უბრალოდ.

– ნუ ბავშვობ, იან ოლავ! მე ხომ უკვე გითხარი: „სად ხარ, იან ოლავ? – ვფიქრობდი, – და სად შეეცდები ჩემს მოძებნას, თუ ნამდვილად გსურს, რომ
მომძებნო მას შემდეგ, რაც ორჯერ გადამეყარე ფორთოხლებით სავსე ვეება პარკით ხელში?" ზუსტად ვერ ვიტყოდი, რასაკვირველია, მაგრამ ვიფიქრე: ალბათ, ქალაქის ყველაზე დიდ ხილ-ბოსტნეულის ბაზარში მომძებნის-მეთქი. ბევრჯერ მივაკითხე იონგსტორგეტს შენი პოვნის იმედით. კლოვერვეიენშიც ვიყავი და უმლევეიენშიც. ერთხელ შენი მშობლებიც მოვინახულე. მაშინვე ვინანე, როგორც კი კარი გააღეს, მაგრამ, დე, მოსახდენი მომხდარიყო. ეს ჩემი
ბავშვობის დროინდელი სახლია და ძველი საყვარელი ადგილები-მეთქი, რაღაც
ამდაგვარი ვუთხარი. სხვათა შორის, სულაც არ დამჭირდა ჩემი სახელის თქმა,
იმწამსვე მიცნეს და შემიპატიჟეს. მაგრამ აღარ შევედი: ამჯერად მეჩქარება, სევილიის სამხატვრო სკოლაში მოვეწყვე-მეთქი.

არ ვიცოდი, დამეჯერებინა თუ არა ეს ყველაფერი.

– სიტყვაც არ უთქვამთ ჩემთვის, – ვთქვი შემდეგ.

ის კი იჯდა და ბაგეზე გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა. „რაღაცით მონა

ლიზას წააგავს", გავიფიქრე იმწამს. მაგრამ ეს, შესაძლოა, იმიტომ მოხდა, რომ
სადღაც გონებაში უკვე მიციმციმებდა ახალი ამბავი: ფორთოხლის გოგონა ხელოვნების სკოლის სტუდენტი იყო.

– ვთხოვე, არაფერი ეთქვათ ჩემი ვიზიტის შესახებ და, იძულებული ვიყავი, ეს
სურვილი დამესაბუთებინა კიდეც.

ენაჩავარდნილი ვიჯექი. სულ რამდენიმე დღის წინ მამას და დედას სევილიიდან მიღებული ღია ბარათი ვუჩვენე. თითქმის სირბილით შევვარდი მათთან და, ცოლი მომყავს–მეთქი, ვუთხარი. ახლაღა ვხვდები, რატომ მომცეს
ასე უპრობლემოდ თვითმფრინავის ბილეთის ფული. ერთხელაც არ უკითხავთ:
რამდენად მიზანშეწონილია შუა სემესტრში სადღაც გამგზავრება ორიოდეჯერ შეხვედრილი გოგოს სანახავადო.

– არც ისე ადვილია კონკრეტული ადამიანის მოძებნა დიდ ქალაქში, განსაკუთრებით – თუ სურვილი გაქვს, ისე იპოვო, ვითომც მოულოდნელად შეეჩეხე, – განაგრძო ფორთოხლის გოგონამ, – არადა, ზოგჯერ ზუსტად ასე გინდა,
რომ მოხდეს. სამხატვრო კურსები უნდა დამეწყო სხვა ქვეყანაში და არ მინდოდა
ვინმეს მივბმოდი გამგზავრების წინ. მაგრამ თუ ორი ადამიანი თითქმის მხოლოდ ერთმანეთის ძებნით არის დაკავებული, მაშინ არც ისე გასაკვირია, რომ უცბად ერთმანეთს გადაეყარონ.

მე თემა შევცვალე, უფრო სწორად, საუბრის საგნის „ადგილმდებარეობა":

– უწინ თუ დასწრებიხარ წირვას იმ კათედრალში?

გოგონამ თავი გააქნია:

– არა, არასოდეს. შენ?

მეც თავი გავაქნიე.
– იმ დღეს ნაშუადღევის წირვასაც დავესწარი, მერე კი, შემდეგი წირვის მოლოდინში, ქუჩებს გავუყევი. სხვა გზა არ გქონდა: იმ შემდეგზე უნდა გამოჩენილიყავი. იმიტომ, რომ შობა იყო და იმიტომაც, რომ სულ მალე ნორვეგიას ვტოვებდი.

მახსოვს, ამის შემდეგ დიდხანს ხმისამოუღებლად ვისხედით. თუმცა მე „შემაერთებელ ძაფს" უნდა დავბრუნებოდი.

– ესე იგი, „ტოიოტაში" მორგენსი არ იჯდა?

– არა!

– მაშ, ვინ იყო?

ვიდრე მიპასუხებდა, წამით შეყოყმანდა.

– არავინ, – თქვა შემდეგ.

– როგორ თუ არავინ? – შევეჭვდი მე.

– ყოფილი მეგობარი... ასე ვთქვათ. ერთ კლასში ვიყავით ექვსკლასიან კოლეჯში.

მგონი, გამეღიმა.

– ერთმანეთის წარსულს ვერ დავისაკუთრებთ, იან ოლავ! საკითხავი ის არის,
გვაქვს თუ არა საერთო მომავალი.

აი, სწორედ ამ დროს გამოვაგდე რადაც საშინლად ბანალური და, ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ საერთო მომავალზე ოცნებას ვერ ვბედავდი:

– ერთად ყოფნა თუ არყოფნა: საკითხავი, აი, ეს არის!

ეს ნათქვამი, ალბათ, ცოტა პათეტიკურიც მოეჩვენება-მეთქი, ვიფიქრე. ჰოდა,
ამის მისაჩქმალავად, სრულებით სხვაგან გადავუხვიე.

– კი მაგრამ, ფორთოხლები? – შევძახე მე, – რას უშვრებოდი ამდენ ფორთოხალს? მაინც სად მიგქონდა?

გულიანად გადაიკისკისა.

– ჰო, დარწმუნებული ვარ, ეს დიდ საგონებელში ჩაგაგდებდა. სწორედ ფორთოხლების გამო მიგიტყუე იონგსტორგეტის ბაზარში, ფორთოხლებმა აგალაპარაკა გრენლანდიის ტრავერსზე თხილამურებით, რვა ძაღლითა და ათი კილოგრამი ფორთოხლით.

კი ბატონო, არ უარვყოფდი.

– მაგრამ რაში გჭირდებოდა ამდენი ფორთოხალი? – შევეკითხე ისევ.

ამჯერად მან ისევე ღრმად ჩამხედა თვალებში, როგორც იქ, ოსლოს კაფეში ჯდომისას. შემდეგ ძალზე შენელებულად წარმოთქვა:

– უნდა დამეხატა.

რაო? გაშტერებული მივაჩერდი.

– იმდენი ფორთოხალი სულ უნდა დაგეხატა?

თავი მომხიბლავად დამიქნია.

– სევილიის ხელოვნების სკოლაში შესვლამდე, ჯერ ფორთოხლების ხატვაში უნდა გავწაფულიყავი.

– ამდენი ფორთოხლის?

– ჰო, ბევრი ფორთოხალი უნდა დამეხატა. ასე ვვარჯიშობდი.

თავი უიმედოდ გავაქნიე: ხომ არ მამასხარავებ-მეთქი.

– ნუთუ არ შეიძლებოდა ერთი გეყიდა და ის ერთი დაგეხატა რამდენჯერმე?

თავი ერთი მხრიდან მეორეზე გადააქნია და მთლიანად შეგუებული ხმით წარმოთქვა:
– როგორც ჩანს, მომავალში მე და შენ ბევრი ლაპარაკი გველის: მგონი, ცალი
თვალით ბრმა ხარ.

– რომელი თვალით?

– არ არსებობს ორი ერთნაირი ფორთოხალი, იან ოლავ! ორი ერთნაირი ბალახის ღერიც კი არ არსებობს. სწორედ ამიტომ ზიხარ აქ.

თავი სულელად ვიგრძენი. არ მესმოდა, საითკენ მივყავდი.

– აქ იმიტომ ვზივარ, რომ... არ არსებობს ორი ერთნაირი ფორთოხალი?!

– შენ ხომ ამხელა გზა „ქალთან" შესახვედრად არ გამოგივლია. ასე რომ ყოფილიყო, უამრავ არასაჭირო დაბრკოლებას გადაეყრებოდი, ევროპა ხომ სავსეა ქალებით. შენ ჩემს სანახავად ჩამოხვედი. არც მე გამიგზავნია ღია ბარათი ოსლოში მცხოვრები „კაცისთვის", შენ გამოგიგზავნე. გთხოვე, ჩემდამი
ყოველთვის მართალი დარჩენილიყავი, ცოტაოდენი ნდობა გქონოდა ჩემი.

კაფე უკვე დიდი ხნის დაკეტილი იყო, ჩვენ კი უწინდებურად ვსაუბრობდით.
როცა, ბოლოს და ბოლოს, ავდექით, მან იმ ფორთოხლის ხესთან მიმიყვანა, რომლის ქვეშაც მთელი ეს ხანი ვისხედით... ან, ეგებ, მე მივიყვანე? ზუსტად
ვეღარ ვიხსენებ. აი, ეს სიტყვები კი ნამდვილად მან თქვა:

– ახლა შეგიძლია მაკოცო, იან ოლავ, რაკი, როგორც იქნა, მოგიხელთე.

ხელები მხრებზე დავაწყვე და მსუბუქად ვაკოცე ტუჩებში.

– არა, ასე არა, წესიერად მაკოცე და გულშიც ჩამიკარი.

ისე მოვიქეცი, როგორც ფორთოხლის გოგონამ მიბრძანა. წესებს ხომ ის ადგენდა. ტუჩებზე ვანილის გემო ჰქონდა, თმაზე კი ციტრუსის ცინცხალი სუნი
უდიოდა.

გამიჩნდა არაორაზროვანი შეგრძნება, რომ ორი ციყვი მაღლა-მაღლა მიუყვებოდა ფორთოხლის ხის ტოტებს. ზუსტად ვერ ვიტყოდი, რომელ თამაშს
თამაშობდნენ, თუმცა კი მთელი გატაცებით მისცემოდნენ.

იმ საღამოზე ბევრს აღარაფერს ვიტყვი, გეორგ! დანარჩენი შენი წარმოსახვისთვის მომინდვია. შენ იმას მოუსმინე, როგორ დამთავრდა ის ღამე.

სასტუმრო სახლში შუაღამემდე ვეღარ მივედი. მაგრამ ფორთოხლის გოგონას პატარა ოთახი და სამზარეულო დაექირავებინა მოხუცი ესპანელი ქალისგან. კედლებზე აკვარელით შესრულებული ფორთოხლის ყვავილებისა და

ფორთოხლის ხეების სურათები ეკიდა, ერთ-ერთ კუთხეში კი ზეთის საღებავებით დახატული ჩემი დიდი პორტრეტი. მის შემხედვარეს, არანაირი კომენტარი არ გამიკეთებია და არც ფორთოხლის ქალიშვილს უთქვამს რამე. ეს
დაუშვებელი შეტოპვა იქნებოდა ამ ზღაპრის ჯადოსნურ გულისგულში. ყველაფერი სიტყვებად არ უნდა ქცეულიყო. ასეთი იყო წესები. თუმცა ჩემთვის
მაინც ვიფიქრე, მეტისმეტად დიდი და არარეალურად ლურჯი თვალებით დამხატა-მეთქი. თითქოს ამ თვალებში ჩემი პიროვნების ყველა სხვა ნაწილაკიც
ჩაეწურა.

ვიწექი და ვერონიკას გვიანობამდე ვუყვებოდი მრავალი თავის შემქცევი დეტალით აღსავსე გრძელ ამბებს. ვუამბე მღვდლის ავადმყოფი გოგონას, მისი
ოთხი დის, ორი ძმისა და მათი დაუმორჩილებელი ლაბრადორის ამბავი. ვუამბე
გრენლანდიაში თხილამურებით განხორციელებული გრძელი, თავგადასავლებით
აღსავსე ექსპედიციის ისტორია, რომელიც, რაღა თქმა უნდა, რვაძაღლიან ციგას
და ათ კილოგრამ ფორთოხალსაც შეიცავდა. ვუამბე ხალისით აღსავსე
გოგონაზეც - გაეროს აგენტზე ფორთოხლის ინსპექტორატში, ეულად და
ფარხმალდაუყრელად რომ ებრძოდა ფორთოხლის ახალ, სახიფათო ვირუსს.
ვუამბე ყველაფერი, რაც კი მსმენოდა საბავშვო ბაღში მომუშავე გოგონას
შესახებ, რომელსაც ყოველდღიურად უნდა ეყიდა ოცდათექვსმეტი სრულებით
ერთნაირი ნაყოფი. გავანდე დეტალები ახალგაზრდა ქალის ცხოვრებიდან,
ფორთოხლის წვენს რომ უკეთებდა ას მოწაფეს მართვის სკოლაში. მთელი
ცხოვრების ისტორია შევთხზე ცხრამეტი წლის გოგონას შესახებ, რომელიც
ერთ-ერთ სტუდენტს მისთხოვდა და უკვე გოგონაც კი შეეძინა, მრავალი
გარეშე
ადამიანის მხრიდან კრიტიკული დაპირისპირების მიუხედავად. ვუამბე
გაბედულ
და თავისი თავის მსხვერპლად გამღებ გოგონაზე, ფარულად რომ აგროვებდა
საკვებს და მედიკამენტებს უპოვარი აფრიკელი ბავშვებისთვის.

ამ ყველაფრის სმენისას, ფორთოხლის გოგონამ უმლევეიენსა და
ირისვეიენში გატარებული საერთო ბავშვობის ზოგიერთი რემინისცენცია
ამოკრიფა. მე თვითონ თითქმის ყველაფერი დავიწყებული მქონდა, მაგრამ
მისმა ლაპარაკმა რაღაც-რაღაცები გამახსენა.

გაღვიძებულებს, მზე გვარიანად შემაღლებული დაგვხვდა. პირველი ვერონიკა
შეირხა და მე არასოდეს დამავიწყდება, რანაირი განცდა მომგვარა მის
გვერდით
გაღვიძებამ. ერთმანეთისგან ვეღარ გამერჩია წარმოსახვა და სინამდვილე:
თითქოს მთლიანად წაიშალა მათი გამყოფი ზღვარი. მხოლოდ ის ვიცოდი,
რომ
აღარ დავეხეტებოდი ფორთოხლის გოგონას საპოვნელად. მე ის ვიპოვე.

მეც ნაპოვნი მყავდა. ახლა უკვე ვიცოდი, ვინ იყო, და ამას გაცილებით
უფრო
ადრე უნდა მივმხვდარიყავი, სანამ აღმოვაჩენდი, რომ ვერონიკა ერქვა...

აქამდე რომ მოვედი, დედამ ისევ მომიკაკუნა.

– თერთმეტის ნახევარია, გეორგ! სუფრა გავშალეთ. კიდევ ბევრი დაგრჩა?

– ძვირფასო ფორთოხლის გოგონა, – მივუგე რამდენადმე დეკლამაციური ტონით, – მე შენზე ვფიქრობდი. შეგიძლია, ცოტა ხანს კიდევ მოიცადო?

კარს მიღმა მდგომ დედას ვერ ვხედავდი, მაგრამ გავიგონე, როგორ დადუმდა.

– ცხოვრებაში ხანდახან საჭიროა, რომ ცოტაოდენი სწრაფვა შეგვეძლოს, – დავასრულე მე.

რაკი არაფერი უპასუხია, ისევ დავიწყე: „მე ვიცნობ პატარა ბიყს...“

კარს მიღმა ისევ სრული სიჩუმე იდგა. თუმცა შემდეგ გავიგონე, რომ დედა პირდაპირ მოეყრდნო კარს და ნაზად წაიმღერა ჩარჩოს ღრიყოში: „.. რომელიც
პატარა გოგოსთან ითამაშებდა...“

მეტი ვეღარ მოახერხა, ტირილი აუვარდა. ჩურჩულით ტიროდა.

„მთელ დღეს ასე გავიხარებდით ჩვენივე ოცნების სამყაროში...“, მივაგებე ჩურჩულითვე.

დედამ ამოიოხრა და ქვითინით წარმოთქვა:

– მაშ, ამაზე წერს?

– წერს კი არა, დაწერა. – შევუსწორე მე.

დედას არ უპასუხია, მხოლოდ სახელურის პოზიციამ მიმახვედრა, რომ კარს მოყრდნობოდა.

– მალე მოვალ, დე, თხუთმეტი გვერდიდა დამრჩა.

არც ამაზე უთქვამს რამე. იქნებ ვეღარ შეძლო. ვერ ვიტყვი, მაინც რა ავფუნგნე დედაში.

„საბრალო იორგენი“, გავიფიქრე ამ დროს. ერთხელ მაინც უნდა შეჰგუებოდა მეორეხარისხოვან როლში ყოფნას. ამჯერად სამნი – მამა, დედა და მე ვსაუბრობდით. ოდესღაც ჩვენ უმლევეიენში მცხოვრებ ერთ პატარა ოჯახს შევადგენდით. იქ, სასტუმრო ოთახში, ისხდნენ პაპა და ბებო – ამ სახლის ამშენებლები. იორგენი კი, იორგენი მხოლოდ სტუმარი იყო.

გულდასმით ჩავუფიქრდი ყველაფერს, რაც წავიკითხე. მამაჩემს მასხრად არ ავუგდივარ, არაფერი გამოუგონია ფორთოხლის გოგონას შესახებ. შესაძლოა, მთლად ყველაფერი არ უთქვამს, მაგრამ რაც მითხრა, სრული სიმართლე იყო.

ვერ ვიხსენებდი წინკარში დაკიდებულ ფორთოხლისხეებიან ნახატს. ერთი ფორთოხლებიანი სურათიც კი არ მახსენდებოდა, თუმცა დედას დახატული ყველა სხვა სურათი მახსოვდა. მაგალითად, ჩვენს ბაღში მოყვავილე ბლები და
იასამნები, აკვარელით შესრულებული.

იყო რამდენიმე საკითხი, რაზეც დედას უნდა დავლაპარაკებოდი ან სხვენში ავსულიყავი და ჩემი თვალით მენახა ყველაფერი. თუმცა ვიცოდი, რომ ირისვეიენში დედა მხოლოდ პატარობისას ცხოვრობდა. ერთხელ იმ ყვითლად შეღებილ სახლში მოვხვდი, რათა ჩვენს საფოსტო ყუთში ჩაგდებული წერილი გადამეცა.

იქნებ, ამ წერილიდან გამომდინარე, უფრო მეტი რამ შემეტყო ფორთოხლიანი ნახატების შესახებ. იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ეგებ კიდევ რამეს
ამბობდა მამა ჰაბლის ტელესკოპთან დაკავშირებით?

ეს სახელი ტელესკოპს ასტრონომ ედვინ პაუელ ჰაბლის მიხედვით მიეცა. სწორედ ამ მეცნიერმა დაამტკიცა, რომ სამყარო ფართოვდება. თავდაპირველად
მან აღმოაჩინა, რომ ჩვენს გალაქტიკაში არსებული ანდრომედას ნათება მტვრის
ნაწილაკებისა და გაზის უბრალო ღრუბელი კი არ არის, არამედ ირმის ნახტომის
გარეთ მყოფი სრულებით დამოუკიდებელი გალაქტიკაა. იმის აღმოჩენამ, რომ ირმის ნახტომი გალაქტიკათაგან მხოლოდ ერთ-ერთია, რევოლუცია მოახდინა კოსმოსის მანამდელ გაგებაში.

ჰაბლის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა მოხდა 1929 წელს, როდესაც მან შეძლო ეჩვენებინა, რომ რაც უფრო შორს არის გალაქტიკა ირმის ნახტომიდან,
მით უფრო სწრაფადაც გადაადგილდება. ეს აღმოჩენა საფუძვლად დაედო იმას,
რაც დიდი აფეთქების თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით
(სადღეისოდ მას თითქმის ყველა ასტრონომი იზიარებს), სამყარო შეიქმნა
განუზომელი ძალის აფეთქების შედეგად 12-14 მილიარდი წლის, ანუ დიდი,
ძალიან დიდი ხნის წინ.

სამყაროს მთელი ისტორია სიმბოლურად ერთი დღის ჩარჩოში რომ
მოგვექცია, მაშინ დედამიწა მხოლოდ გვიან ნაშუადღევს შეიქმნა, დინოზავრები
შუაღამის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდნენ, ხოლო ადამიანები
ბოლო ორი წამია, რაც არსებობენ.

ისევ მანდ ხარ, გეორგ? საბავშვო ბაღში წაგიყვანე, უკან დავბრუნდი და ჩემს
კომპიუტერს მივუჯექი. დღეს ორშაბათია.

დღეს ცოტათი ჭირვეულობდი. სიცხე გაგიზომე, მაგრამ ნორმაში აღმოგაჩნდა.
ყელსა და ყურებშიც ჩაგხედე და გლანდებიც მოგისინჯე, მაგრამ ვერაფერი
ვიპოვე. მგონი, გაცივებული ხარ, იქნებ ამ უქმეებზე ცოტათი გადაიღალე
კიდეც.

თითქმის იმედით მოველოდი, რომ მსუბუქად შეუძლოდ აღმოჩნდებოდი.
მთელ დღეს ერთად გავატარებთ-მეთქი, ვფიქრობდი. თუმცა ეს წერილიც ხომ
უნდა გამეგრძელებინა.

ამ შაბათ-კვირას ფიელსტოლენში ვიყავით. შაბათს დილაუთენია დედამ შორს გაისეირნა, რძის ძველი ყუთიც თან წაიყოლა და შინ ოთხი კილოგრამი მიწამაყვლით დაბრუნდა. შენ ამაზე ცოტა იჭირვეულე: გინდა თუ არა, მთებშიც
წავიდეთ საკრეფადო... და იმ ნაშუადღევს ნახევარი კილოგრამი კეწერა მარტოკამ მოაგროვე. რასაკვირველია, ჩვენ ქოხიდან გადევნებდით თვალყურს.
შემდეგ დედამ კეწერას ჟელე მოამზადა. კვირადღეს მივირთვით. შენ რამდენადმე გემჟავა, მაგრამ მაინც უნდა გეჭამა, რაკი სწორედ შენ შეაგროვე ეს
კენკრა.

ამ ზაფხულს უამრავი ლემინგი ვნახე. ბოლოს, ჩვენი ქოხის ჟურნალში შენ ჩახატე კიდეც ლემინგი ყვითელი და შავი ფანქრებით. კარგად გამოგივიდა: ცოტაოდენი წარმოსახვის დაძაბვა და, შენ მიერ დახატულ ცხოველში ნამდვილად შეიძლება ლემინგის ამოცნობა. ეგაა, მეტისმეტად გრძელი კუდი აქვს. ამიტომაც, დაზღვევის მიზნით, დედამ ნახატს ქვედა ნაწილში მიაწერა: ლემინგი. გეორგ, 1/9/1990.

შეიძლება ქოხის ჟურნალი იქვე დევს? ასეა, გეორგ?

თითქმის მთელი საღამო იქ ვიჯექი და ჟურნალი თავიდან ბოლომდე წავიკითხე (როცა შენ დასაძინებლად დაწექი). რამდენჯერმე გადავიკითხე. როდესაც უკანასკნელი ჩანაწერიც ჩავიკითხე და შენს ნახატსაც კიდევ ერთხელ დავაცქერდი, ისევ პირველ გვერდს დავუბრუნდი. ვიფიქრე, შობამდე ეს ჩვენი
ბოლო მოსვლაა-მეთქი.

ბოლოს ვერონიკა მოვიდა, ჟურნალი ხელებიდან წამგლიჯა და მაღლა, წიგნების თაროზე შემოდო, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე, ჩვეულებრივ, ბუხარზე იდო.

- ახლა ცოტას გადავკრავთ, - სხვა არაფერი უთქვამს.

თუმცა დავუბრუნდეთ ესპანეთს.

სევილიაში ორიოდე დღეს დავრჩი ვერონიკასთან, მერე კი შინ დაბრუნების დროც დადგა. ასევე ფიქრობდნენ ვერონიკაც და მისი დიასახლისიც. კიდევ სამ
თვეს უნდა დავლოდებოდი, სანამ ფორთოხლის გოგონა თავის სამხატვრო კურსებს დაამთავრებდა. მაგრამ ამჟამად უკვე ვიცოდი, რა იყო სწრაფვა. და, ყველაფერთან ერთად, ფორთოხლის გოგონასიც მჯეროდა.

რასაკვირველია, ისიც ვკითხე, ხომ არ დაგვიწყებია შენი ძველი დაპირება, მომდევნო ექვს თვეს ყოველდღე ერთად ყოფნასთან დაკავშირებით-მეთქი (მე ხომ ჯერ კიდევ ვერ მესწავლა წესების მიდევნება). ვიდრე მიპასუხებდა, ვერონიკამ დიდხანს იფიქრა. მგონი, გონებამახვილური შეპასუხების მოძებნა სურდა. ბოლოს გაიღიმა და თქვა:

- შეიძლება ეს ორი დღე გამოგიქვითო, რიგგარეშე რომ გაატარე ჩემთან.

როცა აეროპორტში მიმავალ ავტობუსამდე მიმაცილა, წყლის სადინარში

ჩავარდნილი თეთრი მტრედი დავინახეთ. მკვდარი იყო. აცახცახებული ვერონიკა
შეჩერდა. უცნაურად მეჩვენა ასეთი ძალის ემოციური რეაქცია. შემდეგ
ფორთოხლის გოგონა შემობრუნდა, თავი მკერდზე დამადო და ატირდა. ამან მეც
ამატირა. ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ჩვენ შუა ზღაპარში გვიყელეს. იქ
მკვდარი მტრედი არ უნდა გდებულიყო. თეთრი ფერის მაინც. ასეთი იყო წესები.
ჩვენ ვქვითინებდით. ეს მტრედი ავის მომასწავებელი ნიშანი იყო.

ოსლოში დაბრუნებული, ინტენსიურად ჩავერთე ჩემს შტუდირებაში. მთელი
ამ ხნის განმავლობაში ბევრ რამეს ჩამოვრჩი, რაკი წინა კვირაში რამდენიმე
მნიშვნელოვანი ლექცია გამოვტოვე, ზოგიერთი დავალება კი ბოლო თვეებში
განხორციელებული სათხილამურო გასვლებისა და ქალაქში ხეტიალის მიზეზით
ვერ შევასრულე. ახლა კი დიდძალი დრო გამომიჩნდა, რაკი აღმა-დაღმა აღარ
უნდა მებოდიალა იდუმალი ფორთოხლის გოგონას ძიებაში. აწი არც მეგობარი
გოგონას ძებნა წაიღებდა დიდ ძალას, ამდენ დროს რომ ართმევს არაერთ ჩემს
ნაცნობ სტუდენტს.

ხანდახან მაინც შევკრთებოდი ხოლმე, როდესაც ქალის შავ ქურთუკს ან,
თბილ სეზონზე, წითელ საზაფხულო კაბას მოვკრავდი თვალს. ფორთოხლის
დანახვაზე ხომ სულ ვერონიკა მახსენდებოდა. როცა საყიდლებზე ვიყავი
გასული, ფორთოხლის დანახვა და ოცნებებში გადავარდნა ერთი იყო. ახლა
გაცილებით უკეთ ვამჩნევდი, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი ფორთოხალი.
შემეძლო ვმდგარიყავი და მშვიდად მეთვალიერებინა სათითაოდ. თუ ისე
ხდებოდა, რომ ფორთოხალს მე თვითონ ვყიდულობდი, ამ პროცედურას დიდ
დროს ვანდომებდი და ყოველთვის საუკეთესოს ვარჩევდი. ზოგჯერ წვენსაც
გამოვწურავდი ხოლმე, ერთხელ კი, როცა მეგობრებთან ერთად ბრიჯს
ვთამაშობდი, ყველას და, მათ შორის, გუნარსაც ფორთოხლის ნამცხვრით
გავუმასპინძლდი.

გუნარი პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტიც
იყო და, ჩვენ ორ შორის, ნამდვილი მზარეულიც. მუდამ ძროხის ხორცის ან
ვირთევზას კერძებს ამზადებდა. და მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ელოდა
რაიმე სანაცვლოს, ცუდი არ იყო გამეკვირვებინა ფორთოხლის ნამცხვრით.
მთელი სულით და გულით მოვამზადე. რეცეპტი დედაჩემმა, ანუ ბებიაშენმა,
მაპოვნინა ძველ სამზარეულო წიგნში. შემომთავაზა კიდეც, მე გამოგიცხობთო.
არ იცოდა, რომ მთელი საქმეც იმაში იყო, ნამცხვარი მე თვითონ უნდა
გამეკეთებინა. არა მგონია, რამენაირად სცოდნოდა, რომ ეს „პროექტი", არც
მეტი, არც ნაკლები, ვერონიკას უკავშირდებოდა.

შემდეგ ფორთოხლის გოგონა ნორვეგიაში დაბრუნდა: შუა ივლისში ჩამოვიდა
სევილიიდან. ფორნებუს აეროპორტში დავხვდი. ბევრი ვინმე დაესწრო ჩვენს
დიდ შეხვედრას მას შემდეგ, რაც ვერონიკა საბაჟო სამსახურის ზღურბლს
გადმოსცდა ორი დიდი ჩემოდნითა და სურათებითა და ესკიზებით სავსე
დიდი

პორტფოლიოთი ხელში. ჯერ, დაახლოებით, ნახევარ წუთს ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით. იქნებ იმის საჩვენებლად, რომ საკმარისი ძალა გაგვაჩნდა, რათა კიდევ რამდენიმე წამს დავლოდებოდით ერთმანეთს. მერე კი
ორი მკერდი მხურვალედ გაერთიანდა, არსებითად მეტისმეტად მხურვალედ თვით აეროპორტითვისაც კი. გვერდით ჩავლილმა მოხუცმა ქალმა რაღაც ჩაიდუდღუნა. გრცხვენოდეთ თქვენი თავისო, – დაგვყეფა. ამაზე ჩვენ მხოლოდ
გაგვეცინა. რას ვშვრებოდით სასირცხვილოს? უკვე ექვსი თვე იყო, ერთმანეთს
ველოდით.

ჯერ მოფრენის დარბაზიდან არც კი გამოვსულიყავით, რომ ვერონიკამ პორტფოლიო გახსნა და თავისი ნამუშევრები მაჩვენა. „იან ოლავის" პორტრეტი
სწრაფად გადაფურცლა, თუმცა მე მაინც მოვკარი თვალი და კიდევ ერთხელ აღვნუსხე სურათზე გამოსახული თვალების უკიდურესად ლურჯი ნათება. მე ვერაფერს ვიტყოდი, აი, ვერონიკამ კი უამრავი თავშესაქცევი კომენტარი გაუკეთა დანარჩენ სურათებს. ენა არ გაუჩერებია. არც კი უცდია დაემალა, რაოდენ ეამაყებოდა ყველა ეს ნამუშევარი. არც ის დაუმალავს, როგორ წავიდა
წინ ამ ექვსი თვის განმავლობაში.

ზაფხულის მეორე ნახევარმა მხურვალე რომანში განვლო. ოსლოფიორდის კუნძულები მოვინახულეთ, პროვინციებში გავედით, მუზეუმები და გამოფენებიც
არ მოვიკელით, არაერთმა სავსე საღამომ ჩაიარა ტასენის გარეუბნის ქუჩებში.

შენ ფორთოხლის გოგონა უნდა გენახა! უნდა გენახა, როგორ მოძრაობდა ქალაქის ქუჩებში, როგორ იქცეოდა გამოფენებზე. უნდა მოგესმინა, როგორ კისკისებდა. მეც გვარიანად ავხარხარდებოდი ხოლმე. სიცილი ხომ ერთ-ერთი ყველაზე გადამდები რამ არის.

„ჩვენ" ნაცვალსახელს უფრო და უფრო ხშირად ვიყენებდით. უცნაური სიტყვაა, ღმერთმანი. ხვალ ესა და ეს უნდა ვქნაო, – ვამბობთ ჩვენ. ან მავანს
ვეკითხებით, რას აპირებო. ეს ძნელი გასაგები არ არის. მაგრამ უცებ საიდანღაც,
სრულიად სპონტანურად ჩნდება მრავლობითი ფორმა: „ნავით ხომ არ გაგვეცურა
კუნძულებამდე და იქ გვებანავა კიდევაც?", „იქნებ, უბრალოდ, შინ დავრჩეთ და
ვიკითხოთ?" და, ერთ მშვენიერ დღესაც, „ჩვენ ბედნიერები ვართ!"

როცა პირველი პირის მრავლობით ნაცვალსახელს მივმართავთ, ამ დროს ერთობლივი მოქმედების მიღმა თითქმის ისე ვათავსებთ ორ ადამიანს, თითქოს
ისინი რომელიღაც რთულ, შედგენილ არსებას ქმნიან. ბევრ ენას მოეპოვება საგანგებო ნაცვალსახელი, რომელიც ორი – და მხოლოდ ორი – ადამიანისთვის
გამოიყენება. მას ეწოდება ორობითი ან რაღაც ისეთი, რასაც ორი ადამიანი იყოფს. ვგონებ, ეს სასარგებლო კონცეფციაა, რამდენადაც არსებობს მომენტები,

როცა საქმე ეხება არც ერთ და არც მრავალ სუბიექტს. ასეთ დროს თქვენ „ჩვენ“
ხართ და ეს „ჩვენ“ განუწილველია. როცა ეს ნაცვალსახელი უეცრად გამოჩნდება,
თამაშში ზღაპრის წესები მკვიდრდება, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო.
„(ჩვენ) ვისადილებთ“, „(ჩვენ) ერთ ბოთლ ღვინოს გავხსნით“, „(ჩვენ) დავიძინებთ“. ასე ლაპარაკი თითქმის უსირცხვილობაა, არა? ნებისმიერ შემთხვევაში, სრულებით სხვაგვარად ჟღერს, როდესაც ამბობ: „ახლა შენს ავტობუსს გაჰყევი, – მე უნდა დავიძინო“,

როცა ორობით ფორმას მივმართავთ, თამაშში სრულებით ახალი წესები მკვიდრდება. „ახლა ჩვენ სასეირნოდ წავალთ!“ რაოდენ მარტივია, გეორგ: სულ
ოთხადოთხი სიტყვაა, მაგრამ ასახავს მოვლენათა მეტისმეტად „დაფეხმძიმებულ“ მწკრივს, რომელიც ღრმად იჭრება ამ დედამიწაზე მცხოვრები
ორი ადამიანის ცხოვრებაში. და, ამ კონტექსტში, ენერგიის შენახვა სიტყვებითაც
არ არის შეზღუდული. „შხაპს მივიღებთ!“ – იტყოდა ვერონიკა. „ვისაუზმებთ!“,
„დავწვებით!“ როცა ეს ფორმა გამოიყენება, მაშინ ერთ შხაპზე მეტი არ გჭირდება, მაშინ ერთი სამზარეულო და ერთი საწოლიც გყოფნის.

რაც შემეხება მე, ეს ახალი ნაცვალსახელი შოკივით დამატყდა თავს. „ჩვენ“...
– თითქოს წრე შეიკრა და მთელი სამყარო უფრო მაღალი რიგის მთლიანობად გაერთიანდა.

სიჭაბუკე, გეორგ, სიჭაბუკის მხიარულება!

მახსენდება აგვისტოს ერთი მხურვალე საღამო, როცა ვისხედით და ბიგდოის ნახევარკუნძულიდან ფიორდს გავყურებდით. არ ვიცი, საიდან მოვიდა, მაგრამ
უცბად წამოვროშე: „ამ მიწაზე ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვართ“.

„ახლა ჩვენ აქ ვართ“, თქვა ვერონიკამ, თითქოს იფიქრა, რომ ეს ფაქტი უნდა
შეგვეხსენებინა ჩვენივე თავისთვის.

თუმცა ვიგრძენი, რომ უკუაგდებდა იმას, რისი გამოთქმაც მე მსურდა. რადგან
შემდეგ მოვაყოლე: „ვფიქრობ ამნაირ საღამოებზე, რომლებსაც მე ვეღარ ვნახავ“.
ვიცოდი, რომ ვერონიკას გაახსენდებოდა ეს სტრიქონი ოლაფ ბულის პოეზიიდან,
რომელსაც ერთად ვკითხულობდით.
უცებ ვერონიკა მომიბრუნდა და ყურზე მიჩქმიტა: „მაგრამ, სხვა რომ არაფერი,
ერთხელ მაინც ხომ იცხოვრე, იღბლიანო!“

შემოდგომაზე ვერონიკამ სამხატვრო სკოლაში დაიწყო სიარული, მე კი ჩემი სამედიცინო შტუდირება განვაგრძე. შესავალი კურსის შემდეგ უფრო და უფრო

საინტერესო გახდა. ნაშუადღევს და საღამოს, შეძლებისდაგვარად მეტ დროს ვატარებდით ერთად და იმას მაინც უზრუნველვყოფდით, რომ ყოველდღიურად
გვენახა ერთმანეთი.

თუმცა ფორთოხლის გოგონამ მართლა გამომიქვითა ორი დღე. ეს, მგონი, ძირითადად ჩემს გასატრიზავებლად მოიმოქმედა, თუმცა, იმავდროულად, მაგალითის მოსაცემადაც. ჩვენ მაინც უნდა დაგვეცვა წესები, ზღაპარი არ დამთავრებულა, – ახლაღა დაიწყო, უფრო და უფრო იზრდებოდა ირგვლივ და,
ამდენად, კიდევ უფრო მეტი წესები იყო დასაცავი. თუ გახსოვს, გეორგ, რა ვთქვი
ამ წესებზე? – რომ ისინი მნიშვნელოვანი მომენტებია, რომლებსაც ასრულებ ან
არ ასრულებ, თუმცა აუცილებელი არ არის გესმოდეს. მათზე არც უნდა ილაპარაკო.

ვერონიკამ ოსლოშიც კი იპოვა პატარა ბინა სამზარეულოთი, – ამჯერადაც მოხუცი ქალისგან იქირავა. „ქირას" იმით იხდიდა, რომ ზაფხულობით გაზონი
უნდა გაეკრიჭა, ზამთრობით თოვლი გადაეხვეტა და რამდენიმე დღეში ერთხელ
საყიდლებზე ევლო (ამ უკანასკნელში შედიოდა კვირაში ერთი ბოთლი ლიცენზირებული პორტვეინი). თუმცა მოხუცი ქალი, ქალბატონი მოვინკელი აინუნში არ აგდებდა, თუ ამ საქმეებს ხანდისხან მე ვიკისრებდი ვერონიკას ნაცვლად. ეს ხომ უპრიანი იყო, რაკი ქალბატონმა ნელ-ნელა ისიც დაუშვა, რომ,
დროდადრო, ღამითაც დავრჩენილიყავი ვერონიკას მოცუცქნულ ოთახში: ჩემი ქირა მე უკვე გადახდილი მქონდა.

შობა დღეს ისევ კათედრალს ვეწვიეთ, რაკი ვფიქრობდით, რომ ნამდვილად გვმართებდა ამ წირვაზე დასწრება. ვერონიკას ისევ ის შავი ქურთუკი ეცვა, თავზე კი ისევ ის საოცარი ვერცხლის სამაგრი ეკეთა. ამჯერად მეც ზღაპრის ნაწილი გავხდი, ამოუწყავი საიდუმლოს ნაწილი. ამ წირვაზე ჩვენ, რაღა თქმა
უნდა, ერთ მერხზე ვისხედით და აღარ მადარდებდა, საით იყურებოდნენ ტაძარში მყოფი მამაკაცები. შეეძლოთ ვერონიკასთვისაც ეცქირათ და, მართლაც, ზოგიერთები ხანდახან გამოხედავდნენ ხოლმე. მე ეს მეამაყებოდა. ვერონიკა სახეგაბადრული და ბედნიერი იჯდა. ვინ იცის, იქნებ ცოტათი ისიც
ამაყობდა. მეც ბედნიერი ვიყავი, რასაკვირველია.
წირვის შემდეგ იმავე მიმართულებით გავუყევით ქუჩას, როგორითაც შარშან ამ დროს. ვილაპარაკეთ კიდეც ამაზე. თითქოს ტრადიციაც კი მოვნიშნეთ. პალასპარკს თითქმის ხმისამოუღებლად მივაღწიეთ. დუმილს არ ვაპირებდით, –
თავისთავად მოხდა.

ხელიხელჩაკიდებულები ვიდექით ზუსტად იმ ადგილას, სადაც ერთი წლის წინ ვერონიკა ტაქსიში ჩაჯდა: ჩვენ ხომ წელსაც ჩვენ-ჩვენი გზით უნდა წავსულიყავით. ვერონიკა მამას უნდა შეხვედროდა მამიდას სახლში, სკილლებეკში, იქიდან კი ასკერს გაემგზავრებოდა მშობლების სახლში. მე შობას

ისევ უმლევეიენში შევხვდებოდი დედასთან, მამასთან და ძია ეინართან ერთად.

ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც შარშან. ახლაც იმ მომენტში დავემშვიდობებოდით ერთმანეთს, როცა ცარიელი ტაქსი გამოჩნდებოდა და ვერონიკას წაიყვანდა. მაგრამ რა მოხდებოდა, როცა ტაქსი მოვიდოდა? ნუთუ ზღაპარი დასრულდებოდა? ნუთუ მაგიური ხიბლი უცბად განქარდებოდა? ამის
შესახებ არაფერი გვითქვამს. ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღე ვხედავდით ერთმანეთს (თუ არ ჩავთვლი იმ სასტიკ ორდღიან სასჯელს). ვერონიკამ თავისი
საზეიმო პირობა შეასრულა. მაგრამ რა წესები იმოქმედებდა გაისად?

წელს უფრო ციოდა, ვიდრე შარშან ამ დროს, და ვერონიკას აკანკალებდა. მკლავები შემოვხვიე და ზურგი დავუზილე. შემდეგ ვუთხარი, გუნარი ჩვენი საერთო ბინიდან გადადის, სწავლის გაგრძელებას ბერგენში აპირებს, სხვა სტუდენტი უნდა ვიპოვო, ვინც ჩემთან დასახლდება-მეთქი.

რა მხდალი ვიყავი, გეორგ! მგონი, ვერონიკამაც ეს იფიქრა და წყენამდე აღარაფერი დააკლდა. გუნარი მიდიოდა? მე კი სხვა სტუდენტის მოძებნას ვაპირებდი ბინაში შემოსაყვანად? ნუთუ ისე ვგეგმავდი ამას, რომ არაფერს ვეკითხებოდი ვერონიკას? ცოტაც და, რისხვა აიტანდა. მე შიში შემეპარა, რომ ამ
შობა დღეს შეიძლებოდა ცუდ აკორდზე დავშორებოდით ერთმანეთს. ამ დროს ვერონიკამ თქვა:

- მე შემიძლია შემოგიერთდე. ანუ: მე და შენ ერთად ვიცხოვრებთ. რას იტყვი,
იან ოლავ?

მეც ზუსტად ეს მსურდა! მაგრამ იმდენს ვერ ვბედავდი, რამდენსაც ის. სულ იმის მეშინოდა, წესები არ დავარღვიო-მეთქი.

ფორთოხლის ქალიშვილი პლაცა დე ლა ალიანზაზე მდგარ ფორთოხლის ხესავით გააბრწყინა ჩვენმა ორმხრივმა შეთანხმებამ, რომ იანვრის დასაწყისში უკვე ადამსტუენში გადმოვიდოდა. მომავალ წელს მხოლოდ ყოველ დღეს კი არ
გავატარებდით ერთად, არამედ ყოველ ღამესაც. ასეთი იყო ახალი წესები.

თუმცა, ამ მომენტში, სახეზე შეშფოთებამ გადაურბინა, შესაძლოა, რაღაც ეჭვისმაგვარმა. ან, ეგებ, კიდევ რაიმე პირობის წამოყენებას აპირებდა? ეგებ რაღაც ისეთის იმედი ჰქონდა, რაზეც ლაპარაკი უჭირდა?

- რა ხდება, ვერონიკა? - ჩავიჩურჩულე მე. უკვე ვისწავლე მის სახეზე კითხვა.

- ამ შემთხვევაში, გუნარის ოთახი თავისუფალი იქნება...

თავი დავუქნიე, თუმცა ვერ მივხვდი, რატომ ახსენებდა ამ თემას განმეორებით. უკვე ნათქვამი მქონდა, გუნარი მიდის-მეთქი.

- სხვადასხვა ოთახში ხომ არ დავიძინებთ! - თქვა მან.

- არა, რასაკვირველია, - მივუგე მე, თუმცა მაინც ვერ მოვიხელთე, რას

მიმანიშნებდა.

და უცებ ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა, როცა მან პირდაპირ თქვა:

– ასეთ შემთხვევაში, იქნებ გუნარის ოთახი სახელოსნოდ გამომეყენებინა? – და წამით თვალი შემავლო: აბა, როგორ ვირეაგირებდი.

მე კი, უბრალოდ, ხელით შევეხე ვერცხლის სამაგრს და ვუთხარი, თავს უსაშველოდ ამაყად ვიგრძნობ, ცოცხალი ხელოვნის გვერდით რომ ვიცხოვრებ-მეთქი.

ორიოდე წუთში ტაქსიც გამოჩნდა. ვერონიკა ჩაჯდა, შემობრუნდა და ორივე ხელი მხურვალედ დამიქნია. არადა, მას შემდეგ სულ ერთადერთი წელი გასულიყო!

მანქანა წავიდა, თუმცა მე აღარ მჭირდებოდა მინის ქოშის მოძებნა. ჩვენი ზღაპარი პირობებს აღარ შეიცავდა. უკვე აღარ ვიყავით დამოკიდებული რომელიღაც ჭირვეული ფერიას ბუნდოვან წესებზე: რა არის დასაშვები და რა –
დაუშვებელი. ახლა ბედნიერება ჩვენს მხარეს იყო.
მაგრამ მაინც რა არის ადამიანი, გეორგ! რაშია მისი ღირებულება? იქნებ მხოლოდ და მხოლოდ მტვერი ვართ, ქარები რომ გაფანტავენ ორ წამში?

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჰაბლის ტელესკოპი უკვე დედამიწის ორბიტაზე ტრიალებს. ოთხი თვე შესრულდა, რაც იქ არის, და სამყაროს მრავალი მნიშვნელოვანი სურათი მოგვაწოდა, – სამყაროს, ანუ იმ გარშემოუწერელი უდაბნოსი, საიდანაც ჩვენ მოვედით. თუმცა ისიც სწრაფად აღმოაჩინეს, რომ ტელესკოპს სერიოზული ხარვეზი ჰქონია. უკვე ლაპარაკობენ კოსმოსური ხომალდის შესახებ: იგი ტელესკოპამდე მიიყვანს სპეციალისტთა ჯგუფს, რომელიც ამ ხარვეზს გამოასწორებს და კოსმოსის კიდევ უფრო სწორ ხედვას მოგვცემს.

შენ თუ იცი, როგორ არის ჰაბლის ტელესკოპის საქმე? თუ შეაკეთეს, ყოველივეს შემდეგ?

ზოგჯერ კოსმოსური ტელესკოპი სამყაროს თვალად წარმომიდგება, რადგან თვალს, რომელიც მთელ სამყაროს ხედავს, უფლება აქვს სამყაროს თვალად იწოდებოდეს. გესმის, რას ვგულისხმობ? ეს გაუგონარი ხელსაწყო თვით სამყარომვე შექმნა. ჰაბლის ტელესკოპი, არსებითად, კოსმოსური საცეცია.

რას წარმოადგენს ეს დიდი ზღაპარი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელში სამყოფადაც თითოეულ ჩვენგანს ესოდენ მცირე დრო არგუნეს? იქნებ, ერთ დღესაც, კოსმოსური ტელესკოპი დაგვეხმაროს უკეთ შევიცნოთ ამ ზღაპრის ბუნება. იქნებ იქ, გალაქტიკათა მიღმა, არსებობს პასუხი, რას წარმოადგენს საკუთრივ ადამიანი.

მგონი, ამ წერილში უკვე არაერთხელ გამოვიყენე სიტყვა „გამოცანა". სამყაროს გაგების მცდელობა შეიძლება შევადაროთ დიდი ნახატ-გამოცანის აწყობის მცდელობას. თუმცა ეს, შესაძლოა, სულაც მენტალური ან ინტელექტუალური გამოცანაა და პასუხიც თვით ჩვენშივეა საძებნი. ბოლოს და
ბოლოს, ჩვენ აქ ვართ და ჩვენ – სამყარო ვართ.

შესაძლოა, ჩვენ ჯერ კიდევ ზრდაში ვართ. ადამიანთა ფიზიკური განვითარება
უცილობლად წინ უნდა უსწრებდეს ფსიქოლოგიურს. შესაძლოა, სამყაროს ფიზიკური ბუნება, უბრალოდ, აუცილებელი მასალაა იმისთვის, რომ სამყარომ
საკუთარი თავი გააცნობიეროს.

სწრაფად გადავხედოთ საკვანძო მომენტებს: ნიუტონმა უეცრად აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი. მშვენიერია. დარვინმაც თითქმის ასევე სპონტანურად განჭვრიტა ადამიანის ბიოლოგიური განვითარება დედამიწაზე. დიდებულია. შემდეგ აინშტაინმა დაადგინა თანაფარდობა მასას, ენერგიასა და სინათლის სიჩქარეს შორის. საუცხოოა! 1953 წელს კი კრიკმა და უოტსონმა გვიჩვენეს, როგორი აგებულებისა იყო დნმმოლეკულა - მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური მასალა. ბრწყინვალეა! ამ ყველაფერს შეიძლებოდა მოჰყოლოდა დღე (და თანაც რა დღე, გეორგ!), როდესაც მავან ფიქრიან სულს
ინსპირაცია ეწვეოდა და სამყაროს გამოცანას ამოახსნევინებდა. ვფიქრობ, რაღაც ამდაგვარი ნამდვილად შეიძლებოდა მომხდარიყო უეცრად (დიდად ვისურვებდი, რომ ასეთ დღეს სწორედ მე ვყოფილიყავი რომელიმე დიდტირაჟიან
ყოველდღიურ გაზეთში დაბეჭდილი შესავალი წერილის ავტორი!!.

თუ გახსოვს: ამ წერილის დასაწყისში გითხარი - რაღაც შეკითხვა უნდა დაგისვა-მეთქი? შენი პასუხი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩემთვის. თუმცა ცოტაც მოითმინე, კიდევ რაღაც მაქვს მოსაყოლი.

ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი! ისევ და ისევ! ახლა კი ეჭვი არ მეპარებოდა,
რომ დიდი შეკითხვა, რომლის დასმასაც მამა აპირებდა, რაღაცნაირად უკავშირდებოდა კოსმოსს.

საწოლიდან წამოვდექი და ფანჯრიდან გავიხედე. ისევ ხვავრიელად ბარდნიდა. მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: სულ რომ დაფაროს თოვლმა დედამიწა, ჰაბლის ტელესკოპი მაინც კრისტალურად სუფთა
სურათებს გადაუღებს ირმის ნახტომიდან მრავალი მილიარდი სინათლის წლით
დაშორებულ გალაქტიკებს. ჰოდა, უღებს კიდეც 24 საათის განმავლობაში. უკვე
ასიათასობით სურათი მოგვცა და ათი ათასზე მეტი ციური სხეული გამოიკვლია.
ჰაბლის ტელესკოპი ყოველდღიურად იმდენი მონაცემით გვამარაგებს, მთლიანად რომ გაუვსებდა მეხსიერებას სახლის კომპიუტერს.

მაგრამ რა მიზნით დაუბრუნდა მამა ჰაბლის ტელესკოპს? ვერაფრით მომეხელთებინა კავშირი ამ კოსმოსურ ხელსაწყოსა და ფორთოხლის გოგონას შორის. მაგრამ ეს უწინდებურად არსებითი აღარ იყო. სხვა ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მამამ რეალურად იცოდა ჰაბლის ტელესკოპის ამბავი, ესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ის კაცობრიობისთვის. მამა მანამდე მიხვდა ამას, სანამ დაავადდებოდა და მოკვდებოდა. ეს ერთ-ერთი უკანასკნელი იყო იმ საგანთაგან, რომლებიც მას აინტერესებდა.

სამყაროს თვალი! არასოდეს შემიხედავს ჰაბლის ტელესკოპისთვის ამ

კუთხით. მიფიქრია, როგორც კაცობრიობის ფანჯარაზე სამყაროში. მაგრამ არანაირი გაზვიადება არ იქნებდა, თუ ამ ტელესკოპს სამყაროს თვალს დავარქმევდით.

შესაძლოა, თავის დროზე, ოსლოსა და ეიდსვოლის შემაერთებელი პირველი სარკინიგზო ხაზით გამოწვეული უსაზღვრო აღტაცება რამდენადმე გაზვიადებულიც იყო. ნორვეგიაში მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მეათასედი ცხოვრობს, 1850 წელს შექმნილი ოსლო-ეიდსვოლის ხაზი კი მის მეათიათასედს
თუ მოემსახურებოდა. ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპის წყალობით, მსოფლიოს
ყველა მოქალაქეს შეუძლია მთელ სამყაროში იხეტიალოს. მამას სიკვდილამდე ექვსი თვით ადრე, როცა ტელესკოპი ორბიტაზე გაუშვეს, მისმა ღირებულებამ 2,2
მილიარდ დოლარამდე აიწია. ასეთ შემთხვევაში, ჩემი გამოთვლით, დედამიწის
თითოეულ მკვიდრს ძალზე იაფი დაუჯდებოდა სამყაროში მოგზაურობა: სულ ორმოციოდე ამერიკული ცენტი, ანუ ოთხი ნორვეგიული კრონი.
„ოსლო-ეიდსვოლი" რეისის ორმხრივი ბილეთი სადღეისოდ ორასი კრონი ღირს.
ეს არც ისე იაფია და, თუ მოვილაპარაკებთ, შეგვიძლია თხოვნით მივმართოთ
ნორვეგიის რკინიგზის სამმართველოს (არავითარ უპატივისმცემლობას არ ვგრძნობ არც ზემოაღნიშნული სამმართველოს და არც იმ ჯუჯა მატარებლისადმი,
ერთ დროს რომ დაკუსკუსებდა ოსლოდან ეიდსვოლში. მე იმას ვამბობ, რომ ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი უფრო მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვისაც და,
შესაძლოა, რკინიგზის გასწვრივ მცხოვრებ პროვინციელთათვისაც. ჰაბლის ტელესკოპის მონათვლა სამყაროს თვალად არავითარ გაზვიადებას არ ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა მამაჩემი, თუმცა ტელესკოპის ახალ ლინზებს ვეღარ მოესწრო).

„ჰაბლის ტელესკოპი კოსმოსური საცეციაო", წერდა მამა. მგონი, მესმის, რას გულისხმობდა. ალბათ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობისთვის მაინცდამაინც დიდი ნაბიჯი არ იყო ჰაბლის ტელესკოპის გაშვება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრად: 1990 წელს ხომ უკვე არსებობდა ზემძლავრი ტელესკოპები და შატლი, ანუ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი.
სამაგიეროდ, ეს ამბავი თვით სამყაროსთვის იყო დიდი ნახტომი! განა სამყაროს
ნაცვლად ადამიანი არ ცდილობს პასუხი გასცეს შეკითხვას: რას წარმოადგენს სამყარო. დიახ, ასეა! სამყაროს თითქმის თხუთმეტი მილიარდი წელიწადი დასჭირდა იმისთვის, რომ ორგანულად ამოეზარდა ისეთი ფუნდამენტური რამ,
როგორიცაა თვალი, რომლითაც თავისივე თავს დაინახავდა! (მთელი საათი დამჭირდა ამ ფრაზის დასაწერად და ამიტომაც დავწერე მსხვილი შრიფტით).

თანდათან ვუახლოვდები-მეთქი, გავიფიქრე. კითხვის ტემპს ვუმატე და მალე საკუთარი დაბადების მოწმე შევიქენი. წარმტაცი სანახაობა იყო. ყველა ბავშვი ხომ არ იბადება შუა საკოქტეილე წვეულებაში.

განაგრძე, მამა, სულაც არ ვაპირებდი, რომ თხრობა შემეწყვეტინებინა. შენ

მკითხე, რა ხდება ჰაბლის ტელესკოპთან დაკავშირებითო და მეც გიპასუხე.

აქედან მოყოლებული, უკვე სწრაფად წავალ წინ. სხვა გზა არ მაქვს – დრო იწურება. ხვალ მნიშვნელოვანი შეხვედრა მელის და, ამჯერად, საბავშვო ბაღში
დედა წაგიყვანს.

ადამსტუენის პატარა ბინაში ოთხი წელიწადი ვიცხოვრეთ. ვერონიკამ სამხატვრო სკოლა დაამთავრა, თუმცა, თავად მოგეხსენება, ხატვა არ შეუწყვეტია, შემდეგ კი, ნელ-ნელა, ექვსკლასიან კოლეჯშიც მოეწყო ხატვის მასწავლებლად. როგორც ახალბედა ექიმი, მეც ის იყო, ვიწყებდი ჩემს საექიმო
პრაქტიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი წელიწადი უნდა მემუშავა საავადმყოფოში.

დარწმუნებული ვარ, გეცოდინება, რომ პაპაც და ბებოც – ორივე ტონსბერგში დაიბადა. დაახლოებით იმ დროს გადაწყვიტეს აესრულებინათ ძველი ოცნება, უკანვე დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მშობლიურ ქალაქში. ერთ დღესაც გამოგვიცხადეს: პატარა, იდილიური სახლი ვიყიდეთ ნორდბიენის რაიონშიო. ჩემი ძმა, ბიძაშენი ეინარი ამას წინათ ზღვაში გავიდა. მგონი, უიღბლო სიყვარულს გაექცა. ასე და ამგვარად, უმლევეიენის დიდ სახლში გადავედით.
ამისთვის დიდი გირაო უნდა აგვეღო, მაგრამ ახლა ხომ უკვე ჩვენი შემოსავალი
გვქონდა.

პირველ ყოვლისა, უმლევეიენის ბაღში დიდძალი სამუშაო ჩავატარეთ. ბუნებრივია, შევინარჩუნეთ ორი ვაშლის, ერთი მსხლის და ერთი ალუბლის ხე:
მათ სხვა არაფერი სჭირდებოდათ, მხოლოდ მცირეოდენი გასხვლა და ნაკელით
განოყიერება. ხელი არ გვიხლია ძველი ჟოლოს ბუჩქებისთვის და ვერც ხურტკმლის, შავი მოცხარისა და რევანდის ბუჩქების ამოძირკვა გავბედეთ. ჩვენი
მხრივ, დავრგეთ იასამნები, დეკა და ჰორტენზია. ვერონიკა ფეხმძიმედ იყო. მე
თითქმის მთელი ცხოვრება ბაღში გავატარე. ახლა მისი ჯერი დადგა. ზოგჯერ,
თბილ დღეებში, თავისი მოლბერტი ბაღში ჩაჰქონდა და ხატავდა.

ერთხელ, როდესაც ბაღში ვიყავით და ჟოლოს ვკრეფდით, დავინახეთ, როგორ აფრინდა სამყურას ყვავილიდან დიდი ბაზი და რა განსაცვიფრებელი სისწრაფით გაუჩინარდა. ამის შემხედვარეს, უეცრად აზრად მომივიდა, რომ საკუთარ წონასთან შეფარდებით, ბაზი გაცილებით სწრაფად დაფრინავს, ვიდრე დიდი ავიალაინერი. ეს ვერონიკას ვუთხარი და ჩვენ მარტივად ვიანგარიშეთ. ჩავთვალეთ, რომ ბაზი იწონის ოც გრამს და, სულ ცოტა, საათში
ათი კილომეტრის სიჩქარით მაინც დაფრინავს. იყო ავიალაინერიც, რომლის სიჩქარე, 800 კილომეტრი საათში, ოთხმოცჯერ აღემატებოდა ბაზისას. მაგრამ ოთხმოცჯერ ოცი გრამი შეადგენს 1,8 კილოგრამს, ანუ ჩემი და ვერონიკას შეთანხმებით, ბოინგ-747-ზე გაცილებით ნაკლებს. ამ თვითმფრინავს ოთხი რეაქტიული ძრავა აქვს, ბაზს – არც ერთი, მხოლოდ და მხოლოდ ფრთებით

მუშაობს! ორივეს გაგვეცინა, გაგვეცინა, რადგან ჩვენი სახლი უმლევეიენში ბაზის
ქუჩაზე იდგა.

სწორედ ვერონიკამ მასწავლა ბუნების სინატიფეთა უფრო ახლოდან დანახვა. შეგვეძლო მოგვეწყვიტა ია ან ცისფერი ფრინტა და ხანგრძლივად დავკვირვებოდით ამ პატარა სასწაულს. განა ქვეყანა ერთი დიდი ზღაპარი არ იყო?

დღეს, როცა ამას ვწერ, იმ ნაშუადღევს გაფრენილი ბაზის გახსენებაზე მელანქოლია მიპყრობს. როგორი აღტყინებულები ვიყავით, გეორგ, როგორი გახსნილები და უზრუნველები. იმედია, შენც გადმოგეცა გონება, რომელიც ღიაა
ამ პატარ-პატარა საიდუმლოებისადმი. ისინი არანაკლებ მაპროვოცირებლები არიან, ვიდრე სივრცეში მსრბოლავი ვარსკვლავები და გალაქტიკები. მგონი, ბაზის შექმნა უფრო მეტ გონიერებას ითხოვს, ვიდრე შავი ხვრელისა.

ჩემთვის ეს ქვეყანა იმთავითვე ჯადოსნური სამყარო იყო. ყმაწვილობიდანვე ასე ვუყურებდი ყველაფერს, ანუ დიდი ხნით ადრე, სანამ ფორთოხლის გოგონას
დავუწყებდი თვალთვალს ოსლოს ქუჩებში. აქამდე გამომყვა გრძნობა, რომ რაღაც ისეთი ვნახე, რაც სხვას არავის უნახავს. ძნელია ამ შეგრძნების გადმოცემა უბრალო სიტყვებით, მაგრამ შეეცადე წარმოიდგინო ქვეყნიერება მანამდე, სანამ დაიწყებოდა მთელი ეს თანამედროვე ბორგვა: ბუნების კანონები, ევოლუციური თეორია, ატომები, დნმმოლეკულები, ბიოქიმია და ნერვული უჯრედები, ანუ მანამდე, სანამ ბრუნვას დაიწყებდა, სანამ პლანეტად,
სივრცედ „დახურდავდებოდა", სანამ ამაყი ადამიანური სხეული გულად, ფილტვებად, ღვიძლად, ტვინად, სისხლძარღვთა სისტემად, კუნთებად, კუჭად
და ნაწლავებად დაიყოფოდა. ვლაპარაკობ იმ დროზე, როცა ადამიანი, არც მეტი,
არც ნაკლები, სიამაყით აღსავსე ადამიანი იყო, სამყარო კი - ერთი დიდი, მოციმციმე ზღაპარი.

უცბად ტევრიდან შველი ისკუპებს, წამით მოგაჩერდება და ისევ ქრება. რანაირი სული ამოძრავებს ამ ცხოველს? რა განუზომელი ძალა შეამკობს ხოლმე
ამ მიწას ცისარტყელას ფერებად მოელვარე ყვავილებით, ცას კი - მოციმციმე ვარსკვლავების გირლანდებით?

ბუნების საგანთა ამგვარი სპონტანური განცდა მოიპოვება ხალხურ გადმოცემებში, ისევე როგორც ძმები გრიმების ჯადოსნურ ზღაპრებში. იკითხე ხოლმე ისინი, გეორგ, იკითხე ისლანდიური საგები, ბერძნული და ნორვეგიული
მითები, ძველი აღთქმა.

უყურე სამყაროს, გეორგ, უყურე, სანამ მეტისმეტად გადავსებულა ფიზიკითა და ქიმიით.

ამწუთას ჩრდილოეთის ირმების დიდი გუნდები არდანგერვიდას მოშიშვლებულ ზეგანზე მიგელავენ; კარმარგის კუნძულზე, რონას ორ განტოტებას

შორის, ათასობით კაშკაშა წითელი ფლამინგო დაბუდებულა; მკვირცხლი გაზელების მომხიბლავი ჯოგები აფრიკულ სავანაში მიხტიან; ათასობით სამეფო
პინგვინი ემასლაათება ერთმანეთს ანტარქტიკის ყინულოვან ნაპირზე. აქ ისინი კი არ წუხდებიან, პირიქით – ხალისობენ.

თუმცა ყველგან მხოლოდ ჯგუფები და გუნდები არ გვხვდება. თითქოს ჭვრეტაში დანთქმული მარტოხელა ცხენირემი ნაძვის ტყიდან გამოყოფს თავს. შარშან ერთ ასეთ ირემს გზა აებნა და პირდაპირ უმლევეიენს მოადგა. ძრწოლაატანილი ლემინგი ფიელსტოლენური სახლის ფლიგელში მიდი-მოდის. ზორბა სელაპი ტყაპანით ამოდის ტონსბერგის კუნძულიდან.

არ მითხრა, ბუნება სასწაული არ არისო! არ მითხრა, რომ ქვეყნიერება ზღაპარი არ არის! ვისაც ეს არ ესმის, ვერც გაიგებს, სანამ ამ ზღაპრის დასასრული არ მოახლოვდება. და მაშინ ერთადერთი შანსიღა რჩება, რომ თვალსაფრები ჩამოიხსნას, სულ ბოლო შანსი, რომ გაოცებულმა თვალები მოიფშვნიტოს და მიეცეს საოცრებას, რომელსაც ემშვიდობება და ტოვებს.

ნეტავ თუ გესმის, რას ვამბობ, გეორგ? არავინ დამშვიდობებია ქვითინითა და
ცრემლებით ევკლიდეს გეომეტრიას ან ატომთა პერიოდულ სისტემას. არავის უწითლდება და უშუპდება თვალები ინტერნეტიდან გამორთვის ან გამრავლების
ტაბულისგან მოწყვეტის გამო. ადამიანები სამყაროს, ცხოვრებას, ზღაპარს ემშვიდობებიან. არის კიდევ ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც ნამდვილად გიყვარს და გულითადად ემშვიდობები.
ზოგჯერ მომსურვებია მანამდე მეცხოვრა, სანამ გამრავლების ტაბულას გამოიგონებდნენ და, რაღა თქმა უნდა, სანამ თანამედროვე ფიზიკა-ქიმია შეიქმნებოდა, სანამ ვიფიქრებდით, რომ უკვე ყველაფერი ვიცით, ანუ მეცხოვრა
ნამდვილად ჯადოსნურ სამყაროში! სწორედ ასე მატყდება თავზე ქვეყნიერება ახლა, როდესაც ჩემს კომპიუტერთან ვზივარ და წერილს გწერ. მე თვითონ მეცნიერი ვარ და არც ერთ მეცნიერებას არ უარვყოფ. მაგრამ, ამასთანავე, ვფლობ სამყაროს მისტიკურ, თითქმის ანომალიურ ხედვასაც. არასოდეს მიმიცია
ნიუტონის ან დარვინისთვის სიცოცხლის იდუმალი ელვარების უგულებელყოფის
უფლება (სიტყვებს, რომლებიც არ გესმის, ლექსიკონში იპოვი. კარადაში ახალი
ლექსიკონი დევს, ყოველ შემთხვევაში, მაშინ იდო, როცა ამას ვწერდი. თუმცა,
შესაძლოა, შენ უკვე „ახლად" აღარ მიგაჩნია).

საიდუმლოს გაგიმხელ: სანამ მედიცინის სწავლას შევუდგებოდი, სამომავლო კარიერის ორი ალტერნატიული გეგმა მქონდა. მსურდა, გამოვსულიყავი მწერალი, ანუ ის, ვინც ამ ქვეყნიერებას სიტყვებით ზეიმობს (თუმცა ეს უკვე გითხარი), ან კიდევ, ექიმი, რომელიც ემსახურება ცხოვრებას. უსაფრთხოების
მიზნით, ჯერ ექიმად ყოფნა ვამჯობინე.

ვერასოდეს მოვახერხე მწერლად ყოფნა, თუმცა ამ წერილს კი გწერ.

ქირურგიული კაბინეტიდან შინ დაბრუნება ფორთოხლის გოგონასთან,

ალუბლის ყვავილებს რომ ხატავდა ჩვენს საკუთარ ბაღში, იყო დიდი ახდენა ყოველივესი, რაზეც კი შემეძლო მეოცნება. ერთხელ, შინ დაბრუნებისას, იმდენად ამანთო მისმა დანახვამ ბაღში, რომ ხელში ავიტაცე და საწოლ ოთახამდე ასე ატატებული მივიყვანე. იცინოდა და იცინოდა! ო, როგორ კისკისებდა! საწოლზე დავაწვინე და, ბევრი არ დამიხანებია, იქვე დავეუფლე კიდეც. სულაც არ მრცხვენია, რომ ჩვენი ბედნიერების ამ კუნჭულშიც გახედებ. ან
რატომ უნდა მრცხვენოდეს? ეს ხომ მთელი ამ ამბის შემაერთებელი ძაფია.

როცა თვით სახლის რამდენიმეთვიანი შელამაზება დამთავრდა, უპირველესი, რაც უმლევეიენის სახლში გადაბარგების შემდეგ გადავწყვიტეთ, ის
იყო, რომ აღარ გვეკონტროლებინა ჩასახვის პროცესი. ეს გადაწყვეტილება აქ დაძინების პირველივე ღამეს მივიღეთ. იმ ღამიდან მოყოლებული, შენს შექმნას
შევუდექით.

ასე დაიბადე უმლევეიენში თვრამეტი თვის შემდეგ. როგორ მეამაყებოდა, როცა პირველად აგიყვანე ხელში! ბიჭი გაჩნდი. გოგო რომ ყოფილიყავი, თითქმის გარდაუვალი იყო, რომ შენთვის რანვეიგი დაგვერქვა. ასე ერქვა ერთ-ერთი ფორთოხლის გოგონას პაწაწუნა ქალიშვილს.

მშობიარობის შემდეგ ვერონიკა დაღლილი და ფერმკრთალი იყო, თუმცა - ბედნიერზე ბედნიერი. უფრო ბედნიერი ჩვენ, უბრალოდ, ვერ ვიქნებოდით. ესეც
ახალი თავი სრულიად ახალი წესებით!

კიდევ ერთ საიდუმლოს გეტყვი: ერთ-ერთი ჩემი სტუდენტობის მეგობარი ექიმად მუშაობდა საავადმყოფოში. იმ დღეს სამშობიაროში მოგვაკითხა და შამპანურიც მოიყოლა ახალბედა დედ-მამისთვის. როგორც წესი, სამშობიაროში
ეს მკაცრად იკრძალებოდა. მაგრამ ფანჯარას ჰქონდა პატარა ფარდა, რომლის ჩამოფარების შემდეგ დერეფნიდან ვერავინ ვერაფერს დაინახავდა, და ჩვენც - სამივემ ერთად ვადღეგრძელეთ ცხოვრება, შენ რომ დაიწყე ამქვეყნად. რასაკვირველია, შენ არავითარი შამპანური არ გერგო, სამაგიეროდ, სწრაფად დაეწაფე დედაშენის მკერდს, მან კი ცოტაოდენი შამპანური მოსვა.

მაგრამ იმ დღეს, როცა სევილიაში ფორთოხლის გოგონამ აეროპორტის ავტობუსამდე მიმაცილა, ჩვენ წყლის სადინარში ჩავარდნილ მკვდარ მტრედს წავაწყდით. რატომ მოგვევლინა ეს ცუდის მომასწავებელი ნიშანი? იქნებ იმიტომ, რომ ზღაპრის ყველა წესი არ დავიცავი?

ის თუ გახსოვს, ამ აღდგომას ჩვენს ქოხს რომ ვესტუმრეთ? თითემის უკვე სამწლინახევრის იყავი. არა, არა, დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი აღარ გემახსოვრება. როცა მედიცინას სწავლობ, ერთგვარ ფსიქოლოგიასაც გადიხარ. ბევრი არაფერი გაგყვება შემდგომ ცხოვრებაში ოთხი წლის ასაკამდელი ხანიდან.

მახსოვს, მე და შენ ქოხის კედელთან ვისხედით და ერთ ფორთოხალს ვინაწილებდით. ვერონიკა ამ სცენას ვიდეოზე აფიქსირებდა, თითქოს რაღაცის მოახლოებას გრძნობდა. ხომ ვერ ჰკითხავდი, შენახული აქვს თუ არა ეს კადრები, გეორგ? იქნებ იმ ყველაფერთან დაბრუნება მტკივნეული ეჩვენოს, მაგრამ შენ მაინც ჰკითხე.

აღდგომის შემდეგ მე უკვე ვიცოდი, რომ სერიოზულად ვიყავი ავად. ვერონიკას ეს არ სჯეროდა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო. ნიშნების
ამოკითხვაში მაგარი ვიყავი. დიაგნოზის დასმაშიც.

შემდეგ მივედი კოლეგასთან. აი, იმასთან, შამპანურით რომ მოგვაკითხა სამშობიაროში. მან ჯერ სისხლის ანალიზი აიღო, შემდეგ ერთგვარი რენტგენიც
გადამიღო, და სრულებით დაეთანხმა ჩემს დასკვნას. ჩვენ ერთი და იგივე პროფესიული მოსაზრება გავიზიარეთ.

იქიდან მოყოლებული, ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ეს ამბავი ვერონიკასთვისაც და ჩემთვისაც კატასტროფა იყო, მაგრამ ყველაფერი უნდა გვეღონა, რომ შენ რაც შეიძლება მეტხანს არ მოხვედრილიყავი სასოწარკვეთის ზონაში. კიდევ ერთხელ და თან სასწრაფოდ ამოქმედდა ახალი წესები. სწრაფვა, მოთმინება, დანაკარგი – ყველა ეს სიტყვა ახალი მნიშვნელობით დაიტვირთა. ამიერიდან ვეღარ შევპირდებოდით ერთმანეთს, მომავალი წლის ყოველ დღეს კვლავ ერთად გავატარებთო. საერთოდ, ვეღარაფრის პირობას ვერ
დავდებდით. უეცრად ასე გავშიშვლდით და გავღარიბდით. გულისგამთბობ „ჩვენ" ნაცვალსახელს საძულველი ბზარი გაუჩნდა. ახლა ერთმანეთს ვეღარაფერს მოვთხოვდით, ვეღარც საერთო მოლოდინი გვექნებოდა ჩვენ წინ გადაშლილი დროისგან.

ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ შენ უკვე რაღაც-რაღაცები იცი ჩემი ცხოვრების შესახებ. იცი, ვინ ვარ. ეს ჩემთვის კარგი ხელჩასაჭიდია.

გარკვეული აზრით, შენ უკეთ მიცნობ, ვიდრე ბევრი სხვა ვინმე, თუმცა, რაც
ოთხი წელი შეგისრულდა, მას შემდეგ რიგიანად აღარ გვისაუბრია. ყოველთვის
ისე გახსნილად არ დავლაპარაკებივარ ადამიანებს, როგორც შენ გელაპარაკები ამ წერილში. ჰოდა, უცილობლად გაიგებ, რაოდენ გამიძნელდებოდა ახალი წესების მიღება. ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო და ნელ-ნელა უნდა შევჩვეოდი
აზრს, რომ შენი და ფორთოხლის გოგონას დატოვება მომიწევდა.

მაგრამ არის რაღაც, რაც უნდა გკითხო, გეორგ! კიდევ დალოდება თითქმის შეუძლებელია. მაშ, ნება მიბოძე გიამბო, რა მოხდა აქ, უმლევეიენში, რამდენიმე
კვირის წინ.

დილაობით ვერონიკა სკოლაშია და მოზარდებს ფორთოხლების ხატვას ასწავლის. მე უკვე ვუთხარი: უფლებას არ გაძლევ მთელი დღე შინ დამიჯდე-მეთქი. მე და შენ ერთად ვსაუზმობთ, მერე კი საბავშვო ბაღში მიმყავხარ. ამის შემდეგ მრჩება რამდენიმე საათი, როდესაც კომპიუტერთან ვზივარ და ამსიგრძე წერილს გწერ. ხშირად ფეხისწვერებზე დავდივარ ოთახში,
რათა შენს სათამაშო რკინიგზას არ შევეხო. იმწამსვე მიხვდები, რომ რაღაც მთლად ისე არ დაგხვდა, როგორც დატოვე.

ზოგჯერ დღის ამ პერიოდში ცოტას წავუძინებ. არა, ცუდად კი არ ვხდები,

არამედ ღამით რომ ვერ ვიძინებ, იმიტომ. ყველა აზრი ერთად მომაწყდება ხოლმე და სწორედ ამ დროს მაწუხებს ყველაზე მეტად. ახლა, როდესაც სულ ცოტა ხნის სიცოცხლედა დამრჩენია, მე ძალზე ღრმად ვაწვდენ თვალს ყოვლად
უამურ საიდუმლოებს, იმ ვეებერთელა და საშინელ ზღაპარს, რომელსაც ერთი
კეთილი ფერიაც არ ჰყავს, მხოლოდ ავის მომასწავებელი ნიშნები, ბნელი სულები და ბოროტი ელფები. ჰოდა, სჯობს ღამით ძილი დავივიწყო და დივანზე
წავთვლიმო ხოლმე დღისით.

არც ისე ძნელი აღმოჩნდა ღვიძილი იმ დროს, როცა შენ და ვერონიკა შინ ხართ და ღრმა ძილით გძინავთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ვიცი: საკმარისია ვერონიკა გავაღვიძო (ზოგჯერ ასეც ვიქცევი) და ისიც დგება და გვერდით მიჯდება.
რამდენჯერმე მთელი ღამე ასე გვერდიგვერდ ჯდომაში გავატარეთ. ერთმანეთისთვის ბევრი არაფერი გვითქვამს. მხოლოდ ერთად ვისხედით. ჩაი ავიდუღეთ. პური და ყველი შევჭამეთ. აი, ასეთნაირად დაეწყო ყველაფერი, გეორგ! ასეთია, ამჯერად, ახალი წესები.

შეგვიძლია საათობით ვისხდეთ და ერთმანეთის ხელები გვეჭიროს. ერთი-ორჯერ მის ხელს დავხედე, ასეთ ნაზს და მშვენიერს, შემდეგ ჩემსაზე გადმოვინაცვლე, მთელ ხელზე კი არა - ერთ თითზე ან, ეგებ, მხოლოდ ფრჩხილზე. კიდევ რამდენხანს მექნება ეს თითი-მეთქი, ვფიქრობ. ზოგჯერ ვერონიკას ხელი ტუჩებთან მიმაქვს და ვკოცნი.

ისიც მიფიქრია, რომ ეს ხელი, რომელიც ახლა მიყირავს, იგივე ხელია, უკანასკნელ წამებში რომ მეჭირება, შესაძლოა, საავადმყოფოს საწოლში, შესაძლოა რამდენიმე საათსაც კი, სანამ საბოლოოდ გავსხლტები. შევთანხმდით, რომ ასეც მოხდება: ვერონიკამ პირობა მომცა. კარგია ამის წარმოდგენა, თუმცა, იმავდროულად, ენითაუწერლად სევდისმომგვრელიც. როცა
ამ სამყაროდან გავსხლტები, აქ ცხელ და ცოცხალ ხელს დავტოვებ, ფორთოხლის გოგონას ხელს.

აბა, ერთი წარმოიდგინე, გეორგ: რომ არსებობდეს მეორე ხელი, რომელსაც იქ, მეორე ნაპირზე ჩაეჭიდებოდა ადამიანი! მაგრამ იმ ნაპირისა მე არ მწამს. ამას თითქმის სრული რწმენით ვამბობ. ყოველივე არსებული მანამდე არსებობს, სანამ ამ არსებობას შეწყვეტდეს. და უკანასკნელი, რასაც ადამიანი ეჭიდება, ხშირად სწორედაც რომ ხელია.

უკვე გითხარი: ერთ-ერთი ყველაზე გადამდები რამ სიცილია-მეთქი. თუმცა მწუხარებაც შეიძლება ასეთი აღმოჩნდეს. აი, შიში კი სხვა შემთხვევაა, ანუ ისე
ადვილად არ ვრცელდება, როგორც სიცილი ან სევდა ან რაიმე კარგი ემოცია.
შიში სრულებით მარტოხელა სუბიექტია.

მეშინია, გეორგ, მეშინია ამ სამყაროდან სხვაგან გადასვლა. მეშინია ასეთი საღამოების, რომელთა მსგავსს ვეღარასოდეს ვნახავ.

მაგრამ, აი, ერთ ღამეს შენ გაგეღვიძა და მეც ამ მომენტისკენ მოვაბიჯებდი. სათბურში ვიჯექი და უცებ დავინახე, როგორ გამოფრატუნდი შენი ოთახიდან

სასტუმრო ოთახში. თვალები მოიფშვნიტე და მიიხედ-მოიხედე. სხვა დროს, ჩვეულებისამებრ, პირდაპირ ზემოთ, ჩვენს ოთახში ამოხვიდოდი, მაგრამ ამჯერად სასტუმრო ოთახში იდექი და აქეთ-იქით იყურებოდი. იქნებ იმიტომ,
რომ ყველა სინათლე ანთებული იყო. სახლში შემოვედი და ხელში აგიყვანე. ვერ
ვიძინებო, მითხარი. იქნებ ეს იმიტომ თქვი, რომ ერთი-ორჯერ შემთხვევით ჩაგეწვეთა ყურში ჩემი და დედას საუბარი მამიკოს უძილობასთან დაკავშირებით.

შენი გაღვიძებისგან განცდილი აუწერელი სიხარული იქიდან მოდიოდა, რომ ზუსტად მაშინ გამოხვედი მამასთან, როდესაც მას ყველაზე მეტად სჭირდებოდი.
ამიტომაც არაფერი ვიღონე იმისთვის, რომ ისევ დამეძინებინე.

როგორ მჭირდებოდა, რომ მელაპარაკა შენთან, მელაპარაკა ყველაფერზე, მაგრამ ეს შეუძლებელია: ჯერ მეტისმეტად პატარა ხარ. მიუხედავად ამისა, მაინც
საკმარისად მოზრდილი ხარ იმისთვის, რომ გენუგეშებინე. თუ შეძლებდი, რომ
არ ჩაგძინებოდა, სიხარულით გავატარებდი შენ გვერდით რამდენიმე საათს. ეს
ერთ-ერთი იმ ღამეთაგანი იყო, როცა შეიძლებოდა ვერონიკა გამეღვიძებინა. ახლა კი, შეეძლო მშვიდად განეგრძო ძილი.

სათბურიდანვე დავინახე, რომ მთელი ცა ვარსკვლავებს მოეჭედათ.
აგვისტოს მეორე ნახევარი იდგა და შეიძლება მანამდე არასოდეს გეცქირა ვარსკვლავებიანი ცისთვის, - არც სხვა დროს და არც ზაფხულის ნათელ ღამეებში (წლევანდელს უკვე ჩაევლო, შარშან კი შენ მეტისმეტად პატარა იყავი).
თბილი ჯემპრი და მატყლის შარვალი ჩაგაცვი, ჟაკეტიც მოგახურე, გარეთ გაგიყვანე და ორივენი ბაღში დავსხედით. სინათლეები სახლშიც გამოვთიშე და
ეზოშიც.

ჯერ ვერცხლისფერი მთვარე დაგანახვე: დაბლა ეკიდა, აღმოსავლეთის მხარეს. ნამგალი მარჯვენა მხარეს მიექცია, ესე იგი, კლებაში იყო. და მეც აგიხსენი, რა ხდებოდა.
კალთაში მეჯექი და მთლიანად ისრუტავდი შენს გარემომცველ უსაფრთხოებას, მე კი, ჩემი მხრივ, შენგან გამომავალ სიმშვიდეს ვეწაფებოდი.
შემდეგ დავიწყე ცის ტატნობზე მოკიაფე ვარსკვლავებისა და პლანეტების ჩვენება. როგორ მინდოდა, ყველაფერი გამენდო შენთვის, ყველაფერი - იმ ზღაპრის შესახებ, რომლის ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ, იმ განუზომელი გამოცანისა, რომლის პაწაწკინტელა ნამცეცებიც ჩვენ ვართ. ამ ზღაპარსაც განსაზღვრული წესები და კანონები ჰქონდა, რომლებიც ჩვენ არ გვესმოდა, რომლებსაც ვერც მოვიწონებდით და ვერც დავიწუნებდით, მაგრამ რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დავმორჩილებოდით.

ვიცოდი, რომ მალე დაგტოვებდი, თუმცა ამას ვერ გეტყოდი. ისიც ვიცოდი, რომ მალე უნდა გავსულიყავი ზღაპრიდან, რომელსაც მე და შენ ახლა ვუყურებდით, მაგრამ, აბა, როგორ მეთქვა ეს შენთვის! ამის სანაცვლოდ,

ვარსკვლავებზე ავლაპარაკდი, ჯერ შენთვის გასაგებ დონეზე, შემდეგ უკვე ისე,
თითქოს გვერდით ზრდასრული ადამიანი მეჯდა.

და შენც მისმენდი, გეორგ! გიხაროდა, რომ ვლაპარაკობდი, თუმცა ჩემი გამოცანები არ გესმოდა. იქნებ ოდნავ უფრო მეტიც გესმოდა, ვიდრე მე წარმომედგინა? არც შეგიწყვეტინებია და არც ჩაგძინებია, თითქოს იმ ღამეს არასდიდებით არ გამანაწყენებდი. იქნებ იგრძენი, რომ, არსებითად, მე კი არ
ვიჯექი შენთან, არამედ შენ – ჩემთან. იმ ღამეს შენ გებარა მამიკო!

მე აგიხსენი, რატომ იყო ახლა ღამე: იმიტომ, რომ დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ტრიალებდა და ახლა ეს მხარე ჩრდილში მოქცეულიყო. მხოლოდ მზის
ამოსვლა ან ჩასვლა გვახვედრებს, რომ დედამიწა ტრიალებს-მეთქი, ვთქვი მე.
ეგებ გაიგე კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იავნანადაც ვმღერით ხოლმე:
„მზე თვალებს ხუჭავს და მალე მეც დავხუჭავ". ახლა თუ გახსოვს ეს?

ვენერა დაგანახვე და გითხარი: ეს ვარსკვლავი სინამდვილეში პლანეტაა, რომელიც დედამიწასავით გარს უვლის მზეს. წლის ამ დროს ვენერას დაბლა დაწეულს ვხედავთ აღმოსავლეთით, რაკი მზე მასაც ისევე ანათებს, როგორც დედამიწას. შემდეგ ერთი საიდუმლოც გაგანდე: ყოველთვის, როცა ამ პლანეტას
შევხედავ, ვერონიკაზე ვფიქრობ-მეთქი: „ვენუს" ხომ ძველებურად „სიყვარულს"
ნიშნავს.

,,თუმცა თითქმის ყველა სხვა მანათობელი წერტილი, რომლებსაც ცაში ვხედავთ, ნამდვილი ვარსკვლავია, – განვაგრძობდი ახსნას, – ყოველი მათგანი
ცეცხლოვანი მზეა და ჩვენი მზესავით თავისთავად ანათებს". და იცი, რა მიპასუხე ამ დროს? „მაგრამ ვარსკვლავები კანს ვერ გვირუჯავენ".

საუცხოო ზაფხული იყო, გეორგ, და მთელ სხეულს მზის კრემით გიზელდით.
მე მოგეხვიე და ჩაგჩურჩულე: „ეგ იმიტომ, რომ ვარსკვლავებისგან ძალიან, ძალიან შორს ვართ".

ამწუთას მე ვწერ, შენ კი იატაკზე დაცოცავ და ხის მატარებლის კომპლექტისგან რაღაც ახალს აშენებ.

ვფიქრობ, ეს ყოველდღიური ცხოვრებაა, რეალობაა. მაგრამ ამ რეალობიდან გარეთ გამსვლელი კარიც ყურთამდე ღიაა. რამდენი რამ გვრჩება აქ! რამდენ რამეს ვტოვებთ, როცა მივდივართ!

ცოტა ხნის წინ მომიახლოვდი და მკითხე, რას წერ მაგ კომპიუტერშიო. წერილს ვწერ ჩემს საუკეთესო მეგობარს-მეთქი.

შესაძლოა გეუცნაურა, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას ჩემმა ხმამ ასე სევდიანად გაიჟღერა. „დედიკოს წერ?" – მკითხე ისევ.

მგონი, თავი გავაქნიე:

– დედიკო ჩემი ნამდვილი სიყვარულია. ეს სრულებით სხვა რამეა.

– მაშინ მე ვინღა ვარ?

ხაფანგში გამაბი! მაგრამ მე მკლავები მოგხვიე, კალთაში ჩაგისვი ჩემსა და კომპიუტერს შორის და გითხარი, შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ-მეთქი.

საბედნიეროდ, მეტი აღარაფერი გიკითხავს, – ვერ გაიგე, რომ წერილს შენ გწერდნენ. და მეც მეუცნაურა იმის წარმოდგენა, რომ ერთ დღესაც ამ წერილს
წაიკითხავდი.

დრო, გეორგ, რა არის დრო?

მე ისევ განვაგრძე ახსნა, თუმცა ვიცოდი, რომ მეტს ვეღარაფერს გაიგებდი.

სივრცეც ძველისძველი რამ არის, – ვთქვი მე, – იქნებ თხუთმეტი მილიარდი
წლისაც კი. მიუხედავად ამისა, დღემდე ვერავინ მიხვდა, როგორ შეიქმნა. ყველანი ვცხოვრობთ ერთ დიდ ზღაპარში, რომელიც არავის ესმის. ვცეკვავთ,
ვთამაშობთ, ვყბედობთ, ვიცინით სამყაროში, რომლის წარმოშობა ვერაფრით შეგვიცნია. ეს ცეკვა-თამაში ცხოვრების მუსიკაა და ისევე ახასიათებს ყველა ხალხს, როგორც თავისებური ზუმერი – ყველა ტელეფონს.

ამაზე თავი გადმოსწიე დ ამომხედე. როგორც ჩანს, ტელეფონის ამბავი გეცნო. შენ ხომ ასე გიყვარს ყურმილის აღება და მოსმენა.

შემდეგ დაგისვი შეკითხვა და იგივე შეკითხვა უნდა გაგიმეორო ახლაც, რადგან უკვე შეგიძლია გაიგო, რას გეკითხებიან. სწორედ ამ შეკითხვამ მაამბობინა შენთვის ფორთოხლის გოგონას ისტორია.

მე ვთქვი: წარმოიდგინე, რომ ამ ზღაპრის კიდეზე დგახარ მილიარდობით
წლის წინ, როცა ყოველივე შეიქმნა, და შეგიძლია ამოირჩიო, დაიბადო თუ არა
ერთ რომელიღაც მომენტში ამ პლანეტაზე. არ იცი, როდის დაიბადები, რამდენ
ხანს იცოცხლებ, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სიცოცხლე დიდხანს არ
გასტანს. მხოლოდ ის იცი, რომ თუკი გადაწყვეტ ამქვეყნად მოსვლას ერთ
რომელიღაც წამს, მაშინ მეორე წამს ყველაფერთან დამშვიდობება და აქედან
წასვლაც მოგიწევს. შენ გარინდებული იჯექი ჩემს კალთაში. მე განვაგრძე: „რას
აირჩევდი, გეორგ, რაღაც აღმატებული ძალით მონიჭებული არჩევანის უფლება
რომ გქონოდა (შეგვიძლია ამ დიად და უცნაურ ზღაპარში მოქმედი კოსმოსური
ფერიაც კი წარმოვიდგინოთ): საერთოდ არმოსვლას თუ მაინც დაბადებას და
განსაზღვრული ხანგრძლივობის სიცოცხლეს რომელიღაც მომენტში, ასი ათასი
თუ ასი მილიონი წლის შემდეგ?"

შენ ისევ გაუნძრევლად იჯექი ჩემს მუხლებზე. ნეტავ გამაგებინა, რას
ფიქრობდი, ცოცხალო სასწაულო. მომეჩვენა, რომ შენს ჩალისფერ თმას
ჩინური

ფორთოხლის სუნი სდიოდა. ცოცხლად განსხეულებული ანგელოზი იყავი.

არ ჩაგძინებოდა, მაგრამ თქმითაც არაფერს ამბობდი.

ეჭვი არ მეპარება, გაიგონე, რა ვთქვი. შეიძლება მისმენდი კიდეც. მაგრამ მაინც რა ხდებოდა შენს გონებაში, ამას ვერ ვიტყოდი. ერთად ვისხედით, თუმცა,
მოულოდნელად, მთელი უფსკრული გათხრილიყო ჩვენ შორის.

კიდევ უფრო ახლოს მიგიკარი. იქნებ იფიქრე: ეს ალბათ იმიტომ, არ შემცივდესო. მაგრამ მეორე წამს ძირს ჩამოგსვი, რადგან უეცრად ტირილი ამივარდა. არც მიფიქრია, რაღაცნაირად თავისთავად მოხდა და მეც შევეცადე,
თავი შემეკავებინა. მაგრამ ქვითინი ქვითინად გაგრძელდა.

ეს კითხვა ბევრჯერ დავუსვი საკუთარ თავს ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. ავირჩევდი თუ არა მოსვლას ამ დედამიწაზე იმის ურყევი ცოდნით, რომ ერთხელაც იქნებოდა ამ სიცოცხლეს მომწყვეტდნენ, ვინ იცის, იქნებ შუაგულ ბედნიერებაშიც კი? ან, ეგებ, იმთავითვე გრაციოზული „არა"-თი
უკან გამესტუმრებინა ეს ალალბედური თამაში? დგება დღე, როცა ამქვეყნად მოვდივართ, როცა დიდ ჯადოსნურ ზღაპარში გვიშვებენ, რომელიც უნდა დასრულდეს!

ნამდვილად არ ვიცი, მე თვითონ რას ავირჩევდი. ვგონებ, უარს ვიტყოდი პირობების მიღებაზე. თუ საქმე ეხებოდა მხოლოდ ერთ ხანმოკლე ვიზიტს, შესაძლოა, ზრდილობიანად მეთქვა უარი დიდ ზღაპარში გასეირნებაზე. ან, ეგებ,
არცთუ მაინცდამაინც ზრდილობიანად, ეგებ ერთი კარგად მიმეყვირა: მაგ დილემაში იმდენი უაზრობაა, რომ მეორედ აღარ გამაგონოთ-მეთქი?! აი, რა ვიფიქრე მაშინ, როცა ჩვენს ბაღში ვიჯექი და კალთაში შენ მყავდი დასკუპებული. სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ უარით გავისტუმრებდი მსგავს შემოთავაზებას.

თუ არასოდეს შევდგამდი ფეხს დიდ ზღაპარში, ვერც იმას გავიგებდი, რა დავკარგე. გესმის თუ არა, რისკენ მივდივარ? ჩვენ, ადამიანები, ძვირფასი საგნის დაკარგვას ზოგჯერ ვამჯობინებთ, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ გვქონოდა. მაგალითად, ფორთოხლის გოგონას პირობა რომ არ შეესრულებინა და მომდევნო ექვს თვეს ყოველდღე არ შემხვედროდა, ამას მერჩივნა საერთოდ
არასოდეს შემხვედროდა. ეს სხვა ზღაპრებსაც ეხება. ნუთუ ფიქრობ, რომ კონკია
მაშინაც წავიდოდა სასახლეში, როგორც ამ სასახლის მომავალი პრინცესა, თუკი
ეცოდინებოდა, რომ იქ ერთ კვირაზე მეტს არ დარჩებოდა? რას ფიქრობ, როგორ
იგრძნობდა თავს სასახლიდან უკან დაბრუნებული, კვლავ თავის ბუხარსა და საჩხრეკელასთან, თავის ბოროტ დედინაცვალთან და მახინჯ დებთან?

ახლა კი შენი ჯერია! შენ უნდა უპასუხო ამ კითხვას, გეორგ. სწორედ იმ ღამეს,
როცა ჩვენ ვარსკვლავებიანი ცის ქვეშ ვისხედით, მომაფიქრდა შენთვის ამ

გრძელი წერილის მოწერა. ამ აზრმა ცრემლი მაღვრევინა. ამის მიზეზი მხოლოდ
ის არ იყო, რომ შენ და ფორთოხლის გოგონა მალე უნდა დამეტოვებინეთ, არამედ ისიც, რომ შენ ასე პატარა იყავი და რომ რიგიანად ვერ ვისაუბრებდით.

განმეორებით გეკითხები: რას ამოირჩევდი, წინდაწინ რომ მოეცათ არჩევანის შანსი? – იმას, რომ ცოტა ხანი დაგეყო დედამიწაზე და შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყავი, თუ იტყოდი: დიდი მადლობა, მაგრამ მირჩევნია, არ დავიბადოო?

ამ ორიდან ერთი უნდა აირჩიო. ასეთია წესები. თუ დაბადებას აირჩევ, მაშინ
სიკვდილიც უნდა მიიღო.

მაგრამ, გეორგ, შემპირდი, რომ, სანამ პასუხს გასცემდე, მანამ ყველაფერს კარგად აწონ-დაწონი.

შესაძლოა, მეტისმეტად ღრმად შევტოპე და მეტისმეტად ბევრს ვითხოვ შენგან. იქნებ არც კი მაქვს ამის უფლება. მაგრამ შენი პასუხი ზემოთ დასმულ
შეკითხვაზე ჩემთვის მართლაცდა მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რაკი მე უშუალო პასუხისმგებელი ვარ შენი აქ ყოფნისთვის. მე რომ არ მოვსულიყავი ამქვეყნად, არც შენ გაჩნდებოდი არასოდეს.

თითქმის ბრალეულობის შეგრძნება მაქვს იმის გამო, რომ შენი მოსვლა ამქვეყნად, ნაწილობრივ, სწორედ ჩემი მიზეზით მოხდა. გარკვეული აზრით, სწორედ მე გადმოგეცი ეგ სიცოცხლე, უფრო ზუსტად – მე და ფორთოხლის გოგონამ. და თუ ასეა, მაშინ ერთ დღესაც ჩვენ მიერ მოცემულს ჩვენვე წაგართმევთ. სიცოცხლის მინიჭება პატარისთვის მხოლოდ ქვეყნიერების დიდი საჩუქრის მიცემას კი არ ნიშნავს, არამედ ამ გონმიუწვდომელი საჩუქრის უკან წართმევასაც.

ბოლომდე კეთილსინდისიერი უნდა ვიყო შენ წინაშე, გეორგ! როგორც გითხარი, ალბათ, მე უარს ვიტყოდი ელვისებურ გასეირნებაზე დიდ ზღაპარში.
ჰო, ნამდვილად შეიძლებოდა ასე მოვქცეულიყავი. და თუ შენც ასე ფიქრობ, მაშინ თავს ბრალეულად ვგრძნობ იმის გამო, რისი ამოქმედების ერთ-ერთი მიზეზიც მე გავხდი.

მე თავი ფორთოხლის გოგონას, სიყვარულს, ბავშვის ყოლის იდეას ვაცდუნებინე. ახლა სინდისი მქენჯნის და ბედთან შერიგების საჭიროებას განვიცდი. ნუთუ არასწორად მოვიქეცი? – ვეკითხები ჩემს თავს ეს კითხვა სინდისის სასტიკ ქენჯნას ჰგავს. ამასთან ერთად, ყოველივეს შემდეგ რაღაც სიკეთის გაკეთების საჭიროებაც დაიშვება.

მაგრამ, გეორგ, აქ შეიძლება მეორე დილემამ იჩინოს თავი, დილემამ, რომელიც არც ისე რთული ან დამღუპველი ჩანს, როგორც პირველი. თუ შენ იტყვი, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც სიცოცხლეს არჩევდი, თუნდაც ხანმოკლეს, მაშინ არავითარი უფლება აღარ მრჩება იმის სასურვებლად, ნეტავ
არასოდეს დავბადებულიყავი-მეთქი.

ასეთ შემთხვევაში, რაღაც დაბალანსდება თუ გაწონასწორდება. მეც ამის იმედი მაქვს, რასაკვირველია, და ამიტომაც გწერ.

შენ ვერ მომცემ პირდაპირ პასუხს ამ დიდ შეკითხვაზე. მაგრამ შეგიძლია მიპასუხო არაპირდაპირ, მიპასუხო შენსავე მიერ არჩეული ცხოვრების წესით, ცხოვრების, ერთად რომ დაგილოცეთ მე, ვერონიკამ და საავადმყოფოს დაუმორჩილებელმა ექიმმა. ეჭვი არ მეპარება, შამპანურის მომტანი ექიმი კეთილი ნიშანი იყო შენთვის.

ახლა კი შეგიძლია გვერდზე გადადო ეს ჩემი მოსალმება. ახლა შენ დაგიდგა ცხოვრების ჯერი.

მე კი, მე ხვალ საავადმყოფოში ვწვები. ეს მნიშვნელოვანი მომენტია. ამიერიდან საბავშვო ბაღში დედა გატარებს.

ესეც უნდა დამეწერა. გარდა ამისა, ვერც იმას შეგპირდები, რომ კიდევ დავბრუნდები უმლევეიენში.

და უკანასკნელი შეკითხვაც, გეორგ: შემიძლია თუ არა დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ სიცოცხლეს სხვა სიცოცხლე აღარ მოჰყვება? ვარ თუ არა სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ მაშინ, როდესაც შენ ამ წერილს წაიკითხავ, მე ნამდვილად აღარსად ვიქნები? არა, ამ შესაძლებლობას ბოლომდე ვერ გამოვრიცხავ. ალბათობის საზღვრები გადალახულია უკვე თვით სამყაროს არსებობის ფაქტით. ამით მე ვამბობ: უკვე იმდენად გაოგნებული ვარ საკუთრივ
სამყაროს არსებობით, რომ ადგილი აღარ მრჩება კიდევ ერთი სამყაროთი გასაოგნებლად.

ახლა მახსენდება, როგორ მოვკალით ამ რამდენიმე დღის წინ მთელი ორი საათი კომპიუტერულ თამაშში. შეიძლება თამაშმა შენზე მეტად მე გამართო. სასოწარკვეთილად მსურდა ცოტა დამესვენა ჩემი ფიქრებისგან. მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა თამაშში „ვიხოცებოდით", მომენტალურად იცვლებოდა ეკრანი და
თამაშსაც თავიდან ვიწყებდით. ვინ გვეტყვის: იქნებ ასევე არსებობს „ახალი ეკრანი" ჩვენი სულებისთვისაც? არა მგონია, ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. თუმცა ოცნებას ნაკლებად შესაძლებელზე საგანგებო სახელი ჰქვია: ჩვენ მას იმედს ვუწოდებთ.
გამახსენდა ბაღში გატარებული ის ღამე! ის ღამე ზურგის ტვინში შემომეყრა, წარუშლელად ჩამებეჭდა გულში. და ახლა, როდესაც ამას ვკითხულობდი, თმა
არაერთგზის დამიდგა ყალყზე.

აქამდე თითქოს აღარაფერი მახსოვდა: ამ წერილში რომ არ წამეკითხა, მე ხომ აღარასოდეს გამახსენდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ის ცა! ახლა კი ყველაფერი თითქმის გუშინდელ დღესავით ცხადად ამომიტივტივდა. ალბათ, ეს
ერთადერთი ეპიზოდია, რომელშიც ნამდვილად მახსოვს მამაჩემი.

ფიელსტოლენში ვერ ვიხსენებ. რამდენიც უნდა შევეცადო, ვერაფერს ვიხსენებ ჩვენი სეირნობებიდან სონსვენის ტბის ირგვლივ. აი, ბაღში გატარებული ის მოჯადოებული ღამე კი ნამდვილად გამახსენდა, როგორც ზღაპარი ან რაღაც ფერადოვანი სიზმარი.

მახსოვს, რომ გამეღვიძა და საძინებელი ოთახიდან გამოვედი. შემდეგ მამა სათბურიდან სახლში შემოვიდა და მაღლა, ძალიან მაღლა ამწია ჰაერში: ახლა
ჩვენ ავფრინდებით, ვარსკვლავებს შევხედავთ და კოსმოსში გავინავარდებთო. ამიტომაც უნდა ჩამეცვა თბილად: კოსმოსში ხომ მსუსხავი სიცივეა. ახლა ვარსკვლავები უნდა გიჩვენო, სხვა დროს ამას ვეღარ ვიზამთ და უთუოდ უნდა
ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობითო.

ისიც ვიცოდი, რომ მამა ავად იყო! თუმცა თვითონ არ იცოდა, რომ მე ეს ვიცოდი. საიდუმლოდ გამანდო დედიკომ. მითხრა: მამა შეიძლება საავადმყოფოში დაწვეს და ამიტომაც არის ასეთი სევდიანიო. თითქოს ისიც კი
მახსენდება, რომ ეს ამბავი დედამ სწორედ იმ ნაშუადღევს მამცნო. იქნებ ამიტომ არ დამეძინა იმ ღამეს?

ახლა სრულებით ნათლად გამახსენდა ის ხანგრძლივი გასეირნება კოსმოსში. ვგონებ, გავიაზრე, რომ მამა შეიძლებოდა სამუდამოდ წასულიყო ჩვენგან. თუმცა
მანამდე ჯერ უნდა ეჩვენებინა, სად მიდიოდა.

და მაშინ (თმა ამწამსაც ყალყზე მიდგას), როცა ცოტაც და, კოსმოსში უნდა გადაგვებიჯებინა, მამას ცრემლი წასკდა და ქვითინი აუვარდა. ვხვდებოდი, რატომ ტიროდა, თუმცა მან არაფერი იცოდა. ასე რომ, ვერაფერს ვიტყოდი, თაგვივით ხმისამოუღებლად უნდა ვმჯდარიყავი. მოსალოდნელი ამბები მეტისმეტად სახიფათო სალაპარაკო იყო.
არის კიდევ რაღაც: იმ ღამიდან მოყოლებული, ყოველთვის ვიცოდი, რომ ვარსკვლავების ნდობა არ შეიძლება. ნამდვილად ვერ გვიშველიან და ვერაფრისგან გვიხსნიან. ერთხელაც იქნება იქვე დავტოვებთ, სადაც არიან, და
ჩვენს გზას ვეწევით.

როდესაც მამას უეცრად ტირილი აუვარდა, მივხვდი, რომ არაფერია ამქვეყნად ისეთი, რასაც შეიძლება დაეყრდნო.

მამას წერილის ბოლო გვერდების წაკითხვის შემდეგ მე საბოლოოდ მივხვდი, რატომ მაინტერესებდა კოსმოსი იმთავითვე. მისკენ გამავალი სარკმელი ხომ მამამ გამიხსნა. მან მასწავლა, როგორ მომეწყვიტა მზერა ამქვეყნიური ალიაქოთისგან და როგორ შემემართა ზემოთ, ცისკენ. მოყვარულ ასტრონომად გაცილებით ადრე ვიქეცი, ვიდრე მივხვდებოდი, რამ განაპირობა ეს.

ასე რომ, აღარაფერი იყო გასაკვირი იმაში, რომ ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპით დავინტერესდი. ეს ინტერესი მემკვიდრეობით გადმომეცა! უბრალოდ, იმ წერტილიდან განვაგრძე, სადაც მამა შეჩერდა. ესეც რომელიღაც
საგვარეულო ნივთივით იყო. ეჭვი არ მეპარება, უხსოვარი დროიდან ასე ხდებოდა. ჰაბლის ტელესკოპისთვის გამიზნული პირველი მოსამზადებელი სამუშაოები ქვის ხანაში ჩატარდა. თუმცა არა: არსებითად, ყველაზე ადრეული
შემზადება დიდი აფეთქებიდან და დრო-სივრცის შექმნიდან რამდენიმე წამის გავლის შემდეგ დაიწყო.

არის ისეთი რამ, როგორიცაა თესლის ჩაგდება. მამამ მოასწრო – მანამდე

გააკეთა ეს, სანამ ამქვეყნიდან წავიდოდა. გარკვეული აზრით, სწორედ მან მომცა თემა ჩემი საგანგებო პროექტისთვის. არა მგონია, დიდად გატაცებული ყოფილიყოს ფეხბურთით. საბედნიეროდ, არც სპაის გერლზი უნახავს ოდესმე.
წარმოდგენა არა მაქვს, რა თვალით უყურებდა როალდ დალს.

კითხვა დავამთავრე. ვიჯექი და ვფიქრობდი, როცა დედამ ისევ მომიკაკუნა:

– გეორგ... – სხვა არაფერი უთქვამს.

დავამთავრე-მეთქი, ვუთხარი.

– ესე იგი, მალე გამოხვალ, არა?

მე კი არ გამოვალ, შენ უნდა შემოხვიდე-მეთქი. კარი გავაღე და დედა შემოვუშვი. მანაც, საბედნიეროდ, კარი შემოსვლისთანავე მიხურა.

სულაც არ მეუხერხულებოდა, რომ თვალცრემლიანი ვიყავი. დედაჩემიც აცრემლებულა მამასთან პირველად შეხვედრის შემდეგ. ამჯერად მე „შევხვდი"
მამას.

ხელები ყელზე შემოვხვიე ფორთოხლის გოგონას და ვთქვი:

– მამა ჩვენგან წავიდა.

დედამ გულში ჩამიკრა. ისიც ტიროდა.

ცოტა ხანს საწოლის კიდეზე ვისხედით. მალე შემეკითხა, რას გწერს მამაშენიო.

– ცოტა არ იყოს, ეკლებზე ვზივარ, – თქვა მან, – გარკვეულწილად, მეშინია
კიდეც. მართლა მეშინია მაგის წაკითხვა.

მამას ნაწერი ერთი გრძელი სიყვარულის წერილია-მეთქი, ვუთხარი, და დედამაც იფიქრა, რომ სიყვარულის წერილი ჩემდამი იყო მომართული. ამწუთას
დედასთვის, როგორც იტყვიან, კოვზით უნდა მეყმია. მე ავუხსენი, რომ სიყვარულის წერილი მამამ მას – ფორთოხლის გოგონას – მისწერა.

– მე მამას საუკეთესო მეგობარი ვიყავი, – ვთქვი მე, – მაგრამ მისი ჭეშმარიტი
სიყვარული შენ იყავი. ეს სრულებით სხვადასხვა რამეა.

ვერონიკა დიდხანს ხმისამოუღებლად იჯდა საწოლზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ფორთოხლის გოგონას ამ გრძელი ისტორიის წაკითხვის შემდეგ, მე ვხედავდი, რა ლამაზი ყოფილა დედაჩემი. ცოტათი მართლაცდა ციყვს ჰგავდა. თუმცა ამწუთას ყველაზე მეტად დიდ ბარტყს მაგონებდა. ბარტყის
აკანკალებულ ნისკარტს შევხედე.

– ვინ იყო მამაჩემი?

დედა შეკრთა. ზუსტად ხომ მაინც არ იცოდა, რა ეწერა წერილში.

– იან ოლავ, რასაკვირველია.
– ჰო, მაგრამ მაინც ვინ იყო? როგორი იყო?

– აჰ...

ბაგის კუთხეებში მონა ლიზას მსგავსი ღიმილი დაემჩნა და თითქმის შენიღბული მზერით გამომხედა. ამჯერად დედაჩემში რაღაც ისეთი შევამჩნიე, რაც რამდენჯერმე მამასაც მოეხელთებინა, ანუ დავინახე, რაოდენ ინტენსიური
იყო ეს ქალი, როგორ უელავდა ყავისფერი თვალები, უელავდა თუ რაღაც არცთუ
მსუბუქი ცეკვით უცეკვავდა.

– ძალიან, ძალიან საყვარელი იყო... – თქვა მან, – უიშვიათესი პიროვნება. ყველაფერთან ერთად დიდი მეოცნეზე, მეზღაპრეც კი. სულ იმას გაიძახოდა, ცხოვრება ზღაპარია და, ეჭვი არ მეპარება, ცხოვრების თითქმის ჯადოსნური შეგრძნება ჰქონდა. გარდა ამისა, დიდი რომანტიკოსიც ბრძანდებოდა. თუმცა ორივენი ასეთები ვიყავით. სნეულება მოულოდნელად დაატყდა თავს და სულაც
არ ვმალავ, რომ თავისი საფლავისკენ უსასრულო მწუხარებით მოცული
გაემართა. საშინელი საყურებელი იყო, ნამდვილად საშინელი. ძალიან
ვეძვირფასებოდი... შენც ეძვირფასებოდი, რაღა თქმა უნდა... საერთოდ
გაღმერთებდა. არ იყო მზად იმისთვის, რომ რომელიმე ჩვენგანი დაეკარგა,
მაგრამ ვერც სნეულებას ამარცხებდა. ასე რომ, მე და შენ მამა ბრუტალურად
მოგვწყვიტეს. უკანასკნელ წუთამდე არ შერიგებია თავის ხვედრს. ამიტომაც
იყო,
რომ წავიდა და თავის ადგილზე ამხელა სიცარიელე დატოვა. მაგრამ რაღაც
სიტყვას ვეძებ და ვერ მიპოვია...

– არ მეჩქარება.

– მას შეიძლება ნათელმხილველი ვუწოდოთ. აი, რისი თქმა მსურდა.

ახლა მე დამიდგა გაღიმების ჯერი:

– ის კეთილსინდისიერიც იყო, საკუთარ თავში ღრმად ჩახედულიც და არც
თავის თავს უყურებდა მეტისმეტად სერიოზულად. ეს თვისება არც ისე
ხშირად
გვხვდება ადამიანებში.

დედამ ვერგაგების მზერით შემომხედა.

– ჰო, შეიძლება. მაგრამ ეგ საიდან იცი?
მე ფურცლების დასტაზე მივუთითე:

– ოდესმე შენც წაიკითხავ და მიხვდები, რას ვგულისხმობ.

ფორთოხლის გოგონამ კიდევ ერთხელ მოიწმინდა თვალები. მაგრამ სულ ასე
ხომ ვერ ვისხდებოდით ჩემს საძინებელში! რას იფიქრებდა იორგენი?
ნამდვილად არ მშურდა მისი.

– მეტს ნუღარ ვალოდინებთ, – ვთქვი მე.

როცა სასტუმრო ოთახში შევედი, თავი რამდენიმე წლით უფროსად ვიგრძენი,
ვიდრე ამ სამი-ოთხი საათის წინ ჩემს ოთახში შეკეტვისას მამას წერილით ხელში. იმდენად გაზრდილი ვიყავი, რომ აინუნშიც არ ჩამიგდია ჩემკენ მომართული ცნობისმოყვარე მზერები.

დიდ სასადილო მაგიდაზე ცივი კერძები ეწყო: ცივად მოხარშული ქათამი, ლორი, ვალდორფის სალათა ფორთოხლის ნაჭრებით და მწვანე სალათით სავსე დიდი ლანგარი. ხუთივენი მაგიდას მივუსხედით, მე – სუფრის თავში.

როცა სასადილო მაგიდასთან ბევრი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს, დედა ხშირად ამბობს: ვინმე სუფრას გაუძღვესო. ამჯერად ვგრძნობდი, რომ ეს როლი
მე უნდა მეკისრა. ყოველივეს შემდეგ, ყველა მე შემომცქეროდა. რაღაც გაგებით,
მე მთავარი გმირი ვიყავი.

სადილს რომ შევუყევით, მე ოთხივეს შევხედე და ვთქვი:

– რამდენიმე წუთის წინ დავამთავრე იმ წერილის კითხვა, რომელიც მამაჩემმა მომწერა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. რასაკვირველია, ვხვდები, როგორ გაინტერესებთ, რა მომწერა...

ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. რისი თქმა მსურდა? როგორ განმეგრძო დაწყებული სიტყვა?

– წერილის ადრესატი მე ვარ. მაგრამ მამაჩემი სხვებსაც გიყვარდათ. ჰოდა, ამ
წერილიდან კარგი ამბებიც შევიტყვე და ცუდიც. ჯერ კარგს გეტყვით: ყოველ თქვენგანს, იორგენის ჩათვლით, წერილის მთლიანად წაკითხ,ვის შანსი მიეცემა.
ხოლო ცუდი ამბავი ის გახლავთ, რომ ვერავინ წაიკითხავთ წერილს ამაღამ. აქამდე ბებო მომლოდინე სახით დაყრდნობოდა მაგიდას. ახლა კი სახეზე იმედგაცრუების ჩრდილმა გადაურბინა. ეს ჩრდილი ეჭვმიუტანლად ადასტურებდა, რომ მას ნამდვილად არ ჰქონდა წაკითხული მამას წერილი, არც
ახლა და არც თერთმეტი წლის წინ. ამ გზავნილმა მართლაც თერთმეტი წელიწადი გაატარა ძველი სავარძლის სარჩულში.

– ვიდრე ყველანი მასზე ალაპარაკდებოდეთ, საშუალება უნდა მომცეთ, რომ გადავხარშო, რაც მამამ მომწერა, – ვთქვი მე, – ასევე მჭირდება ცოტა დრო იმის
გადასაწყვეტად, როგორ ვუპასუხო იმ მნიშვნელოვან შეკითხვას, რომელიც მან დამისვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ფორმის მოძებნა, რომლითაც მამას ვუპასუხებ.

აშკარა იყო, რომ ჩემი ნათქვამი ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. იორგენი წამოდგა, მომიახლოვდა, ხელი მეგობრულად დამარტყა მხარზე და მითხრა:

– კარგი იდეაა, გეორგ! ვფიქრობ, ნამდვილად უნდა გადახარშო, რაც წაიკითხე.

– ნებისმიერ შემთხვევაში, შუაღამეს ბევრი აღარაფერი უკლია. ყველას ძილის

დრო მოგვივიდა.

მე თვითონ მესმოდა, რაოდენ უფროსული და მნიშვნელოვანი ტონით ვმეტყველებდი. მე უკვე ზრდასრული ადამიანი ვიყავი.

თუმცა იმ ღამეს ერთი წუთიც არ მიძინია. როდესაც სახლში ყოველგვარი ხმაური მიწყნარდა, მე საწოლში ვიწექი და იქიდან გავცქეროდი თეთრად მოქათქათე ლანდშაფტს. თოვა რამდენიმე საათის წინ შეწყდა.

შუაღამისას წამოვდექი, თბილი ჟაკეტი ჩავიცვი, მატყლის ქუდი დავიხურე, არც კაშნე და ხელთათმანი დამვიწყებია და, სათბურის გავლით, ჩვენს შიდა ბაღში გავედი. ორნამენტებიანი რკინის სკამიდან თოვლი გადავხვეტე და დავჯექი. სახლის პარმაღის ნათურებიც წინდაწინ ჩავაქრე.

ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ავყურებდი და მაშინდელი სიტუაციის გახსენებას ვცდილობდი. ვგონებ, გამახსენდა, როგორ მიმიკრა მკერდზე. ეს იმიტომ, რომ, როგორც მახსოვს, კოსმოსური ხომალდიდან არ ჩამოვვარდნილიყავი. მერე კი, მოულოდნელად, ზრდასრული კაცის ღრმატემბრიანი ქვითინი გაისმა.
ვცდილობდი რამენაირად გადამეხარშა მისი საბედისწერო შეკითხვა. მაგრამ ვერანაირად ვერ ვწყვეტდი, რა პასუხი გამეცა.

ჩემს ცხოვრებაში პირველად გავაცნობიერე, რომ ოდესმე მეც დავტოვებდი ქვეყანას და ყველაფერს, რაც მასში მიყვარდა. საზარელი, ყოვლად აუტანელი აზრი იყო. და მასზე სწორედ მამამ ამიხილა თვალი. ამ ფაქტში, ჩემი აზრით,
არაფერი იყო საშინელი. ნამდვილად კარგი იყო იმის ცოდნა, თუ რა გვქონდა
მარქაფში. ეს იმის ცოდნას ჰგავდა, რამდენი ფული მქონდა ჩემს საბანკო ანგარიშზე. და, ყველაფერთან ერთად, იმის გაფიქრებაც მანუგეშებდა, რომ ჯერ
მხოლოდ თხუთმეტი წლის ვიყავი.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო, რომ არასოდეს დავბადებულიყავი, რადგან უკვე საშინლად მასევდიანებდა ის ამბავი, რომ ერთ
დღესაც აქაურობა უნდა დამეტოვებინა. მაგრამ გადავწყვიტე ისე მოვქცეულიყავი, როგორც მამა მეუბნებოდა თავის წერილში. უამრავი დრო მქონდა მძიმე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.

თავი ავწიე და ყველა იმ ვარსკვლავსა და პლანეტას მივაჩერდი. ვცადე წარმომედგინა, რომ კოსმოსურ ხომალდში ვიჯექი. რამდენჯერმე მოწყვეტილ ვარსკვლავსაც მოვკარი თვალი. თითქოს უკვე დიდი ხანი გასულიყო, რაც ასე ვიჯექი.

რამდენიმე ხნის შემდეგ კარის ხმა გავიგონე. დედა გამოვიდა. ის იყო, თენდებოდა.

– აქ ზიხარ? – მკითხა დედამ, თუმცა ხედავდა, რომ ასე იყო.

– ვერ დავიძინე, – სხვა არაფერი მითქვამს.

– ვერც მე, – თქვა დედამ.

შევხედე.

– თბილად ჩაიცვი და აქ მომიჯექი, დე...

დედა წავიდა და მალევე დაბრუნდა. შავი ქურთუკი ეცვა. ეს ქურთუკი ბავშვობიდან მახსოვდა. თუმცა მაინც ვერ ვიტყოდი, იგივე ქურთუკი იყო თუ არა,
რომელიც კათედრალში ეცვა-მეთქი.

– ვერცხლის დიდი სამაგრიღა გაკლია, – ვუთხარი, როცა სკამზე ჩამოჯდა.

დედამ ხელი პირზე იტაცა:

– ნუთუ მაგაზეც გწერს?

ამ კითხვას იმით ვუპასუხე, რომ თითით ვანიშნე აღმოსავლეთის მხრიდან სულ ახლახან ამოწვერილ დიდ პლანეტაზე. ნამდვილად პლანეტა იყო, რაკი სხვა
ვარსკვლავებივით არ ციმციმებდა, და ოთხმოცდაათი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ ვენერა ჩამოგვცქეროდა.

– იმ პლანეტას თუ ხედავ? – ვკითხე მე, – ვენერაა. ისე, ცისკრის ვარსკვლავსაც
ეძახიან. ყოველთვის, როცა თვალს მოჰკრავდა, მამას შენ ახსენდებოდი.

როდესაც თავი მძიმე ფიქრებით ივსება, ადამიანი ან რამდენიმე სიტყვას ამბობს ან, საერთოდ, დუმს. დედა დუმდა.

ერთხანს მეც გავჩუმდი, მერე კი ვთქვი:

– მთელი დამე აქ გავატარე მამას კალთაში, მეორე დღეს საავადმყოფოში უნდა დაეწვინათ. უფრო დაწვრილებით წერილში წაიკითხავ. ახლა აქ ჩვენ ვსხედვართ.

– გეორგ, – ხმა ამოიღო დედამ, – ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ წერილს, თან მეშინია კიდეც. მინდა, შინ იყო, სანამ დავამთავრებ. მპირდები?

ნიშნად აღთქმისა, ნაზად შევეხე. ვიფიქრე, დედასთვის მნიშვნელოვანია ახლომახლო ვიყო, როცა მამას წერილს წაიკითხავს-მეთქი. აბა, იორგენი ხომ არ
ანუგეშებდა ფორთოხლის გოგონას იან ოლავის მიერ მოწერილი გრძელი წერილის კითხვისას! ისე კი, იორგენსაც უპრობლემოდ შეეძლო წაეკითხა მამაჩემის ნაწერი: იოლად ვეღარ დაიძვრენდა თავს.

– იმ ღამეს მითხრა მამამ, თქვენი დატოვება მომიწევსო, – ვთქვი მე.

დედა სწრაფად შემომიბრუნდა:
– იცი, გეორგ... მე მგონი, ახლა ამაზე მეტს ვეღარ ვილაპარაკებ. ამ ამბებს პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. ნუთუ ვერ ხედავ, რომ, სხვა ყველაფერთან ერთად, შენ ძველ იარებსაც ხსნი? ნუთუ ვერ ხედავ ამას?

დედას გაბრაზებამდე აღარაფერი აკლდა.

– ჰო, რასაკვირველია, მესმის, – მივუგე მე.

ამის შემდეგ დიდხანს ხმისამოუღებლად ვისხედით. ალბათ, მთელი საათი გავიდა ასე. მე გაოცებული ვიყავი: დედა ხომ ყოველთვის მძიმედ იტანდა სიცივეს.

ყოველ ჯერზე თითით ვანიშნებდი, როგორც კი ცაში რაღაც ახალი ჩნდებოდა.
სულ მალე ვარსკვლავები უფრო და უფრო გაფერმკრთალდნენ, დაბოლოს, სრულებით გაქრნენ მოძალებულ დღის შუქზე.

სანამ საწოლებს მივაშურებდით, თითი კვლავ ცისკენ ავიშვირე და ვთქვი:

– იქ, მაღლა, დიდი თვალი დაცურავს. თერთმეტ ტონაზე მეტს იწონის, სიდიდით ლოკომოტივისხელაა და ორი გრძელი ფრთის მეშვეობით დაფრინავს.

შევნიშნე, რომ ამ სიტყვებზე დედა შეკრთა: ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი.

სულაც არ ვაპირებდი მის აფორიაქებას ან რაღაც ლანდებზე საუბარს, ამიტომაც სწრაფად დავუმატე:

– ჰაბლის კოსმოსურ ტელესკოპს ვგულისხმობ, ანუ სამყაროს თვალს.

ჯერ დედობრივი ღიმილით შემომხედა, მერე კი ხელი გამოიწოდა, რომ თმაზე
მომფერებოდა. მე შევაჩერე: დედა ისევ ბავშვად მთვლიდა. იქნებ ისიც ეგონა,
რომ ამწუთას ჩემს საგანგებო დავალებაზე ვფიქრობდი.

–– ოდესღაც უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, – ვთქვი მე.

იმ დღეს სკოლის გაცდენის უფლება მომცეს. ბებოს აზრით, ეს ის შემთხვევა იყო, როცა მასწავლებლისთვის შემეძლო მეთქვა, რა მოხდა. მხოლოდ ის უნდა
მეთქვა, თერთმეტი წლის წინ გარდაცვლილი მამის წერილი მივიღე–მეთქი. როცა
ასეთი რამ ხდება, ცუდი არ არის, შეყოვნდე და ამოისუნთქოოთ, – დაასრულა
ბებომ.

„როცა ასეთი რამ ხდება“, ექოსავით გავიმეორე ფიქრებში. ნუთუ სრულებით ნორმალური ამბავი იყო წერილის მიღება გარდაცვლილი მშობლისგან?

პაპა და ბებო ჯერ კიდევ მამას წერილის წაკითხვამდე უნდა
დაბრუნებულიყვნენ ტონსბერგში. შევპირდი, წერილს კვირის ბოლომდე
წაგაკითხებთ–მეთქი. ამდენი ხნის ლოდინი ბებოს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა.
ბოლოს და ბოლოს, სწორედ მან იპოვა წერილი და მანვე გადაწყვიტა ოსლოში
ჩამოსვლა. მაგრამ ამ დროს პაპამ იორგენის სიტყვები შეახსენა.

იმ დილით იორგენი ადრიანად წავიდა სამსახურში, – მხოლოდ თვალი

მოვკარი, – მე და დედა კი შინ დავრჩით. გვიან დილით მთელი ღამის უძინარს
ყვითელ დივანზე ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, მე და დედა სხვენში ავედით.

დედას ვთხოვე, სევილიაში დახატული შენი ძველი ნახატები
მომიძებნე-მეთქი. საბედნიეროდ, არც ერთი არ გადაეგდო, თუმცა კიდევ
ერთხელ გაიმეორა, ამ ყველაფერს მე უკვე აღვემატეო. ეს იმ მომენტში თქვა,
როცა მამას ძველ პორტრეტს მიადგა, – აი, იმას, მეხსიერებით რომ შეექმნა. არც
ერთს არაფერი გვითქვამს ამ პორტრეტის შესახებ, თუმცა მის დანახვაზე
უკუვიქეცი. ასეთი მანათობელი სილურჯის თვალები უწინ არც ერთ სურათში არ
მენახა. ლურჯ პიგმენტში ბევრი კობალტი ურევია-მეთქი, გავიფიქრე იმწამს. და
ვიგრძენი, რომ ამ თვალებს ნანახი ჰქონდათ ისეთი რამ, არავის რომ არ ენახა
დედამიწაზე.

– მაგრამ მამას ხომ არ „აღმატებიხარ", – ვთქვი მე. კი არ მიკითხავს, უფრო
ბრძანებასავით წარმოვთქვი.

ჩემი გავიტანე და ფორთოხლის ხეების სურათი ისევ ძველ ადგილზე,
შემოსასვლელში დავაკიდებინე. იქ დაკიდებული სურათი ჩამოვხსენი და ძველი
„ფორთოხლის ხეები" ზუსტად იქ დავკიდე, სადაც მაშინ ეკიდა, როცა მამა იჯდა
და წერილს მწერდა, – იმ დღეებში, როდესაც ფრთხილად დადიოდა ოთახში,
ვინძლო ჩემი მატარებლის ვაგონები არ გადაეყირავებინა. ის სხვა დრო იყო.

ჩემი აზრით, „ფორთოხლის ხეებმა" თავისი იდეალური ადგილი იპოვა და,
სხვათა შორის, არც მეტისმეტად მძიმე საცქერი იყო. ვფიქრობ, იორგენს ისღა
დარჩენოდა, მორჩილად აეტანა ეს მცირეოდენი ცვლილება საგანთა ჩვეულებრივ
წყობაში.
ვიპოვეთ მუყაოს ყუთში შეფუთული ჩემი მატარებელი და ყველა თანმხლები
ატრიბუტი, ისევე როგორც ძველი კომპიუტერი, რომელიც წინკარში ჩამოვიტანე,
ჩავრთე და პროგრამაში შესვლას შევეცადე. ძველი 005 მანქანა იყო და
პროგრამასაც სახელად Word —Perfect-ი ერქვა. ერთი ჩემი თანაკლასელის მამა
ჯერ კიდევ ვერ მოსცილებია ამ სამუზეუმო ექსპონატს და რამდენჯერმე მინახავს,
როგორ იწყებს ასეთი კომპიუტერის ამუშავებას.

მაგრამ, ვიდრე მამას ფაილებში შემიშვებდა, პროგრამამ კოდი მომთხოვა,
მაქსიმუმ – რვაციფრიანი. თერთმეტი წლის წინ ამის გაკეთება ვერ
მოახერხეს.

სანამ კომპიუტერს ვეჯახირებოდი, დედა ზურგს უკან მედგა. უამრავი სიტყვა
მოვსინჯეთო, – მითხრა, – უამრავი რიცხვი: დაბადების თარიღი, მანქანის
სარეგისტრაციო ნომერი, პასპორტის ნომერიც...

ეჭვი შემეპარა, რომ წარმოსახვა მაინცდამაინც არ აუმუშავებიათ, და შვიდი ასო 0-ß-#-M-C-C-5 ავკრიფე ((ფორთოხლები" - ინგლ.). მანქანა მეყსეულად
ჩაირთო და გამოჩნდა მენიუ, რომელმაც ძირითად მეხსიერებაში არსებული დირექტორიები გვიჩვენა.

სრულებით არ იკმარებს იმის თქმა, რომ ამან დედაზე „შთაბეჭდილება მოახდინა", - მან ხელი შუბლზე მიირტყა და გულის წასვლამდე ბევრი აღარაფერი დააკლდა.

სიტყვა „დირ" ძველ კომპიუტერებზე ნიშნავს „ფოლდერ"-ებს თანამედროვეზე.
ამ უკანასკნელთაც მაქსიმუმ რვაციფრიანი კოდი ჰქონდათ. ერთ-ერთს „ვერონიკა" ერქვა. Eoter დავაწკაპუნე. ძველ კომპიუტერებს მაუსი არ ჰქონდა.
გამოჩნდა ერთადერთი დოკუმენტი სახელად ygeorg.Iet. ისევ EoNter-ს დავაჭირე და,
აჰა, ისევ ის ფრაზა გამოჩნდა, წუხელ რომ წავიკითხე პირველად: „მყუდროდ თუ
ზიხარ, გეორგ? მნიშვნელოვანია, რომ მოხერხებულად მაინც იჯდე: ისეთი რამ
უნდა გიამბო, ფრჩხილებს რომ ჩაგაკვნეტინებს". ამჯერად ღილაკ HOME-ს და ქვემოთ მიმართულ ისარს დავაჭირე, მთელ ტექსტს რომ ჩაჰყვებოდა. ამისთვის,
სულ ცოტა, ათი წამი დამჭირდა. და, აი, სულ ბოლო ფრაზაც: „თუმცა ოცნებას
ნაკლებად შესაძლებელზე საგანგებო სახელი ჰქვია: ჩვენ მას იმედს ვუწოდებთ".

ნამდვილად დიდებული ამბავი იყო ძველ კომპიუტერზე მამაჩემის წერილის პოვნა. როდესაც მასთან ერთად ამ წიგნის დაწერა გადავწყვიტე, ისე წარმომედგინა, რომ გვარიანი საკრეჭ-სარედაქციო საქმე მელოდა. ახლა კი პროექტი გაცილებით გამიადვილდებოდა, რაკი ძველ დოკუმენტს გავხსნიდი და
პირდაპირ მასში განვაგრძობდი მუშაობას: მამისეული ტექსტის დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში. ასეთ შემთხვევაში, მექნებოდა განცდა, რომ წიგნს მამასთან
ერთად ვწერ.

ცოტაოდენი ჯახირის შემდეგ, ძველი პრინტერიც ავამუშავე. ეს ის მოდელია, „ზიზილასბორბლიანს" რომ უწოდებენ, და რაოდენ დაუჯერებელია ის ამბავი,
რომ, ხანდისხან, სამეცნიერო მუზეუმიდან მის მოსაპარავად მოსული საიდუმლო
აგენტების გამკლავება მიხდება. ისეთი ხმა აქვს, ელექტროხერხი გეგონება და ერთი გვერდის დასაბეჭდად ოთხი წუთი სჭირდება. ეს იმიტომ, რომ თითოეული
ასოს დაბეჭდვა პაწაწინა ჩაქუჩის დარტყმით ხორციელდება. თერთმეტი წლის წინ, როდესაც მამა გარდაიცვალა, ეს მოწყობილობა სავსებით თანამედროვე იყო!

ახლა ვზივარ და ძველ კომპიუტერზე ვბეჭდავ. ზუსტად ამ წუთს ვგულისხმობ:
უკანასკნელი, რაც დავბეჭდე, არის „ახლა ვზივარ და ძველ კომპიუტერზე ვბეჭდავ. ზუსტად ამ წუთს ვგულისხმობ".

დედას აქვს სრულებით უნიკალური მუსიკალური ჩანაწერი, სახელად დაუვიწყარი: ნატალი კოული მღერის მამამისთან, სახელგანთქმულ ნატ კინგ კოულისთან ერთად. შესაძლოა, ეს არცთუ გამაოგნებლად ჟღერს, მაგრამ საქმე
იმაშია, რომ ნატალი კოული ამ დუეტს მამამისის გარდაცვალებიდან თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ასრულებს. წმინდა ტექნიკური აზრით, ეს არც ისე რთული გასაკეთებელი იყო: ნატალიმ თავისი ხმა ზედ გადააწერა ორმოცი წლის
წინანდელ ჩანაწერს. კაცი იტყოდა, ქალიშვილმა მამის ხმა ახლებურად გადმოწერაო.

ასე რომ, ტექნიკურად, დიდი არაფერი იყო დუეტი ორმოცი წლის წინათ გარდაცვლილ კაცთან. აქ საქმე უფრო სულიერ მოთხოვნებს ეხება. საბოლოოდ,
დუეტი მშვენიერი და მართლაც რომ „დაუვიწყარია".

აზრი არა აქვს ამ ისტორიის შევსებას. რჩება ორად ორი რამ. ერთია პასუხის გაცემა მამაჩემის სასიცოცხლო კითხვაზე. თუმცა არის კიდევ რაღაც, რაზედაც უფრო ადრე ვიზრუნებ, რაკი ეს წიგნი სწორედ იმ შეკითხვაზე პასუხის გაცემით
უნდა დასრულდეს.

დედამ ჯერ ძველ ნახატებთან და წარღვნამდელ კომპიუტერთან იტრიალა, შემდეგ სამზარეულოში გავიდა ქოქოსის კაკლის ფუნთუშების გამოსაცხობად. იცოდა, რომ ეს ფუნთუშა ყველა სხვას მერჩივნა და სწორედ ამიტომაც გამოაცხო
ამ საგანგებო დღეს. თუმცა ქოქოსის ფუნთუშებზე მირიამიც გიჟდება.

როცა წინკარში ახალგამომცხვარი ფუნთუშების სურნელი შემოიფრქვა, მე სამზარეულოში გავედი. ვიფიქრე, ღუმლიდან ახალგამოღებულ ფუნთუშას ჩავკბეჩ-მეთქი. იყო კიდევ რაღაც, რაც დედასთვის უნდა მეკითხა, ანუ ერთი შეუვსებელი ადგილი ფორთოხლის გოგონას ისტორიაში, რომელიც დედას ჯერ არ
წაეკითხა.

როცა სამზარულოში შევედი, დედა ფუნთუშებს შაქრის ფხვნილს აყრიდა.

– ვინ იჯდა თეთრ „ტოიოტაში", დედა? – ვკითხე მე.

მხოლოდ ხუმრობისთვის ვკითხე, მხოლოდ გამოსაჯავრებლად. მე ხომ უკვე ვიცოდი, რომ ეს ერთ-ერთი ძველი სიყვარული იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში,
ასე აუხსნა მამას. თუმცა ამ შეკითხვამ დედა უცნაურად დააბნია. ჯერ ფერდაკარგულმა შემომხედა, მერე კი სამზარეულოს მაგიდაზე ჩამოჯდა.

– ესე იგი, ესეც გიამბო? – ამოიოხრა მან.

– მე მგონი, ცოტას ეჭვიანობდა, – ვუთხარი მე.

რაკი დედას აღარაფერი უთქვამს, მე გავუმეორე:

– ხომ ვერ მეტყოდი, ვინ მართავდა იმ თეთრ „ტოიოტას“ ?

დედა ისეთი ჩაფიქრებით მომაჩერდა, თითქოს სარკისმინიანი ფანჯრიდან უნდა გადახტესო.

– იორგენი.

– იორგენი?! – თავბრუ დამეხვა მე.

დედამ თავი დააქნია. მე კიდევ უფრო მეტი თავბრუსხვევა ვიგრძენი. დაფხვნილი ქოქოსით სავსე პარკი ავიღე და იატაკზე დავიწყე მოპნევა. შემდეგ
მთელი პარკი ამოვაბრუნე და მთელი შიგთავსი გადმოვფანტე:
– თოვს, – დავაყოლე თან.

დედა ისევ სამზარეულოს მაგიდაზე იჯდა. ჩემს შეჩერებას აზრი არ ჰქონდა, მეტისმეტად დაგვიანებული იყო.

- რატომ შვრები ამას? – ესღა მითხრა.

– იმიტომ, რომ საძაგელი ხარ! – ვიყვირე მე, – ორი ბოიფრენდი ერთდროულად
გყავდა!

ამაზე დედამ ენერგიულად გაიქნია თავი:

– სულაც არა! მას შემდეგ, რაც იან ოლავს შევხვდი, ის იყო ერთადერთი.

მაგრამ მე მაინც არადამაჯერებლად მეჩვენა ეს ყველაფერი.

– და როგორც კი იან ოლავი გარდაიცვალა, მაშინ იორგენი იყო ერთადერთი?

– არა, არც ასე ყოფილა. რამდენიმე წელიწადი გავიდა მანამდე, სანამ კვლავ იორგენს შევხვდი. იმ წლებში კი მხოლოდ ჩვენ ორნი – მე და იანი – ვარსებობდით. შენ იცი ეს. მაგრამ როდესაც იორგენს ისევ შევხვდი, მისდამი გრძნობა განმიახლდა. დიდმა დრომ განვლო, სანამ ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, საკმაოდ ხანგრძლივმა პერიოდმა.

ახლა კი დედიკო ცოტა არ იყოს, შემებრალა. ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო.

– ხომ ვერ მეტყოდი: ამ ორიდან რომელი უფრო უყვარდა ფორთოხლის გოგონას?

– მაგას ნუ მეკითხები! – წარმოთქვა დედამ ემფატიკურად.

გულმოსული კი არ იყო, – მტკიცედ იდგა. მერე კი ცრემლი წასკდა.

გადავწყვიტე, თავი დამენებებინა ამ ყველაფრისთვის, რადგან, თუ რამე ვისწავლე მამაჩემისგან, უწინარეს ყოვლისა ის, რომ უფლება არ მქონდა ჩავრეულიყავი საგნებში, რომლებიც მე არ მეხებოდა. ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რომ მეტისმეტად არ მივახლოებოდი ზღაპარს, რომელშიც თვითონ არ ვმონაწილეობდი.
თუმცა იმის უფლება ნამდვილად მქონდა, რომ საკუთარი აზრები მეფრქვია.

არ მესიამოვნა, რაც მოვისმინე. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ, საბოლოოდ, თეთრ „ტოიოტაში" მჯდომმა კაცმა გაიმარჯვა. ეს მისი ბრალი არ იყო. არც მისი
და, ალბათ, არც არავისი. ის კი ნამდვილად მსიამოვნებდა, რომ ეს ამბავი მამაჩემს არასოდეს შეუტყვია.

იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ეს ისევ და ისევ მამაჩემის მიზეზით მოხდა? მან ვერ მოახერხა, რომ წესები დაეცვა, ვერ მოახერხა – ექვს თვეს დალოდებოდა ფორთოხლის გოგონას. და არცთუ ისე ბევრი დრო გასულა იმ მომენტამდე, როცა
წყლის სადინარში მკვდარ მტრედს წააწყდა, თანაც – თეთრს.

ყოველთვის ისე გავიხსენებ მამას, როგორც თეთრ მტრედს. თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ბედისწერის, როგორც ასეთის, მჯერა. არც ის მგონია, რომ მამას სჯეროდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპით ასე არ დაინტერესდებოდა.

ნაშუადღევს, იორგენსა და მირიამთან ერთად, შოკოლადიანი ფუნთუშები მივირთვი. მათ შორის შაქრის ფხვნილით მოსარკლული ორი ფუნთუშაც ერია.
ისინი იორგენს და მირიამს დავუთმეთ: ისეთი განცდა მქონდა, რომ ასე გვმართებდა და რომ ეს ფუნთუშები მათ ჩვენგან ეკუთვნოდა.

ფუნთუშების ბრძოლიდან რამდენიმე დღემ განვლო, მე კი ისევ ძველ კომპიუტერს ვუზივარ. უნდა მოვიფიქრო, რა პასუხი გავცე მამას შეკითხვას. ჩემსავე თავს დავუწესე „ბოლო ვადა", რომელიც ხვალ – კვირას – სადილობის
დროისთვის იწურება.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სხვა არც არაფერზე მიფიქრია, გარდა იმ ჩახლართული არჩევანისა, მე რომ უნდა გამეკეთებინა. ამასობაში, წერილი ოთხჯერ წავიკითხე და, ყოველ ჯერზე, ერთსა და იმავეს ვფიქრობდი: „საბრალო,
საბრალო მამა!" ნამდვილად მებრალებოდა, რომ აქ, ჩვენთან აღარ იყო. თუმცა
ის, რაზეც მამა მწერდა, მხოლოდ და მხოლოდ მას არ ეხებოდა. ეს ყველას ეხება
ამქვეყნად: მათ, ვინც ჩვენამდე იყო, ვინც ამჟამად ცხოვრობს და ვინც შემდეგ
მოვა.

„ამქვეყნად ჩვენ ერთადერთხელ მოვდივართ", მწერდა მამა. რამდენჯერმე ისიც თქვა, ამ მიწაზე სულ მცირე ხნით ვართო. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, ჩემი
გამოცდილება ზედმიწევნით ემთხვევა მისას–მეთქი. ამქვეყნად მე თხუთმეტი წელიწადი მიცხოვრია და ამ პერიოდს მაინცდამაინც „მოკლედ" ვერ აღვიქვამ.

თუმცა, მგონი, ვიცი, რას გულისხმობდა. ცხოვრება ხანმოკლეა იმათთვის, ვისაც ჭეშმარიტად ძალუძს გაიგოს, რომ ერთ დღესაც სამყარო მთლიანად დასრულდება. ეს ყველას არ შეუძლია. ყველას არ ძალუძს იმის გააზრება, რას
ნიშნავს, რეალურად, ქვეყნიერების დატოვება მთელი მარადისობით.

გამოგონებულია მეტისმეტად ბევრი ყურადღებისგამფანტავი საშუალება, რომლებმაც წუთიდან წუთამდე უნდა დააბრკოლოს მსგავსი აზრები.

„წარმოიდგინე, რომ ამ ზღაპრის კიდეზე დგახარ მილიარდობით წლის წინ, როცა ყოველივე შეიქმნა, და შეგიძლია ამოირჩიო, დაიბადო თუ არა ერთ რომელიღაც მომენტში ამ პლანეტაზე, – მწერდა მამა, – არ იცი, როდის დაიბადები, რამდენ ხანს იცოცხლებ, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სიცოცხლე დიდხანს არ გაგრძელდება. მხოლოდ ის იცი, რომ თუკი გადაწყვეტ
ამქვეყნად მოსვლას ერთ რომელიღაც წამს, მაშინ მეორე წამს ყველაფერთან დამშვიდობება და აქედან წასვლაც მოგიწევს".

ჯერჯერობით ვერაფერი მოვისაზრე. მაგრამ უკვე ვიწყებ მამასთან დათანხმებას. იქნებ საერთოდ უნდა უკუეგდო ასეთი შემოთავაზება. დროის მონაკვეთი, რომელსაც ამქვეყნად გავატარებდი, მიკროსკოპულად მცირე იქნებოდა მთელ დანარჩენ – წინმსწრებ და მომდევნო უსასრულობასთან შედარებით.

თუ მეცოდინებოდა, რომ ესა და ეს სითხე ფანტასტიკურად გემრიელია, ვინ იცის, იქნებ მაინც არ გამესინჯა, თუკი ერთადერთ მილიგრამს შემომთავაზებდნენ.

მამაჩემისგან მემკვიდრეობად მერგო ღრმა კაეშანი – ერთ დღესაც ამ ქვეყნის გარდაუვალი დატოვებისგან მოგვრილი. მეც შემომეჩვია ფიქრი „ამნაირ საღამოებზე, რომლებსაც ვეღარ ვნახავ". ასევე მემკვიდრეობად მერგო მზერა, რომელშიც ცხოვრება ესოდენ ფანტასტიკური ჩანს. ზაფხულში ვაპირებ საფუძვლიანად შევისწავლო ბაზად წოდებული მწერის ცხოვრება (უკვე შეძენილი
მაქვს წამმზომი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბაზის ფრენის სისწრაფის განსაზღვრა. ასევე შეიძლება მისი აწონაც). არც აფრიკულ სავანაში სანადიროდ წასვლაზე ვიტყოდი უარს. ცაში ცქერა და მილიარდობით სინათლის
წლით დაშორებული ციური სხეულებით განცვიფრებაც ვისწავლე, – ჯერ კიდევ
მანამდე, სანამ ოთხი წლის გავხდებოდი.
თუმცა გზას ზუსტად ამ წერტილიდან მაინც ვერ განვაგრძობ, სხვა კუთხით უნდა ვცადო. ეს არჩევანი მე ჩემებურად უნდა გავაკეთო.

ფორთოხლის გოგონას ისტორია ფილმი რომ ყოფილიყო, პირველად კინოთეატრში მენახა და სავსებით ცხადად მცოდნოდა, რომ ამ დედამიწაზე ვერ
მოვიდოდი, თუ იან ოლავი და ფორთოხლის გოგონა ერთმანეთს არ შეხვდებოდნენ, მაშინ, რაღა თქმა უნდა, როგორც მაყურებელი, ორივეს წავაქეზებდი იმ იმედით, რომ ერთმანეთისთვის გვერდი არ აევლოთ და მათი გზები, ბოლოს და ბოლოს, სადმე გადაკვეთილიყო. მოუთმენლად ვიჯდებოდი
ჩემი სკამის კიდეზე და ვიღელვებდი, ვინძლო ერთ-ერთი მათგანი იმდენად დიდი ათეისტი არ გამომდგარიყო, რომ საშობაო წირვას არ დასწრებოდა. შესაძლოა, ისტერიკული ტირილიც კი ამვარდნოდა, როცა ფორთოხლის გოგონას
დანიელ კავალერთან ერთად დავინახავდი პლაცა დე ლა ალიანზაზე. და როცა

ვერონიკა და იან ოლავი, ბოლოს და ბოლოს, მიჯნურებად იქცნენ, ჩხუბის თუ
კინკლაობის იოტისოდენა მინიშნებაც კი ადგილზე გამაშეშებდა. ჩემს
შემთხვევაში, ერთ უბრალო ჩხუბს შეიძლებოდა კოსმოსური მასშტაბები
მიეღო.

ქვეყნიერება! აქ ვეღარასოდეს დავბრუნდებოდი, ვეღარასოდეს
დავესწრებოდი დიდ მისტერიას.

სივრცე! ვეღარასოდეს ავხედავდი მოციმციმე კოსმოსს.

მზე! ვეღარასოდეს დავაბიჯებდი ფეხს ტონსბერგის სანაპიროს თბილ ქვებს,
ვეღარასოდეს დავასკდებოდი მუცლით ზღვის ტალღებს.

ახლა მე მესმის, უეცრად გავაცნობიერე ამ ყველაფრის მთელი მასშტაბი.
ახლადა ვაცნობიერებ ჩემი სიცოცხლითა და სულით არარსებობის აზრს.
ვგრძნობ, როგორ მითრახთრახებს შიგანი. თითქოს ავად ვხდები. თუმცა,
იმავდროულად, ბრაზიც მერევა. მაცოფებს იმის წარმოდგენა, რომ ერთ
დღესაც
გავქრები და აღარაფერი ვიქნები, – არა ერთი-ორი კვირით, არც ოთხი ან
ოთხასი
წლით, არამედ სამარადისოდ.

თითქოს რაღაც თაღლითობის მსხვერპლი ვარ, რადგან ჯერ ვიდაც ამბობს:
„აბა, თავს მიხედე, მთელი სამყარო მოგეცა და დროს უქმად ნუ გაფლანგავ.
აი,
შენი ბარათი, აი, მატარებელი, აი, სკოლა, რომელშიც შემოდგომაზე
წახვალ".
მეორე წამს კი, ვიღაც ხარხარებს: „ჰა-ჰა-ჰა, რა მაგრად გაყლაპეთ!" და
მთელი
სამყარო თითებშუა გისხლტება.
ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ყოველმხრივ მიღალატეს. არაფერია
ხელჩასაჭიდი. ვერაფერი მიხსნის.

ვკარგავ არა მხოლოდ ქვეყანას, არა მხოლოდ ყველას და ყველაფერს, რაც
მიყვარს, – საკუთარ თავსაც ვკარგავ.

ჰოპლა, მე აღარ ვარსებობ!

გაბრაზებული ვარ, ისეთი გაბრაზებული, რომ ყოველწამს შეიძლება ვარწყიო.
იმიტომ, რომ ეშმაკს თვალებში ჩავხედე. თუმცა ბოლო სიტყვას მაინც არ
ვათქმევინებ. მანამდე შევბრუნდები მისგან, სანამ ხელში ჩამიგდებს. მე
ვირჩევ
სიცოცხლეს. ვირჩევ სიკეთის პატარა ბილიკს – ჩემთვის განკუთვნილს. და,
ვინ
იცის, ეგებ იქ, სადღაც, კეთილი არსებაც მიმალულა. ეგებ არსებობს
ღმერთი,
რომელიც ყველაფერს ზემოდან დაჰყურებს.

ვიცი, რომ არსებობს ბოროტება, რადგან მოსმენილი მაქვს ბეთჰოვენის
„მთვარის სონატის" მესამე ნაწილი. თუმცა ისიც ვიცი, რომ არსებობს
სიკეთეც,
რომ ორ უფსკრულს შორის ყვავის უმშვენიერესი ყვავილი და რომ მალე

სიცოცხლისმოყვარული ბაზი ამ ყვავილიდან გაფრინდება.

ჰა! მე მას ნებას ვრთავ, იქ ჩაძვრეს! საბედნიეროდ, ამ ყველაფერში არსებობს
მსუბუქი ალლეგრეტტო-ც. ორ ტრაგედიას შორის ერთობ თავშესაქცევი თოჯინების სპექტაკლი გამართულა, - ამ პერფორმანსის გამოტოვება მე არ მსურს. მსურს, მთელი ფსონი მეორე მოქმედებაზე დავდო! არსებობს ისეთი რამ,
რასაც სიცოცხლის მადა შეიძლება დაერქვას და მეც, ყოველივეს მიუხედავად, თავს ავარიდებ ორი უფსკრულის საკუთარ გამოცდილებად ქცევას. არც ერთი მათგანი აქ არ არის, არც ერთი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში - ჩემთვის.
არსებობს მხოლოდ მხნე allegretto.

უნდა ვთქვა, რომ ეს ჩემი აზრები საკმაოდ ჭკვიანურია. „მთვარის სონატის" მეორე ნაწილს თვით ფერენც ლისტმა უწოდა „ორ უფსკრულს შორის ამოზრდილი
ყვავილი". ვგრძნობ, რომ ამ მომენტისთვის დილემა ამოხსნილი მაქვს.

ახლა შევეცდები რამდენიმე მილიარდი წლით უკან დავბრუნდე - დროის იმ წერტილში, როდესაც უნდა გადამეწყვიტა, მეცხოვრა თუ არა ამ პლანეტაზე რამდენიმე ასეული მილიონი წლის შემდეგ ან იქნებ ეს შანსი არ გამომეყენებინა, რაკი მის წესებს ვერ მივიღებდი. მაგრამ ამჯერად ის მაინც ვიცი, ვინ იქნება ჩემი დედ-მამა, და ისიც, თუ როგორ დაიწყო ეს ამბავი. ცოტ-ცოტა იმასაც ვხვდები, ვინ შემიყვარდება ყველაზე მეტად.

აი, ჩემი პასუხი. ამიტომაც ვიღებ საზეიმო გადაწყვეტილებას და ვწერ:

„ძვირფასო მამა,

მადლობა წერილისთვის, რომელიც გამომიგზავნე. ეს ჩემთვის შოკივით იყო: კიდეც მასიამოვნა და კიდევაც დამანაღვლიანა. ჩემთვის არაორაზროვნად ცხადია, რომ ამქვეყნად მოსვლას ვამჯობინებდი თუნდაც სულ მოკლე დროით.
ჰოდა, ახლა შეგიძლია დაივიწყო ყველა წუხილი. შეგიძლია „მშვიდად განისვენო" (როგორც ადამიანები ამბობენ). გმადლობ, რომ ფორთოხლის გოგონა
მოინადირე!

ამწუთას დედა სამზარეულოშია და სადილს ამზადებს. დღეს რაღაც ფრანგული გვექნებაო, ამბობს. მალე იორგენიც დაბრუნდება იქიდან, რასაც თვითონვე უწოდებს „შაბათის ძუნძულს". მირიამს ჯერ სძინავს. დღეს 17 ნოემბერია და შობამდე სულ ხუთიოდე კვირაღა დარჩა.

შენ რამდენიმე საინტერესო კითხვა დამისვი ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპის შესახებ. ჰოდა, საქმეც იმაშია, რომ სულ ახლახან დავასრულე ჩემი დიდი ნაშრომი სწორედ ამ ტელესკოპთან დაკავშირებით!!!

ერთ დიდ საიდუმლოს გაგანდობ: მგონი, ვიცი, რა საჩუქარს მივიღებ საშობაოდ! იორგენმა რადაც მიმანიშნა. ყოველ შემთხვევაში, გაზეთში დაბეჭდილი რამდენიმე ძალიან მაგარი ფოტო მიჩვენა და, მოკლედ რომ გითხრა, როგორც ჩანს, ტელესკოპს მაჩუქებენ! ეს, მართლაცდა, დიდებული რამ

იქნებოდა. იორგენმა ორჯერ წაიკითხა ჩემი საგანგებო დავალება, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი მამინაცვალია და არა ნამდვილი მამა. წაიკითხა და, მეამაყებაო, თქვა. მგონი, მეც ისე ვუყვარვარ, როგორც მირიამი უყვარს, ანუ –
თითქმის ისევე და, ალბათ, მეტის მოთხოვნის უფლება არცა მაქვს. მეც თითქმის ისე მესიმპათიურება ეს ჯეელი, თითქოს ჩემი ნამდვილი მამა ყოფილიყოს.

თუ საშობაოდ ნამდვილად მივიღებ ტელესკოპს, ფიელსტოლენში წავიღებ, რადგან აქ, დაბლობ ადგილებში, მეტისმეტად ბევრია ის, რასაც ასტრონომები
„სინათლის დაბინძურებას" უწოდებენ. უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომ ჩემს ტელესკოპს იან ოლავის ტელესკოპი დავარქვა! იორგენს ეს, ალბათ, ცოტათი ეუცნაურება, მაგრამ თუ ჩემთან კარგი ურთიერთობა სურს, სხვა გზა არა აქვს –
ასეც უნდა მიიღოს ეს ამბავი.

უმთვარო ღამეს ფიელსტოლენის ცაზე იმდენი ვარსკვლავია, რომ კაცი იკითხავს – ტელესკოპი რაღად მინდაო. არა, მამიკო, მე არც ისეთი ბრიყვი ვარ,
როგორც შენ შეიძლება გეგონოს. ვიცი, რომ სამყაროში გაფანტული ვარსკვლავები, სინამდვილეში, სულაც არ ციმციმებენ. მაგრამ, ხანდახან, დამაინტრიგებელია აუზის ფსკერზე გაწოლა და იქიდან ცქერა: რაღაც აშკარად ჩანს და შეგიძლია მიხვდე, რა ხდება წყლის ზემოთ. სხვა რომ არაფერი, რიგიანად მაინც დაათვალიერებ მთვარის კრატერებს, იუპიტერის მთვარეებს და
სატურნის რგოლებს. მერე კი, ვნახოთ, იქნებ ნამდვილი შატლითაც გავისეირნო
კოსმოსში!

მთელი ჩემი სიყვარულით,

გეორგ (უმლევეიენის ფორტის მფლობელი, რომელმაც იცის, რომ ნამდვილად მძიმე პრინციპებით მოუწია ცხოვრებამ).

პ.შ. შენი წერილის წაკითხვის შემდეგ, მალევე ვიპოვე საკუთარ თავში სათანადო გაბედულება, რომ მევიოლინე გოგოს დავლაპარაკებოდი. ეს, მე მგონი, პირველივე ორშაბათს მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ახლა შემიძლია ნამდვილად მნიშვნელოვან საგნებზე ველაპარაკო. შემდეგ, ვინ იცის, იქნებ თავისი ვიოლინოც მაჩვენოს".

დედას ვეძახი და ისიც აქეთ მოდის. ვწერ ბოლო ფრაზას და დედას მამასგან დატოვებულ წერილს ვუწვდი, – ორიგინალს, რაღა თქმა უნდა.

– ახლა შეგიძლია მამას წერილი წაიკითხო, – ვეუბნები.

იქნებ ის წიგნიც წაიკითხოს, რომელსაც მამაჩემთან ერთად ვწერ. ესეც – შობის შემდეგ და, თანაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტელესკოპს მივიღებ: მე
ხომ უკვე ჩავრთე იან ოლავის ტელესკოპი მთელ ამ ისტორიაში.

დიდად არ მეპიტნავება, რომ ხალხმა ვიოლინოს გოგონას შესახებ წაიკითხოს. თუმცა არც დიდად ვიწუხებ თავს. ყველაფერთან ერთად, იმის

გახსენებაზეც მაჟრჟოლებს, რას იფიქრებენ დედა და იორგენი, როცა საბნის ქვეშ
მოკოცნავე თავიანთ თავს აღმოაჩენენ. ცოტათი მაჟრჟოლებს, არა ძალიან. დედამ მამას წერილი გამომართვა და ახლა სასტუმრო ოთახში ზის ყვითელ დივანზე. რამდენიმე წუთს მინდა ვიკითხო, სანამ იორგენი შაბათის ძუნძულიდან დაბრუნდებაო. მე ხომ დავპირდი – ახლომახლო ვიქნები–მეთქი –
და ამწუთას დედას გამოღებული კარიდან ვხედავ. შიგადაშიგ მისი ოხვრაც კი მესმის. ჩემი განცდით, ეს იმის ნიშანია, რომ იან ოლავი ჯერ მთლიანად არ დავიწყებია.

მე კი ისევ ვწერ. ეს ჩემი მკითხველებისთვის გამიზნული პოსტსკრიპტუმია:

გამოჰკითხეთ თქვენს დედ–მამას, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს. იქნებ საკმაოდ ამაღელვებელი ამბავიც კი გიამბონ. ეს ზღაპრები არასოდეს ჰგავს ერთმანეთს, თუმცა დღეს უკვე ვხედავ, რომ ყველა მათგანს მეტ–ნაკლებად მგრძნობიარე კანონები ამოძრავებს, რის გამოც ეს ისტორიები არც ისე იოლი საამბობია. იქნებ სიფრთხილეც კი გმართებს, რომ მაინცდამაინც არ მიუახლოვდე ამ კანონებს – არცთუ ყოველთვის ადვილად გამოსათქმელს. არსებობს ისეთი რამეც, რასაც „ტაქტი" ჰქვია.

როგორც ვხედავ, რაც უფრო დეტალურია ამბავი, მით უფრო ამაღელვებელიც არის. ერთი პაწაწკინტელა დეტალის შეცვლა და – შეიძლებოდა საერთოდ არ მოსულიყავი ამქვეყნად! ნაძლევს ვდებ, რომ არსებობს უამრავი პატარა დეტალი,
რომელსაც შეიძლებოდა მთლიანად შეეცვალა სურათი და ჩვენთვის უმცირესი შესაძლებლობაც აღარ დაეტოვებინა.

ან (თუ მამაჩემის სიბრძნეს რამდენიმე სიტყვას ვესესხები): ცხოვრება დიდი ლატარიაა, რომელშიც მხოლოდ გამარჯვებული ბილეთები ჩანს.

შენ, რომელიც ამ წიგნს კითხულობ, ერთი ასეთი გამარჯვებული ბილეთი ხარ.

იღბლიანო!